

წიგნების გამომცემლობა ალ. არაბიძის და ანა. თბილისში.

დ. უზნაძე.

ერევნული  
ბიბლიოთეკა

# კველი ისტორია

სისტემატიური კურსი

წიგნი I.

კველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი.

სურათებით

ქ. ტფილისი  
სახელმწიფო სტამბა.  
1919



ქართველი  
წიგლისმოყვარეები

## ძველი აღმოსავლეთი.

### I. ეგვიპტე.

1.

#### გეოგრაფიული მდებარეობა.

ქვეყნის ხუთსავე ნაწილს შორის ყველაზე უფრო შეუფერებელი კულტურული ცხოვრებისათვის შექველად აფრიკაა. აქაური თვალუწვდენელი უდაბნოები, ცხელი ჰავა და ძლიერი ქარები ადამიანს საშალეობას არ აძლევენ, თავისი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად იმუშაოს. ამიტომაც აფრიკის ხალხები, დღესდღეობით მაინც, ყველაზე უფრო ჩამორჩენილად ითვლებიან.

სამაგიეროდ უძველეს დროში ადამიანთა კულტურის აკვანი სწორედ აფრიკაში ჩაიდგა. თითქმის მთელი ჩრდილო ნახევარი აფრიკისა თვალუწვდენელ უდაბნოს წარმოადგენს. გამონაკლისს მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი შეადგენს: აქ კალაპოტი გაუთხრია მდინარე ნილოსს, რომლის სათავეც ექვატორის ახლოს მდებარე მაღალი მთებიდან იწყება, და იგი ხმელთა-შუა ზღვას უერთდება. ნილოსს სათავეშივე შესამჩნევი მაღლობები ეღობება წინ, და ამიტომ მისი კალაპოტი ჩრდილოეთის სივანის 24°-ამდი ძლიერ მიხვეულ მოხვეულია; აქედან კი მას აღმოსავლეთით **არაბეთის** მთა მისდევს თან და დასავლეთით—**ლიბიისა**. ამგვარად ნილოსის კალაპოტი შედარებით ვიწრო კალაშია გათხრალი, რომლის სივანეც 13 ვერსს არსად არ აღემატება. და სწორედ ეს კალაა, რომ თავისი მდიდარი მცენარეულობით მთების გადაღმა მდებარე უდაბნოსაგან ასე ძალიან განსხვავდება. ამ კალას **ეგვიპტე** ეწოდება.

ცხადია, ბინადრები აქ უხსოვარი დროიდანვე გაჩნდებოდნენ. მათთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მათი ქვეყანა უნილოსით ისეთივე უდაბნო იქმნებოდა, როგორც ლიბიის მთებს გადაღმა მდებარე სპარაა. «დიდება შენდა, ნილოს, რამეთუ ეგვიპტეს შენ აძლევ სიცოცხლეს!»—მიმართავდნენ ხოლმე იგინი მდინარეს, და ძველი ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელიც მეხუთე საუკ. ქ. წ. ცხოვრობდა, ეგვიპტეს ნილოსის ძღვენს უწოდებს.

მაგრამ მისთვის რომ უღაბნოს ნიადაგი შესაფერიად განო-  
ციერებულყო, მარტო მდინარე ხომ არ იქნებოდა, საკმარისი ცხა-  
დია, ნილოსს სხვა ისეთი თვისებაც უნდა ჰქონოდა, რომ ნილოსის  
ველ მდინარეს როდი ახლავს თან. თუ გავიხსენებთ, რომ ნილოსის  
სათავე ექვატორთან იწყება, მაშინ მივხვდებით, რომ ტროპიკული  
წვიმების დროს ნილოსი აუცილებლად უნდა აღიდებულყო და



ნილოსის ნაპირები.

ათიქმის მთელი ვიწრო კალა მოეფარა. ეს მართლაც ასე ხდებოდა.  
მდინარე აღიდებდას ივლისში იწყებდა, სექტემბერში უმაღლეს  
წერტილს აღწევდა და შემდეგ ერთბაშად ვარდებოდა და თავის კა-  
ლაპოტს უკანვე უბრუნდებოდა. კალა კი ლამით რჩებოდა მოფა-  
რული, და ეს ლამი ნიადაგი ნოციერებას აასკეცებდა. ეგვიპტელე-  
ბი, რომლებიც ამაღლებულ ადგილებზე ცხოვრობდნენ, გამოდიოდნენ  
და ხვნა-თესვას ჰკიდებდნენ ხელს. ოთხი თვის განმავლობაში უხვი  
მოსავალი უჭვე მზად იყო, და ახლა მისი მოწვევის შესახებ უნდა  
ეზრუნათ.

ამნაირად, ეგვიპტის ნიადაგის ნოყიერობა წყალდიდობაზე იყო დამოკიდებული; რასაც ადიდებული ნილოსის ტალღები მიწვევებოდა, იქ ნიადაგიც ნოყიერი რჩებოდა.

ერქონული  
ზიზღიერთა

2.

სამეფოს დაარსება.

მარ.თალია, ნილოსს ნოყიერება მოჰქონდა, მაგრამ ხშირად იგი ეგვიპტეს ზიანსაც დიდს აყენებდა: ზოგან აღადებული წყალი აღვილს იტაცებდა, მცენარეებს თხრიდა და ხმელთაშუა ზღვისაკენ მიაქანებდა. საჭირო იყო ამატომ ეგვიპტელებს აღრევე ეზრუნათ, რომ მდინარეს რაც შეიძლება მეტი აღვილი დაეფარა და გაენოყიერებია, და აპასთანავე აღრეულ წყალს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მოეტანა. ამისათვის კი აუცილებლად საჭირო იყო ხელოვნური არხების გაყვანა, რომელიც წყალს მოშორებულ აღვილებსაც მიაწვდენდა და წყალდიდობასაც უვნებლად გახდიდა. ეს კი თავის მხრივ დიდ მუშაობას მოითხოვდა, რომელშიც აუცილებელი იყო მრავალი ეგვიპტელის მონაწილეობაც და ერთის მუდმივი ხელმძღვანელის ყოლაც. წინად ეგვიპტე მრავალ ნაწილად იყო დაყოფილი, და ამ ნაწილებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა. მაგრამ როგორც კი შეიგნეს ნილოსის წყალდიდობისა და არხების გაყვანის მნიშვნელობა, ეგვიპტელები უთუოდ უნდა შეერთებულიყვნენ. მათი მდგომარეობა საერთო შრომას მოითხოვდა და საერთო შრომა კი— საერთო ხელმძღვანელს, რომელიც მალე მეფედ უნდა გადაქცეულიყო.

მეორმოცე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე შემთხვევითი კავშირი ეგვიპტის სხვა-და-სხვა ნაწილს შორის, რომელიც საერთო მუშაობის დროს იკვროდა, მუდმივ კავშირად გადაიქცა. ეგვიპტე ერთ სამეფოდ გაერთიანდა და მის მეფედ მენესი შეიქმნა. ეს იყო პირველი მეფე ეგვიპტელებისა ანუ ფარაონი.

ახალი სამეფოს უმთავრეს ქალაქად მემფისი შეიქმნა. ეს ქალაქი, გადმოცემით, ამავე მენესის აშენებულია. ამის შემდეგ ეგვიპტელები მთელი ათასი წლის განმავლობაში მშვიდობიანს კულტურულ ცხოვრებას მისდევდნენ, იგინი არც თვითონ ესხმოდნენ ვინმე თავს და არც მათ ეცემოდა ვინმე. ამ მშვიდობიანი ცხოვრების დროს ამოღდა მეორე ნაწილი ეგვიპტისა, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობდა, და დამოუკიდებელ სამეფოდ გადაიქცა. ამ მეორე ნაწილის დედაქალაქად თებე\*) ითვლებოდა; მაგრამ მისი დამოუკიდე-

\*) მდებარეობს სამხრეთ ეგვიპტეში.





ბლობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, და მალე შულა აგვიტეუ/ქვედა ეგვიპტეს შეუერთდა.

ათასი წლის მშვიდობიანი ცხოვრების ტრადიციულ ტყეებს კულტურული განვითარებისათვის, რასაკვირებლად მკაცრად შეზღუდვა ექნებოდათ, და მართლაც, მთელი მათი კულტურა, რომელიც თავისი სიდიდით ადაპიანს დღესაც აკვირვებს, ამ ათასი წლის განმავლობაში შექმნა.

3.

**ხასიათი და ზნეჩვეულება**

ჰეროდოტეს სიტყვით, ეგვიპტელებს საერთოდ თვინიერი ხასიათი ჰქონდათ, ჩხუბი და აყალმაყალი არ უყვარდათ, ძალიან ღვთის მოსაწონი და ამავე დროს შრომის მოყვარენიც იყვნენ. „მოხუცებულთა პატივისცემა ახალგაზდებმა არსად ისე არ იციან, როგორც ეგვიპტეშიო, ამბობს ჰეროდოტე, — როდესაც ახალგაზდა მოხუცს ხვდება, ის უსათუოდ გზას აძლევს მას, ან და როდესაც მოხუცი ახალგაზდასთან მივა, ეს უკანასკნელი ყოველთვის ფეხზე დგებოა“.

შეხვედრის დროს ეგვიპტელებმა იმდენად დაბალი სალაში იცოდენ, რომ მათი ხელები მუხლებს სწვდებოდა.

4.

**სარწმუნოება**

პირველ ხანებში ეგვიპტელებს ყველაფერი ღვთაებად მიაჩნდათ: ხესა და ქვაში, წყალსა და ცხოველში, მათი აზრით, ყველგან ღმერთები გამოიყურებოდნენ. ამასთანავე ყოველ ქალაქსა და სოფელს თავისი ღმერთები ჰყავდა, ასე რომ საერთო, ყველასათვის სავალდებულო სარწმუნოება იქ არ არსებობდა. მაგრამ დრო რომ გავიდა, და მთელი ეგვიპტე გიერთიანდა, მაშინ ეგვიპტელთა სარწმუნოებაც დასრულდა და განსაზოგადოვდა.

უმთავრეს ღვთაებად იგინი მზეხ თვლიდენ, რომელიც სხვადასხვა ალაგას სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი. მემფისში მას პტახ უწოდებდენ და თებეში — ამუნს; შემდეგში კი მისი საზოგადო სახელი რა შეიქმნა. ეგვიპტელების არსებობა ნილოსისა და მის წყალდიდობაზე იყო დამოკიდებული, წყალდიდობა კი მზის მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ იყო, რომ უმთავრეს ღმერთად მათ მულამ მზე მიაჩნდათ. შემდეგში ეგვიპტელებმა თვითონ ნილო-



ესენი იყვნენ უმთავრესი ღმერთები; მათ მოსდევდნენ შემდეგ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ღვთაებანი და მრავალი წვრილი კეთილი და ავი სული; მთელი ეს კიბე ღმერთებისა და სხვადასხვა ცხოველით (გველეშაპი, ვირთხა, კატა, ძაღვი, მწყურთა) ეგვიპტელები ღმერთებად თვლიდნენ. განსაკუთრებულ თავყანს სცემდნენ იგინი შავ ნიშაბარს—აპისს, რომელიც შეწირული ჰყავდათ მემფისის მზის ღმერთისთვის. ყველა ამ ღმერთებს, რადგან დაწყებული აპისამდი, უგებდნენ ტაძრებს და სწირავდნენ მსხვერპლს. ეგვიპტელები თავის უმთავრეს ღმერთებსაც ამა თუ იმ ცხოველის სახეს აძლევდნენ: მაგალ., იზიდას ხშირად ძროხის რქებით ხატავდნენ. მეცნიერების აზრით, ასეთი საკვირველი გაღმერთება ცხოველებისა ეგვიპტელებს იმ ხალხის რელიგიიდან უნდა ჰქონოდათ გადმოღებული, რომელიც მათზე ადრე ბინადრობდა ნილოსის ნაპირებზე და შემდეგში მოსულ ეგვიპტელებს დაუმორჩილდა.

ეგვიპტელთა შეხედულებით, ადამიანი ორი ნაწილისაგან შესდგება; ერთი არის მისი სხეული, და მეორე—მისი პირი, მისი მეორე სახე, ე. წ. კა, რომელიც სხეულში ცხოვრობს. სიკვდილი დაშორებაა ამ ორი ნაწილისა ერთმანეთისაგან: კა ცილდება სხეულს; სხეული იხრწნება და ჰქრება, ხოლო კა უცვლელი რჩება. იგი მიემგზავრება საიქიოს, რათა წარსდგეს ოზირისის წინაშე და მას თავისი სააქაო ცხოვრების შესახებ პასუხი გასცეს.

იქ, ოზირისის წინაშე 12 ღმერთის თანდასწრებით სასწორზე იწონება მთელი ის სიკეთე და ბოროტება, რომელიც ადამიანს სააქაოს ჩაუდენია. თუ აღმოჩნდებოდა, რომ იგი აქ ბოროტ ცხოვრებას მისდევდა, მაგალ., ქურდობდა, ან კაცს ჰკლავდა ან სიცრუეს ლპარაკობდა და სიკეთეს კი ცოტას სწადიოდა, მაშინ იგი სამუდამოდ ისპობოდა, ხოლო, თუ იგი თავის გამართლებას მოახერხებდა, მაშინ უკვდავი რჩებოდა, მაგრამ იმ ცოდვებისაგან მაინც უნდა განწმენდილიყო, რომელიც მას ცოტად თუ ბევრად მაინც ექნებოდა. და ამისათვის კა ხან ერთი ცხოველის სხეულში უნდა გადასულიყო და ხან მეორისაში, სანამ სრულიად არ განიწმინდებოდა. შემდეგ იგი გამწმენდილი თავის საკუთარ სხეულს უბრუნდებოდა და ჩვეულებრივი სახით მზის ღმერთის საიქიო სანეტარო მინდვრებზე განცბრომითა და ბედნიერებით უკვდავ ცხოვრებას ეძლეოდა. მაგრამ თუ ვინც ცობაა კა თავის სხეულს ველარ მიაგნებდა, მაშინ იგი უკვდავ ცხოვრებას ჰკარგავდა. ამიტომ ეგვიპტელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ როგორცე გადაცვალებულის სხეული არ გახრწნილიყო, და, მართლაც, სხვადასხვა მალაქოს საშვალეებით ცხედრის გაუხრწნელად შენახვას ახერხებდნენ. ასეთ ცხედარს მუმია ეწოდება.

მუმიის ისეთი ხელოვნებით იყო ნაკეთები, რომ მოივლილი ათასი და ათიათასი წლის განმავლობაში შეიძლებოდა მისი გაუნგრუნელად შენახვა. ასეთი მუმიები დღესაც მრავლად ინახება ხეცურ მუმიებში. მაგრამ მუმიის დაკარგვა მაინც ადვილად იცხადებოდა ამიტომ ეგვიპტელებმა უბრალო ხერხს მიმართეს: ივინი აზადებდენ



ყუთი მუმიისათვის.

მრავალ ქანდაკებას (კირისაგან, ხისაგან, ქვისაგან და სხვ.), რომელიც რაც შეიძლება ზედმიწევნით უნდა ჰგვანებოდა გარდაცვალებულს. საკმარისი იყო, მათი აზრით, ერთი ასეთი ქანდაკება ჰქონოდა და ეცნო კახ, რომ იგი შეერთებოდა მას, როგორც თავის ყოფილ სხეულს, და ამნაირად თავისი უკვდავი ბედნიერი ცხოვრება უზრუნველყო.

5.

ხელოვნება

ეგვიპტეში დღესაც ბევრი სხვადასხვა სახის ქანდაკებაა დაცული. ამათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი განსაკუთრებით ორია: ერთი „მწერალს“ გამოხატავს, რომელიც ფეხებმოკცილი ზის, მუხლებზე პაპირუსი (იმ დროინდელი ქალაქი) უდევს და წერის დაწყებას აპირებს. ხოლო მეორე—მუშების მეთვალყურის ქანდაკია, რომელიც ხისგან არის გამოკრილი და ადამიანის სხეულს საკვირველი ზედმიწევნით გამოხატავს. ამ ქანდაკებას „სოფლის მამასახლისის“ ქანდაკება ეწოდება.

ეგვიპტელების აზრით, სმა-ჰამა და ყველა სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილება ადამიანს საიქიოსაც ეჭირებოდა. ამიტომ გადაცვალებულს საფლავში ყველაფერს ატანდნენ თან, რაც კი სააქაო ცხოვრებისათვის აუცილებელი იყო. მაგრამ რაგდგანაც ეს საქმეს

ართულებდა, ბოლოს ეგვიპტელებმა უფრო მარტივ ხერხს მიმართეს: მის შავივრად, რომ საფლავში სხვადასხვა საგნები ჩაეტანებიათ, იგინი ამ საგნებისა და ცხოვრების სხვადასხვა შეთქმულების სურათების საფლავზე დახატვით კაყოფილდებოდნენ; მათის ფიქრობით, სკამარისი იყო გადაცვალეზულისთვის ამ ნახატის დანახვა, და ის არც ნადირობას იქნებოდა საიქიოს მოკლებული და არც ოჯახურისა და მეგობრული ცხოვრების სიამოვნებას. — ამ პირობებში ეგვიპტეში აუცილებე-



მწერალი.

ლად უნდა განვითარებულიყო მხატვრობა, და, მართლაც, რაც კი რამ დღევანდელ ეგვიპტეში ძველი მხატვრობის ნაშთია დაცული, ყველა ნათლად ამტკიცებს, რომ ეგვიპტელებს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონიათ ორიოდ-სამიოდე ხანის მოსმით, ყოველი საგნის დამახასიათებელი თვისება გადმოეცათ. მართალია, მათი ნახატები პირველი შეხედვით ბავშვების სურათებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე დასრულებულს ხელოვნურ ნაწარმოებს, მაგალ., ადამიანს და ცხოველს იგინი ყოველთვის ამ წესით ხატავდნენ: თვალები და მხარ-ბეჭი პირდაპირ

იყო გამოყვანილი (enfance), ხოლო დანარჩენი ნაწილი — ყოველთვის გვერდიდან (პროფილ). მაგრამ ამის მიუხედავად იქაური მხატვრების ადამიანისა და განსაკუთრებით ცხოველების ნახატებს უფროსად ყველა განცვიფრებაში მოყავს.

სივსიქსი



სარკოფაგი.

ეგვიპტელი, ამგვარად, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე არც გადაცვალებულის სხეული დაკარგულიყო და არც მისი სახე და ცხოვრებისა და ზნეჩვეულების სურათი. სწორედ ამიტომ ამზადებდენ ივინი მუმიებს, ამიტომ აქანდაკებდენ მიცვალებულის სახეს და ხატედენ მისი ცხოვრებას სხვა და სხვა სურათებს. მაგრამ სად ინახავდენ ამ მუმიას, ამ ქანდაკებასა და ამ ნახატებს? თუ მათი დაღუპვა კახ დაღუპვის ნიშნავდა, ცხადია, ეგვიპტელები თავის მიცვალებულთა საულავების შესახებ განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენდენ. და მართლაც, ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის სიტყვით, ეგვიპტელები თავის სახლებს სასტუმროებს უწოდებდენ, რადგანაც სააქაოს ადამიანი მხოლოდ ცოტა ხანს ცხოვრობს, ხოლო საიქიო ცხოვრება მარადიულია. საფლავი ქვის შენობას წარმოადგენდა, რომელსაც მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა დატოვებული. როგორც კი შეიტანდენ გადაცვილებულის მუმიას, ამ კარს იმ წამსვე ამოქოლავდენ და სამუდამოდ ასე სტოვებდენ. აქ, ამ შენობაში შიგნით ქანდაკებებს სტოვებდენ და გარეთ მას სხვადასხვა ნახატებით აშვენებდენ. ეგვიპტელები დიდად ზრუნავდენ თავისი საფლავის სიმკვიდრის შესახებ; ამისთვის არაფერს არ ზოგავდენ. ამიტომ ვინც უფრო მდიდარი იყო, იგი საფლავსაც უკეთესს აგებდა; ხოლო ღარიბი, თუ სააქაოს ცუდ პირობებში ცხოვრობდა, ვერც საიქიოს ბინის უკეთ მოწყობას მოახერხებდა.

ყველა საფლავს შორის, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი მეფეების საფლავებს ექნებოდა დაკავებული. და მართლაც, ეგვიპტეში დღესაც გაკვრევებს იწვევის ის საოცარი სიდიდის შენობები, რომელსაც ყველა მოგზაური უნებურად განსაკუთრებულ ყურადღებას აპყ-

რობს. ეს შენობები პირამიდების სახელით არის ცნობილი. მათი აგებულება ასეთია: საფუძველი ოთხკუთხედს წარმოადგენს, და ამ ოთხკუთხედზე კედლებია აგებული, რომლებიც რაც უფრო ზევით მიდის, მით უფრო უახლოვდება ერთმანეთს, ასე რომ პირამიდის პირველი პატარა ოთხკუთხედის სახე ეძლევა.

პირამიდის პირველი პატარა ოთხკუთხედის სახე ეძლევა.



დადი სფინქსი. ხეფრენის პირამიდა.



მეფეები არაფერს არ ზოგავდნენ, ოღონდ რაც შეიძლება უფრო დიდი და მკვიდრი პირამიდა აეგოთ, და ამიტომ როგორც კი ავიდოდნენ ტახტზე, იმ წამსვე თავის საიქიო ცხოვრების ბიზნის აგებას მიყობდნენ ხელს. მრავალი ათასი მუშა რამდენიმე წლის განმავლობაში მეფის პირამიდის ასაგებად შრომობდა, და ეს მეფეობის მანამდე არ წყდებოდა, სანამ პირამიდის აგება არ დასრულდებოდა. უდიდესი პირამიდა ქეოფსის პირამიდის სახელით არის ცნობილი; მისი სიმაღლე 70 საენს უდრის, ხოლო მთელი ქვის მასალა, რომელიც ამ პირამიდაზე იყო დახარჯულია, 75 მილიონ კუბიკურ ფუტს აღემატება. უდიდესი პირამიდები მეოთხე დინასტიის მეფეებს ეკუთვნოდა.

თუ გადაცვალებული ადამიანისთვის ასეთი დიდი და მკვიდრი სადგომი იყო საჭირო, მაშინ ღმერთების სადგომები, რა თქმა უნდა, უფრო დიადი უნდა ყოფილიყვნენ. და მართლაც, ეგვიპტელების ტაძრების ნაშთები ნათლად ამტკიცებენ, რომ ეს ხალხი არც დროს, არც შრომასა და არც არავითარ სხვა საშვალეებას არ იშურებდა, ოღონდ თავისი ღმერთებისთვის რაც შეიძლება უფრო ღირსეული სადგომები მოემზადებია.


ერთი ტაძრის აგებას, მაგალ. 2000 წლის განუწყვეტილი მუშაობა მოანდომეს. ასეთი ტაძრების ნაშთები განსაკუთრებით ქალაქ თებეში არის დაცული.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ეგვიპტეში პირველად ფრანგები გადავიდნენ. ამ ქვეყნის დაპყრობა მათ საშინელ პირობებში უხდებოდათ. ერთხელ ერთი ნაწილი ფრანგების ჯარისა მტერს დაედევნა, მას არც საკმელი ჰქონდა და არც სასმელი, და არც ქვეყანას იცნობდა. ამასთანავე მას საშინელი სიციხეც სულს უწუხებდა. ასეთ ვასაკირში იყვნენ ჯარის კაცები, რომ თებეს მიადწიეს, და მათს წინაშე იქაური ტაძრების ნაშთები აღიმართა. ჯარს ერთბაშად ყველაფერი დაავიწყდა, საშინელი მტვერიცა და აუტანელი სიციხეც, შიშოლიცა და წყურვილიც, და ჯარისკაცებმა ერთსულოვანი სიხარულისა და სიამოვნების ნიშნად ალტაცებით ტაში შემოჰკრეს.

ასეთს ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე ის საოცარი შენობები, რომელსაც ეგვიპტელები თავის ღმერთებს უგებდნენ. ამით შორის ყველაზე უფრო ცნობილი კარნაკის ტაძარია. მისი გალავანი ნამდვილ ციხეს წარმოადგენდა, რომლის კედლებიც აგურით იყო ნაშენი. გალავნის შიგნით გაბნეული იყო მრავალი სხვა-და-სხვა შენობა: პურისა, ღვინისა და ზეთის საწყობები, ფურნები, სახელოსნოები, სადაც კერპების საშოსსა და სამკაულებს აწვადებდნენ.




იქვე იღვა სამღვდლო პირებისა და მსახურების სახლები. აქედან კი გრძელი ხეივანი იწყებოდა, რომელსაც ორივე მხრით სფინქსების მთელი წყება მისდევდა. ეს სფინქსი ერთგვარიე ქანდაკებაა ქრომელსაც ტანი მწოლარე ლომის აქვს, ხოლო ვიწრო-ქვეშე ან ცხვრის. ხეივანი ტაძრის შესავლისკენ მიიმართებოდა და აქ თავდებოდა. აქვე ოთხგვერდიანი ქვის სვეტები (10—15 საე.) იყო



ტაძარი.

აღმართული, რომელსაც ბერძნები ნემსებს ანუ ობელისკებს უწოდებდნენ, და შემდეგ შესავლის ორივე მხარეზე ორი მაღალი გოდოლი იყო, დაქანებული სახურავით. მთელი ეს წინა ნაწილი ტაძრისა ცნობილია პილონის სახელით. როგორც კი გადაცილდებოდი პილონს, ტაძრის ეზოში შეხვიდოდდი, რომელსაც გარშემო ორი მხრით დახურული კოლონადა ეკრა და შუაში სამსხვერპლო ჰქონდა. შესავლის პირდაპირ მეორე მხარეზე ტაძრის უმთავრესი ნაწილი იწყებოდა. აქ, კარს რომ ვააღებდი, ე. წ. „მოსაცდელ დარბაზში“ შეხვიდოდდი, რომელიც აუარებელი სვეტებით იყო სავსე. შემდეგ „საიდუმლოების დარბაზის“ შესავალი იწყებოდა, სადაც მხოლოდ სამღვდლო პირებს შეეძლოთ შესვლა, და სადაც კერპები ესვენა. კი-

დედ უფრო უკან მოთავსებული იყო სხვა ოთახები, სადაც ინახებოდა როგორც ტაძრის საგანძური, აგრეთვე სხვა სამღვდელთმსახურო ნივთებიც. საერთო თვისება ყველა ტაძრისაა, რომ რაც უფრო შიგნით იყო ოთახი მოთავსებული, მით უფრო ძველი იქნებოდა. ამიტომ ვთქვამთ, რომ იატაკი თანდათან მალღვდებოდა, ხოლო ჭერი დაბლდებოდა, ე. ი. იატაკი აღმართ მიდიოდა და ჭერი—დაღმართ.



▷ ტაძრის ნანგრევები.

6.

### შ წ ე რ ლ ო ბ ა .

თითოეული ნაშთი ეგვიპტელების ხუროთმოძღვრებისა მარტო ნახატებით კი არ არის მოფენილი, არამედ წარწერებითაც. ძველი დროიდანვე ამ წარწერებს იეროგლიფებს (ეს ბერძნული სიტყვა „სამღვდლო მწერლობას“ ნიშნავს) უწოდებდნენ; ხოლო მათი წაკითხვა მეცხრამეტე საუკუნემდე ვერაფერ ვერ მოახერხა. საინტერესო კი იყო, რას სწერდნენ ეგვიპტელები თავის საფლავისა და ტაძრების კედლებზე. ეკვი არ არის, ვინც ამ წარწერების წაკითხვას მოახერხებდა, ის ეგვიპტელების ცხოვრების შესახებ ახალს ბევრს რასმე გაიგებდა. ამიტომ ბევრს ჰქონდა სურვილი ამ წარწერების



წაქითხვისა, მაგრამ ეს პირველად საფრანგეთის ახლოგზად გეგმი-  
ერმა, შამპოლიონმა მოახერხა. მან გამოარკვია, თუ რას მიზნავდა  
თითოეული ნიშანი ეგვიპტელების წარწერებისა, და ამიტომ დაწინაურდა  
იეროგლიფები თანამედროვე ანბანისაგან ძირიანად განსხვავებული  
და უფრო რებუსებს უხლოვდებიან, ვიდრე ახლანდელ ნაწერებს. თუ  
ჩვენს ანბანში თითოეული ნიშანი ანუ ასო ერთს ხმას გამოხატავს,  
იეროგლიფებში ცალკე ნიშანი მთელ სიტყვას ან ცნებას აღნიშნავს.

იეროგლიფები მარტო ტაძრისა და სხვა შენობების კედლებს  
კი არ აშვენებდა, ეგვიპტელებს მათი საშუალებით მთელი წიგნებიც  
ჰქონდათ დაწერილი. ამათ შორის განსაკუთრებით შესანიშნავია  
ე. წ. „მიცვალებულთა წიგნი“, რომელსაც მიცვალებულს საფლავში  
ატანდენ; იქ ნაჩვენევი იყო, თუ როგორ უნდა მოქცე-  
ულიყო განსვენებული, სანამ ოზირისის სამეფოს მიადგებოდა.  
სწერდენ ტყავზე და პაპირუსზე (მცენარეა ეგვიპტეში), მელნის  
მაგიერ ლერწმის ნახშირსა და სხვადასხვა ფერადებს ხმარობდენ.

ეგვიპტელები ყოველთვის დიდად აფასებდენ განათლებას,  
თუმცა, მათი აზრით, განათლება მარტო იმიტომ იყო საჭირო,  
„რომ განათლებული მუდამ მაძღარია“. ამიტომ ეგვიპტეში მხოლოდ  
ისეთ ცოდნას ჰქონდა ვასავალი, რომლის გამოყენებაც ცხოვრე-  
ბაში იყო შესაძლებელი. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ იქ არხები  
გაჰყავდათ; ცხადია, მიწის გაზომვ-გამოზომვა დასჭირდებოდათ; ან  
როდესაც რასმე აშენებდენ, მასალის დათვლა და შენობის გაზომვა  
იქნებოდა საჭირო. ადვილი ვასაგებია, რომ ამ მიზეზით მეცნიერე-  
ბის შესაფერი დარგი—გეომეტრია და არითმეტიკა უნდა განვი-  
თარებულიყო.

მშემების დამზადების საჭიროება ადამიანის აკვებულობის  
ცოდნას მოითხოვდა. ამიტომ ეგვიპტეში ანატომიაც უნდა ჩასა-  
ხულიყო. მედიცინა იქ დიდ პატივისცემაში იყო, თუმცა მეცნიერ-  
ული ხასიათი მას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული. ეს ცხადად  
სჩანს იმ ორი სავედიცინო ნაწერიდან, რომელიც ძველმა ეგვიპტე-  
ლებმა დაგვიტოვეს. უფრო კუჭმარტი შეხედულება მათ ახტრონო-  
შიაზე ჰქონდათ: მათი ანგარიშით, მაგალითად, წელიწადი სამას  
სამოცდახუთ დღეს უდრიდა.

7.

### საზოგადოება და მისი შემადგენლობა.

საბერძნეთის ისტორიკოსის, ჰეროდოტეს მოწმობით, ეგვიპ-  
ტეში ყველაზე უფრო გავლენიან წოდებად სამღვდლოება ითვლე-



ბოდა. მისი მოვალეობა უმთავრესად მღვდელთმსახურება იყო. მაგრამ რადგანაც უკანასკნელ საუკუნოების განმავლობაში იგი მთელ ეგვიპტეში გაბატონდა, ამიტომ ახლა მან საერო საქმეებშიც დაიწყო მონაწილეობა ადგილები დაიჭირა. სამღვდელთმსახურებას მთელი ეგვიპტეში მისი მესამედი ნაწილი ეკუთვნოდა და ამასთანავე ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო. მიწის საკუთრებას გარდა, ყოველ სამღვდელს პირს ყოველთვის ურიგდებოდა საკუთარი სარჩო: შემწვარი ხორცი შეწირული ცხოველებისა, მრავალი ხარი, ბატი და ღვინოც. ასე რომ მისი მიწის საკუთრების შემოსავალი სრულიად ხელუხლებელი რჩებოდა, რადგანაც ყველა მოთხოვნილებას ასეთი შემოწირულებებით იკმაყოფილებდა.

ჭეოდოტეს სიტყვით და ნაშთების მოწმობითაც, სამღვდელთმსახურების ვალდებული იყვნენ დაეცვათ უმწიკვლო სისუფთავე როგორც თვისი სამოსისა, აგრეთვე სხეულისაც, და სამ დღეში ერთხელ აუცილებლად მთელი სხეული უნდა გაეპარსათ. „ისინი ატარებდნენ შალის სამოსს და პაპირუსის კანის ფეხსაცმელს და დღესა და ღამეში ორ-ორჯერ ცივ წყალში ბანაობდნენ“. მათი მოვალეობა ღმერთების ქანდაკებათა გამოტანა იყო, რადგანაც მთელი მღვდელთმსახურება მარტო ამაში გამოიხატებოდა. იგინი ტაძრის გალავანში ცხოვრობდნენ და ღვთის მოსავ ეგვიპტელებს ღმერთების სახელით სხვა-და-სხვაგვარ რჩევას აძლევდნენ. არც ერთი სახელმწიფო საქმე არ მოხდებოდა, თუ სამღვდელთმსახურებისაგან დასტური არ იქცებოდა მოცემული.

ამას გარდა იგინი ხშირად სხვა-და-სხვა სამეცნიერო საკითხების შესახებაც ფიქრობდნენ, და ამიტომ ეგვიპტელების მთელი სიბრძნის წარმომადგენლები იგინი იყვნენ. სამღვდელთმსახურებას ეგვიპტეში მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა, ასე რომ მამათვის თანამდებობას შვილს გადასცემდა.

მეორე მნიშვნელოვან წოდებად ეგვიპტეში მხედრობა ითვლებოდა. მისი მოვალეობა ქვეყნისა და მეფის დაცვაში მდგომარეობდა. ამ სამსახურისთვის ყოველ მხედარს მიწის განსაზღვრული რაოდენობა ეძლეოდა, ასე რომ მთელი ერთი მესამედი მიწისა მხედრობას ეკუთვნოდა.

თუ კი ვისმე სამსახურში უგულობას შენიშნავდნენ, მას სამსახურთან ერთად მიწასაც ჩამოართმევდნენ, და ამ გვარად ისიც და მისი შვილებიც უნუგეშო მდგომარეობაში ვარდებოდნენ. სამსახურს აქაც მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა: მამის სიკვდილის შემდეგ მის ადგილს მისი შვილი იკავებდა.

816  
272

ს ა ძ ა რ თ ი ვ ე ლ ო ს  
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
2 6 0 2 5 7 0 0



მესამე წოდებას უბრალო ხალხი: გლეხები და ხელოსნები შეადგენდნენ. საკუთარი მიწა ამით არ ჰქონდათ; ივინი ცხოვრობდნენ და აპუშავებდნენ ან მეფის, ან სამღვდელოების მფლობელების მიწას. მოსავალის ნაწილი მიწის მესაკუთრეს მტკბარე მფლობელნი კი მუშას ეკუთვნოდა. როდესაც მეფე პირამიდის ან ტაძრის აგებას და არხის გაყვანას მიუბრუნებდა ხელს, იგი ბრძანებას გამოსცემდა, და უბრალო ხალხი ვალდებული იყო, თავისი საგზლით დანიშნულ ალაგას გამოცხადებულიყო და მთელი თვეობით უფასო შრომის ქაპანი ეწია; მეფის კაცები მათ არ ერიდებოდნენ და ხშირად ცემატყეპითაც უმასპინძლებოდნენ. ერთი რიგი რომ მუშაობას მორჩებოდა, შემდეგ ჯერი მეორეზე მიდგებოდა, და აპნაირად მთელი ხალხი ვალდებული იყო მეუკას წინაშე, ამ სამძიმო ვალის გადახდაში პირდაპირი მონაწილეობა მიეღო. გლეხობა ამასთანავე მოკლებული იყო უფლებას, იმ მიწისთვის, რომელზედაც ცხოვრობდა, თავი დაენებებია და სხვაგან გადასახლებულიყო, კიდევ რომ სადმე უფრო ხელსაყრელი პირობები ეპოვნა. ეს გარემოება მისს ისედაც უმწიერ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა.

ხელოსნები ეგვიპტეში მრავალნაირ ხელობას მისდევდნენ, და ხშირად მათი ნახელარი სხვადასხვა ქვეყანაში ვრცელდებოდა. ძველად ძალიან გავრცელებული იყო ეგვიპტელთა სელისა და შალის ქსოვილები, მინეულობა, ოქრო-ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთები, პაპირუსის ქალაღი და მოკაზმული ჭურჭლები. სამაგიეროდ ეგვიპტელებსაც შემოჰქონდათ სხვა ქვეყნებიდან სხვადასხვა საქონელი: არაბეთიდან მოდიოდა ოქრო, სედიანიდან—სპილოს ძვალი და სირაქლემას ფრთები, ხოლო წინააზიიდან—ხე-ტყე. ფული იმ დროს არ იცოდნენ, და ამიტომ საქონელს პირდაპირ ერთიმეორეზე სცვლიდნენ.

8

**მართვაგამგეობა.**

სახელმწიფოს ბატონ-პატრონად მეფე ანუ ფარაონი ითვლებოდა. ეგვიპტელების შეხედულებით, ფარაონი უბრალო მომაკვდავი არ იყო. იგი ღმერთებსა და ადამიანებს შუა იდგა, და ეს რწმენა იმდენად მტკიცე იყო, რომ თვითონ ფარაონი, როგორც ადამიანი, მღვდელთმსახურება ასრულებდა თავისი თავის, როგორც ღმერთის წინაშე. სიკვდილს შემდეგ ფარაონი პირდაპირ ღმერთად იქცეოდა, და მას ოზირისის სახელით განსაკუთრებულ თავიანთს სცემდნენ. მისი ძალაუფლება განუსაზღვრელი იყო და მისი ნება—შეურყეველი



კანონი. მთელი მიწის მესაკუთრედ ის ითვლებოდა და მიწას სამ-  
ღვდელოებასა და სამხედრო პირებსაც ის ურიგებდა.

მეფე სახელმწიფოს მოხელეების დახმარებით რომელთაც აუცილებლად წერა-კითხვა ზედმიწევნით ნოდათ. ყველა მათ საერთო სახელად «მწერლები» ეწოდებოდა. ყოველგვარი სახელმწიფოებრივი სამსახური მათ ებარა. ასე რომ თუ ვისმე წერა-კითხვა არ ეცოდინებოდა, ის ეგვიპტის მოხელეთა წრეში ვერასდროს ვერ შევიდოდა.

ფარაონის ხელში მართო ცენტრალური მმართველობა იყო. ეგვიპტე კი დანაწილებული იყო მაზრებად ანუ, როგორც ბერძნები ამბობდნენ, ნომებად. და თითოეულ ნომს სათავეში ნომარქი ედგა. ამ ნომარქს ემორჩილებოდა მთელი რიგი სხვადასხვა გვარი დაბალი მოხელეებისა; თვითონ ნომარქი კი პასუხისმგებელი იყო ფარაონის წინაშე. ნომებს შორის ხშირად ქიშპობა ხდებოდა, და ერთ დროს, საშუალო სამეფოს ხანის დასაწყისში, ამ ქიშპობამ მთელი ეგვიპტის სახელმწიფო კინალამ დაღუპვის კარამდი მიიყვანა. ფარაონი ნომარქებს სიფრთხილით ეპყრობოდა და მუდამ მათ დამშვიდებასა და საბოლოო დამორჩილებას ცდილობდა.

**საშუალო ისტორია**

2100 წელს ქრისტეს დაბადებამდე ნომარქების შუღლისა და მტრობისგან დასუსტებულ ეგვიპტელებს უეცრად აზიიდან გადმოსული ველური ხალხი დაესხა თავს და დიდი სისხლის ღვრის შემდეგ მთელი ეგვიპტე დაიპყრო. ამ ხალხს ეგვიპტელები **ჰიქსოსებს** უწოდებდნენ.

კულტურულად ეს ხალხი ეგვიპტელებზე გაცილებით დაბლა იდგა და ამიტომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მათს კულტურულ ზეგავლენას ემორჩილებოდა. ეს გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჰიქსოსებმა თავისი უმთავრესი ღვთაება ეგვიპტელების ღმერთებს შორის მოათავეს და ამგვარად თვისი სარწმუნოება ეგვიპტელებისას შეუფარდეს.

ჰიქსოსებს თანდათან მათი თანამემამულენი ემატებოდნენ; ესენი წინააზიიდან ეგვიპტეში შემოდიოდნენ და ამ სახით აქაურ ჰიქსოსებს ამაგრებდნენ. მაგრამ ეგვიპტელების ეროვნული გრძნობარაც დრო გადიოდა. მით უფრო ძლიერდებოდა, და ოთხი საუკუნის შემდეგ ჰიქსოსების ბატონობა უმთავრესად ქვედა ეგვიპტით ისაზ-



ღვრებოდა; ზედა ეგვიპტე კი შედარებით თავისუფალი იყო და ქვეყნის განთავისუფლების საქმეც სწორედ აქედან დაიწყო. უბეს მმართველი ამოზისი 1684 წ. ჰიქსოსებს თავს დაესხა და ქვეყნსიდან განდევნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ამოზისის მეცადინეობით ჰიქსოსები იძულებულნი შეიქმნენ, მთლად დაეტოვებიათ ეგვიპტე და უკანვე დაბრუნებულიყვნენ. ასე განთავისუფლდა ეს ქვეყანა ოთხი საუკუნის მონობის შემდეგ.

10

ახალი ისტორია

1684 წლიდან იწყება ახალი ხანა ეგვიპტის ისტორიაში, ხანა ე.წ. ახალი სამეფოსი. ამოზისი მე-18-ე დინასტიას ეკუთვნოდა და, მაშასადამე, ახალი სამეფოს დამაარსებელად ეს XVIII დინასტია უნდა ჩაითვალოს. თუ წინად ეგვიპტელები უმთავრესად შინაური კულტურული ცხოვრების ფერხულში იყვნენ ჩამბული, ახლა მათი მისწრაფება გარეშე ქვეყნებისაკენ მიიმართა.

ჰიქსოსების შემოსევამ მათ ნათლად დაანახვა, თუ რამდენად იყო საჭირო სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება და უზრუნველყოფა. ამიტომ იგინი ცდილობდნენ, თავისი ქვეყნის ბუნებრივი საზღვრები ხელთ ეგდოთ, და ამ მიზეზით პირველი მახვილი სამხრეთით მიმართეს და თავის მეზობლებს, კუშიტებს საკმაოდ დიდი მიწა ჩამოათაღეს. ამგვარად სამხრეთი საზღვარი გასწორებული იყო. ახლა საჭირო იყო აღმოსავლეთის შესახებ ეზრუნათ, მით უმეტეს, რომ თავდასხმა სწორედ აქედან იყო მოსალოდნელი, და აქი ჰიქსოსებიც აქედან შემოესიენ ეგვიპტეს! ამიტომ ეგვიპტელმა ფარაონებმა მთელ თავისი გულისყური სირიისაკენ მიმართეს. აქ მათ განსაკუთრებული შეჯიბრება მოუხდათ ხეთებთან, რომლებთანაც ბოლოს იძულებული შეიქმნენ ხელშეკრულება დაედვათ. ამ ხელშეკრულების აქტი დღემდისაც დაცულია და განსაკუთრებით იმ მხრით არის საინტერესო, რომ იგი პირველი უძველესი ნიმუშია ძველი დროის საერთაშორისო ხელშეკრულებისა. ამ აქტის ძალით ფარაონი რამზეოს II ხეთების მეფეს ჩრდილო სირიას უთმობს და ჰპირდება დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა, ხეთებს ვინმე თავს დაესხმოდა; სამაგიეროდ მათგანაც ასეთსავე დახმარებას მოითხოვს. ამავე დროს ეკუთვნის ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: ერთი მუდმივი ფლოტის დაარსება და მეორე ძველი სარწმუნოების შეცვლის ცდა ამენოფის IV-ეს მხრივ.



აქენოფისი ერთღმერთობის მიმდევარი იყო. ასეთ ღმერთად მას მზე მიაჩნდა. მაგრამ ძველი სარწმუნოები წარმომადგენლები და განსაკუთრებით სამრევლოება აუჯანყდა მას, და მათ შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა. ბოლოს გამარჯვება და სწორედ ამის შემდეგ გაძლიერდა მისი გავლენა მთელ სახელმწიფოში; ქვეყნის ბატონ-პატრონი ამიერიდან სამრევლო პირები შეიქმნენ. ეს ხანა სამრევლოების ბატონობისა მთელი XIX-ე დინასტიის მეფობის დროს გაგრძელდა.

ხალხს სამრევლოების ბატონობა საშინელ ტვირთად დააწვა, იგი დაღარიბდა და დასუსტდა. ამით სარგებლობდნენ მეზობლები და ეგვიპტელებს თავს ესხმოდნენ: ჯერ ასურელები იპყრობენ მათ და შემდეგ და საბოლოოდ 525 წ. ქ. წ. სპარსელები. დღეს ეგვიპტე ინგლისელების ხელშია.

## II. ასურეთი და ბაბილონი.

### 1.

#### გეოგრაფიული მდებარეობა.

დიდი უდაბნო, რომელიც დასავლეთი აფრიკიდან შუა აზიამდე არის გადაჭიმული, მარტო ორგან წყდება და ადგილს უთმობს ორს მშვენიერ ოაზისს. ერთი ოაზისი ნილოსის კალაპოტს—ეგვიპტეს უპყრია და მეორე—იმ შედარებით ვიწრო ალაგს, რომელიც ტიგროსისა და ეფრატის კალაპოტებს შუა არის მოწყვედებული. ორთავე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა ისტორიული ცხოვრების წარსულში, რადგანაც კულტურული ცხოვრების აკვანი პირველად აქ ჩაიდგა. მათი დამოკიდებულება ერთიმეორეზე იმ თავითვე იმდენად მჭიდრო იყო, რომ საკმარისი იყო, ერთი მათგანი კულტურულად ამალღებულიყო და გაძლიერებულიყო, რომ მეორისაკენ ხელი გაეშვირა და შემოეერთებია. როგორც კი გაძლიერდებოდა ეგვიპტე, იმ წამსვე ტიგროს-ეფრატის შემოერთებაზე იწყებდა ზრუნვას, და როგორც ეს უკანასკნელი გამაგრდებოდა, მაშინვე ეგვიპტის მიდამოების ხელში ჩაგდების შესახებ ფიქრობდა. ეგვიპტეს ისტორიას საკმაოდ გავეცანით; ახლა საჭიროა ტიგროს-ეფრატის ოაზისის ცხოვრებასაც გავეცნოთ.

ეს ორი მდინარე სომხეთის მთებიდან გამოდის. მათი მიმდინარეობა იმ თავითვე სხვა-და-სხვა მხრით მიიმართება: ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით; ხოლო როგორც კი აღწევს



დაბლობს, იმ წამსვე ერთი-ერთმანეთისაკენ შვრება პირს და ამ სახით მალე ერთი მეორეს უახლოვდება; აქედან ორივე ამ მილის მანძილზე პარალელურად იწყებს დენას, ბოლოს ერთ კალკატეში ერთდება და სპარსეთის ზღვის უბეს შეერთვის, დიდი ხნის მიწაში, რომელიც ამ ორ ძინარეს შუა არის მომწყვდეული, ძველ საბურძნეთში მესამოტამიის სახელით იყო ცნობილი. ხოლო დაბადებაში მას სენაარს უწოდებდენ.

მესამოტამია, მაშასადამე, ორ ნაწილად განიყოფება. პირველი ნაწილი ჩრდილოეთით არის და მთელი ის ადგილები უპყრია, რომელიც ტიგროსსა და ევფრატს შუა არის მომწყვდეული, ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც ეს ორი მდინარე ერთმანეთს უახლოვდება, ხოლო მეორე, უფრო ვიწრო ნაწილი, სამხრეთით მიიმართება და პარალელურად მიმდინარე ტიგროსისა და ევფრატის კალაპოტებით არის გარს შემორტყმული.

ჩრდილო ნაწილი, ანუ ძველი ასურეთი, დიდად არ განსხვავდება ახლო მდებარე უდაბნოებისაგან. მისი ნიადაგი მხოლოდ იქ არის ნოყიერი, სადაც წყაროები და პატარა მდინარეებია. დანარჩენი ადგილი კი მწირია და უნაყოფო. ზამთარში საშინელი სიცივეები იცის, ხოლო ზაფხულობით—მწველი სიცხეები.

სამხრეთი ვიწრო ნაწილი, ანუ ბაბილონი, პირიქით, ნაძველი ბაბია. მისი ნიადაგი მდინარეების დანალექი მიწისაგან შესდგება, და საკმარისია ნიადაგის ცოტაოდენი მორწყვა, რომ მოსავალი ერთი ორასად მოვიდეს. ტიგროს-ევფრატმა ნილოსივით პერიოდული წყალდიდობა იცის და, თუკა ნოყიერი ლამი არ მოაქვს თან, მაგრამ ნიადაგს მაინც კარგათ რწყავს და მოსავალს ხელს უწყობს.

ამგვარად ცხადად სჩანს, რომ მესამოტამიაც ისეთივე «ძღვენი» ყოფილა ტიგროსისა და ევფრატისა. როგორც ეგვიპტეა ნილოსისა. მაგრამ განსხვავებაც დიდი არის ამ ორ ქვეყანას შორის.

ეგვიპტე თითქმის ყოველი მხრით დაფარული არის, და ამიტომ გარეშე მტერი ძნელად თუ შემოესეოდა მას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ეგვიპტელები უმთავრესად მშვიდობიანს, კულტურულ მუშაობას მისდევდენ. სამაგიეროდ მესამოტამია მტრებისათვის ყოველი მხრით კარლია იყო: აღმოსავლეთით მას დიდი სახელმწიფო, ელამი ერტყა, ჩრდილოეთით სომხეთი და დასავლეთით და სამხრეთით—სემიური ხალხები. ამიტომ მას მუდამ ომი და დავიდარობა ჰქონდა მეზობელ ერებთან; ამ პირობებში შვიდობიანი კულტურული მოღვაწეობის აქ წარმოება ძნელი უნდა ყოფილიყო, და ჩვენც დავი-

ნახავთ, რომ ასურეთისა და ბაბილონის მკვიდრნი გამუდმებულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი სხვა-და-სხვა ხალხთან.



2.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა .

ერქონული  
ზიზლიქთქქ

უხსოვარი დროიდანვე მესოპოტამიაში სუმერიელები ცხოვრობდნენ. ეს ხალხი, როგორც ნაშთებიდანაც სჩანს, საკმაოდ იყო განვითარებული. მისი ქალაქები დიდი ავურის შენობებით უნდა ყოფილიყო მოფარული ახლა მათ ალგას პატარ-პატარა ბორცვებია, რომელიც ამ ქალაქების ნანგრევებზეა აღმართული. დიდი ხანი არ არის, რაც ამ ბორცვების გათხრას მიჰყვეს ხელი, და აღმოჩნდა, რომ მათ წილში მრავალი თიხის ქოთნებისა და ლითონის ნივთების, ქანდაკებისა და მწერლობის ნაშთები ყოფილა დაცული. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ძველ სუმერიელებს არხების გაყვანის შესახებაც უზრუნავთ. ლითონის გადადნობა და არხების გაყვანა კი თავისთავად ამ ხალხის დიდ კულტუროსნობას აჩვენებს.

მაგრამ სუმერიელთა დამოუკიდებელი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელდებულა. მათ არაბეთის ხემიტები დაესხნენ თავს და დაიპყრეს. მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელნი კულტურულად სუმერიელებზე უფრო დაბლა იდგნენ, აჩიტომ იგინი მათ გავლენას დაემორჩილნენ, მათი ზნეჩვეულება და კულტურა შეითვისეს და შემდეგში იგი უფრო განავითარეს, ხოლო სუმერიელების სახელმწიფოს ნანგრევებზე ორი ძლიერა სახელმწიფო შექმნეს: ასურეთი ჩრდილოეთით და ბაბილონი სამხრეთით

ორივე ამ სახელმწიფოს კულტურა, ამნაირად, ძველი სუმერიელების კულტურის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს \*).

3

ასურეთის და ბაბილონის მოკლე ისტორია

პირველად სემიტები ქვედა მესოპოტამიაში დამკვიდრდნენ, და მათი სახელმწიფოებრივი ცხოვრებაც აქ ჩაისახა. როდის მოხდა ეს, ჯერ კიდევ არავენ იცის, და არც პირველი მეფეების სახელები არის ცნობილი.

\*) ვინ იყვნენ სუმერიელები, ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ გამოკვლეული. ზოგი მტკიცების აზრით, სუმერიელი ვნის თვისებები და ხალხია ყოფი-ცხოვრება და გა-ღწობა საქაო საბუთა გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ იგინი ქართველობის მონათესავე ხალხი უნდა ყოფილიყვნენ.

დროს შესძლო. ეს მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა, ამ მეფემ მარტო მესოპოტამია კი არა, მთელი წინა აზიის ხალხები დაიპყრო; მისმა მემკვიდრეებმა კი ამას მცირე-აზიის აღმოსავლეთი ნაწილი (კაპადოკია და კილიკია) მიუმატეს. იმ დროს მან დაიწყო-ბული ომი და რბევა მეზობელი ხალხებისა ცოტა მანამდე, სანამ ტილა, ასე რომ ასურეთის მთელი ისტორია მარტო ამ ომების მატიანეს წარმოადგენს.

მერვესა და მეშვიდე საუკუნოებში, როდესაც სარგონი, სანქერიბი და სარგადონი მეფობდენ, ასურეთის ძლიერებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ახლა მარტო აზიაში კი არ ბატონობდენ ასურელები, მათ მოხარკედ ოდესღაც ამაყი ეგვიპტეც კი ითვლებოდა. მაგრამ ეს იყო და ეს. მეშვიდე საუკუნესთან ერთად ასურეთის სახელმწიფოს ბრწყინვალე ხანაც დასრულდა. ბაბილონელებმა და მიდიელებმა ველარ აიტანეს ამაყი ასურეთის უსაზღვრო ბატონობა, შეერთდნენ და 606 წ. აჯანყება მოახდინეს. ასურეთის ძლიერებამ ველარ გაუძლო შეერთებული ერების იერიშს, და ასურეთი დაეცა. პირველობა ხელახლა ბაბილონელების ხელში გადავიდა.



სამხედრო ტყვეების წამება ასურეთში.

რატომ დაეცა ასურეთი, ამის ახსნა ძნელი არ არის: გაღლებული ასურეთი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დამორჩილებული ხალხების სულიერ განწყობილებას, და მის ბატონობას თანდათან უფრო მეტი და მეტი სისასტიკის ელფერი ედებოდა. ეს გარემოება უკმაყოფილებასა და მტრობას ბადებდა დამორჩილებულთა გულში, და ამ უკმაყოფილებას აღრე თუ გვიან საერთო მტრის წინააღმდეგ ყველა უნდა შეეერთებინა. თვით ასურეთის შინაური ცხოვრება ერთ წერტილზე გაიყინა; ხალხი დამორჩილებული ქვეყნების ნადავლითა და ხარკით ცხოვრობდა და განცხრომას ეძლეოდა; პა-

ტიოსანი შრომა და გარჯა თანდათან ისპობოდა. ეს კი ასურეთის ძლიერებას უთუოდ გულს უღრღნიდა. ფუფუნება და განცხრომა ასურეთში მრავალი გარყვნილების წყაროდ გარდაიქცა, ასე რომ, დესაც ბაბილონელები და მიდიელები ნინევიას დაეცნენ და დაანაპალი ფუფუნებასა და გარყვნილებაში ატარებდა ღროს.

ასურეთი დაეცა და მისი ადგილი ხელახლა ბაბილონმა დაიკავა. მაგრამ არც ბაბილონის ბატონობა ვაგრძელებულა დიდხანს. სულ 70 წლის შემდეგ დღიდან ასურეთის დაცემისა, 508 წ. ქრ. წ. ბაბილონს სპარსელები დაეცნენ და სამუდამოდ მოსპეს. ამ 70 წლის განმავლობაში თავისი ძველი ბრწყინვალეების განახლება ბაბილონმა ცოტა ხნით მაინც შესძლო. ეს მოხდა განსაკუთრებით ნაბუქოდანოსორის დროს, რომელმაც ეგვიპტელების ფარაონი ნეხაო სასტიკად დაამარცხა და შემდეგ სირია დაიპყრო; მისი განსაკუთრებული რისხვის მსხვერპლი ებრაელები შეიქმნენ; მან დასწვა ცნობილი ტაძარი სოლომონისა, თვითონ ხალხი კი სამშობლო ქვეყნიდან გარეკა და ბაბილონს წაასხა.

4.

**ხასიათი, ზნეჩვეულება და მეურნეობა.**

ასურელებმა და ბაბილონელებმა ორი სახელმწიფო შექმნეს. ივინი ურთიერთ შორის ხშირად მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ტომით, ხასიათით, ზნეჩვეულებით და კულტურით თითქმის სრულიად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ივინი მეომარ ხალხს წარმოადგენდნენ. დაბალი ტანის, ჩასკენილი და ღონიერი ასურელები უშიშარი და უღმობელი მეომრები იყვნენ. სისხლის ღვრა და რბევა-გლეჯა, ვერაგობა და გაუტანლობა მათი დამახასიათებელი თვისება იყო; თავის თავს რჩეულ ხალხად თვლიდნენ და დაეინებით მთელი ქვეყნის ბატონობას ესწრაფოდნენ. ამასთანავე ასურელებიცა და ბაბილონელებიც ღვთის მორწმუნენი იყვნენ, და სარწმუნოებას მათს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არც ქუთუგონით იდგნენ ივინი სხვებზე დაბლა და, რა დარგიც არ უნდა აიღოთ კულტურული ცხოვრებისა, ყველგან თვისი ძალა სცადეს და იმდენად საგრძნობი კვალი დასტოვეს, რომ მთელი შემდეგდროინდელი კულტურა მათის ძლიერი გავლენის დაღს ატარებს.

უმთავრესი საქმე ამ ხალხისა მეურნეობა იყო. ეს ადვილი გასაგები არის; თუ გავიხსენებთ იმ ნოყიერებას, რომელიც მათ ქვეყანას ახასიათებდა, მივხედვით, რომ მეურნეობას ივინი გვერდს

ვერ აუხვევდენ. მიწის დამუშავება პირველად ბაბილონში ჩაისახა და შემდეგ აქედან მთელს მესოპოტამიაში გავრცელდა. მიწის დამუშავების ხელოვნება ასურელებმა უმაღლეს წერტილამდე განვითარეს.

მეურნეობის გარდა, ბაბილონსა და ასურეთში ჩრდილოეთით საკმაოდ იყო განვითარებული. ყველგან სახელგანთქმული აყო ამ ქვეყნის ფერადფერადი ქსოვილები, და განსაკუთრებით ფერების



ასურელის ტანსაცმელი.

ამორჩევასა და შეზავებაში მათ ბადალი არა ჰყავდათ. ასურელებსა და ბაბილონელებს ლითონის ვადადნობაც სკონდნიათ: რკინისა და ფოლადის საომარი იარაღი ძალიან ხშირი იყო ამ ქვეყანაში, თუმცა საფიქრებელია, რომ ლითონის ნივთები აქ უფრო სხვა ვეყნებიდან შემოჰქონდათ (მაგ., ჩვენი ქვეყნიდან, სადაც ლითონის ვადადნობა ყველაზე ადრე ჩაისახა), ვიდრე თვითონ ამზადებდენ. განსაკუთრებული ხელოვნება მათ აგრეთვე თიხეულობის კეთებაში გამოიჩინეს: აქაური ფერად-ფერადი, ემალით მოფარული აგურები დღესაც მრავლად არის დაცული სხვადასხვა მუზეუმებში. ამ აგურებს ბაბილონელები და ასურელები თავისი შერობების ფასადის დასაშვენებლად ხმარობდენ.

ბაბილონი მთელი წინა აზიის ცენტრს შეადგენდა და ამიტომ იგი მალე უმთავრეს სავაჭრო ქალაქად გადაიქცა. იგი ფინიკიელებთანა და განსაკუთრებით ეგვიპტელებთან ვაჭრობდა; ნინეფიაში,



ნაუმ წინასწარმეტყველის სიტყვით, „ვაჭრები უფრო მეტი იყვნენ/  
ვიდრე ცაზე ვარსკვლავება“.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

5.

### სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება.

მეომართა სახელმწიფოში მეფეს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ძალაუფლება უნდა ჰქონოდა, და ეს ასეც იყო. მის წინაშე ყველა უსიტყვო მონად გრძნობდა თავს, თუმცა მეფის თაყვანაცემას იქ იმ უკიდურესობამდი არასდროს არ მიულწევია, როგორც ეგვიპტეში. მეფეს არც თვითონ შიანდა თავისი თავი ღვთაებად და არც სხვები თვლიდენ მას ღმერთად. როდესაც ის ლოცულობდა, მაშინ ყველა სამეფო ღირსების ნიშანს მოიცილებდა და ღვთის წინაშე უბრალო ადამიანის სახით წარსდგებოდა. ამგვარად, ასურეთსა და ბაბილონში ღვთის წინაშე ყველა ერთი იყო, როგორც მეფე, აგრეთვე მისი უკანასკნელი მონაც.

მეფის მთავარი მოვალეობა სარდლობა იყო. კარგი მეფე უთუოდ კარგი სარდალიც უნდა ყოფილაყო. ამიტომ მეფეები თითქმის მარტო ამ მხრით აფასებდენ თავის ღირსებას. მათ ყოველთვის მტერზე გამარჯვებით მოჰქონდათ თავი და ამაყად ამცნობდენ შთამომავლობას: „ერთი თვის განმავლობაში მე აღვგავი დედამიწის ზურგიდან ელამის სამეფო“;.. „მე მოვევლინე მათ განმანადგურებელ ქარაშხლად“ და სხვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ბაბილონსა და ასურეთში სამღვდელთა ჯგუფს ჰქონდა. მის ხელთ იყო სხვადასხვა საიდუმლო ცოდნა და საერთოდ მთელი განათლება, მაგრამ მისი ძლიერება არასდროს არ ყოფილა ისე საგრძნობი, როგორც ეგვიპტელების სამღვდელთა ჯგუფისა.

ყველაზე უფრო დიდ თანამდებობის პირად სპასალარი ირიცხებოდა, მას მოსდევდა მელვინეთუხუცესი, სასახლის ზედამხედველი და სატახტო ქალაქის უფროსი.

სხვა ქალაქები და ოლქები სამხედრო პირებს ჰქონდათ ჩაბარებული, რომელთა მოვალეობასაც მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვა შეადგენდა. ვინც საკმაო მორჩილებას არ გამოიჩენდა, მას საშინლად სჯიდენ და აწამებდენ. დაპყრობილ ქვეყნებს მეფის მოადგილენი განაგებდენ. თავისი ბატონობის განმტკიცებას აქაც შიშის საშუალებით ცდილობდენ.



როგორც მთელი კულტურა, აგრეთვე სარწმუნოება (ძველი სუმერელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პირველად ძველ ბაბილონში შემუშავდა და მხოლოდ შემდეგ ~~საქართველოში~~ მხრელ მესოპოტამიაში.

ს ი ზ ლ ი ი რ თ ე ქ ა

6.

ს ა რ წ მ უ ნ ე ბ ა .

მთელი ბუნება, ბაბილონელთა შეხედულებით, ათასგვარი ბოროტი სულით, ანუ **დემონებით** არის სავსე, რომელნიც ადამიანის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ და მუდამ უბედურებასა და უსიამოვნებას უგზავნიან.

ასეთ მდგომარეობაში ძნელი უნდა ყოფილიყო ადამიანის ცხოვრება; იგი ვერ შესძლებდა ბოროტ სულებთან ბრძოლას, და მთელი მისი ცხოვრება ნამდვილი ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ადამიანს ხიკეთის არსებობაც სწამს; უამისოდ მისთვის ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც მესოპოტამიაში, ამ ბოროტ სულებს გარდა, კეთილი ღმერთების არსებობაც სწამდათ. ეს ღმერთები ადამიანს ბოროტ დემონებთან ბრძოლაში დახმარებას უწყევდენ, საჭირო იყო ოღონდ თვისი უმწიკვლო ცხოვრებით მათი ყურადღება დაემსახურებია. როდესაც ვისმე რაიმე უბედურება ეწვეოდა, ამას იმით ხსნიდენ, თითქოს მას კეთილი ღმერთები არ სწყალობდენ, მაშასადამე, საჭირო იყო ამ ღმერთების თავის მხარეზე გადმობირება ან და ბოროტი სულების ზეგავლენისაგან თავისი თავის უზრუნველყოფა. პირველი მიზნისათვის საკმარისი იყო ლოცვა-ვედრება, ხოლო მეორისათვის ისეთი მოჯადოვებული საგნების (თილისმების) ტარება, რომელნიც ბოროტი სულის ზეგავლენის მავნებლობას ძალას ართმევდენ.

ამ ნიადაგზე, განსაკუთრებით ძველ ბაბილონში ანუ ქალდეაში, **მაგია და ჯადოხნობა** განვითარდა.

მესოპოტამია დაბლობი და ვაკე ადგილია, და ცის კამარა მუდამ ფართოდ დაჰყურებს ქვეყანას. უქვევლია, მცხოვრებლებს თვალში ეცემოდა ის ურიცხვი მნათობები, რომლებიც მათ მუდამ თავს დაქათქათებდა, და ამათ შორის მათ ყურადღებას განსაკუთრებით მზე, მთვარე და უმთავრესი პლანეტები მიიპყრობდენ. და აი სწორედ ეს ცის მნათობები იყვნენ, რომ ბაბილონელნი თვის მთავარ ღმერთებად თვლიდენ.

ასეთი იყო ხალხის სარწმუნოება, რომელიც შემდეგში იქაურმა სამღვდლოებამ შესაჩინევად გაართულა და გაამშვენებია. ამ გამ-



შვენიერებული სარწმუნოების მიხედვით ყველა დასახლებულ ღმერთებზე მალა სამი ღვთაება დგას, ანუ, ენლილი და ეა. დანარჩენი ღმერთები კი ამათზე ნაკლები მნიშვნელობისაა. ადამიანთან უფრო ახლო დგანან. ესენი არიან სინი — მთავარი ღმერთი — და მისი შვილი შამაში — ღვთაება სინათლისა და მზისა, რომელსაც ყველაფერში ნათელი შეაქვს. ღმერთქალად იშტარი ირიცხებოდა, რომელიც ნაყოფიერებისა და სიყვარულის ღვთაებად და ვარსკვლავთა წინამძღოლად იყო მიჩნეული.

მავრამ მას შემდეგ, რაც ბაბილონი ამაღლდა, ყველა სხვა ღმერთის ალაგი მხოლოდ ბაბილონის ღმერთმა მარდუქმა დაიჭირა. მარტო იშტარი შეადგენდა გამონაკლისის, და მარდუქთან ერთად მასაც თავყვანს სცემდნენ.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ, ბაბილონელთა აზრით, ღმერთებიცის მნათობების სახით უნდა ევლინებოდნენ ქვეყანას. ამიტომ, რასაკვირელია, საკმარისი უნდა ყოფილიყო — დაკვირვებოდი ვარსკვლავების მოძრაობას, რათა ღმერთების განზრახვა ცხადი ყოფილიყო. ცის მნათობთა მოძრაობის შესწავლა და ადამიანის ბედისა და უბედობის ამ მოძრაობასთან დაკავშირება, ცხადია, ბაბილონში ძალიან გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ასეთ შესწავლას ვარსკვლავთა მოძრაობისა და იმის მიხედვით წინასწარმეტყველობას შემდეგში ასტროლოგიას უწოდებდნენ.

7.

**ხელოვნების ნაშთები.**

ბაბილონელების შეხედულება საიქიოზე ჯერჯერობით არ არის საკმაოდ გამორკვეული, თუმცა ერთი რამ კი ცხადია: ეს ის გარემოებაა, რომ მათი შეხედულება საიქიოზე უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეგვიპტელებისა. ასურელები დამარხავდნენ მკვდარს, და საქმეც ამით ვათავდებოდა; გაიხრწნებოდა, თუ დაიკარგებოდა ცხედარი, ეს ასურელებსა და ბაბილონელებს სრულიად არ აინტერესებდა.

ცხადია ამიტომ, იქ ადგილი არ ექნებოდა ისეთს დიდ საფლავებს, როგორც ეგვიპტის პირამიდებია.

საპაგიეოდ, ასურელებისა და ბაბილონელების ხუროთმოძღვრების ნაშთებს შორის უდიდესი ალაგი მათი მეფეების სასახლეებს უჭირავთ. წინად მხოლოდ ბერძნების მწერლების ნაწერებიდან იცოდნენ, რომ მესოპოტამიაში ოდესღაც უზარ-მაზარ სა-



სახლეებს აშენებდენ, მაგრამ ნაშთები ასეთი სასახლეებისა არსად არ სჩანდა. ასეთი ნაშთები ერთ-ერთს იქაურ სოფელში, ხოლმე სახადში, მხოლოდ 1844 წ. ამოთხარეს. აღმოჩნდა, რომ ისინი ჩვენს წინამძღოლს საკმაოდ არის მესოპოტამიის მიდამოებში მდებარე ქალაქებისა და შენობების ნანგრევები ყოფილა. ასეთი ბორცვების ზედაწივით შესწავლამ უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო, და დღესდღეობით თითქმის დანამდვილებით არის ცნობილი, თუ რა ხასიათის შენობებს აგებდენ ასურელ-ბაბილონელები, ან როგორი იყო, საზოგადოდ, მათი განათლება და ყოფაცხოვრება.

ასურელებს ჩვეულებად ჰქონდათ, სანამ შენობის აგებას მიჰყობდენ ხელს, ხელოვნური ბორცვი გაეკეთებიათ და მხოლოდ შემდეგ დაეწყათ მასზე შენობის აგება. მასალა არც ქვის იყო და არც ხისა, და ეს იპიტომ, რომ ხუროთმოძღვრება პირველად ბაბილონში ჩაისახა და იქ განვითარდა; აქ კი არც საკმაო ხე მოიპოვებოდა და არც ქვა. თიხა კი მთელ მიდამოებს ფარავდა, ასე რომ ბაბილონელები იძულებული იყვნენ თავისი შენობების მასალად მხოლოდ თიხის აგურები ეხმარათ.


ასურეთში, სამაგიეროდ, ქვა ბლომად იყო, მაგრამ, რადგანაც შენობების აგება აქ ბაბილონელებისაგან ისწავლეს, ამიტომ, მათი მიზაძვით, აქაც აგურის შენობების აგებას მიჰყვეს ხელი. ქვას მხოლოდ კედლების დასაშენებლად და იატაკის დასაგებად მიმართავდენ ხოლმე. აგურებს თითქმის ნედლს ხმარობდენ; და შენობა რომ არ დაქცეულიყო, ძალიან ფართო კედლებს აკეთებდენ. თვითონ ოთახები კი პატარები და დაბლები იყო. საზეიმო და სადარბაზო ოთახები უფრო დიდები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, რადგანაც ეს სახიფათო იყო, ამიტომ მათ მხოლოდ სივრძეს უმატებდენ; სიგანე კი ჩვეულებრივი რჩებოდა (არა უმეტეს 10 ფუტისა), ასე რომ ასეთ დარბაზებს ნამდვილი დერეფნის სახე ჰქონდათ.

ოთახის კედლები შიგნით გალამაზებული იყო—ძირს ამოქანდაკებული ქვებით და ზევით—ვერადი აგურებით; ზოგ შემთხვევაში კი მთელი კედელი მოფარული იყო დიდი ნახატებით და ზოგან ძვირფასი ხის ფიკრებითა და ბარელიეფებით. შესანიშნავი ბარელიეფი ჰქონდა ასურბანიპალის სასახლეს ე. წ. „ლომის ოთახში“, სადაც გამოყვანილია დაკოდილი მომაკვდავი ლომები.

სახურავეები ყველგან სწორი იყო და გარშემო, როგორც ჩვენი ძველი ციხეები, შემოკბილული. სინათლე სახლებში ქერიდან ჩადიოდა. ფანჯრები მაშინ არ იცოდენ. ერთ-ერთს ასეთ სასახლეში

წყალსადენის მილიც აღმოაჩინეს, რაც უსათუოდ ასურელების დღ/  
კულტუროსნობას ამტკიცებს.

ერეკლეტი  
მეცნიერება



ასურელების იერიში.

სასახლის შესავალში მოთავსებული იყო „ფრთოსანი ხარების  
(ე. ი. კეთილი სულებისა ქანდაკებანი, რომლებიც სიმაღლით 2 სა-  
ჯენს აღემატებოდნ და რომელთაც ოთხი ფეხის მაგიერ ხუთი ჰქონ-  
დათ.

მესოპოტამიაში ტაძრებსაც ავებდენ. მათს დამზახობთე-  
 ბელ ნაწილად განსაკუთრებით შვიდსართულიანი კოშკი ითვლება.  
 სართული, რაც უფრო ზევით იდგა, მით უმჯობეს მტნებდა ჩყო,  
 ასე რომ მთელი კოშკი საფეხურებიან პირამიდამს მტნებდა მსახურ-



ასურბანიპალის ნადირობა ლომებზე.




ფროთოსანი ხარი.

ლები სხვადასხვა ფერად იყო შეღებილი, და თითოეული ამა თუ  
 იმ კის მნათობს ეკუთვნოდა. მზისა და მთვარის სართულები ოქროსა  
 და ვერცხლის ფერისა იყვნენ: მთელ შენობას ოქროს გუმბათი

აგვირგვინებდა, ასე რომ იგი მზიან დღეში მშვენიერი სანახავე უნდა ყოფილიყო.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა




ბაბილონის ტაძარი.

8.

მ წ ე რ ლ ა ბ ა .

წინევის ნანგრევთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ასურბანიპალის სასახლეს აქვს. ინგლისელმა მეცნიერმა **ლეიარდმა**, რომელმაც პირველად ჩაუყარა მკვიდრი საფუძვლები ძველი მესოპოტამიის ისტორიის შესწავლას, ასურბანიპალის სასახლეში რამდენიმე ათასი აგური აღმოაჩინა, რომლებიც ორივე მხრით წარწერებით იყვნენ მოფარული. ასეთი წარწერები წინადაც იყო ცნობილი, მაგრამ ახლად აღმოჩენილმა „ასურბანიპალის ბიბლიოთეკამ“ (სულ 22000 აგურია და ქალაღზე რომ გადავწეროთ—500 სამასგვერდიანი წიგნი გამოვა) ნათელი სურათი გადაშალა იმ წერის წესისა, რომელსაც ძველ მესოპოტამიაში ხმარობდნენ. მეცნიერებმა უკვე გამოარკვეეს, თუ როგორ უნდა იკითხებოდეს ასურული წარწერები, და ამიტომ ამ უკანასკნელთა დახასიათება ახლა უკვე ადვილი საქმეა.


რაც შეეხება ამ წერის წესის სიძველეს, უკვე დამტკიცებულია, რომ იგი ძველი სუმერელების დროს უნდა იყოს ჩასახული



ასურეთის მეფის სასახლე.

და კიდევ საკმაოდ განვითარებული. ხოლო ასურელებმა იგი გაა-  
მარტივეს და გააუმჯობესეს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა




ასურელი სასახლის დარბაზი.

სუმერელების წარწერებში თითქმის სულ საგნების ნახატებია  
გვხვდება, ასე რომ მათ მწერლობას გარკვეული იეროგლიფური ხა-  
სიათი აქვს. მაგრამ იეროგლიფები მალე დაუიწყეს და ბოლოს  
იმ წერის წესზე გადავიდნენ, რომელიც „ასურბანიპალის ბიბლიო-  
თეკის“ აგურებზეა ნახმარი.

გარეგანი მოხაზულობა წარწერებისა უკვე აღარ წააგავს სა-  
გნების ნახატს; პირიქით, ახლა ყველას ერთნაირი, ლურსმნისებუ-

რი სახე აქვს, და თითოეული ნიშანი მთელ ცნებას კი იერო-ვახო-  
ხატავს, როგორც ეს იეროვლიფებში იყო, არამედ უმეტეს შემთხ-

ეროვნული  
ნიშნით



კუიუნჯუკის წარწერა.


ვევაში—ცალკე მარცვალს და ზოგან ცალკე ხმასაც, ასე რომ მთე-  
ლი სიტყვის გამოსახატავად ერთი ნიშნის მაგიერ რამდენიმეა ნახ-  
არი.

თუ ეგვიპტელები თავისი ნაწერებით ჰაპირუსს ფარავდენ და კა-  
ლმის მაგიერ თავწამორილ ჯოხებს ხმარობდენ, ასურელები, პირი-  
ქით, რბილ სამკუთხედ ჯოხებს აკერდენ თიხის ავურზე და, ამგვა-



რად, ნაწერს ძალაუნებურად ლურსმის სახეს აძლევდნენ. ცხადია, ლურსმისებური სახე შათი წერისა აქედან უნდა წარმოშობილიყო.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ლურსმული წარწერა.

აღვილი გასაგებია, რომ ასეთი ერთსახეობა საწერი ნიშნებისა ძლიერ გაართულებდა როგორც წერას, აგრეთვე კითხვასაც, და ამიტომ ასურელებს თავიდანვე დიდი ყურადღება უნდა მიექციათ წერაკითხვის წესის შესწავლისათვის. ამ ნიადაგზე აუცილებლად უნდა შემუშავებულიყო ასურული ენის სრული გრამატიკა, და „ასურბანიპალის ბიბლიოთეკის“ ავტორები, მართლაც, უმეტეს შემთხვევაში ასურული გრამატიკის შესახებ ცნობებს შეიცავეს და ბრწყინვალედ ამტკიცებს, თუ რა დონემდო იყო განვითარებული ქო მეცნიერების ეს მნიშვნელოვანი დარგი.

იმავე ბიბლიოთეკაში დაცული ავტორები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ასურეთში ისტორიაც საკმაოდ უნდა ყოფილიყო განვითარებული; მაგალითად, ერთ ავტორზე აღნუსხულია პარალელურად ცნობები ნანევისა და ბაბილონის ისტორიული ცხოვრების შესახებ.

არის ცნობები აგრეთვე საბუნებისმეტყველო, იურიდიულის, მათემატიკურისა და ასტრონომიული ხასიათის. ამნაირად ცხადად ჩანს, რომ შემეცენების თითქმის ყოველი დარგი აინტერესებდა ასურელებს. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მათ ვარსკვლავთმრიცხველობას მიაპყრეს და აქ ბევრი ისეთი კვლევითება აღმოაჩინეს, რომელსაც მეცნიერები დღესაც იზიარებენ. ზნის საათი მათი გამოგონებაა და დღე და ღამე 24 საათად პირველად მათ გაკვეს, ხოლო საათი 60 წამად და წამი—60 წუთად. ჩვენ რომ დღეს კვირაში შვიდ დღეს ვანგარიშობთ, ან წირეს 360 გრადუსად



ვეოფთ, ვრადუსს 60 წამად და წამს 60 წუთად ეს გველოტერი  
ბაბილონელეებისაგან გვაქვს ნაანდერძევი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



სალპანასარ II ობელისკი.

თვით თქმულებანი ქვეყნის გაჩენისა და წარღვნის შესახებ რომელიც ბაბილონში იყო გავრცელებული, იმდენად წააგავს დაბადების მოთხრობას ამ ამბების შესახებ, რომ, ერთადერთად ამას კითხულობ, განცვიფრებაში მოდიხარ და გეფიქრებ იქნებ დი და გაუზომელი გავლენა, რომელიც ამ ხალხს მთელი ქვეყნის აზროვნებასა და გრძნობაზე მოუხდენია.

\* ბაბილონელებისა და ასურელების კულტურის ასეთი სიმდიდრე იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანზე, რომ, ზოგი მეცნიერის, აზრით, მთელი განათლებული ქვეყნიერების კულტურა ბაბილონელთა კულტურის ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული და დაფუძნებული. ეს აზრი მეცნიერებაში „პანბაბილონიზმის“ სახელით არის ცნობილი და საკმაოდ გავრცელებულია.

### III ხ ე თ ე ბ ი.

#### 1.

#### გეოგრაფიული მდებარეობა და მოკლე ისტორია.

მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მრავალი სხვადასხვა გვარი ტომი იყო გაბნეული. მათი ვინაობა ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოჩვენებული.

ამათ შორის ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ხეთებს ჰქონდათ. მათი სახელი პირველად ბაბილონელების ერთერთ წარწერაშია მოხსენებული, სადაც ნათქვამია, რომ ბაბილონს მეთვრამეტე საუკუნეში თავს „ხათუ“ დაესხაო. ეს ის ხანა იყო, როდესაც აღმოსავლეთში ხალხების დიდი მოძრაობა დაიწყო, და ამ მოძრაობის ტალღებმა ბევრი ძველი სახელმწიფო წააშალა. მაგალ. ჰიქსოსების შესევა ეგვიპტეში სწორედ ამ ხანას ეკუთვნის, და, ზოგი მეცნიერის აზრით, ჰიქსოსები სწორედ ხეთების შთამომავლობის უნდა ყოფილიყვნენ.

ასეა თუ ისე, ხეთებმა მეთვრამეტესა და მეცხრამეტე საუკუნეში უკვე დიდი ყურადღება მიიპყრეს: ჰიქსოსების სახელით იგინი ეგვიპტეს შეესივნ და დაიპყრეს, ხოლო „ხათუს“ სახელით 1760 წ. ქ. წ. მძლავრი ბაბილონი დასცეს.

ამ დროიდან მათი ხსენება უკვე ხშირი შეიქნა ისტორიაში, და მეთხუთხმეტე საუკუნეში, ზედა ტიგროსის ქალიდან დაწყებული აღმოსავლეთის მიმართულებით, საკუთარი მძლავრი სახელმწიფო დააარსეს, რომლის დედა ქალაქადაც „ხათი“ ანუ ახლანდელი ბლ-

დაკციო ითვლებოდა. ამ დროიდან დაწყებული თავის სახელმწიფოს საზღვრებს იგინი დღითიდღე ავრცელებდენ მცირე აზიასა და ჩრდილო სირიაში და, რადგანაც იმ დროს ამ მიწებზე მუსლიმანობას ეგვიპტელები ეძებდენ, მალე ამ ძლავურ სახელმწიფოს დაეჯახენ.

ეგვიპტელ ფარაონთა მეცხრამეტე დინასტია იძულებული შეიქნა — ხეთების სახელმწიფოს გაძლიერებისათვის დიდი ყურადღება მიეპყრო, და ხეთი I და რამზეს II გამუდმებით ებრძოდენ ამ ახალ სახელმწიფოს.

განსაკუთრებით საყურადღე ოა რამზეს II ბრძოლა ხეთებთან, რომელიც ქალაქ ქადეშთან მოხდა. თუმცა რამზესის ბანაკი ხეთებს ხელში ჩაუვარდათ, და ეგვიპტელთა მხედრობა უკუქცეულ იქნა, ფარაონმა გამარჯვებულად მანც თავისი თავი გამოაცხადა. 1270 წელა მან ზავი ჩამოაგდო ხეთების მეფე ხატუშილთან და, როგორც ზავის პირობებიდან სჩანს, მას შეტევითი და მოგერებითი კავშირით შეეკრა (იხ. ეგვიპტე). მეთორმეტე საუკუნეში ხეთების ბედი უკულმა დატრიალდა. ამ დროს ხალხთა ახალი მოძრაობა დაიწყო, რომელიც დასავლეთით მომდინარეობდა, და ამ მოძრაობამ ხეთების ძლიერება გადალგვა. მაშინ ხეთებმა სამხრეთისაკენ დაიწიეს და აქ, მცირე სამეფოებად დანაწილებულებმა, კიდევ კარგა ხანს გასძლეს.

2.

ხეთების კულტურა

ხეთების კულტურის ნაშთები მრავლად მოიპოვება მცირე-აზიასა და ჩრდილო სირიაში. ამ ნაშთებს, რომლებიც XV-VIII საუკუნოების ხანას ეკუთვნის, თავისებური იეროგლიფური წარწერები ამკობს; მაგრამ ამ წარწერების წაკითხვა ჯერ კიდევ ვერავინ მოახერხა, და ამ მიზეზით დღემდის არავინ იცის, თუ რა ტომის ხალხი იყო ხეთები. ზოგი მეცნიერის ფიქრით, ხეთები ქართველების მონათესავე ხალხი უნდა ყოფილიყო; ასე რომ, თუ ეს აზრი მართალი აღმოჩნდა, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ ქართველები ერთ დროს უდიდესსა და ფრიალ კულტუროსან ხალხს წარმოადგენდენ, რომელიც თითქმის მთელს მცირე აზიასა და სირიის ჩრდილო ნაწილებს ფლობდა და იმ დროინდელ კაცობრიობაზე მძლავრს კულტურულ ზეგავლენას ახდენდა.

ხეთების სახელმწიფოებრივი მართავამეგობის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ მეფეს „მზეს“ უწოდებ-



დენ და მზის განხორციელებად თელიდენ. დამახასიათებელი იყო ხეთებისათვის ის გარემოებაც, რომ **დედოფლები** მეფეების თანამმართველებად ითვლებოდენ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მათი სამხრევ მონაწილეობას იღებდენ. ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ფლისა შეიძლება იმის საბუთად ჩაითვალოს რომ ხეთებს მატრიარქალური ესწყობილების ნაშთები კიდევ საკმაოდ ჰქონდათ დაცული.

ხეთების სარწმუნოების შესახებ ცნობილია, რომ ივინი თაყვანს სცემდენ ქუხილისა და ოპის ღმერთს—**თიშუბს**, რომელსაც მუდამ ხატავდენ ორმაგი ნაჯახით ხელში, და **ტარკას**. ხეთები არა ნაკლები თაყვანისცემით ეპყრობოდენ აგრეთვე მცირე-აზიელი ხალხების საერთო ღვთაებას, **დედამიწის ღმერთს**. ამათ გარდა, თითოეულ ქალაქსა და სოფელს თავისი საკუთარი ღმერთები ჰყავდა, ასე რომ რამზეს მეორე თავის ხელშეკრულებაში ხეთების ორიანთას ღმერთს იმოწმებს. ხეთებს თავისი ღმერთები ან ცხოველებზე მჯდომარე ჰყავდა წარმოდგენილი, და ან მალალ მთებზე. ეს იმას ამტკიცებს, რომ ხეთებს შორის ოდესღაც ძლიერ გავრცელებული უნდა ყოფილიყო ძველი რწმენა მთებისა და ცხოველების ღვთაებრიობისა.

სოფელ ბოლაცკიოისთან ხეთების ტაძრებისა და სასახლეების ნანგრევები აღმოაჩინეს, რომლის კედლებზეო ფრთოსანი ცხოველები, სფინქსები და ლომებია გამოყვანილი; აქვეა ორთავიანი არწივის გამოხატულობაც, რომელიც შემდეგში ბიზანტიელებმა გადაიღეს და თავის სახელმწიფოს ნიშნად გამოიყენეს. ასეთივე ორთავიანი არწივი რუსეთის სახელმწიფოს ღერად ითვლებოდა. სფინქსები და ლომები სხვა ხალხების ნაშთთა შორისაც მოიპოვება (მაგალ., ეგვიპტეში), მაგრამ ხეთების თავისებურობა ამ შემთხვევაში იმაში გამოიხატება, რომ მათი სფინქსები ცალკე ფიგურებს კი არ წარმოადგენენ, არამედ კლდეებსა და დიდ ქვებზე არიან ამოჭრილი.

## IV უ ნ ი კ ი ბ

### 1.

#### მდებარეობა და მოსახლეობა

სხვა სახელმწიფოთა შორის ძველად თინიკიასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ქვეყანა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა. როგორც კი გადახვიდოდი ამ ნაპირზე, შენს წინაშე იმ წამსვე დიდი მთა აღიმართებოდა. სულ ოთხი ვერსი უნდა გა-

გვარა, რომ ამ მთის კალთებს შიდგომოდი; ზოგ ადგილს კი ეს კალთები ზღვის კიდურსაც კი აღწევდა.

ამნაირად, ფინიკიას ერთი მხრით ზღვეს, მეორე მხრით—მაღალი მთა, რომელსაც ლივანის ქედს უწოდებენ, კერძო სამხრეთით იყო ეს ვიწრო ზღვის ნაპირი გაშლილი და არც ჩრდალოვით, რადგანაც იქაც და აქაც მთის კალთები პირდაპირ ზღვამდ მიდიოდა. ამგვარად, ფინიკია ყოველი მხრით ბუნებრივი ფარგლებით იყო შემოზღუდული.

უცხოვარი დროიდანვე აქ სემიტების მოდგმის ხალხი ცხოვრობდა, რომელიც თავის თავს ქანაანელებს უწოდებდა, ხოლო ბერძნებმა მათ ფინიკიელები უწოდეს.


2.

ზ ღ ვ ა ო ს ნ ო ბ ა

ამ ვიწრო ზღვის ნაპირზე ცხოვრება შანამ იყო შეძლებული სანამ მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ, როგორც კი გამრავლდნენ, ფინიკიელებმა დაინახა, რომ სამშობლო ქვეყნის ნიადაგი მათ არ ყოფნიდა, და უთუოდ არსებობის სხვა სახსარი უნდა მოეძებნათ.—ახალი მიწის დაკავება შეუძლებელი იყო, რადგანაც ფინიკიელს მთა არც ერთი მხრით არ უშვებდა. ერთადერთი იმედი ზღვა იყო, მით უმეტეს რომ ნაპირებიდანვე მრავალი პატარა კუნძული მოსჩანდა; საკმარისი იყო მცირე ხანს ცურვა, რომ ამ კუნძულებზე გადასულიყვნენ და ახალი ნიადაგი დაეკავებიათ; მაგრამ ცურვისთვის ნავი იყო საჭირო და ნავისთვის კიდავ—შე აფერი მასალა. ამ მხრივ ფინიკიელებს მთა დაეხმარა, რომლის კალთებიც შესანიშნავი კედრებით იყო შემოსილი. ნავისთვის უკეთესი მასალა ძნელი ხაშოვნი იყო, და ფინიკელებმაც სწორედ ამ კედრებს მიმართეს და თავისი ნავებისთვის მასალად გამოიყენეს ამ ნავებით იგინი ადვილად გადადოდნენ ახლო მახლო მდებარე კუნძულებზე და იქ სახლებოდნენ.

მცირე ხნის განმავლობაში ყველა ახლობლი კუნძული დაიპირეს, და ახლა საჭირო შეიქნა თავისუფალი ადგილების საძიებლად უფრო შორს წასულიყვნენ. მაგრამ შორეული მოგზაურობა ისეთი ნავებით, როგორიც მათ ჰქონდათ, სახიფათო იყო, რადგანაც გზაში ხშირად შესვენება და ძალის მოკრება იყო საჭირო. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ შესასვენებელი ადგილები ან ნავთსადგურები საკმაროდ შეხვდებოდათ. ფინიკიელებს ბუნება აქაც

შველოდა. გარდა იმისა, რომ კუიძულები არ იყო მინსკისა და მინსკის  
 ერთმანეთს დაშორებული, თით მის ყველგან შვენიერი სასვენი ადგი-  
 ლები მოიპოვებოდა.



ამგვარად, ფინიკიელები ზღვაში ცურვას თანდათანობით  
 ოდენ და მოგზაურობას სულ უფრო შორსა და შორს ბედავდენ,  
 ასე რომ მალე მთელი ხმელთაშუა ზღვა გადასცურეს.

რა თქმა უნდა, ზღვაში ისინი მრავლად ხვდებოდენ ახალ  
 კუნძულებსა და ახალ ხალხებს, რომლებიც ამ აქ ცხოვრობდენ.  
 პირველ ხანებში ფინიკიელები მათ თავს ესხმოდენ, გლეჯდენ, არბე-  
 ვდენ, ატყვევებდენ და ტყვეებს უცხო ქვეყნებში მონებად ჰყიდდენ.  
 ამნაირად, პირველ ხანებში ფინიკიელები ზღვით ავაზაკობისა და  
 მეკობრობისათვის სარგებლობდენ; სადაც კი გაჩნდებოდენ, შიშსა  
 და ძრწოლას ავლცლებდენ: ყველა იმათ გაურბოდა და ყველა უნ-  
 დობლობით ეპყრობოდა. ამ გარემოებამ ფინიკიელები მალე დაარწმუ-  
 ნა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა. საქმე ის არის, რომ წართ-  
 მეული და წანაგლეჯი სიმიდირე მათთვის მხოლოდ მაშინ იყო სასარ-  
 გებლო, როდესაც იგინი მის ვაცვლას სხვა საჭირო ნივთებზე მოა-  
 ხერხებდენ. მაგრამ ჭკვიანის ვაეცვალათ, როდესაც მათ არავინ  
 ახლოს არ იკარებდა. ამიტომ ფინიკიელები თანდათანობით ძარცვა-  
 გლეჯას თავს ანებებდენ და მშვიდობიან მეზღვაურობასა და ვაქრო-  
 ბას ჰკიდებდენ ხელს.

გასასყიდ ნივთებს ახლა დარბევითა და ძარცვაგლეჯით კი  
 აღარ შოულობდენ. პირიქით, სხვდასხვა ქვეყნებში რომ რასმე  
 სასარგებლოსა და გამოსაყენებელს ნახავდენ, წაიღებდენ და იქ  
 გაყიდდენ, სადაც იგი ვანსაკუთრებით ესაჭიროებოდათ. სამაგიეროდ  
 კი აქ ისეთ ნივთებს ტოვებდენ, რაც ამათთვის იყო საჭირო. ერთი  
 სიტყვით, ფინიკიელები ახლა ერთბაშად მშვიდობიან ვაცვლაგამო-  
 ცვლის გზას დაადგენ. ეს ადვილი ვასაგებიც არის, მიტომ რომ  
 მათოდენს არავინ მოგზაურობდა და მათოდენი სხვადასხვა ქვეყანა  
 არავის ენახა. ამ მოგზაურობის დროს იგინი, უეჭველია, ადვილად  
 შეამჩნევდენ, რომ ზოგ ალაგას მაგალითად, ოქრო და ვერცხლი საკ-  
 მაოდ იშოვებოდა და ზოგ ალაგას მისი ნასახიც არა სჩანდა; ზოგან  
 მრავალი თევზეულობა იყო, მაგრამ, სამაგიეროდ პური სრულიად  
 არ მოიპოვებოდა, და ზოგან კიდევ პური ქარბად მოდიოდა, ხოლო  
 თევზი სრულიად არ იშოვებოდა. და რაკი ამას შეამჩნევდენ, ფი-  
 ნიკიელები მიუცილებლად თავის თავზე მიიღებდენ ამ საგნების ერთი  
 ადგილიდან მეორეზე გადატანას და, ამნაირად, სხვადასხვა ხალხს  
 შორის უჟამდგომლობას ვასწევდენ.





ახალშენები.

მაგრამ ფინიკელები მარტო მით როდი კმაყოფილებოდნენ, რომ სხვისი ნაწარმოები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაქანდაც და გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ. არა, როდესაც იგინი რომელსამე მდიდარ ქვეყანას წააწყდებოდნენ, თვითონ დასახლებდებოდნენ აქ და მუშაობას იწყებდნენ; შემდეგ თავის ნაწარმოებს იქ გაიტანდნენ, სადაც უფრო მეტი მოთხოვნილება იყო.

ასეთ ქვეყნებში დამკვიდრება მათთვის ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა; იგინი აქ მალე მდიდრებოდნენ, ხოლო სამშობლოში რომ დარჩენილიყვნენ, მაშინ მიწის სივიწროვისა და სიღარიბის გამო დიდ გაჭირვებაში იქმნებოდნენ.

მაგრამ ფინიკელები მარტო წარმოების მიზნით კი არ სახლდებოდნენ ახალ ქვეყნებში. როდესაც იგინი თავისი სხვად სხვა საქონლით დატვირთული ნავეებით რომელსამე ხალხის ქვეყანას მადგებოდნენ, იქ თავის საქონელს გადმოიღებდნენ, ააშენებდნენ საწყობს და აქ მანამდი რჩებოდნენ, სანამ ყველა თავის საქონელს არ გაყიდდნენ. ცხადია, ასეთ ადგილებზე დარჩენა მათ ხანგრძლივად უხდებოდათ, და ხშირად მა იგინი ადგილს მუდმივი ვაჭრობის ბინად აქცევდნენ ხოლმე. ზოგი სამუდამოდ აქ სახლდებოდა და სახვადასხვა ადგილიდან საჭირო საქონელს იბარებდა. ამგვარად ჩნდებოდა ახალი ბინადრობა ფინიკელებისა, რომელიც ვაჭრული მიზნით იყო დაარსებული. ცხადია, აქაური მკვიდრნი თავის ახალ სტუმრებთან კავშირს მალე გააბამდნენ: მათ თავისი ქვეყნის ნაწარმოებნი მოჰქონდათ და ფინიკელებს ნაირ-ნაირ სამკაულებზე და სხვადასხვა მათთვის საინტერესო ნივთებზე უცვლიდნენ. ეს კავშირი თანდათან უფრო და უფრო მტკიცდებოდა, და ფინიკელების ასეთი სავაჭრო საწყობ ნამდვილ ქალაქად იქცეოდა, სადაც იგინი სამუდამოდ ესახლებოდნენ და მკვიდრ მოსახლეობასთან მუდმივ სავაჭრო კავშირს სკვნადნენ. ასე გაჩნდა ფინიკელთა სავაჭრო ახალშენი. ასეთი ახალშენებით მთლად მოფენილი იყო ხმელთაშუა ზღვის უოიციხვი კუნძულები და ჩრდილო და დასავლეთი აფრიკის ნაპირები, სადაც ფინიკელებმა 300-მდე ახალშენი დააარსეს. ამათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი კართაგენი იყო. იგი ახლანდელი ტუნისის მიდამოებაში იყო გაშენებული და მშენებერი მღებარეობის გამო მალე იმდენად გაძლიერდა, რომ დიდ სახელმწიფოდ გადაიქცა და ერთ დროს მთელს ხმელთაშუა ზღვას ბატონობდა. ასეთსავე ახალშენებს ფინიკელები იმ დროანდელ ძლიერსა და



განათლებულ სახელმწიფოთა ნიადაგზეც აარსებდნენ. მაგალითად, მეფისში (ეგვიპტეში) მათ მთელი უბანი ეკირათ და აქედან ეგვიპტელებთან მუდმივი ვაჭრული კავშირი ჰქონდათ გაბმული.

სიზღაპროსი

4.

**ფინიკელთა ვაჭრობა და მრეწველობა.**

რაკი ფინიკელებმა თავისი ქვეყნის საზღვრები გადალახეს და ზღვაზე გადავიდნენ, პირველიდანვე განსაკუთრებული იმედებით ახლო ძღებარე კუნძულებს მიაშურეს. პირველად კიპროსს ესტუმრნენ სადაც მათ სპილენძი აღმოაჩინეს. შემდეგ როდოსსა და კრეტაზე გადავიდნენ და ბოლოს არქიპელაგის ურიცხვ კუნძულზე გაიფანტნენ, სადაც მარმარილოს, ოქროსა და საღებავ პურპურს მრავლად შოულობდნენ.

ფინიკელებმა ახალი კუნძულებიც მრავლად აღმოაჩინეს, მაგალ. სიცილია და სარდინია ორივე მათი აღმოაჩენილია. ბოლოს ივინი გიბრალტარის სრუტესაც გასცილდნენ და აქედან სამხრეთით და ჩრდილოეთითაც მოგზაურობდნენ სამხრეთით მთელ აფრიკას შემოუარეს, ხოლო ჩრდილოეთით დიდი ბრიტანიის კუნძულებამდე მიაღწიეს, სადაც მათ თითბურის მადანი აღმოაჩინეს.

ეს მუდმივი მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში ფინიკიელებსათვის ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა: ახალშენებიდან მათ დიდძალი პური, ღვინო, ზე-ტყე და მრავალნაირი მადნეულობა გამოჰქონდათ. განათლებული ხალხებიდან კი ბევრ სხვადასხვა ხელობას ითვისებდნენ: მაგალითად, ეგვიპტელებისაგან რთვა, ქსოვა, ღებვა და ქურჭლეულობისა და მინის კეთება ისწავლეს. მაგრამ, რაკი სხვაგან შეთვისებულ ხელობას თავის სამშობლოში გადმოიტანდნენ, მალე მის გადასხვაფერებასა და გაუმჯობესობაზე იწყებდნენ ზრუნვას, მაგალ., ეგვიპტელებისაგან მათ მინის ვაკეთება ისწავლეს, მაგრამ გამკვირვალე მინა, რომელიც დღეს დიდ ხმარებაშია, ეგვიპტელებისათვის უცნობი იყო, და მისი დამზადება პირველად ფინიკიელებმა შემოიღეს. თავის მასწავლებლებს მათ ქსოვილების ღებვაშიც აჯობეს; პურპურის ფერი ქსოვილები წინად დიდ ხმარებაში იყო, და ამ ფერის შემზადება პირველად ფინიკიელებმა დაიწყეს.

5

**ფინიკიელთა შინაური ცხოვრება და მარცვაგამგეობა.**

ასურეთი და ბაბილონი მდიდარი სახელმწიფოები იყვნენ; მათი სიმდიდრე სხვადასხვა ერის დარბევია და დაპყრობის წყარო-

დან გამომდინარეობდა. და სავსებით მხედრობის ძლიერებაზე იყო დაუძნებელი. ამიტომ ამ სახელმწიფოების მთელი შინაგანი ცხოვრებაც ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ მხედრებს სახელმწიფოში თავისი მნიშვნელობის შესაფერი ადგილი ექცეოდა. ეს ასეც იყო, და ასურეთსა და საბილონში უმთავრესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მეფეს ჰქონდა, რომელიც ყოველის უწინარეს სამხედრო პირად, **სარდლად** ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ უიმისოდ იქ არაფერი არ გაკეთდებოდა, და ყველას მისი შიში და მორჩილება ჰქონდა.

სულ სხვა იყო ფინიკია. აქაური სიმდიდრისა და ძლიერების ერთადერთი წყარო ვაჭრობა იყო, და შინაური ცხოვრების წესწყობილებაც ამის მიხედვით უნდა მოგვარებულიყო. ვაჭრობა კი თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ჰგულისხმობს: ვაჭარს ნება უნდა ჰქონდეს, გარემოების მიხედვით დამოუკიდებლად იმოქმედოს, რადგანაც ზოგან ძვირად ყიდვა სჯობს სულ უყიდველობას და იაფად გაყიდვა—სულ გაუყიდველობას. თავისუფლება აუცილებელი არის ვაჭრობის წარმატებისათვის, და ფინიკიელთა სახელმწიფოებრივი წესწყობილებაც ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც თავისუფლების მოყვარული ვაჭრის მოთხოვნილებებს შეეფერებოდა.

მთელი ფინიკია **ქალაქებით** იყო მოფენილი, ასე რომ სოფელი თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენდა იქაური ცხოვრების მიმდინარეობაზე. ქალაქი ფლობდა და ბატონობდა მთელ ხალხს. მაგრამ თვითონ ქალაქებაც არ იყვნენ ერთიერთმანეთზე დამოკიდებულნი; თითოეული ქალაქი თითქმის ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა, იგი თავისი საკუთარი საქმეების გამგეობაში სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი იყო. წესწყობილება თითოეულ ქალაქში ასეთი იყო: ქალაქს სათავეში ერთერთი მდიდარი ვაჭარი ედგა; მას მეფედ თვლიდნენ. ამასთანავე არსებობდა მთავარი **საბჭო**, რომელსაც აგრეთვე ვაჭრები შეადგენდნენ და რომელიც მთელ ცხოვრებას მიმართულებას აძლევდა. მეფე და საბჭო, ამგვარად, მთელ ქალაქს ბატონობდა. რასაკვირველია, ქალაქებში უბრალო, ლარიბი ხალხიც ცხოვრობდა, მაგრამ ამათ სახელმწიფოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე არავითარი გავლენა არ ჰქონიათ და სახელმწიფოებრივ უფლებებს სავსებით მოკლებულნი იყვნენ.

რადგანაც ფინიკიის ხელში ჩაგდებას თითქმის ყველა იმდროინდელი სახელმწიფო ესწრაფოდა, ფინიკიელებს გაოცებულ მტერთაგან თავდაცვის შესახებაც უნდა ეზრუნათ. დაქსასულსა და დანაწილებულ ფინიკიას რა ძალა ექნებოდა—ისეთს ძლიერ-მტერს გამ-

კლავებოდა, როგორაც ასურეთი და ბაბილონი იყო. ექვი არ არის საერთო სასურთზე ფინიკიელთა ქალაქებს საგონებელში ჩაგდებდა და საერთო ზომებს შეამუშავებდას მოსთხოვდა.

ცნობილია, რომ თავდაცვის მიზნით ფინიკიელთა ქალაქები ერთის რომელისაზე მდიდარი ქალაქის გარშემო იგვირგვინით იქნებოდა ძლიერ კავშირს აარსებდენ. ასეთი კავშირი საკმაო ძალას ჰკრებდა და გარეშე მტერს საშიშ ძალად ევლინებოდა. პირველად ფინიკიელები მდიდარი ქალაქის, სიდონის გარშემო შემოკრბენ და ძლიერი კავშირი დააარსეს. სიდონის კავშირის წინააღმდეგ პირველად ეგვიპტელებმა გააორილაშქრეს და თუმცა დიდი ხნის განმავლობაში მას ვერაფერი დააკლეს, მაგრამ ბოლოს მაინც აიღეს და ამგვარად მთელი ფინიკია ხელთ იდგეს. ამის შემდეგ მთელი 400 წლის განმავლობაში ფინიკია ეგვიპტელების ხელქვეით დარჩა.

შემდეგში სიდონის ადგილი ტირმა დაიკავა, და ხელახლა ძლიერი კავშირი დაარსდა. მეფე ნაბუქოდანოსორი მთელი თავისი უძლეველი მხედრობით ტირს დაეცა, ალყა შემოარტყა, მაგრამ ქალაქის აღება მაინც ვერ ზოახერხა.

ასე ძლიერი იყო ფინიკია ყოველთვის, როდესაც ამა თუ იმ ქალაქის მფარველობის ქვეშ შეკავშირდებოდა. მაგრამ ასეთ კავშირს ერთი ცუდი მხარე მაინც ჰქონდა: კავშირის მოთავე ქალაქები, სიდონი და ტირი თავისი უპირატესობით ბოროტად სარგებლობდენ და დანარჩენი ქალაქების ვაჭრობას ძლიერ ავიწროებდენ. პატარა ქალაქებს მათი ბატონობა სულს უხუთავდა, და ამის გამო საკვირველი არაა, თუ ტირისა და სიდონის დაცემას იგინი სიხარულით შეეგებენ.

## 6.

### ფინიკიელთა ხარწმუნობა და კულტურა

ეგვიპტელების კეთილდღეობის წყარო ნილოსი იყო. მთელი მათი ბედი და უბედობა სავსებით ამ მდინარეზე იყო დამოკიდებული, და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მათს უმთავრეს ღმერთად ერთ ღროს ნილოსი ითვლებოდა.

ფინიკიელებსაც ჰქონდათ არსებობის უმთავრესა წყარო. იგინი ნათლად გრძნობდენ, რომ მთელი მათი ცხოვრება, მთელი მათი ბედი და უბედობა ამ მთავარ წყაროზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც, მათის წარმოდგენით, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ღვთაება. ამ მიზეზით მთე-



ლი ფინიკია თაყვანს სცემდა და აღიღობდა ზღვაოსნობის ღმერთს, თვით უდიდეს ზღვაოსანს, **მელკარტს**.

ფინიკიაში ფრიად გავრცელებული იყო მკვლევრობა, რომელიც მელკარტის მეზღვაურობას ეხება და მკვლევრობის სახე-ტეს გაჩენის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: როდესაც მელკარტი თავისი ქვეყნის გარშემო მოგზაურობის დროს, ქვეყნის კიდეს მი-აღვა, მან ოკეანეში ვზის გასახსნელად გააპო ეს კიდე და ამგვარად სრუტე შექმნა, რომლის ორთავე ნაპირზე სვეტები აღმართაო. ამ თქმულებას სხვათა შორის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ნათლად ამ-ტკიცებს, რომ ფინიკიელები ვიბრალტარის სრუტეს იცნობდნენ და თავისი ზღვაოსნობის დროს მის იქეთაც მოგზაურობდნენ.

ზღვაოსნობის ღმერთი ფინიკიის ყველა ქალაქს ჰყავდა, მაგ-რამ ყველას თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა. ხოლო, როდესაც ფინიკია ქალაქ ტირის გარშემო შეკავშირდა, აქაური ზღვაოსნობის ღმერთის სახელი, მელკარტი მთელ ფინიკიაში გავრცელდა და ყოვე-ლი ცალკე ქალაქის ზღვაოსნობის ღმერთმა ძველი სახელის ნაც-ვლად ახალი სახელი—მელკარტი მიიღო. ამნაირად მოხდა, რომ მელკარტი საერთო თაყვანისცემის საგნად გადაიქცა.

საბერძნეთის ისტორიკოსის, ჰეროდოტეს მოწმობით, მელკარ-ტას ტაძარი ტირში იყო აგებული; ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ პირველ ხანებში მელკარტი მართლა ტირის ზღვაოსნობის ღმერთის სახელი იყო.

მაგრამ ამასთანავე თითოეულ ქალაქსაც ჰყავდა თავისი ღმერ-თები. ეს იყო ვაალი—ღვთაება ცისა და მზისა, წვიმისა და ქარი-შხლისა. დედამიწა და მისი ნოყიერება მზესა და წვიმაზე არის დამოკიდებული. ამიტომ ვაალს დედამიწის აყვავებაც შეეძლო და დალუპვაც. ასეთ პირობებში, ცხადია, ფინიკიელები ყოველ ღონეს იღონებდნენ, ოღონდ ვაალი როგორმე მოემადლიერებიათ; იგინი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდნენ მის წინაშე და, განსა-კუთრებით ფინიკიელთა ერთ-ერთ ახალშენში—**კართაგენში** მას ადამიანის მსხვერპლსაც სწირავდნენ. აქაურ ვაალს **მოლოხს** უწოდებდნენ.

ვაალს გარდა, ყოველ ქალაქს თავისი ღმერთქალი—**ვაალატიც** ჰყავდა. როგორც ტირის ღმერთი მელკარტი საერთო სათაყვანო ღვთაებად გადაიქცა, (წორედ ასე ერთერთი ქალაქის ვაალატიც **იშტარის** სახელით მთელ ფინიკიაში გავრცელდა და საერთო თაყვანის-ცემის საგნად გახდა. იშტარი ცის დედოფლად და სიყვარულისა და გაზაფხულის ღმერთად ითვლებოდა.



ფინიკიაში იშვიათად შეხვდებოდით ტაძრებს; ხალხი საშველდლოება აქ მრავალრიცხოვანი იყო, როგორც ამას დაბადებაც მოწმობს. საერთოდ, ფინიკელებს თავისებური არათურა წესები მნიათ. იგინი ადვილად ითვისებდენ სხვის კულტურას; რასმე ჰქმნიდენ, ყველაფერს უთუოდ სხვისი წაბაძულობის ხასიათი ჰქონდა. გამონაკლისს მარტო მწერლობა შეადგენდა. ამ მხრით ფინიკელების დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ იეროგლიფებსა და მარცვლკვან წერაზე ხელი აიღეს და ანბანი გამოიგონეს. მათს ანბანში სულ 22 ასო იყო, რომელთა შორისაც ზოგი იმდენად წაავავს ბერძნულ ასოებს, რომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული ანბანი ფინიკელების ზეგავლენით უნდა იყოს შემუშავებული.

7.

**ფინიკელთა ისტორიული მნიშვნელობა**

დღეს ადამიანის კულტურული ცხოვრება იმდენად განვითარებულია, რომ საკმარისია ესა თუ ის გაუმჯობესებული წესი ცხოვრებისა ერთ ადგილას მიიწე შემოიღონ, რომ იგი, ტელეგრაფის თუ რკინის გზის საშვალეებით ერთბაშად მთელ ქვეყნიერობას მოედოს. წინად კი თითოეული ხალხი თავისთვის ცხოვრობდა; იგი მარტო საკუთარ ძალებს ეყრდნობოდა, და მის კულტურულ განვითარებაზე სხვა ხალხების კულტურა ნაკლებ გავლენას ახდენდა. ამ პირობებში ხშირი უნდა ყოფილიყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ხალხი თავისი საკუთარი ძალით და დამოუკიდებლად მიაგნებდა ისეთს გაუმჯობესებულ კულტურულ საშვალეებს, რომელიც რამდენისამე წლის წინად უკვე სხვას ჰქონდა შემოღებული.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ფინიკიის მნიშვნელობა გაუზომელი უნდა ყოფილიყო. იგი ერთი ქვეყნიდან მეორეს აწვდიდა ყველაფერს, რაც კი ღირსი იყო ყურადღებისა, და ამნაირად საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობას გზას უკაფავდა. ეს კულტურული თანამშრომლობა კი საუკეთესო საშვალეება კაცობრიობის ყოველმხრივი განვითარების დასაჩქარებლად.

**V. ა რ ი ე ლ ე ბ ი**

1.

**მათი ვინაობა და ბინადრობა**

ძველი აღმოსავლეთის ხალხები—ეგვიპტელები, ბაბილონელები, ასურელები, ხეთები და ფინიკელები—ყველა მოიქანცა და



კულტურული ცხოვრების შემოქმედებაში უნარს გვლარობენ; მათ ხელიდან გაუსხლათ ძლიერება და მასთან ერთად ძველი აღმოსავლეთის ხალხთა შორის კულტურული გავლენის მქონე მძლავრელობაც. პირველობა ახალი ხალხის, არიელების ვიდა. ვინ იყვნენ ეს არიელები?

ვინც თანამედროვე ევროპის ხალხების ენებს ჩაუკვირდება, ის მალე აღმოაჩენს, რომ ამ ენებს შორის დიდი ნათესაობა უნდა არსებობდეს: როგორც სიტყვების წარმოების, ბრუნვისა და მიმოხვრის წესი, ისე თვით სიტყვების ძირებიც ხშირად ამ ენებში იმდენად დაახლოვებულია ერთმანეთთან, რომ მეცნიერების აზრით, ყველა ეს სხვადასხვა ენა ერთსა და იმავე ენისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ამ შეხედულების მიხედვით, ფიქრობენ, რომ წინად ერთი ენა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ერთი ხალხი ლაპარაკობდა. ეს ხალხი შემდეგში უნდა გამრავლებულიყო და თანდათანობით დედამიწის სხვადასხვა ადგილები დაეკირა. მეცნიერები ამ ხალხს უძველეს არიელებს უწოდებენ. მათი აზრით, ამ ხალხს საცხოვრებელი ბინა ან შუა-აზიაში და ან სამხრეთ რუსეთში უნდა ჰქონოდა. აქედან იგი თანდათანობით უნდა ამოძრავებულყო და სხვადასხვა ქვეყანა დაეკირა. ერთი ნაწილი აზიაში უნდა დასახლებულიყო და აქ სამი უმთავრესი ხალხი შეედგინა: მიდიელ-სპარსელები—ირანის ვაკეგორაზე, სომხები—მცირე-აზიაში, და ინდოელები—ინდოეთის ნახევარ კუნძულზე. მეორე ნაწილი ევროპაში უნდა გამგზავრებულყო და ბერძნები, კელტები, გერმანელები, სლავები და ლიტოველები წარმოეშვა.

ცხადია, არიელები, ახალი ცხოვრების პირობების ზეგავლენის გამო, თავის ძველებურ ენას თანდათან შეცვლიდნენ და ამ სახით ევროპისა და აზიის არიელების ენების სხვადასხვაობას დასაბამს მისცემდნენ. თუ კი ერთსა და იმავე ცნობის გამო-სახატავად სხვადასხვა არიელების ენებში სხვადასხვა სიტყვას ხმარობენ, შექველია, ეს სიტყვები მას შემდეგ უნდა იყოს გაჩენილი, რაც არიელები ერთმანეთს დაშორდნენ; მაგრამ თუ ზოგი ცნების გამოსახატავად სხვადასხვა არიელების ენაში დღესაც ერთნაირი სიტყვები იხმარება, ეს სატყვები, რა თქმა უნდა, იმ დროინდელი უნდა იყოს, როდესაც არიელები ჯერ კიდევ ერთად ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. საკმარისია ჩაუკვირდეს კაცო ამ ერთნაირ სიტყვებს და მათს მნიშვნელობას, რომ იგი ადვილად მიხვდეს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დაახლოებით მაინც ძველი არიელების ყოფაცხოვრება.

თანამედროვე მეცნიერებმა ზედმიწევნით შეისწავლეს ასეთი



ერთნაირი სატყეები სხვადასხვა არიულ ენაში და დაწინააღმდეგებენ, რომ ძველი არიელები უკვე მიწის მუშაობას მისდევდნ და, სწამ ერთმანეთს დასცილდებოდნ, უკვე შერიას, მუხუდოს, ლობიოს და ხახვს სთესდნ. ამავე დროს ისინი მესაქონლეობასაც ეწეოდნ და მათს უმთავრეს ქონებას ცხვრისა, ძროხისა და თხის ჯოგები შეადგენდნ.

რაკი არიელებმა ერთხელვე იგდეს ხელთ პირველობა, მას შემდეგ იგი ხელიდან არ გაუშვიათ, და მთელი ევროპის ისტორია დღემდე არსებითად არიელების ისტორიას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ შემდეგში მუდამ ამა თუ იმ არიელ ხალხთან გვექნება საქმე: სპარსელებთან, ბერძნებთან, რომაელებთან, კელტებთან, გერმანელებთან და ბოლოს სლავებთან, რომლებმაც ოდესღაც უდიდესი სახელმწიფო, რუსეთი შექმნეს.

## VI ძველი სპარსეთი.

### 1.

#### ირანის ვაკეგორა.

აზიის არიელებს შორის ყველაზე უფრო დადი როლი ისტორიაში ირანის ვაკეგორის არიელებმა შეასრულეს. ეს ვაკეგორა კულტურულ ცხოვრებას საერთოდ ხელს არ უწყობს. წვიმები აქ იშვიათი მოვლენაა, მდინარეები ხშირად შრება და ამიტომ არც მცენარეულობა იზრდება. ასეთია ირანის მუშაგული; ხოლო განაპირა მთიანი ნაწილები აღმოსავლეთით სულ სხვა სურათს წარმოადგენს. აქ ნიადაგი საკმაოდ ირწყვის და მცენარეულობაც კარგად ხარობს. პური, მთლი და ყვავილები—საკმაოდ იზრდება, განსაკუთრებით კი ირანის დასავლეთ ნაწილში. ცხადია, ადამიანის დაკვიდრება მხოლოდ ამ განაპირა ნაწილებში იქნებოდა შესაძლებელი, და, მართლაც, აღმოსავლეთით იმ თავითვე ბაქტრიელები დასახლდნ, ჩრდილოეთით—მიდიელები და დასავლეთით პერსიდაში—სპარსელები. მიდიელების უმთავრეს ქალაქად ეკატანი ითვლებოდა, პერსიდაში—პერსეპოლისი და პახარგადი.

### 2.

#### სპარსეთის ხაშტუხ დაარსება და გაძლიერება.

ეს სამი ხალხი მკიდრო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნ ერთმანეთთან და როგორც ენის მხრივ, ისე სარწმუნოების მხრივაც



ერთივეორეს უახლოვდებოდენ. ისტორიულ სარბიელზე პირველად ბაქტრიელები გამოვიდენ, მაგრამ უფრო საგრძნობი კვლი ისტორიაში მიდიელებმა და სპარსელებმა დასტოვეს.

ყველაზე უფრო ძლიერ ხალხად პირველ ხანებში მიდიელები ითვლებოდენ. იგინი ადრე ჩაუვარდენ ხელში ასურელებს და სხვა ხალხებთან ერთად მოუთმენლად მოელოდენ თავისი განთავისუფლების წამს. როგორც ვიცით, ბაბილონელებთან ერთად მათ, მართლაც, შესძლეს ასურეთის ძლიერების დამხობა, მაგრამ პირველობა ჯერ ხნობით მაინც ბაბილონელებს დაუთმეს. ირანის ვაკეგორაზე, სამაგიეროდ, ბატონობა მარტო მათ ეკუთვნოდა: მართალია, სპარსელებს თავისი საკუთარი მეფეები ჰყავდათ, მაგრამ მაინც მიდიელების მორჩილებაში იმყოფებოდენ.

მიდიელების მეფემ, **ასტიავმა**, როგორც ვაღმოცემა მოგვითხრობს, თავისი ქალი—**მანდანა** სპარსელების მეფეს—**კამბიზს** მიათხოვა. მალე მანდანას ვაჟი—**კიროსი** შეეძინა. კიროსი, როგორც შვილის შვილი **ასტიავისა**, მიდიელებს მალე დაუახლოვდა; იგი მალე დარწმუნდა, რომ სპარსელება, როგორც გამბედავი და შრომის მოყვარე ხალხი, მიდიელებზე დაბლა არაფრით არ იდგენ. ამიტომ მან სპარსელების განთავისუფლება გადამწყვეტა, შემოიკრიბა სპარსელები და თავისი პაპის წინააღმდეგ აჯანყების დროსა ააფრიალა. 559 წელს პასარგადის მიდამოებში მთავარი ბრძოლა მოხდა, და გამარჯვება წილად სპარსელებს ხვდა. იმ დროიდან სპარსეთი განთავისუფლდა და პირველობა ირანის ვაკეგორაზე მის ხელთ გადავიდა.

ძველ აღმოსავლეთში ყოველთვის ასე ხდებოდა: როგორც კი მოიპოვებდა ესა თუ ის ხალხი დამოუკიდებლობას, ის იმწამსვე დანარჩენი ხალხების დამორჩილებას დაისახავდა მიზნად, და, ცხადია, არც კიროსი აუხვევდა გვერდს ამ ჩვეულებას.

მარტო მიდიელების ბატონობის მოსპობით ის ვერ დაკმაყოფილდებოდა. პირიქით, რაკი მიდიელებზე გაბატონდა, თავისი მახვილი მეზობელ სახელმწიფოს, **ლიდიის** წინააღმდეგ მიმართა.

ლიდიას მცირე აზიის დასავლეთი ნაწილი ეპყრო და სწორედ იმ დროს, როდესაც კიროსმა მიდიელების ბატონობა დაამსხვრია, თავისი არსებობის საუკეთესო ხანას განიცდიდა. მისი მეფე—**კრეზი** განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა ვაჭრობა-მრეწველობას და სწავლავანათლებას. ლიდია ამის გამო იმ დროს კულტურულ ქვეყნად ითვლებოდა, ხოლო მისი მეფე, კრეზი—საარაკო სიმდიდრის პატრონად. როდესაც კრეზმა სპარსეთის მეფის

ძლევამოსილობის ამბავს მოჰკრა ყური, ბევრი ყოყმანის შედეგად, გადაწყვიტა—სპარსელებს თავს დავეცემი და ეხლავე მოვსპობო. ბაბილონელებმა და ეგვიპტელებმა კრებს დახმარებას და უთქვეს, რადგანაც სპარსელების გამარჯვების მათთვის უფრო დათ. კრები თავისი ჯარებით სპარსელების წინააღმდეგ დაიძრა და პირველ ბრძოლაში დიდი ვაეკაცობა გამოიჩინა, მაგრამ ბრძოლა ისე დასრულდა, რომ არც კიროსს მიუჩნევია თავი გამარჯვებულად და არც კრებს. მაგრამ კრებს ომი აღარ განუგრძელებია და შინ დაბრუნდა. ხოლო სპარსელები მას უკან დაედევნენ, მოულოდნელად ლიდიის დედა-ქალაქს, სარდას დაეცენ თავს და კიდევ აიღეს. ამ დღიდან ლიდიის დამოუკიდებლობა მოისპო, ხოლო მისი მეფე, კრები, კიროსს ტყვედ ჩაუვარდა ხელში.

ამნაირად, სპარსელების ბატონობის საზღვარი უკვე საკმაოდ ფართო შეიქმნა: ირანი და მცირე-აზია ეხლა მათი იყო. ბაბილონი და ეგვიპტე; ცხადია, ადვილად იგრძნობდნენ, რომ მალე კიროსის მახვილი მათ წინააღმდეგაც მიიმართებოდა. მაგრამ კიროსი არ ჩქარობდა; თავისი ბატონობა ჯერ აღმოსავლეთითა და დასავლეთით განამტკიცა და ბაბილონის წინააღმდეგ მხოლოდ 539 წელს გაილაშქრა.

პირველი შეტაკება ბაბილონის ახლოს მოხდა, და კიროსმა ბაბილონელები უკუაქცია. იგინი იძულებული შეიქმნენ—თავი ბაბილონის ზღუდეთა შორის შეეფარათ. ქალაქის ძალით ალება ძნელი იყო და ამიტომ კიროსმა ისევ ხერხს მიმართა: ბაბილონი მდინარეზე იყო გაშენებული; კიროსის ბრძანებით მდინარეს ახალი კალაპოტი გაუთხარეს, ძველი კალაპოტი განთავისუფლდა და ქალაქის კედლებს ქვეშ თავისუფალი ადგილი დარჩა. სწორედ აქედან შეიჭრა კიროსი ქალაქში და იძულებულყო ბაბილონელები, მისთვის მორჩილება გამოეცხადებიათ (538). ახლა კიროსს საშვალება მიეცა, თავისი ყურადღება ჩრდილოეთისაკენ მიეპყრო, და უკვე 529 წელს იგი სკვითების წინააღმდეგ გაემგზავრა, მაგრამ აქ ერთი შეტაკების დროს დაიჭრა და მალე გადაიცვალა.

ასეთია ცნობები კიროსის შესახებ.

მის შემდეგ სამეფო ტახტზე მისი შვილი, კამბიზი ავიდა. სპარსეთი იმ დროს ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელსაც ზღუდედ ყოველმხრივ ბუნებრივი საზღვრები ჰქონდა. კიროსი გრძნობდა, რომ ამ საზღვრების გადაბიჯება სპარსეთისთვის საკეთილდღეო არ იქნებოდა და ამ მიზეზით ეგვიპტის წინააღმდეგ ომს არ აპირებდა. მაგრამ კამბიზს, როგორც სჩანს, ეს არ ჰქონდა შეგნებული და მან

თავიდანვე ეგვიპტის დამორჩილება გადაწყვიტა. მალე იგი თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუდგა და 527 წელს ეგვიპტე დაიპყრო კიდევ.

ჰეროდოტე მოგვითხრობს, სანამ კამბიზი ეგვიპტის მეფე იყო, გამგზავრებოდა, მან ფარულად თავისი ძმა, ბარდიას შარავლევინა; კამბიზს შვილი არ ჰყავდა, და ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ ეს ბარდია ითვლებოდა.



სპარსეთის მეფე.

რატომ ჩაიდინა კამბიზმა ეს დანაშაული, დღესაც არავინ იცის. ხოლო შედეგი ამ მკვლელობისა მისთვის დამლუპველი აღმოჩნდა: როგორც კი გაემგზავრა იგი ეგვიპტეს, ერთმა სპარსელმა ქურუმმა, რომელიც გარეგნულად ბარდიას ჰგავდა, საყოველთაოდ გამოაცხა-

და: „მე ვარ ბარდია, კამბიზის ძმაო“, და თავისი თავი სპარსეთის მეფედ აღიარა. თითქმის მთელი ნახევარი სპარსეთი მას მიეძნო. ამ ამბავმა ასე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა <sup>ფარუქზე უფრო</sup> მან თავი მოიკლა. მან ვენ გაბედა, თავისი ფარუქზე უფრო გამოცხადება, მაგრამ სიკვდილის წინ კი ყველაფერი დაჩიბს შიხტასპის გაუმელავენა. ეს დარიოსი, როგორც სამეფო გვარის მეორე შტოს უფროსი წაუმომადგენელი, ეხლა სპარსეთის სამეფო ტახტის ერთადერთს კანონიერ მემკვადრედ ითვლებოდა და კამბიზის შემდეგ ის უნდა გამეფებულიყო.

დარიოსი იმ თავითვე ზრუნვას შეუდგა, რომ სპარსეთის ცრუ მეფე ტახტიდან ჩამოეგდო. მან მოიხმო დიდებულები, ყველაფერი გაუმელავენა, რაც კი კამბიზისაგან ჰქონდა გავონილი, და მალე, მათი დახმარებით, ცრუ ბარდია მოაკვლევინა. ამის შემდეგ იგი სამეფო ტახტზე ავიდა.



დარიოსის ძეგლი: შეამზობეთა დამარცხება

დამორჩილებულმა ხალხებმა დრო იხელთეს, და სამეფოს სხვადასხვა ნაწილი აჯანყებამ მოიცვა: მიდა, ბაბილონი, ელამი და სომხეთი—ყველა აჯანყების დროსა ააფრიალა. მაგრამ, როგორც ერთერთ წარწერაში თვითონ დარიოსი მოგვითხრობს, მან „ღვთის შეწევნით“ შტრები სძლია და კიროსისგან ნაანდერძევი სპარსეთი მთლიანად შეიპარჩენა. იგი არც ამით დაკმაყოფილდა და სულ მოკ-



ლე ხანში, სხვა ქვეყნებს გარდა, შავსა და კასპიის ზღვებს შუა მდებარე მიწებიც, ე. ი. ახლანდელი საქართველო და ყოფილი რან: და შირვანი შემოიერთა.

ასე გაფართოვდა ისედაც ვრცელი სპარსეთის საზღვრები, რომ ზღვარს აღემატებოდა, რომ მისი თვალუწვდენელი სამეფო ადვილად დაირღვეოდა, თუ მას შესაფერისად არ მოაწესრიგებდა. მართლაც, ძნელი იყო 100000 ორბჯუთბი მილის სივრცეზე გაქიმული სახელმწიფო, რომელიც მრავალი სხვადასხვა ხალხით იყო დასახლებული. ძველი წესების მიხედვით ემართნა. ამიტომ მან უმთავრესი ყურადღება მართვაგამგეობის მოწესრიგებას მიაქცია.

მისი განკარგულებით, მთელი სპარსეთის მიწების აღწერა და შეუსება მოხდა, და ამის მიხედვით გადასახადი განაწილდა. გადასახადს მხოლოდ დამორჩილებული ქვეყნები იხდიდა. თვითონ სპარსელები კი, როგორც გაბატონებული ერი, ჩვეულებრივი გადასახადისაგან განთავისუფლებული იყვნენ; ერთადერთს მათ მოვალეობას მხოლოდ ის საჩუქრები შეადგენდა, რომელიც უნდა მიერთმნათ მეფისთვის, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი მოგზაურობის დროს მათ მიდამოებში გაივლიდა.

3

**მართვაგამგეობა დარიოსის დროს.**

კიროსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ სპარსეთში დამორჩილებული ქვეყნების მართვაგამგეობის ერთგვარი ბრძნული წესი შემუშავდა. როგორც კი რომელიმე ქვეყანას დაიმორჩილებდნ, მას იმშაპსვე სამეფოს ერთს მთლიან აღმინისტრაციულ ნაწილად ე. წ. სატრაპიად გამოაცხადებდნ, რომლის სათავეშიც ცალკე მმართველი ე. წ. სატრაპი იდგა. მკვიდრთა ზნეჩვეულებას, ენასა და სარწმუნოებას ხელუხლებლად სტოვებდნ, ასე რომ დამორჩილებული ერები თავისთავს ძველებურად გრძნობდნ. განსხვავება მარტო ის იყო, რომ იგინი გადასახადს ეხლა სპარსელების სასარგებლოდ იხდიდნ და საკუთარი მეფის მაგიერ სპარსელ სატრაპს ემორჩილებოდნ. ასეთი წესწყობილება მათ არ აღიზიანებდა, მით უმეტეს, რომ მეორე და მესამე ხარისხოვანი თანამდებობანი მათვე ჰქონდათ ჩაბარებული, და ამიტომ თავისი დამოუკიდებლობის დაკარგვას შედარებით ადვილად ურიგდებოდნ.

დარიოსის დროს მთელ სპარსეთში 23 სატრაპი იყო დაყენებული. ისინი უმთავრესად სამეფო გვარის შთამომავალნი იყ-



ვნენ და თავის სატრაპიაში თავს ნამდვილ მეფეებად გრძნობდნენ. ვადასახადის მოკრების უხულება და სამართლის წარმოება მათს უპირატესობას შეადგენდა.

დარიოსმა იცოდა, რომ ამ პირობებში ადვილად შეეძლოდა იყო, ამა თუ იმ სატრაპს ნამდვილი მეფობის სურვილი აღძროდა და თავისი სატრაპია დამოუკიდებელ სახეობად გამოეცხადებია; ამიტომ მან ყოველ სატრაპს საქმის მწარმოებლად თავისი მოხელე დაუნიშნა, ურომლისოდაც სატრაპიაში ვერაფერი ვერ გაკეთდებოდა, და რომელსაც დავალებული ჰქონდა, მეფისთვის დაუყოვნებლივ შეეტყობინებია, თუ კი სატრაპი რაიმე ცუდი განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუდგებოდა. ამას გარდა, დარიოსის განკარგულებით, მთელ სამეფოში ე. წ. „მეფის ყურნი და თვალნი“ მუშაობდნენ და სატრაპის ყოველსა საექვო ნაბიჯს გაფაციცებით უთვალთვალდებდნენ.

მაგრამ სპარსეთი დიდი იყო, და ეხლანდელი ფოშტა და ტელეგრაფი მაშინ არ არსებობდა. ამიტომ სანამ ეს მეთვალყურენი მოასწრებდნენ—რამე შეეტყობინებიათ მეფისთვის სატრაპის განზრახვის შესახებ, ეს უკანასკნელი უკვე ყველაფერს სისრულეში მოიყვანდა. ეს ესმოდა დარიოსს, და ამიტომ თავისი სატრაპო ქალაქიდან სხვადასხვა სატრაპიაში მშვენიერი გზატკეცილები გაიყვანა და ამ გზებზე რამდენიმე ვერსის მანძილზე სადგურები ააშენა, სადაც მეფის მსახურთათვის მშვენიერი ცხენები მუდამ მზად იყვნენ. თუ კი რამე საექვო მოხდებოდა, ახლა ადვილი იყო, მეფისთვის კვლავური მყის ეცნობებიათ.

ასე ჩაისახა პირველად სპარსეთში ის დაწესებულება, რომელსაც დღეს ფოშტას ვუწოდებთ.

ამას გარდა, მეფემ იცოდა, რომ მისთვის სახიფათო იქნებოდა, თუ ჯარები სატრაპების განკარგულებაში დარჩებოდნენ. ამიტომ ჯარების უფროსად განსაკუთრებული მოხელეები დანიშნა, რომლებიც სატრაპის მორჩილების გარეშე იდგნენ და პირდაპირ მეფეს ემორჩილებოდნენ.

მთელი სამეფოს უმაღლეს ბატონპატრონად მეფე ითვლებოდა. მის წინაშე ყველა მონად გრძნობდა თავს. თუ კი ვინმე გაბედავდა და ნებადაურთველად მის წინაშე წარსდგებოდა, იგი უთუოდ სიკვდილით დაისჯებოდა. თვით უახლოესი პირებიც კი ვერ ბედავდნენ მეფის ტრაპეზზე სადილობას: მისი ადვილი გამოყოფილი იყო საერთო სუფრიდან და ფარდით იყო დაფარული. მეფეს თან ახლდნენ რჩეული მეომრები, რიცხვით 12 ათასი, რომელნიც „უკვდავთა“ სახელით ცნობილნი, მუდამ მზად იყვნენ—მისი ბრძანების ასასრულ-



ლებლად თავი გაეწირათ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, წესიერე  
ბისა და მშვიდობიანობის დამყარებას მეფეს ფრიად უაღვილებდა.

დარიოსმა ალებ-მიცემობის საქმეშიც დიდი წესიერება დაამ  
კვიდრა. ფულის მოკრა პირველად ლილიაში შეეწივით სპარსეთში  
კი ფული არ იცოდნენ. დარიოსი მიხვდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა  
ექნებოდა ფულს ვაჭრობისთვის და ამიტომ ბრძანა—ფულის მოკრა  
სპარსეთშიც დაეწყათ. მის დროს ე. წ. დარიებს სჭრიდნენ, რომე  
ლიც დაახლოვებით თუჰმანს უდრიდა. ასეთი იყო დარიოსის მეფობა.

მაგრამ აღმოსავლეთის ხალხების მისწრაფება მსოფლიოს და  
პყრობისაკენ არც სპარსელებს აძლევდა მოსვენებას. ამიტომ და  
რიოსმა და მისმა მიმდევარმა მეფეებმა თავისი მახვილი ევროპაშიც  
გადაიტანეს. მაგრამ მათი ცდა, როგორც მოსალოდნელი იყო, უნა  
ყოფო აღმოჩნდა. სპარსელები ევროპიელ ბერძნებთან ბრძოლაში  
დამარცხდნენ, და ამის შემდეგ მათი ბედი უკუღმა დატრიალდა.  
სპარსეთი დასუსტდა და მეოთხე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდ  
ის უკვე იმდენად უძლური იყო, რომ ალექსანდრე მაკედონელს მისი  
დამხობა ოდნავაც არ გაჭირვებია.

ასეთი იყო ხანმოკლე ისტორია სპარსელების უზარმაზარი სა  
ხელმწიფოსი.

4.

ხ ა რ წ მ უ ნ ე ბ ა .

ირანის ვაკეგორა მრავალფეროვანი იყო. აქ უდაბნოსთან ერ  
თად ძლიერ ნოჟიერი ადგილებიც იყო; ცხელსა და ცივ ჰავასთან  
ალაგ-ალაგ ზომიერი ჰავაც ხვდებოდა. ცხადაა, ეს მრავალფეროვა  
ნობა ირანის ბუნებისა იქაური მცხოვრებლების ცნობიერებაზე მძლავრ  
შთაბეჭდილებას მოახდენდა; და მართლაც, მათი სარწმუნოება ნა  
თლად ამტკიცებს, რომ მთელი აზროვნება აქაური მკვიდრებისა ამ ბუ  
ნებრივი მოვლენების ცვალებადობის ზეგავლენით იყო შემუშავებული.

სპარსელებისა და მიდიელების სარწმუნოება იმ სახით, როგო  
რითაც იგი დღეს არის ცნობილი, შემუშავებული იყო ბრძენის  
ზორაანტრის ან ზარატუსტრას მიერ და მოთავსებული ერთ წიგნში,  
რომელაც ზენდავეტას სახელით არის ცნობილი. მართალია, ეს  
წიგნი მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული, მაგრამ ესეც საკმარი  
სია მისთვის, რომ ადამიანი ირანის მკვიდრთა სარწმუნოებას, ე. წ.  
მაზდეიზმს დანამდვილებით გაეცნოს.

სპარსელების მთავარ ღვთაებას სიკეთის ღმერთი—აჰურამაზდა  
ან ორმუზდი წარმოადგენდა; იგი მიზეზი იყო ყველა იმ საკეთისა,



რომელიც კი ამ ქვეყნად ხდება. ორმუზდს კეთილი სულების მტერი რიგი შეუქმნია, რომლებიც ამ ქვეყნად მას სიკეთისა და ბედნიერების დაწყარებაში ეხმარებიან.

ერქვენული

მაგრამ სპარსელთა წარმოდგენით, მეორე ღმერთი **სპარსელი** და, რომელიც ისევე ძლიერი იყო, როგორც ორმუზდი, მაგრამ ამავე დროს—სიკეთის მტერი და ყოველგვარი ბოროტების დასაწყისი. ეს ღმერთი **არიმანი** სახელით არის ცნობილი. იგი გამუდმებულ ბრძოლაში აის ჩაბმული ორმუზდთან და იმ ბოროტი სულების დახმარებით, რომელიც მის მიერვეა შექმნილი, ხან სძლევს ორმუზდს და ხან თვითონ რჩება ძლეული. როდესაც ორმუზდი იმარჯვებს, ქვეყნად სიკეთე და ბედნიერება მყარდება, და როდესაც—არიმანი, მაშინ ქვეყანას ბოროტება და უბედურება ეუფლება. სპარსელების შეხედულებით, ადამიანის მოვალეობა იყო—ორმუზდისათვის ყოველგვარი დახმარება გაეწია და მასთან ერთად ბოროტებასთან დაუღალავად ებრძოლა.

სპარსელების რწმენით, ორმუზდის განსახიერებას **ცეცხლი** და **მზე** წარმოადგენს, ხოლო არიმანისას—**სიბნელე** და **გველი**, რომელიც ღრუბლის სახით მზის ცხოველმყოფელ სხივებს ფარავს.

მაზდეიზმი სასტიკი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი კერპებისა და კერპთაყვანისმცემლობისა, რადგანაც ორმუზდის განსახიერება სხვაებრივ, თუ არ ცეცხლის საშუალებით, შეუძლებელი იყო. ამიტომ სპარსელებმა ტაძრები არ იცოდენ. ერთადერთი, რასაც იგინი თაყვანს სცემდნენ—ეს **ცეცხლი** იყო, და მათს ტაძარში, ე. წ. **ატეშ-გაშში** მუდამ ცეცხლი ენთო.

ორმუზდის სარწმუნოება სპარსელთა ზნეობაზე განმასპეტაკებელ გავლენას ახდენდა. იგინი დაუღალავი დამცველნი იყვნენ ყოველგვარი სიკეთისა და შეურიგებელი მტერნი—ბოროტებისა.

ღამუშავებელი მიწა თავისთავად ადამიანისათვის არავითარ სიკეთეს არ წარმოადგენს. ასეთ სიკეთეს მარტო ის ქმნის, ვინც მიწას ამუშავებს; და ამ მოსაზრებით, მაზდეიზმის შეხედულებით, მიწის დამუშავება ანუ მეურნეობა საუკეთესო საშუალება უნდა ყოფილიყო ბოროტებასთან ბრძოლისა და სიკეთისა და კმაყოფილების დამკვიდრებისათვის. ალბად, ამით აიხსნება, რომ სპარსელების აზრით, მეურნეობა მოვალეობა იყო ყოველი კეთილმოქმუნე ადამიანისთვის, და ყოველ სპარსელს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მუდამ თავისი ყანებითა და ბალებით მოჰქონდა თავი. ტყუილა კი არ ამბობდა თავისი სტუმრების წინაშე ერთი სპარსელი დიდებულთაგანი, რომელსაც სპარსელის სამეფო ტახტის მემკვიდრედ მიაჩნდა

თავი:—ყველა ეს ხეები ჩემი საკუთარი ხელით არის დაგეგმილი,—  
ამბობდა იგი.

„წმინდა ის ადამიანი არისო, ამბობს ურბანოვი, რომელიც  
მიწას პურს წარმოამზობინებს და ყანების ნაყოფს ამუშავებს. მი-  
წის დამუშავება ასი მსხვერპლის მადლს უდრისო“. რა თქმა უნდა,  
ასეთი სარწმუნოება სპარსელებს დიდ შრომისმოყვარეობას მიაჩვევდა.

სპარსელებს ეგონათ, ადამიანის სული სიკვდილის შემდეგაც  
ცხოვრებას განაგრძობსო. იგი მიფრინავს საიქიოს, და აქ გამოსა-  
ცდელად მას ბეწვის ხილზე უშვებენო. ვინც ამ სოფლად ბოროტე-  
ბას ემსახურებოდა, იგი არიმანის უფსკრულში ვარდებო; ხოლო  
ვინც სიკეთის დამყარებას სცდილობს, იგი ხილზე ბედნიერად გა-  
დადის და ორმუხდის სამკვიდროში შეგროვილს კეთილ სულებს  
უერთდებო. აქ იგი თვითონაც კეთილ სულად იქცევა და შემდეგ-  
ში, ორმუხდთან ერთად, ღროს არიმანთან ბრძოლაში ატარებსო.  
ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სპარსელები თავის წინაპართა  
სულს თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. სამაგიეროდ,  
გადაცვალებულის სხეულს უწმინდურად თვლიდნენ და მხეცთა და  
ფრინველთა საკორტნად აგდებდნენ. გამონაკლისს მხოლოდ მეფის  
ცხედარი შეადგენდა, რომელსაც დიდსა და მშვენიერ საფლავში  
ასვენებდნენ.



კიროსის საფლავი.

5.

კულტურის ნაშთები.

რამდენადაც ძლიერი იყვნენ სპარსელები ომსა და სახელმწი-  
ფოს მართვაგამგეობაში, იმდენად სუსტი აღმოჩნდნენ იგიწი სწავლა-



განათლების საქმეში. წერის საკუთარი წესები მათ არ შეუქმნიათ; მათ მხოლოდ ბაბილონელების ლურსპული წარწერები გააბრატივეს და მარცვლის გამომხატველი ნიშნები ასოებად გადააქცვეს. მათი მწერლობა თითქმის მარტო ზენდავესტით იფარგლებოდა. ცნიერულისა და ლიტერატურული ხასიათის ნაწერები მათ სრულიად არ ჰქონიათ, ასე რომ, თუ ჰეროდოტეს დავუჯერებთ, „სპარსელი ბავშვები მხედრობისა და მართლის თქმის მეტს არაფერს არ სწავლობდენ“. ცოტაოდენი ნიჭი სპარსელებმა მხოლოდ ხელოვნებაში, სახელობრ, ხუროთმოძღვრებაში გამოიჩინეს. მათი ხუროთმოძღვრების ერთადერთ ნაშთს მეფის სასახლეები და საფლავები შეადგენს. სასახლეების ნაშთები მოიპოვება პასარგადში, სუზაში და განსაკუთრებით პერსეპოლისში, სადაც დარიოსის სასახლის ნანგრევებია დაცული.

გარედან სასახლის წინა კედელი გალამაზებული იყო ბარელიეფებით, რომელიც ზოგან ლომებს და ზოგან სამხედრო პირებს გამოხატავდა. ასეთსავე ბარელიეფებს შიგნითაც აკეთებდენ. სასახლეს შესავალში ფრთოსან ხარებს დგამდენ, რომელთაც ადამიანის თავი ჰქონდათ გაკეთებული.

სხვა მხრივ სპარსელებს არაფერი საყურადღებო არ შეუქმნიათ. მაგრამ მათი მნიშვნელობა კულტურულად მაინც დიდია: მათ თავის სახელმწიფოს საზღვრებში მრავალი კულტურული ხალხი შეაერთეს, გააცნეს იგინი ერთმანეთს და, ამგვარად, ძველი აღმოსავლეთის ხალხებს თავისი კულტურული სიმდიდრის გაცვლა-გამოცვლის საშუალება მისცეს. ამ მხრივ მათი მნიშვნელობა რამდენიმედ ფინიკიელთა ისტორიულ მნიშვნელობას წააგავს.

## II.

### ს ა ბ ე რ ძ ე თ ი.

#### 1.

#### აღმოსავლეთი დი დასავლეთი

კაცობრიობის კულტურული განვითარება აღმოსავლეთში დაიწყო, მაგრამ გაზიხისა და აფრიკის ხალხები უძლურნი აღმოჩნდნენ კაცობრიობის ისტორიული განვითარების მესვეურება ხანგრძლივად შეენარჩუნებიათ, და პირველობა დასავლეთს დაუთმეს. თვითონ კი მაინც ამაყად დარჩნენ ძველ გზაზე და კულტურული განვითარების ახალ მესვეურთ უნდობლობით ეპყრობოდნენ. მაგრამ მდგომარეობა

რეობა მალე შეიცვლა; აღმოსავლეთის ხალხები კაც დროს გულის მით უფრო მტკიცედ რწმუნდებიან, რომ ერთად ერთი სახეა ქათვის ისევ დასავლეთის კულტურის შეთვისებაშია. ამიტომ უფრო მტკიცედ თვით ჩინელებიც კი, რომელნიც ასეთი თავკამუფლებით იყვნენ დასავლეთის გავლენას, დღეს ისევ ევროპისაკენ იცქირობიან და თავისა ცხოვრების საფუძვლებს ევროპის კულტურის მოთხოვნილებათა მიხედვით სცვლიან; ამიტომ არის აგრედვე, რომ ყველაზე უფრო ძლიერი და საშიში ხალხი აღმოსავლეთში იაპონელები შეიქმნენ, რომელთაც ევროპის კულტურა ყველაზე ადრე შეითვისეს.—ამნაირად დასავლეთის კულტურა მთელ კაცობრიობას იპყრობს, იგი მსოფლიო კულტურად იქცევა.

2.

**პირველყოფილი ევროპა.**

ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ ცხოვრობდა ევროპაში, სანამ აზიაში იქაური კულტურული ხალხები კაცობრიობის განვითარების მსვლელობას შეთაურობდნენ. ის კულტურული ნაშთები, რომელნიც ევროპის ცხოვრების უძველეს დროს ეკუთვნიან, ნათლად ამტკიცებენ, რომ კულტურული ცხოვრების მატარებლად ევროპაში იმ თავითვე აღმოსავლეთიდან შემოხიზნული ინდო-ევროპელები ანუ არიელები უნდა გამოსულიყვნენ. როგორც სჩანს, არიელები პირველად ხმელთაშუა ზღვის სამს ნახევარ კუნძულზე დაბინავებულან: ბალკანებზე, პიონეებზე და აპენინებზე. ხოლო თვით ამ ნახევარკუნძულთ შორის პირველი ტალღა არაელთა მოძრაობისა ბალკანებს მოხვედრია; ამიტომაც დასავლეთის კულტურის განვითარება ყველაზე უფრო ადრე აქ უნდა ჩასახულიყო. ბალკანეთის არიელებს ანუ ბერძენებს რომაელებმა VII საუკ. ქ. წ. „გრეცია“ უწოდეს, თვით ხალხს კი თავის თავისთვის მერვე საუკუნემდე საერთო სახელი არა ჰქონია. ხოლო მერვე საუკუნიდან დაწყებული ივინი თავის თავს ელინებს უწოდებდნენ. ქართულად ივინი ყოველთვის ბერძენების სახელით იყვნენ ცნობილნი. საოცარია, რომ ქართველების მეტი მათ ამ სახელით არავინ იცნობს. ეს ალბად იმიტომ აიხსნება, რომ „ბერძენი“ ერთ-ერთ ქართველ ტომს ეწოდებოდა, და რადგანაც ეს ტომი ელინების მეზობლად იყო დასახლებული, ამიტომ ქართველებმა ეს სახელი მეზობელ ელინებზეც გადაიტანეს.



ძლიერ მნიშვნელოვანი იყო: ბერძენს შორს მოგზაურობის არ ეშინოდა, მიტომ რომ ერთი კუნძულიდან მეორემდე ახლო იყო და შესვენება ყოველთვის მოხერხდებოდა. მცირე კუნძულებს კავებდა კვით დიდი კუნაულები და ნახევარკუნძულებიც ისე აწყობილი იყო, რომ ერთი მეორის დანახვა შეიძლებოდა: ჰელესპონტიდან ათონი მოსჩანდა, ათონიდან—ევბეა, ევბეადან ჭიოსი, როდოსიდან კრეტა და აქედან კიდევ თვით პელოპონესი. ასე რომ მთელი ეგე-



საბერძნეთი.

ოსის ზღვა თითქოს ხიდს წარმოადგენდა, რომელიც მცირე აზიასა და საბერძნეთს ერთმანეთს აერთებდა. ამ გარემოებას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ გავიხსენებთ, რომ მცირე აზიიდან იმდროინდელი განათლებული ქვეყნების სამფლობელო იწყებოდა. ამგვარად აღმოსავლეთი საბერძნეთი თვით ბუნების მიერ ისეთს ბედნიერ პირობებში იყო ჩაყენებული, რომ თუ კი სადმე ევროპის მიდამოებში უნდა აყვავებულიყო კულტურა, ეს უსათუოდ აქ უნდა



შომხდარიყო. ამიტომ აღმოსავლეთი ნაწილი მუდამ ხალავეში ედგა საბერძნეთს, და ძველი მაღალი კულტურა ელადისა სწორედ მის მიდამოებში ჩაისახა და გაიზარდა.



მეორე ბედნიერი თვისება აღმოსავლეთი საბერძნეთისა იყო, რომ იგი, საერთოდ მთავორიანი, ჩრდილოეთით უმთავრესად ხუთი მთავრებილის კედლით იყო შემოზღუდული, ასე რომ არცერთ მტერს არ შეეძლო ამ ბუნებრივ ზღუდეთა გადმოლახვა, და საბერძნეთში დამკვიდრება. კიდევ რომ გადაელახა მას ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე მთა, შიგნი გარდაუვალ დაბრკოლებათა ოთხი წყება ხედებოდა; ამგვარად საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, აღმოსავლეთი საბერძნეთი თვით ბუნების მიერ იყო უზრუნველყოფილი გარეშე მტერთა შემოსევისაგან. ამ მთებზე მხოლოდ ბილიკებითა და ვიწრო ხეობებით შეიძლებოდა მიმოსვლა, და მათ დასაცავად მცირერიცხოვანი ჯარიც საკმარისი იყო. ამიტომაც საბერძნეთისათვის დიდი ქვევითა ჯარი არასდროს არ ყოფილა საჭირო: თვით ბუნება პარტიზანულ ბრძოლას მოითხოვდა ბერძნებისაგან, და იგინიც მცირე რიცხოვანი ჯარის ფრთეთა ვემ უზრუნველყოფილად გრძნობდენ თავს.

სამაგიეროდ სახელმწიფოებრივის და ეროვნული მთლიანობის განვითარებისთვის საბერძნეთის მთავორიანობას დიდი ზიანი მოჰქონდა. ქვეყანა პატარპატარა დამოუკიდებელ ნაწილებად იყო დაყოფილი და მათ შორის იმდენად მცირე კავშირი არსებობდა, რომ საბერძნეთის გაერთიანებას ყოველთვის დიდი დაბრკოლება ელოდებოდა წინ. ეს იყო მიზეზი, რომ საბერძნეთში იცხე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა და ეროვნული მთლიანობის შეგნებაც იმდენად დაბალ დონეზე იდგა, რომ ხშირად თვით უდიდესი გასაჭირის დროსაც კი საერთო ეროვნული ინტერესი თავისი კუთხის ინტერესისთვის ზვარაკად მიჰქონდათ.

პორიზონტალურად საბერძნეთი სამ ნაწილად განიყოფება: ჩრდილო, საშვალო და სამხრეთი საბერძნეთი. ჩრდილო საბერძნეთი პინდოს მთავრებილით ორ ნაწილად იყოფა: ერთი არის თესალია და მეორე—ეპირი. აქედან ერთად ერთი გზა იყო საშვალო საბერძნეთისაკენ. ეს იყო თერმოპილეს გასავალი, რომელსაც ომიანობის დროს ყოველთვის დაღი მნიშვნელობა ჰქონდა. საშვალო საბერძნეთი რვა სრულიად დამოუკიდებელი ნაწილისაგან შესდგებოდა. ამათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ატიკა ქალაქ ათენით და ბეოტია—თებეთი. საშვალო საბერძნეთიდან სამხრეთში ანუ პელოპონესში ისტმოს ყელით შეიძლებოდა გადასვლა. პელოპონესი ათ





ნაწილად იყო გაყოფილი, და ამათ შორის დიდი მნიშვნელობა ლაკონიას ჰქონდა. აქ იყო მთავარი ქალაქი, სპარტა, რომელიც შემდეგში მთელი პელოპონესი გააერთიანა.

საბერძნეთის სამი მხრიდან ეკრა ზღვა და ხმელეთის საზღვარი. მარტო ჩრდილოეთით ჰქონდა ეს საზღვარი იყო თრაკია და მაკედონია, ორი ქვეყანა, რომელთა მოსახლეობაც კულტურის მხრით ბერძნებთან შედარებით საგრძნობად ჩამორჩენილი იყო.

**ჰავა.** საბერძნეთის ჰავა, განსაკუთრებით აღმოსავლეთით, ძლიერ მშრალია. წვიმები აქ იშვიათი მოვლენაა. ზაფხული ხანგრძლივი იცის და ზამთარი მოკლე. სიფბო სიცივე ყველგან ერთნაირი არ არის. სამხრეთით და ატიკაში აუტანელი სიცხეებია, ბეოტიაში კი გრილი და ნოტიო ჰავაა. საერთოდ ჰავა სხვადასხვანაირია, რადგანაც საბერძნეთი მთავარგებლებით არის დასერილი, ასე რომ ერთ ადგილას რომ ნამდვილი ზაფხულია დაწყებული, იქვე მეზობლად ჯერ კიდევ სუსხიანი ზამთარი დგას. რადგანაც საბერძნეთში საერთოდ სითბო სქარბობს, ბერძნები თავისი სიცოცხლის უმეტეს დროს გარეთ ატარებდნენ. ამიტომ იქაური სახლები მარტო დასაძინებელ ადგილს წარმოადგენდნენ, და ოთახებს პატარასა და ბნელს აშენებდნენ.

საბერძნეთში ჰავის სიმშრალის გამო მდინარეები ცოტაა და რაც არის, ზაფხულობით უმეტეს ნაწილად იგიც შრება. სასმელი წყალი ამიტომ იშვიათი მოვლენაა. ბერძნების ცხოვრებაში წყაროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მოგზაურებს ბერძნები მშვიდობის გზასთან ერთად ცივ წყალსაც უსურვებდნენ.

საბერძნეთის ნიადაგი ძლიერ მწირია, ამის მიუხედავად ბერძნები მიწას მაინც ყოველთვის ამუშავებდნენ, მათთვის თანოეული ტკაველი მიწაც კი ძვირფასი იყო. პური რა თქმა უნდა საკმაო იქ არასდროს არ მოდიოდა. პურს გარდა ვენახსაც აშენებდნენ, მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული ზეთისხილის მოშენება იყო. როგორც სწანს, ეს იყო უმთავრესი სარჩო ძველი ბერძნებისა, და ამიტომ ზეთისხილის დამუშავების წარმოებაში თვით სახელმწიფო ერეოდა. არაეის არ ჰქონდა ნება, ზეთისხილი ბევრი გაეტანა გაასყიდათ საბერძნეთიდან.

არც ლითონის მხრით იყო საბერძნეთი მდიდარი ოქრო იქ სრულიად არ იშოვებოდა. სპილენძი ცოტა იყო. ვერცხლი მხოლოდ ატიკაში მოიპოვებოდა. სამაგიეროდ რკინა თითქმის ყველგან საკმაო იყო, განსაკუთრებით ბევრი იშოვებოდა იგი სპარტაში. ლითონების საერთო სიმცირის გამო ბერძნები იძულებული იყვნენ, თავისი გუ-

ლისყური თრაკიისა და მაკედონიისაჲს მევპუროთ, სადაც ჩვენი  
ბევრი იყო, და იქაური მადნები ხელში ჩაეგდოთ.



4.

ერქონული  
ბიზანტიონისაჲს

### საბერძნეთის უძველესი ისტორია.

ამ ორმოცდაათიოდე წლის წინად ფიქრობდენ, თითქოს სა-  
ბერძნეთის ისტორია მხოლოდ 1000 წლიდან იწყებოდეს ქრ. დაბა-  
დებამდე; მაგრამ გასული საუკუნის სომოცდაათიანი წლების არქე-  
ოლოგიურმა გამოკვლევებმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ბალკა-  
ნების ნახევარკუნძულზე კულტურული ცხოვრება ძლიერ ადრე დაწყ-  
ებულა; რომ ყოფილა ისეთი ხანა, როდესაც ბალკანების კულტურა  
აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურაზე თუ მაღლა არა, დაბლა მაინც  
არ მდგარა.

ამგვარად ახლა ცხადია, რომ საბერძნეთს თავისი ძველი ის-  
ტორია ჰქონია. მართალია, ამ ისტორიის შესასწავლად კულტურულ  
ნაშთებს ვარდა სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება, მაგრამ  
ამის მიუხედავად იგი მაინც იმდენად არის შესწავლილი, რომ მის  
შესახებ ზოგი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას.

საბერძნეთის ძველი ისტორია ორ ხანად განიყოფება. პირველი,  
უძველესი ხანა დაახლოებით ქრისტეს დაბადებამდე სამიათასი წლის  
წინად უნდა დაწყებულიყო. იმ დროის კულტურული ნაშთები ეგე-  
ოსის ზღვის კუნძულებზე, კიპროსზე, თვით ბალკანეთის ნაპირებზე  
და მცირე აზიაშია დაცული. აქედან ცხადად შეგვიძლია დავასკვნათ,  
რომ ამ უძველესი ისტორიის სარბიელი უმთავრესად ეგეოსის კუნ-  
ძულები და ზღვის ნაპირები უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ამ ხანას  
ვეგოსის კულტურის ხანას უწოდებენ.

ეს კულტურა უმთავრესად ქვის ხანას ეკუთვნის. ბრინჯაოს  
იარაღები მხოლოდ აქა-იქ გვხვდება. აღსანიშნავია აგრედვე, რომ  
იმდროს ოქროვერცხლის ნივთების დამზადებაც სკოდნიათ, რასაც  
ცნობილი „პრიამოს საგანძურის“ აღმოჩენა ამტკიცებს. ძლიერ ხში-  
რია იმდროინდელ ნაშთებს შორის თიხისა და ქვის კერპები, რო-  
მელთაც დიდი გასავალი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ყველაზე უფრო  
განსაცვიფრებელი ის დიადი შენობებია, რომელთა ნანგრევებიც  
სხვა ნაშთებთან ერთად მცირე აზიაში, მისარლიკის ბორცვზე აღმო-  
აჩინეს.

მეორე ხანას ე. წ. კრეტისა და მიკენის კულტურა შეადგენს.  
პირველის ნაშთები კრეტაზე, კნოზოსსა და ფესტოსში აღმოაჩინეს.

აქაური სასახლეები და სასაულაოები მდიდარ მასალას წარმოადგენენ იმ დროის შესასწავლად, მით უმეტეს რომ აქ იმდროინდელი წარწერებიც იპოვეს, მაგრამ საწუხაროდ მისი წაქეზება დღემდე ვერ მოახერხეს, თოვებზეკერის ახალის გაგება შეუძლებელია. უძველესი დროის ხალხებისა და მათის კულტურის შესახებ.

მიკენის კულტურის ნაშთები უმთავრესად არგოლიდაში მოიპოვება (მიკენაში და ტირინში). მისი დამახასიათებელი თვისება უზარმაზარი შენობებია და აგრეთვე თავისებური ვაზებიც, რომელიც გაბნეულია საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაპირზე ამიკლედან თესალიამდე, ატიკაში, ბეოტიაში, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და თვით დასავლეთ საბერძნეთშიც.

კრეტა-მიკენის კულტურა ეგეოსისაზე გაცილებით მაღლა დგას. იგი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის და საოცარ ხელოვნებას ააშკარავენს როგორც მხატვრობაში, ისე ქანდაკების სხვადასხვა დარგშიც. კრეტა-მიკენის კულტურა ისე სახელოვანი იყო, რომ მუდმივი კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთის ხალხებთან. ეგვიპტეში ხშირია ნაშთები, რომელნიც ნათლად ამტკიცებენ, თუ რა დიდი გასავალი და დაფასება ჰქონია იქ მიკენის კულტურის ნაწარმოებთ. სამაგიეროდ აღმოსავლეთიდანაც გადმოდიოდა აქ თავისებური ვაგუნენა. ეს ნათლად სჩანს როგორც ქალების ტანთსაცმელიდან, ისე იმ ფუფუნებიდანაც, რომელიც საბერძნეთში მიკენის კულტურის დროს იყო დამკვიდრებული.

რა დროს ეკუთვნის ეს ხანა, ამის გაგება ერთი მხრით იმ ეგვიპტელი ნივთებიდან შეიძლება, რომელიც მიკენის ნაშთებთან ერთად მიკენაში იპოვეს, და მეორე მხრით იმ მიკენელ ვაზებიდან, რომელიც ეგვიპტეში აღმოაჩინეს. ამ მასალის მიხედვით, მიკენის კულტურის საუკეთესო ხანა მეთხუთხმეტე საუკუნიდან მეთორმეტემდე უნდა ვაგრძელებულიყო.

ისტორიაში საბოლოოდ არ არის გამორკვეული იმ ხალხის ვინაობა, რომელსაც ეს მდიდარი კულტურა შეუქმნია და გაუვითარებია. ერთი რამ კი ცხადია; სახელდობრ ის, რომ მიკენის კულტურის შემოქმედად ის ბერძენი ტომები მაინც ვერ ჩაითვლებიან, რომელთაც შემდეგში ცნობილს ბერძნულ კულტურას მისცეს დასაბამი. ამას სავსებით ის გარემოება ამტკიცებს, რომ ელინთა კულტურულ ნაშთებს არავითარი ნათესავობა არა აქვთ მიკენის დიად კულტურასთან, არ სჩანს, რომ ელინთა კულტურა მიკენის კულტურის განვითარების შემდეგი საფეხური იყოს. პირიქით, მათ შორის გარდაუვალი უფსკრულია. მაგრამ ამის მიუხედავად შესაძლებ-

ბელია, საბერძნეთის ძველი ისტორიის ამამოძრავებელ ძალად მართკ  
 ბერძნები ჩაითვალონ, ხოლო არა ის ტომები, რომელთაც ელინიკა  
 სახელით შემდეგ გააჩაღეს ბალკანებზე ახალი კულტურული მუშაო-  
 ბა, არამედ სხვა ბერძენი ტომები, რომელნიც აქ აღრუქნდნენ  
 მოსახლებულიყვნენ და ძლიერი ძველი კულტურისათვის მკვერთესკ  
 საფუძველი ჩაეყარათ.

როგორც სწანს, კრეტა-მიკენის დიდებულ კულტურას უბედურება სწევია. დაახლოვებით მეათე საუკუნეში ქრ. დაბადებამდი ბალკანებს ახალი გაუნათლებელი ტომები დასხშია თავს, ძველი კულტურა დაუსმზვრევია; მცხოვრებლები დაუმონავებია და კულტურული შემოქმედება თავიდან დაუწყია. მას არ უსარგებლებია მკვიდრთა დიდებული კულტურული განვითარებით, პირიქით, იგი ნაცარტუტად უქცევია და მის ნანგრევებზე ახალი ბარბაროსული ცხოვრება დაუწყია. ალბად ამით აიხსნება ის ვარემოება, რომ ელინთა კულტურასა და კრეტა-მიკენის კულტურას შორის თანდათანობით განვითარების ძაფის გამბა შეუძლებელია.

**საზოგადო დახასიათება.** კრეტა-მიკენის კულტურის დასახასიათებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ქანდაკებისა და კერამიკის (თიხეულობის) ნაშთებს.

1. ხუროთმოძღვრების ნაშთებს შორის პირველი ალაგი სასახლეებსა და საფლავებს უჭირავს.

სასახლეები კრეტისა და მიკენისა სხვადასხვანაირი აგებულობის არიან. კრეტაში სასახლეებს რამდენიმე სართულიანს აშენებდენ; იგინი გარედან სრულიად მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ სიმაგრეს. სულ სხვანაირი იყო მიკენის სასახლეები. მათ გარს ერტყა უზარმაზარი ლოდებით ნაშენი მაგარი კედლები, რომელთაც ხშირად ორი ქისკარი ჰქონდათ. ერთი სიტყვით, კრეტას სასახლეები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს აქ მტრის შემოსევის მიში არადროს არ ყოფილიყოს; მიკენაში კი ყოველი სასახლის ნაშთი ნათლად ამტკიცებს, რომ აქ მუდმივს მტრულ თავდასხმასთან ჰქონიათ საქმე და ამიტომ თავისი სადგომების შესახებ განსაკუთრებულს მზრუნველობას იჩენდენ.

სასაფლაოების ნაშთები სამნაირი აგებულების არიან და თითოეული მათგანი ხუროთმოძღვრების დიდ ხელოვნებას ამტკიცებს.

2. მხატვრობა განსაკუთრებით სასახლეების ნაშთებშია დაცული. ძველი კულტურის ხალხებს ძლიერ ჰქონიათ განვითარებული მხატვრული გემოვნება. ამას მათი სასახლეების კედლები ამტკიცე-

ბენ, რომელნაც ხშირად სხვადასხვანაირი მხატვრობით ააჩიან გა-  
ლაშაშებულნი.

3. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ძველად კრეტა-მი-  
კენის თიხეულობის ნივთები. იქაური ვაზები გაქრეტილნი იყო  
არა მარტო საბერძნეთის მიწაწყალზე, არამედ აღმოსავლეთ ქვეყ-  
ნებშიც. სასახლეების ნანგრევებში ქანდაკების ნაშთებიც მრავლად  
არის დაცული.

როგორც სიანს, კრეტა-მიკენის კულტურის დროს სახელმწი-  
ფოს სათავეში მეფე მდგარა. მისი ძალაუფლება ძლიერი ყოფილა;  
მეფის ბრძანებით, ხალხი უზარმაზარი შენობების ასაგებად სამუ-  
შაოდ ცხადდებოდა და ამგვარად თითქმის მთელს თავის ძალ-ლო-  
ნეს ამ შენობების აგებას ანდომებდა. თვით სასახლეების შინაგანი  
მოწყობილობა ნათლად ამტკიცებს, რომ მეუღეები დიდა ფუფუნე-  
ბით ცხოვრობდნენ. ხოლო ხალხში საკმაოდ გავრცელებული ყოფი-  
ლა სხვადასხვა ხელობა; ამით აიხსნება, რომ იმ დროინდელი  
სახლები მდიდრად იყვნენ მორთული. სხვათა შორის ლითონის გა-  
დადნობაც ყოფილა გავრცელებული და ამასთანავე განსაკუთრებით  
მექოთნეობაც.

5.

### საბერძნეთის საშვალე ისტორია.

**ხალხთა დიდი გადასახლება.** კრეტა-მიკენის კულტურა თავისი  
განვითარების უმწვერვალეს დონეზე იდგა. ყველა განათლებული  
ხალხი თავისებურად სარგებლობდა მისი მონაპოვართ, და ბალკა-  
ნების სახელი მთელს იმ დროინდელ მსოფლიოს ეფინებოდა.

მაგრამ სწორედ ამ დროს, ჯერ კიდევ გამოურკვეველი მიზე-  
ზების გამო, ბალკანების ჩრდილოეთით ხალხთა დიდი ზოძრაობა  
დაიწყო, და ამ ზოძრაობის ტალღა სამხრეთისაკენ წამოვიდა. ეს  
მოხდა მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც საბერძნეთში ე.  
წ. **„ღორიელთა გადასახლება“** ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინა-  
რეობა ძველი კალაპოტიდან ახალში ჩააყენა. ამ მოვლენას საბერ-  
ძნეთის ისტორიაში გარდაუვალი მნიშვნელობა ჰქონდა: ბალკანე-  
ბის მიწაწყალზე ბერძენთა ახალი ტომები გაჩნდნენ, მათ დაახეს  
ძველი ბრწყინვალე კულტურა კრეტა-მიკენისა, დაიპყრეს ამ კულ-  
ტურის მატარებელი ტომები, რომელთა უმნიშვნელო ნაშთებიც  
შემდეგში აქველებს სახელით იყო ცნობილი, და საბერძნეთის მი-  
წაწყალი საბოლოოდ გაინაწილეს. ამ ახალი ტომებისაგან ბერძენთა

ერის ის სამი უმთავრესი შტო წარმოიშვა, რომელთაც შემდეგში საბერძნეთის ცნობილი კულტურა შექმნეს. ესენი იყვნენ **დორიელები, იონიელები და ეოლიელები.**

თვით ბერძნებს კარგად ჰქონდათ ამ მოვლენის მნიშვნელობა გათვალისწინებული და მის შესახებ თქმულებებიც კარგად შექმნილი მელთა მიხედვითაც მთელი ეს რთული მოძრაობა დორიელთა პელოპონესში შემოსევითა და დამკვიდრებით არის განსაზღვრული. თქმულების მიხედვით, დორიელთა შემოსევა ჰერაკლიტების ანუ ჰერაკლეს შთამომავალთა სამშობლოში დაბრუნებით იყო გამოწვეული. პირველი ცდა ჰილოსის წინამძღოლობით მოხდა, მაგრამ ცდა უნაყოფო აღმოჩნდა, და ერთი საუკუნის შემდეგ ჰილოსის შვილის-შვილები ხელახლა შეესიენ პელოპონესს, დაიპყრეს მკვიდრი მცხოვრებლები და ქვეყანა თავიანთ შორის გაინაწილეს: **ემენოსს** შეეზღო **არგოლია**, **კრესფონტს** **მესენია** და **არისტოდემოსს** შვილებს **ლაკონია**, ხოლო **არკადია** ისევ ძველი მოსახლეობის ხელში დარჩა.

ამგვარად გაჩნდა ახალი მოსახლეობა პელოპონესში. ამავე დროს ეკუთვნის თესალიისა და ბეოტიის დაპყრობა და ახალი ხალხით და ახლება.

ერთი სიტყვით, ხალხთა ახალმა მოძრაობამ ბალკანების ძველი კულტუროსანი მოსახლეობა დასცა და დასაბამი მისცა ბერძენთა ისტორიის იმ ახალ ხანას, რომელიც **საბერძნეთის ისტორიის** სახელით არის ცნობილი.

მართალია, ახლად დამკვიდრებულ ბერძენთა ტომების მეთერთმეტესა და მეათე საუკუნეთა ცხოვრების შესახებ ცნობები სრულიად არ მოგვეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ **მეცხრე** და **მერვე** საუკუნის ყოფაცხოვრების შესახებ ჰომეროსის პოემებიდან (ილიასი და ოდისეა) ბევრს საინტერესოს ვტყობილობთ.

**საზოგადოების შემადგენლობა.** როგორც სწავს, მეათე და მეცხრე საუკუნის განმავლობაში საბერძნეთში ერთი საგულისხმო ცვლილება მომხდარა: მოსახლეობა ზოიან ძლიერ გამრავლებულა; ამ მიზეზის გამო სხვადასხვა ტომებს შორის მტრული განწყობილება გახშირებულა და ძარცვა გლეჯა და თავდასხმები ყოველდღიურ მოვლენად გადაქცეულა. ეს გარემოება. რა თქმა უნდა, საზოგადოების აკუმულობაზე შესაფერ გავლენას მოახდენდა.

ცხადია, ამ აფორიაქებული ცხოვრების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა **მეომრებს** უნდა მოეპოვებიათ. ეს ასეც მოხდა: ვინც სუსტი იყო, ის გამოჩენილი მეომრების ფრთეთა ქვეშ აფარებდა თავს, და ამ გზით თითოეული ცნობილი მეომრის გარშემო



ხალხის საკმაოდ დიდი რიცხვი გროვდებოდა. მეომრები <sup>ბათს წინამძღოლადა</sup> და უფროსად ითვლებოდნენ. ხოლო ასეთი წინამძღოლობა და უფროსობა მალე ბატონობის იერს ლებულობდა.

მართალია, ჰომეროსის პოემებში ასეთ უფროსს <sup>„მანსლეტსი“</sup> ანუ მეფე ეწოდება, მაგრამ ეს ბალიზევის არ იყო <sup>„მანსლეტსი“</sup> მეფე. იგი მხოლოდ პატარა ჯგუფის წინამძღოლი და მფარველი იყო. ამ მფარველობისთვის მას ემორჩილებოდნენ და ომის დროს პირველსავე მის ბრძანებაზე საბრძოლველად ემზადებოდნენ. ვისაც საომრად წასვლა არ უნდოდა, მას წინამძღოლის სასარგებლოდ განსაზღვრული ჯარიმა უნდა გადაეხადა.

საერთო ტრაპეზობის დროს „ბაზილევსი“ პირველ ადგილს იკავებდა და საუკეთესო კერძს იღებდა.

ამგვარად, წინამძღოლობა პირველ ხანებში პირად ღირსებაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ პირადმა ღირსებამ მალე მნიშვნელობა დაკარგა, და წინამძღოლობამაც მემკვიდრეობითი ხასიათი შეიღო.

მუდმივი ომიანობა და ძარცვა-გლეჯა ძირიანად ცვლიდა ხალხის ნივთიერ მდგომარეობას. ზოგი სრულიად მოულოდნელად მდიდრდებოდა და ზოგი კიდევ ერთბაშად ჰკარგავდა მთელს თავის ქონებას. ამიტომ საზოგადოების წევრთა შორის მალე დიდმა ქონებრივმა უთანასწორობამ იჩინა თავი. წინამძღოლები განსაკუთრებით სარგებლობდნენ თავისი მდგომარეობით და აურაცხელ სიმდიდრეს აგროვებდნენ. მათი სახლი მუდამ სავსე იყო მრავალი ნათესავითა და მოჯალაბით, და ეს გარემოება ხალხის თვალში კიდევ უფრო ამაღლებდა „ბაზილევსთა“ მდგომარეობას. იგინი მალე „წარჩინებულ“ წოდებად გადაიქცენ, და მათ „საუკეთესოებს“ უწოდებდნენ. ამ გარემოებას არ შეიძლება შესაფერი ვაგვინებთ ბერძნების მიწათმფლობელობაზეც არ მოეხდინა: მდიდრები დაღარიბებულთა ძნელი მდგომარეობით სარგებლობდნენ და მათს მამულს ყიდულობდნენ. ეს ოასაკვირველია, ხელს უწყობდა დიდი მამულების ერთ ხელში მოგროვებას. ხალხის უმეტესობა კი ღარიბდებოდა, და ამგვარად მცირე მამულიანი და ბოგანო ხალხი მრავლდებოდა.

ბოგანო ხალხი ძლიერ ცუდ ყოფაში იყო. იგი სტოვებდა თავის სამშობლოს და ბედის საძიებლად სხვაგან მიდიოდა. ყველა მას სდევნიდა, ხოლო მისი მფარველი არავინ იყო. ამ წრიდან ე. წ. „მეტანასტები“ გამოდიოდნენ. ამავე წრიდან წარმოიშვენ აგრეთვე ე. წ. თეტები (მუშები), რომელნიც რომელსამე მემამულეს მიექირავებოდნენ და მის მიწაზე მუშაობდნენ. მათი მდგომარეობა არ იყო



მანც და მანც სახარბიელო. ზოგი მემამულე მათ სჩაგრავედ და ხშირად მონადაც კი აქცევდა.

საშუალო საუკუნოების დროს საბერძნეთში მონობაც არსებობდა. იმდროინდელი განუწყვეტელი ომების დროს მონობა მძიმე უთუოდ დიდი უნდა ყოფილიყო.

რა საქმე ჰქონდა მიჩენილი მონებს? როგორც სჩანს, მიწის დამუშავება მათ ხელთ არ ყოფილა. იგინი უმთავრესად ბატონის ოჯახში იყვნენ და აქ ყოველგვარ დავალებას ასრულებდნენ. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ზოგს მდიდარ ოჯახში მთელი სახელოსნოები არსებობდა, რომელშიც 40—50 მხევალი მუშაობდა. იგინი ჰკერავდნენ ტანისამოსს ოჯახის წევრებისათვის, ან ნოხებს ქსოვდნენ და ან კიდევ ოჯახისათვის სხვა საქირო ნივთებს ამზადებდნენ. უფრო ხშირად კი ბატონის საქონელს მწყესავდნენ.

მონებს შორის ზოგს საკმაოდ წარჩინებული ალაგი ეკავა; მაგალითად—მონების მეთვალყურისა. ასეთები ხშირად ბატონთან ძლიერ დაახლოვებული იყვნენ და შედარებით უზრუნველყოფილად ცხოვრობდნენ.

არსებობდა აგრედვე საშველო, თავისუფალი წრეც, რომელიც თავს სხვადასხვა ხელობით ირჩენდა. ესენი იყვნენ ე. წ. „ღემიურგები“; მათ არ ჰქონდათ თავისი სახელოსნოები; იგინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და ამა თუ იმ მდიდარი კაცის სახლში მუშაობდნენ. ხელოსნებს განსაზღვრული საგანგებო ხელობა არ ჰქონიათ: ღურგალი, მაგალითად, ყოველგვარ ხის საქონელს აკეთებდა, ლეზავდა კიდევ მას და ხის მასალასაც თვითონვე სჭრიდა. ერთი სიტყვით, შრომის განაწილება ძლიერ მკირედ იყო განვითარებული.

ვაკრობა მაშინ უმთავრესად ფინიკიელთა ხელში იყო. მაგრამ არც ბერძნები გაურბოდნენ ამ საქმეს. ფულად საქონელს ხმარობდნენ, ზოგჯერ ოქროს და უფრო ხშირად ლითონის სხვადასხვა კურქელსა და იარაღს.

**სახელმწიფოებრივი მართვაგამგეობა.** საშველო საუკუნოების დროს სახელმწიფოს სათავეში მეფე ედგა. მაგრამ მისი ძალაუფლება არ იყო დიდი. მუდმივი ომიანობისა და ძარცვაგლეჯის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მდიდარმა და ძლიერმა წინამძღოლებმა მოიპოვეს. მათ მეფის სახელიც კი მიითვისეს; როგორც მეფეს, ისე მათაც „ბაზილევს“ უწოდებდნენ. ამიტომ მეფეების გავლენა ხალხზე სუსტი იყო. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ხალხი წინამძღოლებს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე თვით

მეფეებს. მეფე მხოლოდ ერთ-ერთი წინამძღოლთაგანი იყო: სხვებზე მეტი ძალაუფლება მას არა ჰქონია. ასე რომ ძველი ბრუნვაღწე მდგომარეობიდან, როდესაც მეფე მთელ ხალხს განაგებდა, მას ბევრი აღარათუფრი შერჩენია, გარდა იმისა, რომ იგი მატარებელი უნდა იქნებოდა საზღვრდელი პირადა და მოხაზა-თლედ იმეტირებოდა.

მეფე სახელმწიფოს „საბჭოსთან“ ერთად განაგებდა. ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კი სახელმწიფოს შეეხებოდა, საბჭოში ირჩეოდა. ბჭობის დროს, რომელიც ომიანობის დროს მეფის კარავში ხდებოდა, ხოლო მშვიდობიანობის დროს მის სასახლეში, საბჭოს წევრები ვაშლილ სუფრას უსხდებოდნენ გარშემო და ისე მსჯელობდნენ სახელმწიფო საქმეების შესახებ. ვინ ითვლებოდა საბჭოს წევრად, ეს ცხადად სჩანს ილიასის ერთი ადვილიდან: ნესტორი მიმართავს მეფე აგამემონს და ეუბნება:— „შენ ხომ ჩვენი შთავარა მეფე ხარ! განუშხაღე სუფრა უფროსებს! ყველა წინამძღოლი შეკრიბე და იმას დაუჯერე, ვინც საუკეთესო რჩევას მოგცემს.“

ცხადია, საბჭოს წევრებად იგივე წარჩინებული წოდების წარმომადგენელნი, ჯარის წინამძღოლნი, „ბაზილევეები“ ყოფილან. რომელნიც, როგორც ნამდვილი მატარებელნი ძალაუფლებისა, სხვა მხრივაც ხალხის ნამდვილ გამგეებად გამოდიოდნენ.

„საბჭოს“ გარდა არსებობდა აგრედვე სახალხო ყრილობაც, რომელიც დროგამოშვებით სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობდა. მაგრამ ეს მონაწილეობა არ იყო მაინც და მაინც დიდი. ჯერ ერთი, ყრ ლობა ძალიან იშვიათად ხდებოდა, და მეორე— ყრილობაზე საკითხის არსებ-თად განხილვაში არ შედიოდნენ; ხალხი მოისმენდა მეფისაგან, რაც უკვე გადაწყვეტილი იყო, და თავის აზრს ან სიჩუმით გამოხატავდა, რაც უკმაყოფილებას ნიშნავდა, და ან თანხმობის ყიყინით.

6.

**ბერძენთა სახალშენო მოძრაობა.**

ბერძენების უმთავრეს ტერიტორიას ბალკანები წარმოადგენდა. მაგრამ ხალხის მოძრაობა, მოსახლეობის გამრავლება, შინაური უთანხმოება და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება სხვადასხვა დროს ძალას ატანდა ბერძენებს—თავისი სამშობლოს საზღვრები გადაელახათ და ახლო მდებარე კუნძულებისა, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვისაკენ ექნათ პირი. ამნაირად მათ ხელში საკმაოდ დიდი მიწა-წყალი მოგროვდა, რომლის დასავლეთი საზღვარიც ეს-

პანი იყო, აღმოსავლეთი—შავი ზღვის ნაპირები, ჩრდილოეთით  
თრაქისა და მაკედონიის ზღვისნაპირები, და სამხრეთი—ეგვიპტის/  
ჩრდილო ნაწილები.

ერქენული

რა თქმა უნდა, ამ დიდ მანძილზე გაბნეულ ადგილებში  
ნები თანდათანობით დაიკავებდნენ, და აპიტომაც მთელი საახალ-  
შენო მოძრაობა, რომლის შედეგიც ამ დიდი ტერიტორიის და-  
სახლება იყო, სამ ხანად განიყოფება. პირველი ხანა „მიკენის“  
კულტურის აყვავების დროს ეკუთვნის და მეთოთხმეტე საუკუნი-  
დან მეთორმეტეში გრძელდება. მეორე ხანა „ლორიელთა გადა-  
სახლების“ დროს არის, და მესამე—მერვე და მეშვიდე საუკუნოების  
დროის.

I. „მიკენის“ კულტურის ხანაში დაწყებული საახალშენო მო-  
ძრაობის ტალღა ყველაზე უფრო ადრე კიპროსს მოხვდა. ეს იქი-  
დან სჩანს, რომ კიპროსის მცხოვრებლები სილაბიურ მწერლობას  
მისდევდნენ, რაც მისი მომასწავებელია, რომ აქაური ბერძნები იმ  
დროს უნდა იყვნენ აქ გადმოსახლებული, როდესაც საბერძნეთში  
ჯერ კიდევ სილაბიური მწერლობა იყო ხმარებაში. კიპროსიდან  
ბერძნები მცირე აზიაში გადავიდნენ და იქ პამფილია დაიპყიდრეს.—  
ამავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს კრეტის, ეგეოსის კუნძულებისა და  
მცირე აზიის დასავლეთი ნაპირების დასახლებაც.

საიდან მომდინარეობდა ეს საახალშენო ტალღა? ეჭვი არ არის,  
რომ ყველაზე ადრე ჩრდილოეთით მდებარე ახალშენები უნდა იყოს  
მოწყობილი, მაშასადამე პირველად თესალიისა და ბეოტიის მცხოვ-  
რებთა ნაწილს დაუტოვებია თავისი სამშობლო და ეგეოსის ზღვით  
გადასულა კუნძულ ლეზბოსზე, შემდეგ ტენედოსზე და აქედან მცირე  
აზიის ჩრდილო ნაპირები დაუსახლებია. ეს გასაგებიც არის, მიტომ  
რომ ხალხთა გადასახლების ტალღა ყველაზე ადრე საბერძნეთის  
ჩრდილოეთს მოხვდა. მეორე ტალღა საშუალო საბერძნეთიდან და  
პელოპონესიდან ამოძრავებულა. აქაური მცხოვრებლები პირველად  
კიკლადის კუნძულებზე დამკვიდრებულან, რომელთა შორისაც განსა-  
კუთრებული მნიშვნელობა ევბეასა და დელოსს ჰქონდათ, აქედან  
ქიოსითა და სამოსით მცირე აზიაში გადასულან და ფოკეადან და-  
წყებული მილეტამდე მთელი ზღვისკიდური დაუკავებიათ. აქ, ამ  
ზღვისკიდურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მილეტმა მოიპოვა  
და ყველა აქაურ ახალშენს სათავეში მოეჭკა; ხოლო ზღვაში გაბნე-  
ულ კიკლადებს შორის მალე დელოსი ამაღლდა და ყველა კუნძული  
თავის გარშემო შემოიკრება.

II. ღორიელთა პელოპონესში დამკვიდრებას მალე შედეგად



მათი საახალშენო მოძრაობა მოჰყვა, რომელიც იმავე ეგეოსის ზღვით გავრცელდა. ხოლო დორიელებს აქ სამხრეთით მდებარე კუნძულების დაქერა ხელათ წილად. ყველაზე უფრო ადრე **კრეტის კუნძულები** დაიკავეს და შემდეგ **კრეტა**, რომელიც ბერძენებმა **კრეტის კუნძულები** დროს იყო დაქერილი. აქ დორიელებმა, ჰომეროსის სიტყვით, ასამიდი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს; აქაურს მკვიდრ მოსახლეობას კი ბატონყმობის უღელი დაადგეს. სხვა კუნძულთა შორის, რომელიც დორიელებმა მიისაკუთრეს, დიდი მნიშვნელობა **როდოსსა** და **კოსს** ჰქონდა; აქედან იგინი მცირე აზიაში გადავიდენ, დაიჭირეს მისი სამხრეთი ნაწილები და შემდეგში **კნიდოსისა** და **ჰალიკარნახის** მეთაურობით ეჭვსი ქალაქის კავშირი ანუ ე. წ. **დორიელთა ჰექსამოლიის** შექმნეს.

როგორც ვხედავთ, გადასახლების ტალღა სხვადასხვა ადგილიდან ამოძრავებულა, ასე რომ თითოეული ახალშენის მოწყობაში მრავალი სხვადასხვა კუთხიდან მოსული ბერძენი მიიღებდა მონაწილეობას. ამ მიზეზის გამო მოსახლეობის მხრივ თითოეული ახალშენი შერეული შემადგენლობის იყო. მაგრამ ახალ პირობებში ეს შერეული მოსახლეობა თანდათანობით გაერთიანდა და ახალი ადგილების ბუნებრივისა და ეკონომიური ზეგავლენის გამო სამს გარკვეულსა და თავისებურ ჯგუფად განაწილდა. ჩრდილოეთით მდებარე ახალშენების მკვიდრნი **ეოლიელების** სახელით გაერთიანდენ, სამხრეთით მდებარე ახალშენების მცხოვრებნი **დორიელებისა**, ხოლო შუაში მოთავსებული ახალშენების—**იონელების** სახელით.

III. მერვესა და მეშვიდე საუკუნეში ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. მოსახლეობის გამრავლება, შინაგანი განხეთქილება და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ახლა უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა წინ, და ამიტომ ბერძენთა ტოკებმა ახალი ადგილების ძიებაში, დასავლეთით მდებარე კუნძულებსა და შორეულ აღმოსავლეთს მიაშურეს.

ეგეოსის ზღვის კუნძულები ჯერ კიდევ ყველა არ იყო დაპყრობილი, და უპირველესად ყოვლისა საახალშენი ტალღა ამ მხრით უნდა ამოძრავებულყო. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი და აუცილებელი, რომ ბერძენთა დასავლეთისთვის მიეპყრათ თავისი გულისყური. ეს მხარე მათ წინაშე სრულიად ახალ სარბიელად იშლებოდა, და სწორედ ამიტომ, თუ საახალშენო მოძრაობის პირველი ორი ხანა ეგეოსის ზღვისა და მცირე აზიის დამკვიდრებას ესწრაფოდა, სამაგიეროდ მესამე ხანა ხმელთაშუა ზღვისაკენ იყო მიმართული და უმთავრესად აქაური ადგილების დაკავებას ცდილობდა.

და. აგრამ სანამ ხმელთაშუა ზღვის საახალშენო მოძრაობას ვადა-  
ცნობდეთ, უმჯობესია, აღმოსავლეთის კოლონიზაციის განხილვა  
დავასრულოთ, რათა შემდეგში დასავლეთის ახალშენებზე განხილვა  
დროს ხელახლა არ მოგვიხდეს უკან დაბრუნება. **ს ი ზ ლ ი ი მ ი მ ე ჯ ა**

**ა. ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირების ახალშენები.** ბალ-  
კანების მიწაწყალს სხვათა შორის სამი დიდი ნაკლულოვანება ახ-  
ლდა თან: ნიადაგის სიმწირე, ტყეების სიციტავე და ლითონების  
სიმცირე. წინ წასული ხალხისათვის კი ყველა ეს აუტანელი დაბრ-  
კოლება იყო; ზღვაოსან ბერძნებს გემებისათვის ხეტყე ესაჭიროე-  
ბოდა, ვაჭრობა-მრეწველობა ოქროვერცხლს მოითხოვდა და გამრავ-  
ლებულ მოსახლეობას პური უნდოდა. საბერძნეთის ნიადაგი კი ვერც  
ერთს ამ მოთხოვნილებას ჯეროვანად ვერ აკმაყოფილებდა. სამა-  
გიეროდ **თრაკიისა** და **მაკედონიის** ნაპირები მდიდარი იყო როგორც  
ხეტყით, აგრედვე ნოყიერი ნიადაგითა და ოქროვერცხლის მადნე-  
ბით. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ადრე ამ ადგილებს ის ქალა-  
ქები მიაქცევადა ყურადღებას, რომელიც განსაკუთრებულ საჭიროე-  
ბას გრძნობდა ხეტყესა და ოქრო-ვერცხლის მადნებში. ასეთი კი  
ერთი მხრით **ევბეა** იყო და მეორე მხრით—**კორინთი**. ესენი იმ ხა-  
ნებში ყველაზე უფრო განვითარებული იყვნენ, და ამიტომაც ჩრდი-  
ლო ნაპირები ეგეოსის ზღვისა მათზე ადრე არავის არ დაუკავებია:  
ევბეას ქალაქებმა, **ქალკისმა** და **ერეტრიამ** ქალკედონის ნახევარკუნ-  
ძულზე მრავალი ახალშენი დააარსეს. იქვე გაჩნდა კორინთელების  
ახალშენი **პოტიფეაც**, რომელმაც შემდეგში საკმაოდ დიდი როლი  
ითამაშა. ევბეასა და კორინთოს სხვებიც მოჰყვნენ, და ამ რიგად  
თრაკიისა და მაკედონიის ნაპირები ბერძენთა ახალშენებით მოიფინა.

**ბ. ჰელესპონტის, ბოსფორისა და შავი ზღვის ახალშენები.**  
შავი ზღვის მეზობელ ქვეყნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონ-  
დათ ბერძენთა ტომების თვალში. აქ მრავალი პური მოდიოდა, და  
ამიტომ მათი უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელი იყო. ჰელე-  
სპონტიდან დაწყებული შავ ზღვამდე ერთი გზა იყო, და ბერძნები,  
განსაკუთრებით მეზვიდე საუკუნიდან დაწყებული, მუდამ გრძნობდენ,  
რომ ამ გზის ხელში ჩაგდება მათთვის აუცილებელ საჭიროებას  
შეადგენდა. პირველად ამ ადგილებს განსხვავებული ყურადღება იო-  
ნელების ახალშენებმა მიაქციეს და ამით შორის განსაკუთრებით  
**მილეტმა**: მთელი ჰელესპონტი მილეტის ახალშენებით მოიფინა.  
აქედან მილეტის მცხოვრებლებმა პროპონტს (მარმარილოს ზღვას)  
მიაშურეს და მთელი მისი სამხრეთი ნაწილი, **ქიზიკიდან** დაწყებული  
**ბოსფორამდე**, დაასახლეს. გამონაკლისს მარტო **ქალკედონი** და



**ბიძანტია** შეადგენდა, რომელთა დაარსებაც **მეგარელების** საქმე იყო. მეშვიდე საუკუნეში მილეტელებმა შავზღვის მიაღწიეს და აქ, განსაკუთრებით მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაპირებზე, **ნაქსოსის** ქუჩი ახალშენი დააარსეს, რომელთა შორისაც დიდი მნიშვნელობა **სანასოს** ხვდა წილად. სინოპმა თავის მხრივ მილეტელების საახალშენო მოძრაობის საქმე განაგრძო და თავისი ახალშენებით განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის, **კოლხიდის** ზღვის ნაპირები დაიკავა. მაგრამ მილეტი არც ამით დაკმაყოფილდა. მისი ახალშენები შავიზღვის ჩრდილო ნაპირებზეც გაჩნდა: **ოღვია**, **პანტიკაპეა**, **თეოდოსია** და სხვ. ყველა მილეტის ახალშენს წარმოადგენდა.

**გ. ხმელთაშუა ზღვის ახალშენები.** ხმელთაშუა ზღის კუნძულებს შორის თავისი ნიადაგის ნოყიერებით განსაკუთრებით **სიცილია** იყო ცნობილი, და ბერძნებმა, მერვე საუკუნიდან დაწყებული, მას განსხვავებული ყურადღება მიჰპყრეს. პირველად აქ იგივე **ქალკიდელები** გადმოვიდნენ, რომელთა ახალშენებიც ეგეოსის ზღვის ჩრდილო ნაპირებზე გავრცელდა, და ბერძენთა პირველ ახალშენს სიცილიაში—**ნაქსოსს** საფუძველი ჩაუყარეს. ქალკიდელებს, ისე როგორც ეგეოსის ზღვაზე, აქაც **კორინთელები** მოყვნენ, დაიპყრეს კუნძული **კორკირა** და შემდეგ სიცილიაში სახელოვანი ქალაქი **სირაკუზი** დააარსეს. ამათ შემდეგ მეგარელებმა და როდოსელებმა გაიკვლიეს გზა სიცილიისკენ და ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები გააშენეს, როგორც **გელა**, **ხელინუსი** და **აკრაგა** იყვნენ.

ქვედა იტალიის კოლონიზაცია ბერძნებმა კიდევ უფრო ადრე დაიწყო. მერვე საუკუნის მეორე ნახევარში აქ უძველესი ბერძენთა ახალშენი **კიმე** აღორძინდა, რომლის მნიშვნელობაც, როგორც იტალიის მკვიდრთა და ბერძენთა შორის სავაჭრო შუამავლისა, მუდამ დიდი იყო. კიმემ იტალიის მიწიწყალზე თავის მხრივაც რამდენიმე ახალშენი დააარსა; ასეთთა შორის **ნეაპოლიც** მისი ახალშენი იყო.

იტალიის სამხრეთი ნაწილი, ტარენტის ზღვის უბემდი, **აქაელების** საახალშენო მოძრაობის სარბიელად გადაიქცა. აქაურ ქალაქთა შორის პირველი ალაგი **სიბარისმა** დაიკავა, ხოლო მეორე—**კროტონმა** და **მეტაპონტმა**. აქვე იყო ერთადერთი ახალშენი სპარტანელებისა, **ტარენტოც**. მეხუთე საუკუნეში აქაელების აქაურმა ახალშენებმა „დიდი ჰელადის“ სახელი მიითვისეს, და შემდეგში ეს სახელი მთელი ქვედა იტალიის ახალშენებზე გავრცელდა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც იტალიისა და სიცილიის ახალ ქალაქებში დამკვიდრდა, ისეთივე იყო, როგორც საბერძნეთში.



ბატონობა აქაც „კეთილშობილთა“ ხელში გადავიდა, ხალხი ხშირად ბატონყმობის მდგომარეობას განიცდიდა.

ბერძენთა უკანასკნელ ახალშენად ხმელთაშუა ზღვისპირა მხარეებში უნდა ჩაითვალოს, რომელიც მეშვიდე საუკუნის უკანასკნელ წლებში გალიის სამხრეთ ზღვის კიდურზე დაარსდა. მასალიას მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მის ხელთ ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო შუამავლობის როლი უნდა გადასულიყო. ამ მიზეზით იგი მალე გაიზარდა და ახლო მდებარე ადგილებში თავის მხრივ მრავალი ახალშენი დააარსა.

მეშვიდე საუკუნეში ბერძენთა კოლონიები ეგვიპტეშიც გაჩნდა. ნავკრატი მაგ. (55) წელს არის დაარსებული, რასაც ნათლად ამტკიცებს ის ნაშთები, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად იქ აღმოაჩინეს.

ბერძენთა აქაურ საახალშენო მოძრაობას თვითონ ეგვიპტის მფლობელები უწყობდნენ ხელს, რადგანაც მათი სურვილი იყო, რომ ეგვიპტეში ვაჭრობა-მრეწველობა აღორძინებულიყო. ამ მხრით კი ბერძენების დახმარება აუცილებელი იყო.

როგორი იყო დამოკიდებულება ბერძენთა ახალშენებსა და იმ დედაქალაქებს შორის, საიდანაც იგინი გამონდინარეობდნენ? პირველ ხანებში, სანამ ახალშენები მომაგრდებოდნენ და დედაქალაქთან თვით აქაურ მცხოვრებთაც ნათესავური და მეგობრული კავშირი ჰქონდათ, დამოკიდებულება მათ შორის უთუოდ მკიდრო რქნებოდა: ყოველი ახალშენი თავის თავს დედაქალაქის დამოკიდებულ ნაწილად თვლიდა. მაგრამ ახალშენები მალე მომაგრდნენ, იგინი საკუთარ ფეხზე დადგნენ, გამდიდრდნენ და გამრავლდნენ და ამიტომ სრულიად აღარ საჭიროებდნენ რაიმე მხრით დედაქალაქის დახმარებას. რა თქმა უნდა, ამ პირობებში ახალშენების მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ თავი უნდა ეჩინა, და იმის მიხედვით, თუ რამდენად მდიდარი და ძლიერი იყო ახალშენი, ეს მისწრაფება კიდევ უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, კავშირი დედაქალაქსა და ახალშენს შორის სავსებით მაინც იშვიათად წყდებოდა: ახალშენი ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით ეყრობოდა თავის დედაქალაქს.

## VII.

### ბერძენთა ეროვნული თვითშეგნება.

ბერძენები, როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდ მანძილზე იყვნენ გაბნეულნი. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა მათს



ერთმანეთთან დაახლოვებასა და დაკავშირებას. თვით ბარკანების ზედაპირის აგებულებაც ისეთი იყო, რომ იქაურ ბერძენებსაც არ ჰქონდათ საერთო ცხოვრების საშვალეობა. ამიტომ კარგად ხანმოკლე ვალეო, სანამ იგინი თავის ერთტომობას შეიგნებდნენ და ამითი ვითარება იქაურ ერის სახეს მიარებდნენ. მაგრამ ეს ხანა ბოლოს და ბოლოს მაინც დადგა; თუშკაც აღსანიშნავია, რომ კერძო ადგილობრივი ინტერესები აქ საერთო ეროვნულზე მაინც ყოველთვის მალა იდგა.

ბერძენთა ტომებისა და სახელმწიფოების ერთიანობის შეგნებას მრავალი გარემოება უწყონდა ხელს, რომელთა შორისაც განსაკუთრებით საგრძნობი გამაერთიანებელი მნიშვნელობა ენას ჰქონდა. მართალია, იონიელთა ლაპარაკი დორიელთა ლაპარაკისაგან განსხვავდებოდა და ამათი კიდევ—ელიელიზისაგან, მაგრამ ბერძნული ენა მაინც ერთი იყო და იგი ყველას კარგად ესმოდა; სულ სხვა იყო უცხო ერების ე. წ. ბარბაროსების ენა, რომლისაც ბერძნებს არაფერი გაეგებოდათ. ბერძენები უთუოდ შესაუერ ყურადღებას მიაპყრობდნენ ამ გარემოებას, და ამის გამო შეუძლებელია, თავისი ნათესაობა და ერთობა არ ეგრძნოთ.

ენას გარდა ასეთივე გამაერთიანებელი მნიშვნელობა ჰქონდა მათს საერთო სარწმუნოებას, საერთო მითებსა და თქმულებებს და საერთო წეს-ჩვეულებებს.

ბერძენთა საერთო სარწმუნოება. ბერძენების რწმენით, დასაბამითვე არსებობდა ჭაოსი, ე. ი. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და მთელი არსებობა სიბნელით იყო მოცული.

თანდათანობით ჭაოსი დანაწილდა და, აკვარად, პირველად მიწა გაჩნდა, შემდეგ ერები (საიქიო) და ბოლოს ნათელი ეთერი. რასაკვირველია, მიწას პირველ ხანებში სრულიად არ ჰქონია ის შევნიერი სახე, დღეს იგი აქვს, და საერთო მითების მიხედვით იგი თანდათანობით გამოიკვალა და დღევანდელი სახე მიიღო. მოხდა ეს შემდეგნაირად.

უძველეს ღმერთებად ურანოსი (ცა) და გეია (მიწა) ითვლებოდნენ. მათ მრავალი შვილი ჰყავდათ, ტიტანები, კიკლოპები და სხვ. შვილებ ა და მამას შორის უსიამოვნება იყო, რომელიც ბოლოს იმით გათავდა, რომ ტიტანმა ქრონოსმა სძლია თავის მამას და მთელა ძალაუფლება ჩამოართვა. მაგრამ ქრონოსსაც არ ჰქონდა მშვიდობიანი ცხოვრება თავის შვილებთან. უმცროსმა შვილმა ძევსმა მამას ომი გამოუცხადა და, რადგანაც ყველა კეთილი და ძლიერი ღმერთები მის მხარეზე გადავიდნენ, სძლია მას და ქვეყნის მფლობელი

ბელოზა თვითონ ჩაიბარა; ზღვა თავის ძმას პოხეიდონს მისცა, ხოლო საიქიო — მეორე ძმას, აიდს.

ქვესმა თანდათანობით მოაწყო ცხოვრება დედამეწაღე ქრონიოსის დროს ადამიანები ღმერთებთან დაახლოვებულნი იყვნენ.



ჰერა (მარმარილ).

ლო ქვესმა როგორც კი დაამარცხა თავისი მამა, ადამიანებიც დაიშორა, წაართვა მათ გონება და მხეცებს დაუახლოვა. ეს რომ ტიტანმა პრომეთემ დაინახა, ჩუპად მოსტაცა ღმერთებს ღვთიური ცეცხლი და ადამიანებს ჩაუტანა. ამის შემდეგ ადამიანის გონება ამოძრავდა; მისი გავლენით თანდათანობით მთელი ცხოვრება გაუმჯობესდა. ამის გამო ქვესი ძლიერ განრისხდა და პრომეთეს სამაგალითო დასჯა განიზრახა. მან მიაჯაქვა იგი კავკასიონის ქედზე და მიუჩინა არწივი, რომელიც ტიტანს ღვიძლს უკორტნიდა.

პირველ ხანებში ბერძნებს სხვადასხვანაირი სარწმუნოება ჰქონდათ, მაგრამ თანდათანობით ეს სარწმუნოება გაერთიანდა და მთელ საბერძნეთში სავალდებულო შეიქმნა.

ამ გაერთიანებული სარწმუნოების მიხედვით მთავარი ღმერთები ძვესის ოჯახს შეადგენდნ და რიცხვით თორმეტი იყვნენ. ისინი ყველა ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნ და ამჟამად ოლიმპიკლების სახელით იყვნენ ცნობილნი.



აპოლონ (ბელვედერელი).

თვითონ ძვესი უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა. იგი ცის ღმერთი იყო, რომელიც წვიმას, ელვასა და ქუხილს ბრძანებლობდა. ქ. ლოდინაში ძვესის მუხა იდგა, რომლის ფოთოლთა შრიალშიც ღმერთი ზალხს თავის სურვილებს აცნობებდა. ძვესის მეუღლე ჰერა ქორწინებისა და საოჯახო ცხოვრების მფარველად და ატმოსფერის ღმერთად ითვლებოდა.

მათ შვილთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი და სახელოვანი მზის სინათლის ღმერთი თებ-აპოლონი იყო. აპოლონი თანდათანობით ცოდნისა და ხელოვნების მფარველ ღვთაებად გადაიქცა.

მასი მთავარი ტაძარი კუნძულს დელოსზე იყო, ხოლო დელოსში  
იგი თავის შესრვილებსა და აზრებს ამცნობდა ხალხს და წინაწარ-  
მეტყველობდა.

ერკინული  
ზიზლირთქა



ათენა.

ათენა-პალადა ძეგლის უსაყვარლესი ასული იყო. ძლიერი,  
გამბედავი და გონიერი ათენა ცის კამარის ღვთაებად ითვლებოდა  
და ქალაქება, სახალხო კრებებსა და ქალთა ხელსაქმეს მფარვე-



ჰეფესტი, რომელიც ღმერთებისათვის და ადამიანთათვისაც საი-  
 ცარ იარაღს სჭედდა, და ჰერმესი—ძვესის შიკრიკი, რომელიც  
 მთავარი ღმერთის სურვილებს ღმერთებსაც და ადამიანებსაც უკუ-  
 ბინებდა. ბერძნები მას გზისა და მოგზაურობის მფარველად მოგვ  
 დენ და მის პატივსაცემლად ქალაქებში ოთხკუთხ სვეტებს ე. წ.  
 ჰერმებს დვამდენ. ჰერმესი თავისი რაზმით გადაცვალულთა სუ-  
 ლებს საიჭიოსაკენ მირეკავდა.



აფროლიტა.

პოსეიდონი, როგორც ვიციო, ძვესის ძმა და თანატოლია.  
 იგი ზღის მფლობელია, და ამიტომ რაც კი ზღვაზე ხდება, მისი გამო-  
 წვეულია. პოსეიდონს ზღვაში ათასნაირი ნიმფები და სხვა არსებები  
 ჰყავს, ე. წ. ნერეიდები, რომელნიც კარგ აზინდში ხმელეთზე ამო-  
 დიან, იზრობენ თავის მწვანე თმას, ცეკვავენ და მღერიან.

აიდი—საიჭიოს მართველია. საიჭიოში საშინელი სიბნელე მე-  
 ფობს; მისი კარები მუდამ ღიაა. ასე რომ შესვლა ყველას შეუძლია,  
 მაგრამ სამთავიანი ძაღლი ცერბერი უკან აღარავის უშვებს. იმ არსე-  
 ბათა შორის, რომელნიც საიჭიოს ცხოვრობენ, განსაკუთრებით

ერინები არიან აღსანიშნავნი. თვითონ უხილავნი ყველაფერს ბედვენ და შეუბრალებლად სდევნიან ყველას, ვინც რაიმე დამაშაველს ჩაიდენს.

ერკონული  
ზიზლირთქა



არესი.

ძეხი თავისი ოჯახით ოლიმპოს მთაზე ცხოვრობს. იქ ნეტარებაჲდა ბედნიერება არის დამკვიდრებული. ღმერთები იგივე ადამიანები არიან, მაგრამ უკვდავნი, უმღეველნი და ყოვლის მცოდნე და შემძლენი. მათი სასმელი უკვდავების ნექტარია, ხოლო საჭმელი—ამბროზია.

თქმულებანი გმირების შესახებ. ოლიმპის ღმერთებს გარდა, ბერძნები თაყვანს სცემდენ აგრედვე გმირებსაც, რომელნიც მათი შეხედულებით ადამიანები იყვნენ, მაგრამ იმდენად ძლიერნი და ყოვლის შემძლენი რომ ღმერთებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ. ასეთი გმირები თითქმის ყოველ ქალაქს ჰყავდა, და მათ შესახებ მრავალი თქმულება იყო გავრცელებული.

მათ შორის ყველაზე უფრო მეტი პატივით ჰერაკლე და თეზეო სარგებლობდნენ.



თქმულება ჰერაკლეს შესახებ. ჰერაკლე ძევსისა და ლეოს დედოფლის შვილი იყო. ძევსის მეუღლე ჰერა, რომელიც აკვიანობით იყო გაბოროტებული, დაბადებიდანვე გადაეშურა მისი და მისი დალუპვა გადაწყვიტა; ბავში ჯერ კიდევ ბავშვობაში დალუპდა.



ჰერაკლე.

დესაც ჰერამ მის მოსახრობად ორი საოცარი სიდიდის შხამიანი გველი გაგზავნა. პატარა ჰერაკლემ ორავე გველი მოახროო. როდესაც ჰერაკლე დავაეკაცდა, ჰერამ მას გონება წაართვა და საკუთარი შვილები მოაკვლევინა. როდესაც გმირი კეკუაზე მოვიდა და თავისი საშინელი საქმე დაინახა, ძლიერ შეწუხდა. მან დელფოს ორაკულს მიმართა, რომელმაც მას ცოდვის მოსაძანებლად მიკენის უგზური მეფის, ევრიხთეოს 12 წლის სამსახური გადაუწყვიტა.



ევრისტეომ მას 12 საშინელი საქმის გაკეთება დაავალა, რომელიც ჰერაკლემ ბოლოს და ბოლოს შეასრულა; ამით იგი ცოდვებისაგან განიწმინდა და ღმერთებისაგან ოლიმპოზე **ქვეყნის** მივიდა.

ჰერაკლეს 12 გმირობისაგან მხოლოდ უმთავრესს ატლანტის მსახურს ევრისტეოს დავალებით მან ნემგოს ლომი მოჰკლა, რომელსაც ისეთი ტყავი ჰქონდა, რომ მისი დაკოდვა ისრით შეუძლებელი იყო. ჰერაკლემ გაატყავა ლოპი და ტყავი თვითონ ჩაიცვა. ამით იგი უვნებელი შეიქმნა. მეორედ მან ცხრათავიანი გველი ე. წ. **ლერნის შიდრა** მოჰკლა. ეს ცხოველი საოცარი იყო: რამდენ თავს მოსჭრიდი, იმდენი ახალი გამოებზეოდა. ჰერაკლემ შემდეგი ხერხი იხმარა; მან მოუყიდა ცეცხლი კეტს, და როგორც კი მოსჭრიდა გველს თავს, იმწამსვე ცეცხლმოკიდებული კეტით კისერს მიაწვავდა; ამის შემდეგ ახალი თავი აღარ იზრდებოდა, და ჰერაკლემ საშიში მხეცი მოჰკლა.

ევრისტეოს ასულის თავალებით, ჰერაკლემ **ამაზონების** დედოფალს სარტყელი მოსტაცა და თავის ბრძანებულს გადასცა. უდიდესი გმირობა ჰერაკლემ დაბოლოს შეასრულა. ევრისტეოს დავალებით მას ო როს ვაშლები უნდა მოეთანა, რომელნიც ქვეყნის ბოლოში ნიმფების ბაღში იზრდებოდნენ. ჰერაკლემ ქვეყნის კიდეს მიადწია და ტიტანს **ატლანტს** დახმარება სთხოვა. ატლანტს თავის მხრებზე ცა ეჭირა და ამიტომ არსად წავლა არ შეეძლო. ჰერაკლემ გამოართვა ტვირთი ატლანტს და მის მოსვლამდი ცა თვითონ დაიჭირა. დასასრულ ევრისტეომ გმირს საიქიოს დარაჯის, **ცერბერის** მოყვანა დაავალა. ჰერაკლემ ეს დავალებაც შეასრულა.

**თქმულება თეზეოს შესახებ.** თეზეო ათენელთა მეფის **ევგონის** შვილი იყო. თექვსმეტ წლამდი იგი სხვაგან ცხოვრობდა. ბოლოს მამასთან დაბრუნება გადაწყვიტა და გზაში მრავალი გმირობა ჩაიდინა. მან მოსპო მრავალი მხეცი და ავაზაკი, რომლებიც ადამიანთ საშინელ ვნებას აყენებდნენ. სხვათა შორის აღსანიშნავია **პროკრუსტოს** მოკვლა, რომელიც იჭერდა მგზავრებს და თავის სარეცელზე აწევინდა; თუ მგზავრისთვის სარეცელი მოკლე აღმოჩნდებოდა, პროკრუსტო იმ შემთხვევაში თავის მსხვერპლს ფეხებს სჭრიდა, და თუ გრძელი აღმოჩნდებოდა, მაშინ იგი მგზავრს გაჭიმავდა, რათა სარეცელის სიგრძის გამხდარიყო.

კრეტას მეფემ **მინოსმა** ათენელებს საშინელი ხარკი დაადვა. ყოველწლივ კრეტაზე 7 ასული და 7 ვაჟი უნდა გაეგზავნათ, რომელთაც მინოსი საშინელ **მინოტავრს** შესაქმელად აძლევდა. მინოტავრი **ლაბირინტში** ცხოვრობდა, საარაკო სიდიდის შენობაში, რომელიც



მელსაც ათასი მიხვეულ-მოხვეული გასასვლელი ჰქონდა. როდესაც მოვიდა დრო მესამეჯერ ხარკის ვაგზავნისა, თეზომ გადაწყვიტა, შვიდ ვაეთან ერთად ავითონაც წასულიყო, რადგანაც მინორტავრის მინორტავრის მოკვლისა. როდესაც მინოსის ასულმა ბრძანება მიიღო დაიანხა, იწმამვე შეუყვარდა იგი და ლაბირინტში შესვლისას ძაჟის მურგვი გადასცა, რომლის საშვალეებითაც თეზოს უკან გამოსავლელი გზის გამოგნება უნდა მოეხერხებია. თეზო გაბედულად შევიდა ლაბირინტში, მოჰკლა მინორტავრი და გამოსავლისაკენ ძაფს გამოჰყვა. მან არიადნაც თან წამოიყვანა ათენისაკენ, მაგრამ გზაში იძულებული შეიქმნა დაშორებოდა მას, რადგანაც ბედს იგი ერთ-ერთი ღმერთის ცოლად უნდა გაეხადა.

თეზო დანაღვლიანდა და ფიქრში გართულს სრულიად დაავიწყდა შავი იალქნების გამოცვლა, რაც ეგეოსისთვის გამარჯვების ნიშანი უნდა ყოფილიყო. როდესაც ეგეოსმა შავ იალქნიან ხომალდს მოჰკრა თვალი, იფიქრა, ჩემი შვილიც მინორტავრის სხვერპლი გაჰხდარაო, და ჯავრით ზღვაში დაიღრჩო თავი. ამის შემდეგ ამ ზღვას ეგეოსის ზღვა უწოდეს.

**თქმულება არგონავტების შესახებ.** ერთ მეფეს პირველი ცოლას ხელში ორი შვილი ჰყავდა, ვაჟი—**ფრიქსი** და ქალი—**ჰელა**. დედინაცვალს ბავშვები არ უყვარდა და, მისი ცდით, გადაწყდა, ფრიქსი ძევსისთვის მსხვერპლად შეეწირათ. მაგრამ ღმერთებმა ყმაწვილი შეიცოდეს და სამსხვერპლოდ განზადებულს ციდან ოქროს ვერძი გამოუგზავნეს. ფრიქსი და ჰელა ვერძს მოახტნენ და აღმოსავლეთისაკენ გაფრინდნენ. ჰელა გზაში ვერძიდან გადმოვარდა და ზღვაში დაიღრჩო (ამიტომ ზღვას **ჰელესპონტი** უწოდეს); ფრიქსი კი **კოლხიდაში** მიფრინდა და ვერძი ძევსს შესწირა, ხოლო მისი ოქროს ტყავი (საწმისი) კოლხიდის მეფეს **აეტხ** უთავაზა. მეფემ ტყავი მუხახუ ჩამოკადა და დარაჯად ვეშაპი მიუჩინა.

როდესაც გმირი **იაზონი** ოცი წლის შეიქმნა, მან თავის ბიძას **პელიოსს** ტახტის დათმობა სთხოვა, რომელიც მას იაზონის მამისთვის წაერთმია. პელიოსი დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ იაზონი კოლხიდიდან ოქროს საწმისს მოიტაცებდა. იაზონმა საბერძნეთის ყველა გმირს მოუხმო, მოგზაურობაში მონაწილეობა მიეღოთ. სხვათა შორის **ჰერაკლე, თეზეო და ორფეოც** გამოცხადდნენ. ჩასხდნენ გემში, რომელსაც **არგო** ეწოდებოდა (თვითონ მათ ამიტომ **არგონავტების** სახელი მიიღეს) და კოლხიდისაკენ გაემგზავრნენ. ორფეო შესანიშნავი მომღერალი იყო და, როდესაც გემი დაიძრა, მან სიმღერა დაიწ-



ყო; თევზებს იმდენად მოეწონათ ეს სიმღერა, რომ ვემს გარდაებით აედევნენ.

გზაში გმარებმა მრავალი დაბრკოლება გადაუტყვევებელი კოლხიდას მიაღწიეს. ოქროს საწმისის მოტაცებუ მღელღელეუყო მავრამ. აეტის ასულს მედეას იაზონი შეუყვარდა, და მისი დახმარებით საქმე სასურველად დაბოლოვდა. მედეა გრძნეული ქალი იყო და მან ვეშაპის დაძინება მოახერხა, რომელიც ოქროს ტყავს (საწმისს) დარაჯობდა. იაზონმა ავით ისარგებლა და საწმისი მოიტაცა. დილას, ცისკარზე არგონავტები სამშობლოსაკენ გაბრუნდნენ. მათ მედეაც თან გაჰყვა. აეტმა არგონავტებს ჯარი დაადევნა. ჯარის წინამძღოლად მედეას ძმა იყო, რომელიც მედეამ მოსალაპარაკებლად შეიტყუა და იაზონს მოაკვლევინა. ამის შემდეგ არგონავტებმა სამშობლოს მიაღწიეს, მაგრამ პელიოსმა თავისი აღთქმა არ შეასრულა და იაზონს ტახტი არ დაუბრუნა. მედეამ სამაგიეროს გადახდა განიზრახა. მან დაარწმუნა პელიოს ქალიშვილები, მამა თქვენს ახალგაზდობას დაუბრუნებ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ჯერ მოკლულ იქმნესო. ქალიშვილებმა მამა მოკლეს, მაგრამ მე-



ჰომეროსი.

დეამ იგი აღარ გააცოცხლა. ხოლო საქმეს ვერც ამით ეშველა, რადგანაც სამეფო ტახტზე პელიოსის შვილი ავიდა, რომელმაც მედეა და იაზონი განდევნა.

იაზონი კორინთოში დასახლდა. აქ იგი მეუღის ოჯახს დაუახლოვ-

და და ბოლოს მისი ასულის შერთვა გადაწყვიტა, რათა ამხარად სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამხდარიყო. ექვიანობით გარისხებულმა მედეამ იაზონის საცოლედ დალუბა, თ ვისი შვილები და დაიშალა. დარჩა იაზონი მარტოდ-მარტო, უიმედოდ ცხოვროვებდა. ერთად ერთი მისი ნუგეში ძველი გემი, აზგო იყო. ერთხელ მოხუცი იაზონი გემის ჩრდილში ისვენებდა, უეცრად გემი დაიხსხვრა და მცხოვანი გმირი ქვეშ მოიყოლიაო, ამბობს თქმულება.

სხვა თქმულებათა შორის განსაკუთრებით გავრცელებული იყვნენ თქმულებანი **ტრანელების ომის** შესახებ. ყველა ეს თქმულება, ჰეიქრობდენ, ერთად შეაგროვა და დაამუშავა სახელოვანმა **პომეროსმა** და ორი წიგნი შეადგინა: **ილიადა** და **ოდისეა**. პირველში მოთხრობილია ამბები თვით ომის შესახებ, ხოლო მეორეში—ერთერთი გმირის, **ოდისეოს** მოგზაურობა ტროადან სამშობლომდე.

**ორაკული.** მთელ საბერძნეთში გავრცელებული იყო რწმენა, თითქო ღმერთები ზოგ ალაგას ადამიანთ თავის აზრს უზიარებენ და გაკირვების დროს რჩევას აძლევენ. ასეთი ალაგები წმიდად იყვნენ მიჩნეული; იქ ტაძრებს აგებდენ და მსურველებს ღმერთების სახელით რჩევის აძლევდენ. ასეთ დღეილებს **ორაკულს** (მისანი) უწოდებდენ. ყველაზე უფრო სახელგანთქმული ე. წ. **დელფოს** ორაკული იყო.

პარნასის მთის კალთაზე ერთერთ ადგილას ორთქლი ამოდიოდა, რომელიც ადამიანს აბრუებდა და ათრობდა. ბერძნებს ვერა ვზით ვერა აეხსნათ ეს გარემოება და ფიქრობდენ, უთუოდ ამ ორთქლის საშვალეებით ღმერთი თავის სურვილსა და აზრს ამცნობს ადამიანსო. ამიტომ აქ ტაქარი ააგეს, და თვით ამ ალაგას, სადაც ორთქლი ამოდიოდა, სამფეხი მოაწყვეს და ზედ ერთერთ მოგვ ქალს (პითიას) აჯენდენ, რომელზეც ორთქლი მოქმედობდა და უაზროდ ალაპარაკებდა. მოგვები მის ნალაპარაკებს თავისებურად ხსნიდენ, ლექსად სწერდენ და შემდეგ აბარებდენ იმას, ვისაც ღვთის ნებისა და აზრის გაგება უნდოდა. რადგანაც მთელი საბერძნეთიდან მოდიოდა აქ ხალხი, მოგვები საბერძნეთის მდგომარეობას მათთან ლაპარაკის დროს ეცნობოდენ და ამიტომ ღმერთების სახელით შეკითხვაზე მუდამ გონიერ პასუხს იძლეოდენ.

დელფოს ორაკულის სახელი მთელ საბერძნეთში იყო გავრცელებული და ყველა თანაბარი პატივისცემით ეპყრობოდა მას.

**ამფიკტიონები.** დელფოში, რა თქმა უნდა, მრავალი სიმდიდრე გროვდებოდა. საკირო იყო ამ სიმდიდრისა და თვით ორაკულის

დაცვა, და რადგანაც ორაკული მთელი საბერძნეთის სიერთა წმი-  
დათა წმიდას შეადგენდა, ამიტომ ეს საქმე თითქმის მთელსა სა-  
ბერძნეთმა იღვა თავს. თორმეტ მეზობელ სახელმწიფოთაგან თი-  
თოეულს დელფოში ორ-ორ წარმომადგენელი ჰყავდა, რომელნიც  
ერთად იკრიბებოდნენ და ორაკულის დაცვის შესახებ მსჯელობდნენ.  
ამას გარდა ეს საერთო წერმომადგენლობითი დაწესებულება ე. წ.  
ამფიქტიონები (მეზობლები) ზოგიერთს საერთაშორისო საკითხსაც  
არჩევდნენ, ასე რომ საბერძნეთის ცხოვრებაზე საკმაოდ დიდ გავლენას  
ახდენდნენ. იგინი წელიწადში ორჯერ იკრიბებოდნენ, შემოდგო-  
მაზე და გაზაფხულზე, და უფრო ხშირად ორაკულის ტაძრის გამშვენ-  
იერებისა და ვაძლიდრების შესახებ მსჯელობდნენ.



ოლიმპიის დლეობა

დელფოს ამფიქტ ონებს გარდა, ასეთივე კავშირი საბერძნე-  
თის სხვა ადგილებშიც იყო. ასე რომ პირველ ხანებში ბერძენ ტომთა  
ვაერთიანება სარწმუნოების ნიადაგზე დაიწყო.

**დლეობები.** საბერძნეთში უძველესი დროიდანვე სხვადა-  
სხვა ალაგას და სხვადასხვა დროს ამა თუ იმ ღმერთის ან გმირის  
სახელზე საჯარო თამაშს (დლეობას) აწყობდნენ ხოლმე, მაგალითად  
დელფოში, ისტმოსზე, არგოლიდაში და ოლიმპიაში.



განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ილიშვილის დღეობას ჰქონდა. აქ მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რბენაში. კიბაო-



ეროვნული  
ზიგლოქოსეა



მოჭიდავენი.

ბაში, ბტომაში და საერთოდ ფიზიკურ სავარჯიშოებში. მაგრამ ამას გარდა გონებრივი ხასიათის შეჯიბრებაც ხდებოდა, ასე რომ აქ ხშირად მგოსნები და მწერლები თავის ნაწარმოებთ ჰკითხულობდნენ და მომხარულნი იყვნენ. ბელონიას აწიანბდნენ ხალხს. დღეობაში ყველას ჰქონდა მონაწილეობის მიღების უფლება, თუ კი იგი ბერძენი იყო. ამ გარემოებას კი ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამით ბერძნები თავის ერთიანობას გრძნობდნენ და თავს სხვა ერებს უპირდაპირებდნენ. ეს მათი ეროვნული თვითშეგნების განვითარების მომასწავებელი იყო. საერთო თამაშის დროს ომიანობაც კი შეწყდებოდა ხოლმე. ვინც გაიმარჯვებდა, მისი სახელი მთელ საბერძნეთში ვრცელდებოდა; თვით მას კი საჩუქრად მხოლოდ უბრალო დაუნის გვირგვინს აძლევდნენ და ზოგ შემთხვევაში ძეგლასც კი უღვამდნენ; სავაგიეროდ მას უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ, და როდესაც გამარჯვებული სამშობლოში დაბრუნდებოდა, მთელი ქალაქი მას დიდი ზემოთ ხვდებოდა. იყო შემთხვევები,



როდესაც თვით ქალაქის ვალავანსაც კი ანგრევდნენ: როცა სა-  
ქიროა ვალავანი იქ, სადაც ასეთი მოქალაქენი არიანო, ფიქრობდნენ  
ბერძნები.

ეროვნული  
ბიზანტიუმი



მოკიდავე ქალი.



დისკობოლი.

8.

### საბერძნეთი VIII და VII საუკუნეებში.

საბერძნეთის საახალშენო მოძრაობას განსაკუთრებით მერვესა და მეშვიდე საუკუნეებში დიდი შედეგები მოჰყვა თან.

**ვაქრობა-მრეწველობა.** ახალშენის ბერძნებს ბევრგან განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება: ერთი მხრით ახალი მიწა-წყალი ყველგან როდი იყო ნოყიერი ნიადაგით მაინც და მაინც მდიდარი, მეორე მხრით კი იქ ან დიდძალი საბალახოები მოიპოვებოდა ან და სხვადასხვა ლითონის მადნები. ამავე დროს ირგვლივ უცხო ტომის ხალხი ცხოვრობდა, რომელიც სიამოვნებით ცვლიდა თავის ნაწარმოებს სხვადასხვა საქონელზე. ყველა ეს მიზეზი საკმაო იყო მისთვის, რომ ახალშენთა ბერძნებს განსაკუთრებული გულისყური ვაქრობა-მრეწველობისათვის მიეპყროთ. ამ მხრით ყველაზე ადრე იონელთა ახალშენებმა და მათ შორის მილეტმა დაიწყო მოქმედება. აქ ჩაისახა და განვითარდა საფეიქრო მრეწველობა, რომელსაც აქაური მდიდარი საბალახოები უწყობდა ხელს. ფეიქრობა შემდეგ თვით ბალკანებზეც გავრცელდა, და აქ განსაკუთრებული სახელი მრეწველობის ამ დარგში შეგარამ მოიპოვა.

ფეიქრობას თან მოჰყვა ლითონის დამუშავებაც, რომელიც პირველად ევბეაზე დაიწყო და შემდეგში ყველგან გავრცელდა, და მე-  
 კურტლებია: კორინთოს. თიხის კურტლეულობა მთელ ქაბერქანეთში იყო გავრცელებული.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ვითარდებოდა ვაჭრობაც, და უმთავრეს სავაჭრო ცენტრებად იგივე ქალაქები შეიქმნენ, რომელნიც მრეწველობის სათავეში იდგენ. მცირე აზიის ქალაქთა შორის უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა მილეთმა მოიპოვა; იგი იყო ის მთავარი ცენტრი, რომელიც მთელი იმდროინდელი აზიის ვაჭრობას მიმართულებას აძლევდა. დასავლეთით ვაჭრობის სათავეში სიბარიის იდგა; მისი მიმდინარე და ფუფუნება იმდენად თვალსაჩინო შეიქმნა, რომ ფუფუნების მოყვარულთ დღესაც ყველას „სიბარიტს“ უწოდებენ. თვით ბალკანებზე ვაჭრობას კორინთო აძლევდა მიმართულებას, ხოლო შორეულ დასავლეთთან უმთავრესად ფოკეას ჰქონდა სავაჭრო კავშირი გაბმული.

ამათ გარდა იყვნენ ისეთი ქალაქებიც, რომელთაც თუმცა მრეწველობის მხრივ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ ვაჭრობის სათავეში იდგენ და ამ მიზეზით დიდ სიმდიდრეს აგროვებდნენ. ასეთი იყო მაგალ. პატარა კუნძული ეგინა, რომელიც იმდენად გამდიდრდა და გაძლიერდა, რომ ერთდროს საბერძნეთის ქალაქთა შორის ყველაზე უფრო სახელოვანი ადგილი დაიკავა.

ვაჭრობის ძლიერი განვითარება შეუძლებელი იყო, თუ საბერძნეთში ერთს ყველასთვის სავალდებულო წონისა და ზომის ერთეულებს არ შემოიღებდნენ. ბოლოს და ბოლოს მთელს საბერძნეთში ორი ასეთი ერთეული დამკვიდრდა: ეგინისა და ევბეის. ამასთან ერთად საკირო იყო ფულის შემოღებაც, ე. ი. ისეთი ნივთის, რომელსაც სახელმწიფოს ბეჭდით დამოწმებული განსაზღვრული ღირებულება ჰქონდა. ასეთი ფული პირველად მცირე აზიის ერთერთ ქვეყანაში, ლიდიის გამოიგონეს (8 საუკუნე.), საიდანაც იგი საბერძნეთში გავრცელდა. ბერძნებს ორნაირი ფული ჰქონდათ, ერთი იყო ეგინისა და მეორე ევბეისი. პირველს ხმარობდნენ როგორც ბალკანებზე კორინთოს გარდა, ისე კიკლადებსა და კრეტაზე; მეორეს კი მხოლოდ კორინთოსა და მის ახალშენებში ჰქონდა გასავალი. აქედან ცხადად სჩანს, რომ მთელი საბერძნეთი ორს სავაჭრო სარბიელად ყოფილა გაყოფილი, რომელთაგანაც ერთს კორინთო უნდა დგომოდა სათავეში, ხოლო მეორეს—ეგინა.  
 დემოსის მდგომარეობა. ფულის შემოღებასთან ერთად ვაჭრობა-



მრეწველობა კიდევ უფრო უნდა გაცხოველებულიყო; ვაჭრობის კლი-  
 ლობდა, რაც შეიძლება მეტი საქონელი ვაესაღებინა და თავისი  
 სიმდიდრე ფულად ექცია, ხოლო მრეწველი დაიხურა და დაიწყო მხოლოდ  
 რაც შეიძლება მეტი საქონელი დაემზადებინა და დაეწავლა მათ  
 წარმოება რაც შეიძლება იათად დაჯდომოდა. ამ მიზნისთვის კი  
 განსაკუთრებით ხელსაყრელი მონათა მუშა ხელი აღმოჩნდა: მონის  
 შენახვა შედარებით იაფი იყო, ამავე დროს პატრონს ნება ჰქონდა,  
 მონა იმდენ ხანს ემუშავებინა, რამდენსაც საჭიროდ და სასარგე-  
 ბლოდ დაინახავდა.

მონობა თუმცა წინადაც გავრცელებული იყო საბერძნეთში,  
 მაგრამ ახლა მან ძლიერ ფართო 'ხასიათი მიიღო. პირველად მონ-  
 ნების საშუალებით საფეიქრო მრეწველობის წარმოება მილეტში  
 სცადეს, და შემდეგში მთელი საბერძნეთის წარმოება მათს ხელში  
 გადავიდა.

მდიდარ ახალშენებში მიწის დამუშავებასაც მონების საშუა-  
 ლებით აწარმოებდნენ; ეს გარემოება კი ძლიერ აიაფებდა პურს, და  
 ამიტომ საბერძნეთის გლეხკაცობა იძულებული შეიქნა—მეურნეო-  
 ბისათვის თავი მიენებებია და ახალშენების იაფი პურით ესარგებ-  
 ლებია. იგი თავის მცირე მამულს მდიდრებს უფირავებდა ან ჰყიდ-  
 და და ამნაირად ხელს უწყობდა, რომ მდიდართა ხელში დიდძალი  
 მამული მოგროვებულყო. ამასთანავე იგი მიწასთან ერთად თავის  
 თავისუფლებასაც ჰკარგავდა, რადგანაც თავის დროზე ვალს ვერ  
 იხდიდა, და ვალის სარგებელში მდიდრის ყმადა და მონად იქცეოდა.

ამგვარად, ამ ხნის განმავლობაში მთელი საბერძნეთის მოსა-  
 ხლეობა ორს დიდ ნაწილად გაიყო: ერთი მხრით იყვნენ მდიდარი  
 ვაჭარ-მრეწველნი და მეორე მხრით—გალარიბებულნი ხალხი.

**ესიზმენტები.** ამ უკანასკნელის მდგომარეობა დღითი დღე უა-  
 რესდებოდა; იმას გარდა, რომ იგი ნივთიერად სრულიად დამოკი-  
 დებული იყო მდიდრებზე, უფლებების მხრივაც მათ ემორჩილებოდა,  
 რადგანაც მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მათს ხელში იყო.  
 ლარიბთა რიცხვში ყველა ერთია, ვისაც დიდი სავაჭრო ან სამრე-  
 წველო დაწესებულება არ ჰქონდა; ასეთები კი მრავალი იყო. რა  
 თქმა უნდა, იგინი ვერ შეურიგდებოდნენ თავის უბადრუკ მდგომა-  
 რეობას. ამიტომ იგინი საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქში მეშვიდე  
 საუკუნიდან დაწყებული «დემოსის» ანუ ხალხის სახელით შეჯგუფ-  
 დნენ და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვეს. მათი  
 სურვილი იყო, სახელმწიფოს ისეთი კანონები დაეწესებია, რო-  
 მელნიც მათ მდგომარეობას შეამსუბუქებდა და მდიდართა თვით-

ნებობისაგან უზღუნველყოფდა. მათი ასეთი მოთხოვნის შედეგი ის შეიქმნა, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში განსაკუთრებული პირები აირჩიეს, რომელთაც შესაფერისად მისი შედეგა დაავალეს, და რომელნიც ისტორიაში სახელით არიან ცნობილნი.

ამ ესიმენტთა შორის ყველაზე უძველესად ძალევეკის ითვლება, და მეორე დრაკონი და ლიკურგოსი, რომელთა შესახებაც დაწვრილებით შემდეგ გვექნება საუბარი.

ესიმენტების მოღვაწეობის უშთაფრესი შედეგი ის იყო, რომ ბერძენთა სხვადასხვა ქალაქებში დადებეთი კანონმდებლობა გაჩნდა, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფთა ურთიერთ დამოკიდებულებას აწესრიგებდა. მაგრამ ასეთი კანონმდებლობა სრულიად არ ეხებოდა თვით წესწყობილების საფუძველებს, რომელთაც მდიდართა ბატონობა ეყრდნობოდა. ამიტომ ღარიბთა მოლოდინს ესიმენტები ვერ ამართლებდენ, და დემოსი ხელახალ მოთხოვნილებებს აყენებდა. ის მთელს თავის გაპირებულ მდგომარეობას იმაში ხედავდა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში სწორედ ის ხალხი იდგა, რომლისაგანაც იგი ნივთიერად დამოკიდებული იყო. დემოსი ამ მიზეზით თვით წესწყობილების წინააღმდეგ ილაშქრებდა. მისი აზრით, ხალხის მდგომარეობა მაშინ გაუმჯობესდებოდა, თუ რომ მართვა-გამგეობა მდიდრებს ჩამოერთმეოდა და ერთ კაცს მაინც გადაეცემოდა, რომელიც მარტო მდიდართა ინტერესებით კი არა, მთელი ხალხის ინტერესებით იხელმძღვანელებდა. ამგვარად, მეშვიდე საუკუნეში დემოსი რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა და მონარქიულ წესწყობილებას იცავდა.

**ტირანია.** ეს იყო ახალი ხანა ბერძენთა ისტორიაში, რომელიც დემოსის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ხალხის საუკეთესო და სახელგანთქმულმა პირებმა ისარგებლეს მისი ასეთი განწყობილებით და მალე ხელში თვითმპყრობელის უფლებები ჩაიგდეს, რომელიც თავის ოჯახში კარგა ხნით სამემკვიდროდ გახადეს.

ამ ახალ თვითმპყრობელთ ბერძენები ტირანებს უწოდებდენ, ხოლო თვით ახალ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას—ტირანიას.

როგორი იყო ამ ხანის დამახასიათებელი თვისებები? ტირანები უმეტეს შემთხვევაში გონიერი ხალხი აღმოჩნდენ. იგინი ხედავდენ, რომ მათი ბატონობა მარტოდ მარტო დემოსის თანაგრძნობას ეყრდნობოდა, და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდენ, ოღონდ როგორმე ხალხის მოლოდინი გაემართლებიათ. ამ მიზნით იგინი სახელმწიფოს ხარჯათ საზოგადო სამუშაოებს მართავდენ:



გაყავდათ ქუჩები, აწყობდნენ წყალადენებს, აგებდნენ ტაძრებსა და სხვა საზოგადო შენობებს. ეს გარემოება კი საკმაოდ საძუშათს აძლევდა დემოსს და მის ნივთიერ მდგომარეობას ~~საგარეო~~ აუმჯობესებდა. თვით ქალაქები კი კულტურულად ~~მალე~~ და ხელოვნება ჰყვავდა. ტირანები განსაკუთრებულ მფარველობას მგობნებხაც უწევდნენ; ამიტომ ტირანიის დროს პოეზიაც ჩქარი განვითარების გზას დაადგა.

ტირანები დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ განსაკუთრებით ისეთს სარწმუნოებრივ უქმეებს, რომელსაც წინად მარტო დაბალი ხალხი დღესასწაულობდა. ტირანებმა ასეთი დღეები სახელმწიფო უქმეებად დააწესეს. ბევრ ალაგას, სადაც ბატონყმობა კიდევ არსებობდა, ტირანებმა გლეხობა სავსებით გაანთავისუფლეს.

ამნაირად, ტირანია სასარგებლო ხანა აღმოჩნდა საბერძნეთის ისტორიაში: მან ხელი შეუწყო დაბალი ხალხის განვითარებას, და მართვაგამგეობის დემოსის ხელში გადასვლას ნიადაგი მოუმზადა.

ტირანია ხანგრძლივად ვერ დაკმაყოფილებდა დემოსს. ამიტომაც შეექვხე საუკუნის განმავლობაში საბერძნეთში ყველგან ახალი მოძრაობა გაძლიერდა, რომლის მიზანიც სახელმწიფოს მართვაგამგეობის ხალხის ხელში გადაცემა იყო. მაგრამ საბერძნეთის ისტორიაში ამ საუკუნიდან დაწყებული განსაკუთრებული მნიშვნელობა ორმა სახელმწიფომ მოიპოვა—**სპარტამ** და **ათენმა**, და მთელი დანარჩენი დროის ისტორიას ეს ორი სახელმწიფო აძლევდა მიმართულებას. ამიტომაც მთელი საბერძნეთის ისტორიის ვასათვალისწინებლად საკმარისი იქნება, თუ რომ ამ ორი სახელმწიფოს ცხოვრების ვაცნობით დაკმაყოფილდებით.

11.

ს პ ა რ ტ ა .

**გეოგრაფიული მდებარეობა და მოხაზლეობა.** სპარტა ლაკონიის მთავარი ქალაქი იყო, რომელიც მალე ძლიერ სახელმწიფოდ შეიქმნა და მთელ პელოპონესს სათავეში მოექცა. მას მდინარე **ევროტის** ქალა ეკავა, რომელიც ყოველი მხრით მთებით იყო გარს შემორტყმული, გარდა სამხრეთისა, სადაც მას ზღვისაკენ ჰქონდა პირი მიბრუნებული. თუმცა აქა იქ მწვანე მინდვრები და ნოყიერი ყანები საკმაოდ მოიპოვებოდა, მაგრამ საერთოდ სპარტას ნიადაგი პურის მხრივ მოსახლეობას არასდროს არ უზრუნველჰყოფდა. სამაგიეროდ მთების კალთები ტყეებით იყო მოფარული, რომლის

გარეულ ცხოველთა და ფრინველთა სიუხვეც სპარტანელებს იმთავითვე ნადირობას აჩვევდა. მდიდარი რკინის მადნები კი მოსახლეობას იარაღის მხრივ ყოველთვის უზრუნველყოფდა.

ერქონული

ზნუზიჩქიქქა



სპარტა.

ლაკონიის პირველყოფილი მოსახლეობა აქველთა ტომს ეკუთვნოდა. მეთერთმეტე საუკუნის განმავლობაში იგი დორიელებს და-მორჩილდა და რადგანაც სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება ამ უკანასკნელთა ხელში გადავიდა, სახელმწიფო ცხოვრების გარეშე დარჩა: დაპყრობილი აქველები სპარტის მოქალაქეებად არასდროს არ ითვლებოდენ და არც არაფითარი სახელმწიფოებრივი უფლებით არ სარგებლობდენ. იგინი ორს დიდ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი: ერთი ჯგუფი სრულიად მოკლებულა იყო პირად თავისუფლებას და მისი წევრები სახელმწიფოს საკუთრებად ან მონებად ითვლებოდენ. ესენი იყვნენ ე. წ. ილოტები. რადგანაც მათი რიცხვი დიდი იყო,\*) მათი ეშინოდათ და განსაკუთრებული პოლიციის საშვალეებით, რომელიც ახალგაზნდა მოქალაქეებს ევალებოდა, გამუდმებულ თვალყურს ადევნებდენ და დრო გამოშვებით, თუ კი

\*) სპარტას მთელი მოსახლეობა დაახლოებით 300000 კაცს უჭირდა, აქედან ვაბატონებულთა რიცხვი მხოლოდ 12000 იყო.

ვინმე არა საიშეოდ მოეჩვენებოდათ, ხოცდენ კიდევ. ბარბა-  
როსული ჩვეულება კრიპტიის სახელით იყო ცნობილი.

მეორე უფრო მცირე ჯგუფი, ე. წ. **პერიეები** ცოტა უკეთეს მდგომარეობაში იყო. ესენი პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ, თავისი საკუთრება ჰქონდათ და ვაჭრობა-მრეწველობას ეწეოდნენ. ამიტომ მათ შორის ხშირად საკმაოდ მდიდარი ხალხიც მოიპოვებოდა. ივინი სახელმწიფო გადასახადსა და სამხედრო ბეგარას იხდიდნენ, ხოლო მოქალაქეობრივი უფლებები არც ამათ ჰქონდათ.

მესამე ჯგუფს, რომელიც **სპარტიატების** სახელით იყო ცნობილი, თვით დორიელები შეადგენდნენ. მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მათ ხელში იყო და სრულ მოქალაქეებად მარტი ისინი ითვლებოდნენ.

ყველა ამ ჯგუფებს შორის გარდუვალი უფსკრული არსებობდა. სპარტიატები თავისი სისხლის სიწმინდეს ძლიერ აფასებდნენ და ამიტომაც არცერთ სპარტიატს არ ჰქონდა უფლება, სხვა წოდების ქალი თავის კანონიერ მეუღლედ გამოეცხადებია. ამის გამო სპარტიატების რიცხვი მცირდებოდა; ეს კი მათი ბატონობისათვის ძლიერ სახიფათო იყო; მაგრამ თავისი წოდების სიწმინდეს ივინი მაინც ვერ ელეოდნენ და აწნაირად დაღუპვის უფსკრულისაყენ თავისი ნებით მიექანებოდნენ.

სპარტას მოსახლეობა, როგორც ვხედავთ, არსებითად ორ ჯგუფად იყოფოდა. ერთი იყო მცირე რიცხოვანი ჯგუფი სპარტიატებისა, რომელიც უცხო ქვეყნიდან ლაკონიაში შემოიხიზნულიყო და მთელი აქაური მოსახლეობა დაეპყრო, ხოლო მეორე ჯგუფს ის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა შეადგენდა. რომელიც სპარტიატებს დამორჩილებოდა და დამონავებოდა. რა თქმა უნდა, ამ პირობებში სპარტიატები ყოველ საშუალებას იხმარდნენ, რათა თავისი ცხოვრება ისე მოეწყოთ, რომ მრავალრიცხოვანს მკვიდრ მოსახლეობას მათი ბატონობისათვის ვერაფერი დაეკლო. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ სპარტიატები მჭიდროდ შეკავშირდებოდნენ და დაპყრობილ მოსახლეობასთან საბრძოლველად მუდამ მზად იქნებოდნენ. თვით მდგომარეობა აიძულებდა მათ ასე მოქცეულიყვნენ, და სწორედ ამიტომ მთელი აგებულება თვისი კერძო და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა ისე მოაგვარეს, თითქოს სპარტიატები ჯარისკაცთა ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომელიც მუდამ მტრის იერიშების მოლოდინში ცხოვრობდა.

**სპარტიატების აღზრდისა და ყოფაცხოვრების წესები.** სპარტიატების ასეთი მდგომარეობა ყველაზე უფრო მაგარ ბეჭედს მათს



ყოფაცხოვრებისა და აღზრდის წესებს ასვამდა. თითოეული სპარტი  
 ტიატი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა თავისი წოდების  
 წევრობის ღირსად, თუ მას მეომრის საჭირო ღირსებები ბავშო-  
 ბიდანვე ემზადებოდა. როგორც ჯარში შეუძლებელია სწავლა  
 და სუსტი აგებულების ადამიანის მიღება, სწორედ ისე იყო  
 შეუძლებელი, რომ სპარტიატთა წრეში სუსტი და ავადმყოფი  
 ახალგაზნად შესულიყო. ამიტომ სპარტიატის შვილობა სრულიად არ  
 უზრუნველყოფდა ახლად დაბადებულს, რომ იგი თავისი მშობლე-  
 ბის წოდების წევრი შეაქმნებოდა. ეს საკითხი თვით სახელმწიფოს  
 ან იმ საგვარეულო წრეს (ფილეს), უნდა გადაეწყვიტა, რომელსაც  
 ახლად დაბადებულის მშობლები ეკუთვნოდნენ. ამიტომ, როგორც  
 კი დაიბადებოდა ბავში, მას ფილეს უხუცესი წევრები სინჯავდნენ  
 და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებდნენ თავისი წრის წევრად,  
 თუ იგი საკმაოდ ჯანმრთელი და მაგარი აგებულების იყო. ვისაც  
 სხეულის რაიმე თვალსაჩინო ნაკლი ჰქონდა, იმას ან პერიეკთა  
 წოდებას მიაწერდნენ, ან და, ისტორიკოსის პლუტარქოს მოწმო-  
 ბით, ტაიგეტის კლდიდან ხრამში აგდებდნენ. ხოლო ვინც ჯანმრ-  
 თელი აღმოჩნდებოდა, იმას ცოცხალს სტოვებდნენ და შვიდი წლის  
 შესრულებამდე ბინას დედამამასთან მიუზენდნენ.

შვიდი წლიდან კი ბავშვებს ხელახლა სახელმწიფო ეპატრონე-  
 ბოდა, მიყავდა დედამამის ოჯახიდან და შკოლაში აბარებდა. აქ ბავ-  
 შები რაზმებათ იყვნენ დაყოფილი და ნამდვილს სამხედრო აღზრ-  
 დას ლებულობდნენ. ერთადერთი მიზანი, რომელსაც აქ მისდევდნენ,  
 ის იყო, რომ ბავშვებში კარგი მეომრის ყველა საჭირო ღირსება  
 გავეითარებიათ: ღონე, გამბედაობა, სისწრაფე, ნიჭი ყოველგვარი გა-  
 საჭიროს ატანისა, ჯანმრთელობა, მოხერხებულობა და სხვა. ამისათვის  
 სხვადასხვა საშვალებას ხმარობდნენ: ყოველ დღე ათასნაირს გიმნას-  
 ტიკურ სავარჯიშოს ასრულებდნენ; ვინც რასმე მოხერხებულად  
 მოიპარავდა, იმას აქებდნენ, მაგრამ ვისაც ქურდობის დროს დაიჭერ-  
 დნენ, იმას საშინლად სცემდნენ და თუ ცემის დროს ტკივილებს ვერ  
 აიტანდა და კვნესას დაიწყებდა, კიდევ უფრო სასტიკად სჯიდნენ.  
 ბავშვებს სულ უბრალო საკმელსა და საცმელს აძლევდნენ და მაგარ  
 საწოლში აძინებდნენ. გონებრივ განვითარებას ძალიან ცოტა ყუ-  
 რადლებას აქცევდნენ; მათი შეხედულებით, ჯარის კაცის გონებას  
 ჩქარი მოსაზრებისა და მოკლეთ მოკრილი პასუხის ნიჭის მეტი არა-  
 ფერი ესაჭიროებოდა (ასეთ პასუხს დღესაც ლაკონიურს უწოდებენ).  
 ხელოვნებიდან ცეკვას, სამხედრო სიმღერასა და მარტივ ხმიან

მუსიკას ასწავლიდნენ ე. ი. მხოლოდ იმას, რაც მეომროსათვის სა-  
ჭირო და გამოსადეგი იყო.

დაახლოებით ასეთივე იყო სპარტანელ ქალთა აღზრდაც, ხო-  
ლო იმ განსხვავებით, რომ აქ მთავარი მიზანი კატეგორიული იყო.  
კი არა, ჯანმრთელი დედის აღზრდა იყო. **სპარტანელი ქალები**

ასეთი აღზრდის წესები თავის მიზანს კარგად აღწევდა: სპარ-  
ტანელი ჯარი ყოველთვის სახელოვან მებრძოლად ითვლებოდა,  
ხოლო სპარტანელი ქალი იშვიათ ძიძად.

აღზრდა ოცდაათი წლამდე გრძელდებოდა. ოცდაათი წლის  
ახალგაზრდა უკვე ნამდვილ მეომრად ითვლებოდა, მაგრამ მაინც სახელ-  
მწიფოს სრულ განკარგულებაში რჩებოდა. თითოეული ახალგაზრდა  
სპარტიაცი მოვალე იყო, ერთერთ ამხანაგობაში ჩაწერილიყო, რომე-  
ლიც სისიტიას სახელით იყო ცნობილი. ასეთი სისიტეები თხუთმეტი  
კაციისაგან შესდგებოდა, რომელნიც მთელ დღეს ერთად ატარებდნენ.  
მათი დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ თითოეული სისიტიის  
წევრებს საერთო ტრაპეზები ჰქონდათ: ერთად სვამდნენ და ერთად  
ქამდნენ. სისიტიაში ყოველს ახალ კაცს მხოლოდ ძველი წევრების  
თანხმობით იღებდნენ. წევრების მოვალეობა შემდეგი იყო: მუდმივი  
მონაწილეობის მღება სისიტიაში (თუ რამ პაუვისადები მიზეზ არ  
უშლიდა ხელს, როგორც მაგალითად სანადიროდ წასვლა ან საო-  
ჯახო უქმე და სხვა ამგვარი) და საწევრო გადასახადი, როგორც  
ნიეთიერად, ისე ფულადაც. სისიტიის დიდი მნიშვნელობა იმაში  
მდგომარეობდა, რომ იგი წევრებს ერთმანეთს უახლოვებდა, და  
რადგანაც ომის დროს თითოეული სისიტია ერთად იბრძოდა,  
ბრძოლაში მეტი წესრიგი შექმნდა.

ამნაირად, სპარტიაცი სავსებით სახელმწიფოს განკარგულე-  
ბაში იმყოფებოდა; იგი მთელს თავის ახალგაზრდობას საომარ  
ვარჯიშობაში ატარებდა, ასე რომ მთელი მისი ცხოვრება თითქოს  
სამხედროდ დაბნაკებულ ჯარში მიმდინარეობდა. ეს გარემოება  
მართლაც ერთადერთი საშვალეობა იყო, იმოდენი მტრულად განწყო-  
ბილი პერიეკები და ილოტები თავისი ბატონობის ქვეშ ხანგრძლი-  
ვად შეენარჩუნებიათ.

როდესაც სპარტიაცი სამოცი წლის შესრულდებოდა, მას  
საშვალეობა ეძლეოდა, სახელმწიფო სამსახურისაგან განთავისუფლებუ-  
ლიყო და თავის კერძო ოჯახს დაბრუნებოდა.

**სახელმწიფოებრივი წესწყობილება.** სპარტაში სახელმწიფოებრივ  
მართვა-გამგეობას სათავეში ორი მეფე ედგა; ეს ორმეფობა მხო-  
ლოდ ზოგიერთ დორიელთა სახელმწიფოში არსებობდა, როგორც

მაგალ. კრებას კუნძულზე. ძნელია იმის თქმა, თუ რამ გამოიწვია ასეთი ახირებული თავისებურობა. ყოველ შემთხვევაში სპარტატიებისათვის, რომელთაც სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ხელში ჩაგდება თვითონ უნდოდათ, ეს ორმეფობა ძალიან უსიყვარულო უნდა ყოფილიყო, რადგანაც ორი თანასწორუფლებიანი მეფე მეტეტი გაძლიერებისა და თვითნებობის უფლებას ერთი მეორეს არ მისცემდნენ. ალბად ამით აიხსნება, რომ სპარტატიელებს ძალიან იშვიათად უყვარდათ ორმეფობის მოსპობა და სრული მონარქიის შემოღება. მეფეები, გარდა იმისა რომ ჯარს წინამძღოლობდნენ და მთავარ მსახურებად გამოდიოდნენ, უმთავრეს სამღვდელთა პირებადაც ითვლებოდნენ. იგინი დანიშნულ დროს სახელმწიფოს სახელით დელფოს ორაკულს მიმართავდნენ ხოლმე და ამას გარდა სპარტას საკეთილდღეოდ ყოველდღე ღმერთებს სხვერპლს სწირავდნენ. მარტო ომის დროს ჰქონდათ მათ ნამდვილი მეფური ძალაუფლება, ხოლო მშვიდობიანობის დროს მარტო საპატიო უფლებებით სარგებლობდნენ.

მეორე მნიშვნელოვანი დაწესებულება ე. წ. ეფორატი იყო, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგებოდა და პირველ ხანებში მეფეების თანაშემწეთა დაწესებულებად ითვლებოდა, ხოლო შემდგომში სპარტატიების ზეგავლენით გაძლიერდა და მეფეების მეთვალყურეთა დაწესებულებად გარდაიქმნა. ამას ალბად ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ ორ თანასწორუფლებიან მეფეს ხშირად უსიამოვნება უნდა ჰქონოდათ ერთიმეორესთან, და ამიტომაც საჭირო უნდა ყოფილიყო ისეთი დაწესებულების შექმნა, რომელიც ზოგ შემთხვევაში მეფეზე უფრო მაღლა უნდა მდგარიყო. მართლაც, ეფორებს უფლება ჰქონდათ, მეფეები პასუხისგებაში მიეცათ და, თუ საჭირო იქნებოდა, დაეტუსათ მათ კიდევ. ეფორატის მთავარი დანიშნულება მთელი სახელმწიფო ცხოვრების მეთვალყურეობაში გამოიხატებოდა. სპარტატიების მდგომარეობა ისეთი იყო, რომ თუ არ მუდმივი თვალყურის დევნებით და მაგარი დისციპლინით, სხვა გზით მათი ბატონობის შენარჩუნება შეუძლებელი საქმე უნდა ყოფილიყო. ამიტომაც მათ ისეთი დაწესებულება შექმნეს, რომელიც ამ მიზნისთვის გამოსადეგი იყო, და ისეთი უფლებებით აღჭურვეს, როგორც არცერთს სხვა დაწესებულებას არ ჰქონდა: ვინც უნდა ყოფილიყო, თუნდ თვით მეფეც, ეფორატის განკარგულებას ემორჩილებოდა. ძნელი და საშიში იყო ხანგრძლივად ვისიმე ასეთი უფლებებით აღჭურვა, მიტომ რომ მოსალოდნელი იყო, მას ამ უფლებით თავის გასაძლიერებლად ესარგებლებია და ქვეყანას დაპატრონებოდა. ეს კარგად

ესმოდათ სპარტანელებს და ამ მიზეზით ეფორებს მხოლოდ ერთი წლის ვადით ირჩევდენ.

მესამე დაწესებულება, რომელსაც სახელმწიფო მართვაგამგეობაში მონაწილეობა ჰქონდა, უხუცესთა საბჭო ანუ გერუსიის მისი შემადგენლობა 30 წევრით განისაზღვრებოდა, რომელთა რიცხვში მეფეებიც ითვლებოდენ. ყველა ამათ თანასწორი ხმის უფლება ჰქონდათ და ეფორებთან ერთად მთელი სახელმწიფოს მართვაგამგეობას სათავეში უდგენ. ყოველი საკითხი, რომელიც სახელმწიფოს შეეხებოდა, პირველად აქ უნდა აღძრულიყო და განხილულიყო. გერუსიის 28 წევრს, ე. წ. გერონტებს ხალხი ირჩევდა იმ სავოცი წლის მოხუცთაგან, რომელნიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდენ; არჩევნები უვადო იყო, ასე რომ თითოეული გერონტი გერუსიის წევრად თვისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე რჩებოდა.

ხალხის ყრილობა ე. წ. აპელე უკანასკნელი დაწესებულება იყო, რომელსაც სახელმწიფოს მართვაგამგეობაში მონაწილეობა ჰქონდა. თვითონ აპელეს ახალი კანონების ან საკითხების წამოყენების უფლება არ ჰქონდა; იგი მხოლოდ გერუსიის ან სხვა მაღალი დაწესებულების გადაწყვეტილებას ადასტურებდა ან უარყოფდა. მაგრამ მისი უფლებები ამ მხრივაც შეზღუდული იყო: ჯერ ერთი — აპელეს არ ჰქონდა უფლება, შემოტანილი საკითხის შესახებ მსჯელობა გაემართა, იგი მხოლოდ ყვირილით აცნობებდა უმაღლეს დაწესებულებათა წარმომადგენლებს თავის აზრს, და მეორე — კიდევ რომ უარყო მას რაიმე გადაწყვეტილება, გერუსიასა და მეფეებს მაინც შეეძლოთ მისი ცხოვრებაში გატარება, თუ კი მათი აზრით ეს სახელმწიფოსთვის სასარგებლო იყო.

ასეთი იყო ყველა ის დაწესებულება, რომელიც სპარტას სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მიმართულებას აძლევდა.

როგორც ვხედავთ, სპარტაში რესპუბლიკა არსებობდა, რომლის დაწესებულებებშიც მხოლოდ სპარტიატები ღებულობდენ მონაწილეობას. პერიეკები და ილოტები აპელედანაც გამორიცხული იყვნენ. ამ მიზეზის გამო სპარტას რესპუბლიკას უადრესად არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა.

ლიკურგო და მისი მოღვაწეობა. საბერძნეთის სახელმწიფოებში მართვა-გამგეობის წესები ყველგან ხშირად იცვლებოდა. გამონაკლისს განსაკუთრებით სპარტა შეადგენდა. იქაური სახელმწიფოს მართვა-გამგეობა არსებითად დიდი ხნის განმავლობაში იგივე დარჩა. ცვლილებები მხოლოდ უფლებების განაწილებას ეხებოდა,

ხოლო დაწესებულებანი თავიდანვე უცვლელი რჩებოდნენ. იგი ცვლილებებიც ისეთის წელი თანდათანობით ხორციელდებოდა, რომ ხალხი ვერაფერს ამჩნევდა. ამიტომაც იგი ფიქრობდა, ეს ყველაფერი სახელმწიფოებრივისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წესების განსაკუთრებული სიბრძნის პატრონი პიროვნებისაგან უნდა იყოს შემოღებული.

ასეთ პიროვნებად სპარტანელები ლიკურგოს თვლიდნენ, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთი მეფის ბიძა უნდა ყოფილიყო და თავისი ძმისწულის ახალგაზრდობის დროს სახელმწიფოს სათავეში მდგარიყო. როდესაც ლიკურგომ მართვა-გამგეობას თავი დაანება, სპარტაში დიდი არეულობა დაიწყო, მოგვითხრობს გადმოცემა; იგი უკანვე მოიხმეს და სახელმწიფოს მოწყობის საქმე მიანდევსო. მან სპარტანელთა მთელი ცხოვრება ახალ საფუძველზე ააგო და და'ასრულ ხალხს ფიცი ჩამოართვა—ჩემს დაბრუნებამდი ახალ წესებს ნუ შეცვლითო, და დელფოს ორაკულთან წავიდა საკითხავად, თუ როგორი იყო მისგან დამკვიდრებული წესწყობილებაო. ორაკულს უთქვამს—თუ სპარტანელები მუდამ შენი წესების მიხედვით იცხოვრებენ, მათზე ბედნიერი ხალხი არავინ იქნებაო. ლიკურგომ პითიას ასეთი პასუხი ხალხს აცნობა და თვითონ კი შიმშილით თავი მოიკლა, რათა სამშობლოში არასდროს არ დაბრუნებულიყო და სპარტანელები ერთხელ დადებული ფიცისაგან არ გაეთავისუფლებიაო.

ასეთი არის ვიდმოცემა ლიკურგოს შესახებ. თუმცა თვითონ სპარტანელებს, რაც ამ გადმოცემაშია მოთხრობილი, ყველაფერი სწამდათ, მაგრამ რადგანაც ლიკურგოს პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ ამის მეტი არავითარი სხვა საბუთი არ მოიპოვება, ამიტომ ჩვენთვის უფრო სარწმუნოა ის აზრი, რომლის მიხედვითაც სპარტას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილება ერთი პიროვნებისა და ერთი დროის საქმე კი არა, არამედ დიდი ხნის განმავლობაში და მრავალი პიროვნების ზეგავლენით შექმნილი მდგომარეობა უნდა იყოს თვით ლიკურგი კი მხოლოდ ხალხის ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

**პელოპონესის დაპყრობა და სიმაქიის წარმოშობა.** სპარტას მიწაწყალი იმდენად მცირე იყო, რომ მას მხოლოდ მცირე რიცხვანი მოსახლეობის დაკმაყოფილება შეეძლო. ამიტომ როგორც კი გამრავლდა მოსახლეობა, სპარტანელებმა ახალი ტერიტორიის ძიება დაიწყეს. ყველაზე უფრო ადრე მათი ყურადღება მესენიის ნოციერმა ყანებმა მიიპყრო. ამიტომაც მერვე საუკუნის მეორე ნახევარში

შენიას შეესივნენ და მისი დაპყრობა ძლივს ოცი წლის ომის შემდეგ მოახერხეს.



ეს იყო ე. წ. პირველი ომი მესენელებთან.

ამის შემდეგ სპარტამ თავისი მახვილი არგონავტი ალმართა, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ იძულებული გახდა აღმართული იარაღი დაეყარა და უკეთესი დროისათვის ეცადა. ეს დრო მხოლოდ მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დადგა: სპარტანელთა ჯარმა არგიველები დაამარცხა და ამით პელოპონესის აღმოსავლეთი ნაპირი ხელთ იგდო.

მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში მესენელებმა აჯანყების დროშა აღმართეს და არგიველებისა და არკადელების დახმარებით სპარტანელების ბატონობა დაამხეს. მაგრამ მას შემდეგ რაც სპარტანელთა ჯარს სათავეში მომღერალი ტირტეოსი ჩაუდგა, რომელმაც თავისი სამხედრო სამღერებით ჯარს მხნეობისა და გმირობის სული შთაბერა, მესენელები ხელახლა დამარცხებულ იქმნენ. მესენელების ერთი ნაწილი იძულებული შეიქმნა, თავისი სამშობლო დაეტოვებია და უცხოეთში გადასახლებულიყო; ხოლო მეორე ნაწილი სპარტანელებს დამორჩილდა და ილოტების წრეს შეუერთდა.

მესენიის საბოლოო შემოერთების შემდეგ რიგი არკადიაზე მიდგა. მეექვსე საუკუნის ნახევარში არკადელებსა და სპარტანელებს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც არკადია მოვალე იყო, ომის დროს სპარტას დახმარებოდა. ამავ პირობებით შეიკრა კავშირი ელიდახთანაც. ამგვარად ჩიისახა პირველი სავაჭრო, რომელზეც შემდეგში მთელი პელოპონესის კავშირი ანუ სიმაქია აშენდა. ამ კავშირს სათავეში სპარტა ჩაუდგა. შინაურ ცხოვრებაში თითოეული წევრი კავშირისა დამოუკიდებელი იყო, ხოლო საერთო საქმეებისათვის საერთო სხდომები ჰქონდათ, რომელზეც უმთავრესად ომისა და ზავის საკითხი სწყდებოდა. კავშირის თითოეული წევრი მოვალე იყო, ომის დროს სპარტანელთა განკარგულებაში განსახლებული ჯარი და ფული წარმოედგინა.

ამ კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი საშვალებას აძლევდა სპარტას, მთელი საბერძნეთის ცხოვრებაში ჩარეულიყო და მებრუნე საუკუნის დასაწყისამდე ყველგან პირველობა ანუ ჰეგემონია შეენარჩუნებია.

10.

ა თ ე ნ ი.

გეოგრაფიული მდებარეობა და მოსახლეობა. მეორე სახელ-



მწიფო, რომელსაც საბერძნეთის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ათენი, საშვალო საბერძნეთში, კატაკტუს ნაქილიკუნძულზე მდებარეობდა. ეს ნახევარკუნძული ყოველი მთიანი ნაწილი არის გარს შემორტყმული, გარდა ჩრდილოეთისა, სადაც იგი პარნასის მთაგრებილით საშვალო საბერძნეთს ეყოფა.

ატიკის ასეთს განცალკავებულ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი განზე იდგა იმ გზიდან, რომელიც საშვალო საბერძნეთიდან პელოპონესისაკენ მიიმართებოდა, და ამ მიზეზით, ხალხთა მუდმივი მოძრაობისა და გადასახლების დროს, ხელუხლებელი რჩებოდა. ყველა, ვისაც კი ამ მოძრაობის სამხედრო და სახელმწიფოებრივი შედეგებისაგან თავის დახწევა უნდოდა, განმარტოებულ ატიკაში იხიზნებოდა და აქ მშვიდობიან ცხოვრებას ეძლეოდა. ამითვე აიხსნება, რომ ატიკა რომელისამე უცხო ერის თავდასხმისა და დაპყრობისაგან თავისუფალი დარჩა. ეს იყო მიზეზი, რომ აქაური მოსახლეობა თავის თავს ავტოქტონად, ანუ აქაურს პირველყოფილ მოსახლეობად თვლიდა.

მესამე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ატიკის განკერძოებული მდგომარეობით აიხსნება, იმაში მდგომარეობდა რომ აქაური მოსახლეობა, იმ თავითვე მოწყვეტილი საბერძნეთის ხმელეთის ნაწილებს, ზღვაოსნობას ჰკიდებდა ხელს და აღმოსავლეთით მდებარე კუნძულებთან სავაჭრო კავშირს იჭერდა. ამ გარემოებას განსაკუთრებით ატიკის ნიადაგის სიმწირეც უწყობდა ხელს. პურის მოსავალი აქ იმდენად მცირე იყო, რომ მოსახლეობას არასდროს არ ყოფნიდა. სამაგიეროდ აქ მრავალი ზეთისხილი მოდიოდა, რომელიც შეიძლებოდა მეზობელ ქვეყნებში გაეტანათ და, ამგვარად, სავაჭრო დამოკიდებულებისთვის საკმაოდ მკვიდრი ნიადაგი მოემზადებიათ. ატიკის ბუნებრივ სიმდიდრეს ამას გარდა მარმარილო და ვერცხლის მადნები შეადგენდა. ყველაფერი ეს შესაფერს სავაჭრო მასალას იძლეოდა, და ალბად ამით აიხსნება, რომ ატიკა ეგეოსის ზღვის სავაჭრო ფერხულში მერვე საუკუნიდანვე ჩაება. პირველ ხანებში ატიკა ეგებებს სავაჭრო სფეროში შედიოდა და ამიტომაც აქაურს ფულის სისტემას ხმარობდა.

ატიკის მოსახლეობა იონელთა ტომს ეკუთვნოდა. წინად იგი მრავალს, სავსებით ერთიმეორეზე დამოუკიდებელ ჯგუფად იყო გაყოფილი. მაგრამ თანდათანობით, ათენის ჯგუფის მეთაურობით, მთელი ატიკის მოსახლეობა გაერთიანდა და ერთი სახელმწიფოებრივი სხეული შექმნა. ეს გაერთიანების პროცესი სინოიკისმაც სახელით არის ცნობილი და, თვით ათენელთა რწმენით, თანდა-





თანობითი განვითარების შედეგი კი არა, გვირის თუ შიშის გრძელ-  
 დროული საქმეა. მაგრამ ეს მხოლოდ ხალხის რწმენა იყო, რომელსაც  
 სინამდვილეში არავითარი საფუძველი არა ჰქონდა. **სევენი** **სინამდვილეში**,  
 რომ ეს სინოიკისმი უხსოვარი დროიდანვე დაიწყო **სინამდვილეში**  
 ლება ძლივს მეშვიდე საუკუნის დამდევისათვის მოასწრო.

ასე იყო თუ ისე, ატიკის მთელი მოსახლეობა ერთ სახელ-  
 მწიფოებრ-ვ მთლიანად გაერთიანდა, მაგრამ იგი **შთამომავლობისა,**  
**ქონებრივი მდგომარეობისა და სამხედრო მნიშვნელობის მხრივ**  
 მაინც სხვადასხვა ჯგუფებად იყო განაწილებული.

შთამომავლობის მიხედვით მთელი ატიკის მცხოვრებლები ოთხ  
 ფილედ იყოფოდა, თითოეული ფილე სამ **ფრატრიად**, და თითო-  
 ეული ფრატრია 30 **გვარად**. ამასგარდა არსებობდა აგრედვე წო-  
 დებრივი განაწილებაც: უმთავრეს წოდებას წარჩინებული **ევპატ-**  
**რიდები** შეადგენდნენ, რომელთა ხელშიც ატიკის მიწაწყლის უდი-  
 დესი ნაწილი და სრული სახელმწიფოებრივი უფლებები იყო. მე-  
 ორეს, **გეომორების** სახელით, გლეხობა შეადგენდა. გეომორების  
 უდიდეს ნაწილს საკუთარი მიწა არ გააჩნდა და ევპატრიდების მა-  
 მულს აკუშავებდა, რისთვისაც მთელი შემოსავლის ხუთ ნაწილს  
 მემამულეებს აძლევდა, ხოლო თავისთვის ერთ ნაწილს იტოვებდა;  
 ამიტომ მას **ჰექტამორიები** ეწოდებოდა. მესამე წოდებას თავისუ-  
 ფალი ხელოსნები ე. წ. **დემიურგები** შეადგენდნენ.

სამხედრო მიზნების მხრივ ატიკა 48 ნაწილად ე. წ. **ნავკარა-**  
**რიად** იყო გაყოფილი; თითოეული ნავკარიის მოვალეობას სამხედრო  
 გემების განსაზღვრული რაოდენობის დამზადება ევალებოდა.—ასეთი  
 იყო განაწილება აქაური მოსახლეობისა.

**სახელმწიფოს დაარსება და მართვა-გამგეობა.** ატიკის მოსა-  
 ხლეუბას შეკავშირება ანუ სინოიკისში ათენის გარშემო ხდებოდა.  
 ამიტომ მთელმა სახელმწიფომ მისი სახელი მიითვისა და ამიერი-  
 დან მარტო ამ სახელით შეიქმნა ცნობილი.

პირველ ხანებში, როგორც ყველგან, ათენშიც **მონარქიული**  
 წესწყობილება იყო. მაგრამ ევპატრიდების ძლიერება წინ იწევდა,  
 და აღრე თუ გვიან მონარქია უნდა დაცემულიყო და სახელმწიფო-  
 ებრივი ძალაუფლება წარჩინებულთა ხელში გადასულიყო.

როდის და როგორ მოხდა ეს, ძნელი სათქმელია; ხოლო თვით  
 ბერძნების რწმენით, მონარქიის დაცემა და ძალაუფლების ევპა-  
 ტრიდთა ხელში გადასვლა უბრალო შემთხვევითი მიზეზის გამო გან-  
 ხორციელდა. როდესაც ატიკას დორიელები დაეცნენ, მიშინ მეფედ  
**კლდრი** ითვლებოდაო, მოგვითხრობს ათენელთა ლეგენდა. დელფოს

ორაკულის წინასწარმეტყველებით, დორიელთ მხოლოდ იმ წესებზე  
ვაში ხვდებოდათ წილად გამარჯვება, თუ ივინი ათენელთა მეფეს  
არ მოკლავდნენ. კოდრომ გაიგო თუ არა ეს წინასწარმეტყველება  
გადაიკვა უბრალო მუშად, გადაიპარა დორიელთა ბანაკიდან  
ერთერთ ჯარისკაცთან ჩხუბი ასტეხა; ჯარისკაცმა, რა თქმა უნდა,  
არ იცოდა მისი ვინაობა და ჩხუბის დროს მოჰკლა. როდესაც ათენელებ-  
მა დორიელებს თავისი მეფის ცხედარი მოსთხოვეს, უკანასკნელთ,  
ორაკულის წინასწარმეტყველების მიხედვით, გამარჯვების იმედი  
დაჰკარგეს და უკან გაბრუნდნენ. ამგვარად კოდროს გმირულ  
თავგანწირულებას ათენი მტრის ბატონობისაგან უხსნია, და  
მადლიერ ერს გადაუწყვეტია: კოდროს ღირსეული მემკვიდრის  
მონახვა შეუძლებელია და ამიტომ მეფედ ნულარავინ იქნებაო, და  
სახელმწიფოს სათავეში მეფის მაგიერ უმთავრესი სახელმწიფო მო-  
ხელე ე. წ. **არქონტი** ჩაუყენებიათ. პირველ არქონტად კოდროს  
შვილი—**მედონტი** დაუნიშნავეთ.

მაგრამ ეს თქმულება სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს,  
და მონარ'იის მოსკობა და ძალაუფლების ევპატრიდთა ხელში გა-  
დასვლა შემდეგნაირად უნდა იყოს განხორციელებული.

ევპატრიდების გაძლიერებასთან ერთად მეფე იძულებული შეი-  
ქმნა, ზოგი თავისი უფლება მათთვის დაეთმო. პირველად მან ჯა-  
რის მთავარსარდლობა დაჰკარგა და ევპატრიდებს გადასცა; ასე  
წარმოიშვა ახალი დამოუკიდებელი თანამდებობა, **პოლემარქობა**.  
შემდეგში მეფეს საშინაო მართვაგამგეობის მეთაურობაც ჩამოარ-  
თვეს და ამ მიზნისთვის არჩეული თანამდებობა, **არქონტობა** შე-  
ჰქმნეს. ამგვარად მეფეს ანუ **ბაზილევსს** მხოლოდ უმთავრესი ღვდელთ-  
მსახურების საპატიო უფლებები და მოვალეობანი დარჩა, სხვა მხრივ  
კი იგი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო.

ასე შეიქმნა ის სამი უმთავრესი თანამდებობა, რომელიც მთელს  
სახელმწიფო ცხოვრებას განაგებდა: პოლემარქი, არქონტი და ბა-  
ზილევსი.

ევპატრიდების გაძლიერებას მანვე წ. სახელმწიფო მართვაგამ-  
გეობაში ახალი ცვლილება მოჰყვა. ამ სამს მთავარ მოხელეს კიდევ  
**ექვსი** თანამდებობის პირი მიუმატეს, ე. წ. **თესმოთეტები**, და ამ-  
გვარად სახელმწიფოს სათავეში ცხრა კაცისაგან შემდგარი კოლეგია  
მოექცა. ექვსსავე, რომელთა საერთო სახელიც არქონტი იყო,  
ევპატრიდების წრიდან ირჩევდნენ, ასე რომ მთელი სახელმწიფოს  
ძალაუფლება მარტო ამ წოდების ხელში იყო.



ასე თანდათანობით მოისპო მონარქიული წესწყობილება, და არისტოკრატიული რესპუბლიკა დამკვიდრდა.

სახელმწიფო ცხოვრების მართვაგამგეობაში დიქტატორება ჰქონდა აგრეთვე ე. წ. არეობაგს, რომლის შემხატველობაშიც კი ფილი არქონტებისაგან ივსებოდა და, ამგვარად, სავსებით არისტოკრატიულ ხასიათს ატარებდა. არეობაგის მოვალეობა დიდი და პასუხსაგები იყო: იგი უმთავრეს დაწესებულებად ითვლებოდა, რომელიც მთელს მართვაგამგეობას თვალყურს ადევნებდა და ამასთანავე მართლმსაჯულების უმაღლეს დაწესებულებასაც წარმოადგენდა. არქონტებისა და სხვა მთავარი სახელმწიფო მოხელეების არჩევაც არეობაგის მოვალეობა იყო.

**მოდრაობა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. 1. კილონი (632 ქ. წ.).** სახელმწიფო ძალაუფლების ევპატრიდთა ხელში გადასვლამ დანარჩენი წოდებების ანუ დემოსის მდგომარეობა საშინელ პირობებში ჩააყენა.

მეშვიდე საუკუნის განმავლობაში განვითარებული აღებმიცემა იხედაც მადაგახსნილს წარჩინებულ წოდებას კიდევ უფრო გაუმძღვრად ჰხდიდა. ევპატრიდები მთელს თავის სახელმწიფოებრივ ძალასა და გავლენას მისთვის ხმარობდნენ, რომ დემოსის უფლებო მდგომარეობით ესარგებლებიათ და მისი ხარჯით თავისი ისედაც სავსე ჯიბეები კიდევ უფრო გაესქელებიათ. ვაქრობა-მრეწველობის მხრით განვითარებულ ათენში უფულოდ ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნა, და ღარიბი გლეხობა ევპატრიდების ვალში ვარდებოდა. მოვახშის დიდი სარგებლის გადახდა ძნელი იყო მისთვის, და ამიტომ იგი თავის უკანასკნელ მასაზრდოებელ მიწას ჰკარგავდა. მიწა მდიდრების ხელში გადადიოდა, ხოლო თვით გლეხი ამიერიდან იძულებული იყო, თავის ყოფილ მიწაზე ემუშავნა და მთელი მოსავლის ხუთი წილი მებატონისათვის ეძლია: ჰექტამორიობამ ათენში ფართო ხასიათა მიიღო.

ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ბალხი დიდხანს ვერ დარჩებოდა, და ათენში მეშვიდე საუკუნის განმავლობაში ძლიერი მოძრაობა დაიწყო, რომელიც არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ არევ-დარევით მეგარას ტირანის სახელგანთქმულმა სიტემ, უფლებისმოყვარე კილონიზმა ისარგებლა და, თავისი სიმამრის მაგალითით დაიმედებულმა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცადა. 632 წელს ქ. წ. ქალაქ ათენის მფარველის, ათენა პალადის დღესასწაულის დღეს მან ქალაქის ციხე (აკროპოლი) დაიპყრო და იქედან მთელი ათენის ხელში



ჩაგდება სკადა. რადგანაც კილონის გამოსვლა ქალაქის შუაგული ღვთაების შეურაცყოფად ჩათვალეს, ევპატრიდებმა ხალხი მიიხიზრეს და აკროპოლი აიღეს. კილონი გაიქცა, ხოლო მისმა ძმებმა ათენის საკურთხეველს შეაფარეს თავი. ეს აღვიღებ, რწმენით, ხელუხლებელი იყო, და კილონი მომხრეებს ამით უნდოდათ, თავი ეხსნათ. მაგრამ არქონტმა შეგაკლემ, რომელიც ალკმეონიდების გვარის წევრი იყო, არ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და შეთქმულები ამოხოცა. ეს მოვლენა ღვთაებას შეურაცყოფად ჩათვალეს და რამოდენიმე ხნის შემდეგ ალკმეონიდების მთელი გვარი ათენიდან განდევნეს. ასე იყო თუ ისე, კილონის შეთქმულობამ მიზანს ვერ მიაღწია, და ევპატრიდების ბატონობა კვლავ ხელუხლებელი დარჩა.

2. **დრაკონი** (621 წ. ქ. წ.). არ გასულა დიდ ხანი, რომ მოძრაობა ხელახლა გაძლიერდა. ევპატრიდები იძულებული შეიქნენ დაეთმოთ; მაგრამ ეს დათობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ იგინი დათანხმდნენ, ამიერიდან მართლმსაჯულების შესრულების დროს ჩაწერილი კანონებით ვიხელმძღვანელებთო. **დრაკონმა**, რომელიც ამ მიზნისთვის იყო არჩეული, არსებული წესწყობილება ხელუხლებლად დასტოვა; მან მხოლოდ ჩასწერა ის კანონები, რომლითაც მართლმსაჯულების წარმოების დროს ევპატრიდები სარგებლობდნენ, და თავისი მოღვაწეობა ამით დაასრულა. ასეთი კანონები, რა თქმა უნდა, ხალხის მდგომარეობას სრულიად ვერ შეამსუბუქებდა, და დემოსი მაინც უკმაყოფილო დარჩა. ეს იქიდან სჩანს, რომ ხალხმა დრაკონის კანონებს „სიხსნის კანონები“ უწოდა და ხელახლა ძირითადი ცვლილებების განხორციელება მოითხოვა.

3. **სოლონი** (594 წ. ქრ. წ.). რაც დრო ვადიოდა, განწყობილება დემოსსა და ევპატრიდებს შორის უფრო და უფრო მწვავედებოდა. 594 წ. არქონტად **სოლონი** აირჩიეს, რომლის აზრებსაც დემოსი მისი თბულებებიდან იცნობდა, და საზოგადოებრივი განხეთქილების დაწყნარება დაავალეს.

სოლონის მდგომარეობა ძნელი იყო. საქმე ის არის, რომ ბრძოლა მარტო ევპატრიდებსა და გლეხებს შორის როდი ხდებოდა. ასეთი მარტივი განაწილება საზოგადოებისა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად მოისპო, და ათენში საშვალოსა და უპიწაწყლო გლეხობასთან ერთად, რომელიც მებატონ ს ყანას ამუშავებდა, მდიდარი ვაჭარ მრეწველი და ყოველგვარ საკუთრებას მოკლებული ქალაქის მუშაც გაჩნდა. ყველა ამ საზოგადოებრივ ჯგუფს თავისი ინტერესი ჰქონდა და სახელმწიფოებრივი ცხოვრ-

ბის მოწყობა თავისებურად უნდოდა. წარჩინებული წოდები თავისი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას ცდილობდა: მდიდარი, მაგრამ უბრალო შთამომავლობის ვაჭარი სახელმწიფო საქმეებში გამგებობის თავის ხელში ჩაგდებას ესწრაფოდა, ხოლო დაჯიქებული თავისი გაკვირვებული მდგომარეობის შესუბუთებასა და ისეთი სახელმწიფოებრივისა და საზოგადოებრივი წესწყობილების დამკვიდრებას მოითხოვდა, რომელიც მას მდიდართა და წარჩინებულთა აღვირახსნილი მტაცებლობისაგან დაიცავდა.

სოლონს ისეთი წესწყობილება უნდა შეექმნა, რომ ყველანი დაეკმაყოფილებია. ეს კი ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომაც მისი რეფორმები ანუ ცვლილებანი ისეთი ხასიათის აღმოჩნდნენ, რომ ხანგრძლივად ვერავინ ვერ დააკმაყოფილეს.

მთელი მოღვაწეობა სოლონისა ათენელთა ცხოვრების ორს უქთავრეს მხარეს ეხებოდა: საზოგადოებრივ-ეკონომიურსა და სახელმწიფოებრივს.

ა. ათენელთა საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების წესწყობილების უსამართლობა განსაკუთრებით იმაში გამოიხატებოდა, რომ ხალხის უმეტესობა მდიდრებს დავალიანებული და დამონავეებული ჰყავდათ. გლეხობის ერთი ნაწილი უკვე ბატონყმურ მდგომარეობაში იყო, ხოლო მეორე ნაწილსაც ადრე თუ გვიან იგივე ბედი ელოდა, თუ კი როგორმე მდიდართა ვალებისაგან ვერ იხსნიდა თავს.

სოლონის აზრით, ამ ძირითადი უკუღმართობის წინააღმდეგ ორი საშვალეა არსებობდა: ერთი—ვალების სრული მოსპობა იყო, და მეორე—ისეთი კანონის შემოღება, რომელიც მდიდართა ხელში დიდი მამულების მოგროვებას შეუძლებლად აქცევდა. ამ მოსაზრებით სოლონმა ვალები ყველას აპატივა და დაგირავებული მამულები პატრონებს დაუბრუნა. ეს ზომა იმდენად მნიშვნელოვანი იყო ხალხის თვალში, რომ მას სეისახტია ანუ ტვირთის დაბერტყვა უწოდეს.

მეორე ზომა მიწის საკითხს შეეხებოდა. ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს მოწმობით, სოლონმა კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც არავის არ ჰქონდა უფლება, განსაზღვრული რაოდენობის მეტი მიწა შეეძინა. ამით სოლონმა საშვალეა დაუკარგა მდიდრებს, დიდი მამულები თავის ხელში მოეგროვებიათ და ხალხის უმეტესობა უმიწაწყლოდ დაეტოვებიათ.

სოლონის სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლამდი ათენი ევბეის სავაჭრო წრეს ეკუთვნოდა და იქაურ ფულს ხმარობდა. სოლონმა ევბეის ფული შემოიღო და ამით ათენის მეორე სავაჭრო წრეში

გდასვლა დააკანონა, რომელსაც მეტი გასაქანი ჰქონდა, ამას გარდა გვინის ფულის შემოღებამ ათენში არსებული ფული გააძვირა \*) და სახელმწიფოსა და ხალხის გამდიდრებას აშინაც ხელეშეუწყო. ბ. მაგრამ სოლონის ამ ზომებს იმდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რამდენიც იმ რეფორმებს, რომელნიც სახელმწიფოებრივ წესწყობილებას ეხებოდენ.

იმ წლებში, როდესაც სოლონი პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, ათენელი კონებრივი მხრით უკვე ოთხ გარკვეულ ჯგუფად ანუ კლასად იყვნენ გაყოფილნი. ეს იმდროინდელი განაწილება იყო, როდესაც ფულს ჯერ კიდევ არ ჰქონდა თვალსაზირო მნიშვნელობა და სიმდიდრეს ფულით კი არა, პურის მოსავლის რაოდენობით ზოვავდენ. პირველი კლასის წევრთ „პენტაკოსიომედიმნი“ ეწოდებოდა, და ასეთებად მარტო ისინი ითვლებოდენ, ვისაც წლიური შემოსავალი 500 მედიმნი (იქაური ზომა) პურა მაინც ჰქონდა. მეორე კლასს („ჰიპაკეი“) ისინი შეადგენდენ, ვისაც სამასი მედიმნი შემოსავალი მაინც ჰქონდა, მესამეს („ტეტრაგტი“) — ვისაც წლიურად ორას მედიმნზე მეტი შემოდოდა, ხოლო ვისაც ამაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა, ისინი მეოთხე კლასს, თეტებს შეადგენდენ.

სოლონის შეხედულებით, დემოსისათვის ისიც საკმარისი იყო, რაც მას საზოგადოებრივ-ეკონომიური რეფორმებით მიენიჭა: იგი ბატონყმური მდგომარეობისაგან განთავისუფლდა და თავისი მაჰული უკან დაიბრუნა. ახლა საჭირო იყო, მდიდარ ვაჭარ-მრეწველთა კლასის დაქმნა იქნებოდა. თავის სახელმწიფოებრივი წესწყობილების რეფორმებს სოლონი სწორედ ეს მოსაზრება ჩაუდგა საუფქვლად და ისეთი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის წესი შექმნა, რომელსაც მდიდართა მოთხოვნილებანი უთუოდ უნდა დაეკმაყოფილებია.

მან სახელმწიფოებრივი უფლებანი სიმდიდრის მიხედვით განაწილა, ასე რომ ვინც უფრო მდიდარი იყო, მას მართვა-გამგეობაშიც მეტი უფლება მიენიჭა: სახელმწიფოს უმთავრესი მოხელეების არჩევა, მავალითად, მხოლოდ პირველი სამი კლასის წევრთა წრიდან შეიძლებოდა. მაგრამ სოლონი იცოდა, რომ არც დემოსის დატოვება შეიძლებოდა სრულს უფლებებო მდგომარეობაში და აპიტომ მათ სრული ხმის უფლება მისცა როგორც ხალხის ყრილობაზე, ისე სახალხო სასამართლოშიც. ამგვარად, სოლონის რეფორმების მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობის მიღება ყველას შეეძლო, როგორც მდიდარს, ისე ღარიბსაც, მაგრამ არჩევა მხოლოდ შეძლო-

\*) წინანდელი 73 დრახმიდან ახლა 100 დრახმის სქედდენ.



ბული კლასების წევრთა შორის შეიძლებოდა, ასე რომ ~~საჯარო~~ საარჩევნო უფლება საყოველთაო იყო, ხოლო ~~პასხიური არა~~ საყოველთაო.

**ქართული**

მაგრამ სოლონმა არა მარტო უფლებები ნაწილა აგრედვე მოვალეობანიც სახელმწიფოს წინაშე: ვისაც მეტი უფლებები მისცა, მას მეტი მოვალეობაც დააკისრა. უწინარეს ყოვლისა ეს სამხედრო ბეგარაზე ითქმის: პირველი კლასი საომრად „მძიმედ შეიარაღებული“ უნდა გამოცხადებულიყო, მეორეს თავისი ცხენები უნდა ჰყოლოდა, ხოლო მესამე და მეოთხე შესაბამოდ „მზატედ“ უნდა შეიარაღებულიყო. გარდა იმისა, რომ ყოველ თანამდებობის პირს უსასყიდლოდ უნდა ემსახურნა, მას აგრედვე მონაწილეობა უნდა მიეღო ბაზის მოწყობაში, რომელიც დრამატიულ წარმოდგენაში იღებდა მონაწილეობას და საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, გიმნასტიკური შეჯიბრების მომზადებაში, მოქალაქეთა დაპატიებაში და სხვ. ყველა ამას ლიტურგია ეწოდებოდა, დიდ ფულს მოითხოვდა და, რა თქმა უნდა, ღარიბთათვის მიუწევდომელი საქმე იყო.

უკანასკნელი კლასის მოვალეობა უფრო ადვილი იყო. მას მხოლოდ უბრალო სამხედრო ბეგარა ჰქონდა დაკისრებული.

ასეთი იყო საფუძვლები, რომელზეც სოლონმა თავისი სახელმწიფოებრივი წესწყობილება (კონსტიტუცია) ააგო.

თვით დაწესებულებანი, რომელნიც მართვაგამგეობის უღელს ეწეოდენ, და რომელთა აგებულებაშიც სოლონმა ცვლილებები შეიტანა, შემდეგი იყვნენ: 1 არქონტატი, 2. სახალხო ყრილობა ანუ ეკლესია, 3 სახალხო სასამართლო ანუ გელიეა, 4. არეობაგი და 5. სახელმწიფო საბჭო ანუ ბულე.

1. არქონტთა რიცხვი ისევ ცხრა დარჩა. სოლონმა ამ დაწესებულების აგებულებაში მხოლოდ ის ცვლილება შეიტანა, რომ არქონტებს ახლა წარჩინებული შთამომავლობის მიხედვით კი არა, სიმდიდრის მიხედვით ირჩევდენ, და თვით არჩევნები ფილევში დასახელებულ კანდიდატთა შორის წილის ყრით ხდებოდა.

2. ევპატრიდების ბატონობის დროს სახალხო ყრილობას, ეკლესიას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სოლონის კონსტიტუციაში კი მას საკმაოდ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა, რაც განსაკუთრებით იმაში გამოიხატებოდა, რომ ეკლესია თანამდებობის პირთა არჩევნებში და ყოველი ახალი კანონის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა.

3. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ნაფიც მსაჯულთა სახალხო სამსჯავროს ე. წ. გელიეას ჰქონდა, რომელიც პირველად სო-





ლონმა შემოიღო. გელიას წევრებს, გელიახტებს ყველა წილ-  
ბის წრიდან ირჩევდენ, ასე რომ იგი ნამდვილი დემოკრატიული  
დაწესებულება იყო. გელიას უფლებები დიდი იყო; ამის შესახებ  
მოწმობით, „მოქალაქეებს შეეძლოთ გელიას წინაშე დასწრებით  
რივ მოხელეთა წინააღმდეგ საჩივარი აღეძრათ“. აქედან ცხადად  
სჩანს, რომ ნაფიცთა სამსჯავრო უმაღლესი დაწესებულება ყოფილა,  
სადაც მოხელეთა ყოველი განკარგულების განსაჩივრება და მით  
მთელს სახელმწიფო ცხოვრებაზე ზევაელენის მოხდენა შეიძლებოდა.

4. გელიას დაარსებასთან ერთად არეობაგის მნიშვნელობა  
უთუოდ უნდა შემცირებულყო. ზოგი რამ მის მოვალეობათაგან  
მართლაც ნაფი ; მსაჯულთა ხელში გადავიდა, მაგრამ თვით არეო-  
პაგი, რომლის შემადგენლობაც კვლავინდებურად ყოფილი არქონ-  
ტებისაგან ივსებოდა და რომელიც სამართლიანად გაბატონებული  
კლასების ბურჯად ითვლებოდა, მაინც სახელმწიფოს მთავარ და-  
წესებულებაჲ დარჩა. მისი უმთავრესი მოვალეობა ახლა სახელმწი-  
ფოებრივი ცხოვრების მეთვალყურეობაში მდგომარეობდა. იგი მო-  
ვალე იყო კანონების და არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობი-  
ლების ფხიზელ დარაჯად მდგარიყო და, თუ სადმე არსებული წეს-  
წყობილების წინააღმდეგ შეთქმულებას აღმოაჩენდა, მას უფლება  
ჰქონდა, შესაფერი ღონისძიება მიეღო.

ამგვარად, მდიდართა კლასმა არა მარტო სახელმწიფოებრივი  
ძალაუფლება მიიღო; სოლონის წყალობით მან ისეთი დაწესებულე-  
ბაც შექმნა, რომელიც მისი წარჩინებული მდგომარეობის დარა-  
ჯად გამოდიოდა და კანონის ძალით ყველას სდევნიდა, ვინც არ-  
სებული წესწყობილების ძირითად შეცვლას განიზრახავდა. ამიტომ  
გაბატონებული კლასების თვალში არეობაგს მუდამ განსაკუთრებუ-  
ლი ფასი და ღირსება ჰქონდა, ხოლო ხალხის წარმომადგენელნი  
მას მუდამ აღმაცერად და მტრულად უყურებდენ.

5. რაკი სახალხო ყრილობამ, ეკლესიამ უმთავრესი საკანონ-  
დებლო უფლებები მიიღო, რომლის ძალითაც ყოველი ახალი კანო-  
ნი იქიდან უნდა გამოსულიყო, ხოლო მრავალ რიცხოვან კრებაზე  
კანონის ყოველმხრივი მოსაზრება და შედგენა შეუძლებელი საქმეა,  
ამიტომ სოლონს ისეთი დაწესებულების შექმნაზე უნდა ეზრუნა,  
რომელიც კანონების პროექტს დაამზადებდა და ეკლესიას განსახილ-  
ველად წარუდგენდა. ასეთ დაწესებულებად საბჭო ანუ ბულე გა-  
დაიქცა. ბულე 400 წევრისაგან შესდგებოდა (თითოეულ ფილეს იქ  
100 წარმომადგენელი ჰყავდა) და კანონპროექტების დამზადების

გარდა კანონების ცხოვრებაში გატარებასა და მოხელეობასაც თვალყურს ადევნებდა.

ასეთი იყო ის წესყობილება, რომელიც სოლონიმის მიერ შემუშავდა და რომლისაგანაც იგი ყოველი საზოგადოებრივი წესდების შემუშავებას მოკლოდა. სოლონი ნათლად ხედავდა, რომ ეს წესყობილება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანდა შესაფერ ნაყოფს, თუ ათენელები თავის სახელმწიფო უფლებათა და მოვალეობათ შესაფერი ინტერესითა და შეგნებით მოეპყრობოდნენ. მაშასადამე, სოლონის აზრით, საჭირო იყო, მოქალაქეთ თავისი სახელმწიფო ცხოვრებისადმი სათანადო ინტერესი და შეგნება ჰქონოდათ. ამიტომ მან ორი კანონი გამოსცა, რომელიც მთელს მის საქმეს კეთილად დაგვირგვინებას პირდებოდა: პირველი იყო კანონი იმის შესახებ, რომ ყოველი მოქალაქე უთუოდ ამა თუ იმ პარტიას მიკედლებოდა და ამგვარად თავის პარტიასთან ერთად სახელმწიფო ცხოვრებაში ჩაერთულიყო, და მეორე კანონი — იმის შესახებ, რომ ყოველი მშობელი მოვალე იყო, თავისი შვილისათვის განათლება მიეცა, რათა ათენელთა შეგნება ამაღლებულიყო და, ამგვარად, სახელმწიფოებრივი მართვამეგობა შეუგნებელი ხალხის ზეგავლენას არ დამორჩილებოდა.

სოლონი ამაყად უტყვროდა თავის კანონმდებლობას. იგი კმაყოფილი იყო თავისი მოღვაწეობით და ერთერთს თავის ლექსში აი რას ამბობდა: „მე მივანიჭე ხალხს იმდენი მონაწილეობა მართვამეგობაში, რამდენიც მას სამართლიანად ეკუთვნოდა. მე შეძლება მოვუსპე ყველას მისი დამონავეებისა, მაგრამ სრული ძალაუფლება სახელმწიფოში მაინც არ მივეცი მას. მე შესაფერ დონეზე დავაყენე ყველა ის, ვინც წარჩინებული იყო როგორც შთამომავლობით ისე სიმდიდრით, და აწვე დრრს მათი გავლენა სათანადოდ შეეზღუდე. ასე დავიმორჩილე ყველა ჩემი დიდი ფარით და ყველას მოვუსპე ეუფლება სხვისი დაპყრობისა და ძლევისა.“

მაგრამ არ იყო კმაყოფილი თვითონ ხალხი. მდიდრები იმას იჩიოდნენ, რომ სოლონის წესები მათ ქონებას აუტანელ სიმძიმედ აწვებოდა; წარჩინებულნი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება სხვებსაც გაუზიარეს; ხოლო დემოსი მეტი უფლებისა და გავლენის მოლოდინში იყო და სოლონისაგან თავისი მდგომარეობის სრულს განკურნებას მოითხოვდა, რაც იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სოლონს მთელი მამულები მდიდრებისათვის ჩამოერთმია და ხალხისათვის გაენაწილებია.

ამიტომ უკმაყოფილება და მღელვარება არ ცხრებოდა, და

ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინარეობის დასამკვიდრებლად ხელი  
ხალი ზომების მიღება შეიქმნა საჭირო.

4. ტირანია (560—510 ქრ. წ.). ათენელთა ცხოვრების მშვიდობის დროისათვის ხალხის ახალი განაწილება ჩაისახა. ათენელთა მთავრების  
თით, სადაც ევპატრიდების ნოყიერი და მდიდარი მამულები იყო, კეთილშობილ მიწათმფლობელთა პარტია გაჩნდა, რომელიც ძველი წესწყობილების აღდგენას ესწრაფოდა და ვაკე ადგილების პარტიად ანუ პედეებად იწოდებოდა.

აღმოსავლეთით, ზღვის კიდურზე ვაქარ-მრეწველნი და ხელოსნები ცხოვრობდნენ. მათი მისწრაფება, რაც უნდა იყოს მაინც არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილების დაცვა და გამაგრება იყო, და ყველა ესენი პარტიების პარტიას შეადგენდნენ.

მთავარიანი ადგილების მცხოვრებთა დიდი უმეტესობა ღარიბი ხალხი იყო, რომელიც თავის სარჩოს ყოველდღიური მძიმე შრომით შოულობდა. ივინი, დიაკრების სახელით, ხალხოსნური მართვაგამგეობის დაშვიდრებისაკენ მიეწრაფოდნენ და ყველაზე უფრო რევოლუციონურად იყვნენ განწყობილნი. მათი ბელადი მეექვსე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლო წლებში მდიდარი და ვერაგი პიზისტრატე იყო, რომელმაც ხალხის აღრეულობით ისარგებლა და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ხელთ იგდო. ეს დიაკრების გამარჯვება იყო, და ამიტომ დანარჩენი პარტიები საერთო მტრის წინაშე შეკავშირდნენ და პიზისტრატე ათენიდან განდევნეს. მაგრამ პიზისტრატეს პირადი სიმდიდრე ხელს უწყობდა (მას მდიდარი ოქროს მდნები ჰქონდა პანგეაში), ამასთანავე მას ნაქოსის მდიდარი მმართველი ლიგდამიდი დაეხმარა, და მანაც თესალიელი დაქირავებული მხედრობის საშველებით ძალაუფლება ხელახლა ხელში ჩაიგდო.

ამგვარად, სახელმწიფოს მართვაგამგეობა პიზისტრატეს ხელთ გადავიდა, და მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ათენელთა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბატონპატრონობა მასა და მის შვილებს ხედა წილად.

ტირანიას ასეთს ხანგრძლივობას უმთავრესად ორი გარემოება უწყობდა ხელს. პირველი იყო დიაკრების მრავალრიცხოვანობა, რომელსაც ტირანიის ბატონობა. თვით ათენში ეყრდნობოდა, და მეორე—ის გარეშე ძალები, რომელნიც ამ დროს ეგეოსის ზღვაზე გაჩნდნენ და პიზისტრატეს ბატონობას ამაგრებდნენ. საქმე ის არის, რომ ეგეოსის ზღვაზე ამ დროს ისეთი ცვლილებები მოხდა, რომელიც ათენისათვის და კერძოდ პიზისტრატესთვის ძალიან ხელსაყრელი შეიქმნა.

ათენელთა ერთერთმა გვარმა (ფილაიდებმა) ჰელესპონტოს შესავალში მდებარე ქერხონები დაიპყრო და აქ დამოუკიდებელი სამთავრო დააარსა. პიზისტრატე ფილაიდებს ამსჯელებს და დაიპყრო, რისთვისაც ახალი სამთავრო მის ხელ ქვეით სუხელ შევიდა. რადგანაც ჰელესპონტოს მეორე ნაპირზე ქერსონის პირდაპირ მდებარე ადგილები (სიგეიონი) წინადაც ათენელებს ეკუთვნოდა, ამიტომ მთელი ჰელესპონტოს შესავალი მათ ხელში გადავიდა, რასაც ათენელთა ვაჭრობისათვის ფრიად დიდი მნაშენელობა ჰქონდა. მეორე მხრით, ამავე დროს კუნძულ ნაქსოსზე პიზისტრატეს მოკავშირემ, ლიგდამიდომ ტირანობა იგლო ხელთ და, რადგანაც ეს პიზისტრატეს დახმარებით მოხდა, ამიტომ ეგეოსის ზღვის შუაგულში მდებარე მნიშვნელოვანი კუნძულიც ათენის გავლენის წრეში მოხვდა. ლიგდამიდო თავისი მხრით კუნძულ საშოსის ტირანს პოლიკრატოს დაეხმარა, და ამ სახით მთელს ეგეოსის ზღვაზე სამი ტირანის (პიზისტრატეს, ლაგდამიდოს და პოლიკრატოს) ძლიერი კავშირი გაიბა, რომელიც ერთი მხრით პიზისტრატეს ძლიერება, მის მოწინააღმდეგე პარტიების თვალში უძლეველად ჰქმნიდა, და მეორე მხრით, თვით ათენელთა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასა და საერთო გავლენას უზრუნველყოფდა. ასეთი იყო ის ძალები, რომელსაც პიზისტრატე ეყრდნობოდა.

**პიზისტრატეს მოღვაწეობა.** პიზისტრატეს მართვაგამგეობა საერთოდ ღარიბი ხალხის, უმთავრესად გლეხობის ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული. ეს განსაკუთრებით იმ სამსკანონმდებლობითი ღონისძიებაში გამოიხატა, რომელიც პიზისტრატემ განახორციელა. პირველი იყო ადგილობრივი სასამართლოს დაწესება. წინად ყოველგვარი სასამართლო დაწესებულება მარტო ათენში არსებობდა, ასე რომ ვისაც საქმე სასამართლოში ჰქონდა, უთუოდ ათენისათვის უნდა მიემართა. ეს კი ძალიან ძნელი იყო, განსაკუთრებით გლეხისათვის, რომელიც აგრე ადვილად სამუშაოს ვერ მიატოვებდა და სასამართლის საძიებლად ჭალაქს ვერ მიაშურებდა. პიზისტრატემ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და განსაკუთრებული მსაჯულნი დანიშნა, რომელნიც სოფლად დაიარებოდნენ და მართლმსაჯულებას ადგილობრივ აწარმოებდნენ.

ამას გარდა, პიზისტრატე იაფ სესხს იძლეოდა სახელმწიფო ხაზინიდან და მით საშვალებას აძლევდა გლეხობას, კერძო პირებისაგან ვალი არ აეღოთ და მიწა და თავისუფლება არ დაეკარგათ.

ამასთანავე გლეხთა საერთო ღღესასწაულა, დიონისოს ღღე მან სახელმწიფო ღღესასწაულად გამოაცხადა და ამით, სხვათა შო-

რის, დრამატიულ წარმოდგენებსაც დასაბამი მისცა. უარდა ამის, პიზისტრატე ქალაქ ათენის გამშენიერებასაც ცდილობდა და მრავალ საზოგადო ხასიათის შენობას აგებდა. მწერლობის რაღებით ეპყრობდა, და ჰომეროსის პეომების მისი მართვაკავებობის დროს და მისი განკარგულებით მოხდა.



დიონისოს დღესასწაულზე.

პიზისტრატეს სიკვდილს შემდეგ ძალაუფლება მისი შვილების (ჰიპოხოხა და ჰიპარქოს) ხელში გადავიდა, მაგრამ ამათ ბატონობას მალე ბოლო მოეღო. ათენში პიზისტრატეს სიკოცხლეშიც არ ისვენებდნენ მისი მოწინააღმდეგე პარტიები, მაგრამ ძლიერი და გავლენიანი ტირანი ისეთს დიდ ძალას ეყრდნობოდა, როგორც მისი ხელქვეითი მოკავშირე ეგეოსის ზღვის ტირანები იყვნენ, და მისი ბატონობა უწყვეტ იყო.

მაგრამ ახლა გარემოება გამოიცვალა. მეექვსე საუკუნის დასასრულში ეგეოსის ზღვაზე სამი ტირანის კავშირის ბატონობას ძლიერი მტერი გაუჩნდა. ეს იყო დიდი სპარსეთის მონარქია, რომელმაც ერთი მხრით 525 წელს ეგვიპტე ჩაიგდო ხელში და ამგვარად ეგეოსის ზღვის ბატონებს სამხრეთით მოუარა, ხოლო მეორე მხრით—მცირე აზიის ნაპირები დაიპყრო და აქედან კუნძული სამოხი დაიკავა, რომლის ტირანი პოლიკრატოც დაატყვევა და სპარსეთს გაგზავნა.

ამას ეგეოსის ზღვის კუნძულების თანდათანობითი დაპყრობა მოჰყვა. ამ სახით, ათენის ტირანის ბატონობას საიმედო საფუძველი

გამოეცალა. ამავე დროს მეორე მტერიც ამოძრავდა. პელოპონესოს სიმაქია კორანთოს ყელით შუა საბერძნეთისაკენ დაიძრა და ათენის ძლიერების დასასუსტებლად დაირაზმა.

ქრისტეშული

ამგვარად, ჰიპიოსისა და ჰიპარქოს მდგომარეობა ქრისტეშული შეიქმნა. შიგნი მოწინააღმდეგე პარტიები და გარეთ სპარსელები და სპარტანელები—ყველა მათ წინააღმდეგ ამოძრავდა. შედეგი ის იყო, რომ 510 წელს სპარტანელების დახმარებით ევპატრიდებმა ჰიპიოს ძალაუფლება ხელიდან გამოგლიჯეს და არისტოკრატიული წესწყობილების აღდგენა სცადეს. მაგრამ აღკვეთილების გვარი, რომელმაც ათენში დიდი გავლენა მოიპოვა, ამის წინააღმდეგი შეიქმნა: გარეშე ძალის, სპარტანელების წინააღმდეგ ხალხი შეაკავშირა და ევპატრიდებს ანგარიში ჩაუშალა. მისმა წარმომადგენელმა, კლისთენემ ხალხის სხვადასხვა ჯგუფისა და პარტიის შერიგება სცადა და ახალი წესწყობილება შემოიღო.

5. კლისთენე. კლისთენეს კანომდებლობის საერთო მიმართულებაც დემოკრატიული ხასიათის იყო. პიზისტრატეს ბატონობის დროს, რომელიც უმთავრესად დაბალი ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა, დემოსი კიდევ უფრო გაძლიერდა. ამიტომ შეუძლებელი იყო, სახელმწიფოში რაიმე წესიერება დამკვიდრებულიყო, თუ მართვაგამგეობა ხელახლა დემოსის მოწინააღმდეგე ჯგუფის ხელში გადავიდოდა. ხალხი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფოს მართვაგამგეობის საქმეში მას შესაფერი ალაგი დათმობოდა. კლისთენეს მშვენივრად ესმოდა, რომ სხვაგზით მოქმედება შეუძლებელი იყო, და ამიტომ მისი რეფორმების უმთავრესი დამახასიათებელი თვისება და მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან ხალხის სამართლიანი მოთხოვნილებები დააკმაყოფილა და სოლონის დაწყებული საქმე მართვაგამგეობის ხალხის ხელში გადასვლისა განავითარა და თითქმის საბოლოოდ დააგვირგვინა.

ერთერთი ძირითადი უბედურება, რომელიც ათენელთა ცხოვრებას აუძლურებდა, ის იყო, რომ მოქალაქენი ბინადრობის მიხედვით პარტიებად იყვნენ დანაწილებულნი, და თითოეულ ნაწილს თავისი საკუთარი ინტერესები და მისწრაფებანი ჰქონდა. პარალიებს დიაკრების არაფერი სწამდათ და პედიებს კიდევ პარალიებისა და დიაკრების. არ არსებობდა არცერთი ჯგუფი, რომელიც თავისი უბნის კი არა, მთელი სახელმწიფოს ინტერესებით ყოფილიყოს გატაცებული; თითქოს ათენი ერთი მთლიანი სახელმწიფოს მაგიერ, სამს სხვა და სხვა სახელმწიფოდ ყოფილიყოს გაყოფილი.

ამგვარად აღგილობრივი პარტიოტიზმის (პატრიკულარიზმის)



სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმზე მალა დაყენება პატრიოტიზმითა და ბოროტება იყო იმდროინდელ ათენში.


მეორე ბოროტება იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყნის მთელი წოდებათა წარმომადგენელი დემოსთან ბრძოლაში მუდამ ერთმანეთს დასაძაბავდა და ამიტომ მას სასურველისა და დროის შესაფერი წესწყობილების დამკვიდრების საშვალეებს არასდროს არ აძლევდენ. მისთვის, რომ ხალხის მართვა-გამგეობა მკვიდრ ნიადაგზე დამყარებულიყო, აუცილებელი იყო ამ ძალის წყაროს მიგნება და მისი მოსპობა.

საიდან მომდინარეობდა წარჩინებულთა ეს ძალა? პედიები, რომელნიც მუდამ არისტოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას ესწრაფოდენ, ათენის ვაკე ადგილებში იყვნენ შეჯგუფებული და ამიტომ ერთს მთლიან შეკავშირებულ ძალას წარმოადგენდენ. იმავე მდგომარეობაში იყვნენ პარალიებიც, და ყველა ესენი კი ახალის დემოკრატიული რესპუბლიკის დაუძინებელ მტრებად გამოდიოდენ. საჭირო იყო მათი კავშირის გაწყვეტა და ამნაირად მათი ძალების დაქსაქსვა. სხვა გზა არ არსებობდა; და კლისთენეს დამსახურებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ამ ძირითადი ბოროტების წყაროს მიავნო და მას თავისი ახალი წესებით ყოველგვარი ძალა და გავლენა დაუკარგა. ამით მკვიდრი საფუძველი მოუმზადა დემოკრატიულ წესწყობილებას და მისი არსებობა და განვითარება ხანგრძლივად უზრუნველყო.

როგორ მოუარა კლისთენემ ამ ორ ბოროტებას? ჩვენ ვიცით, რომ ათენის მთელი ტერიტორია სამს ბუნებრივ ოლქად განიყოფებოდა: ესენი იყვნენ: ვაკე, სადაც მდიდარი მემამულეები იყვნენ შეჯგუფული (პედიები), ზღვისნაპირები, სადაც ვაჭარ-მრეწველნი ცხოვრობდენ (პარალია) და მთაგორიანი ადგილები, რომელიც დაბალის, მუშა ხალხის სამკვიდროს წარმოადგენდა (დიაკრია). ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ სწორედ ეს დანაწილება ჰქმნიდა ორივე იმ ბოროტებას, რომელიც კლისთენეს უნდა მოესპო. მან თითოეული ეს ბუნებრივი ოლქი ათ ნაწილად (ანუ ტრიტიად) გაჰყო, ასე რომ ამის მიხედვით ათენის მთელი ტერიტორია ახლა 30 ნაწილისაგან შესდგებოდა. გარდა ამისა კლისთენემ ყველა ამ ოცდაათი ნაწილისაგან ათი ახალი ერთეული (ფილე) შეჰქმნა, მაგრამ ისე, რომ თითოეულს ამ ახალ ერთეულში სამი სხვადასხვა ოლქიდან ამოღებული ტრიტია შედიოდა. ამნაირად, თითოეულ ფილეს ერთი ნაწილი ვაკე ადგილის ეკუთვნოდა, ერთი მთაგორიანის და ერთი კიდევ ზღვისკიდურის. ძველ ფილეებს კლისთენემ ყველა მათი სახელმწიფოებრივი



უფლება ჩამოართვა და ახლებს გადასცა. ამწინააღმდეგობის და იმავე ბუნებრივი ოლქის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა ინტერესი გაუჩნდა იმის მიხედვით, თუ რომელ ფილეს ეკუთვნოდა მათი მიწა, თუ წინააღმდეგობა მთელ ოლქს მხოლოდ ერთი ინტერესის წინააღმდეგობა.



კლისთენეს ფილევები.

ლიც ყველა მის მცხოვრებს მკიდროდ აკავშირებდა, ახლა მას ათი სხვადასხვა ინტერესები გაუჩნდა, ასე რომ ოლქის მცხოვრებთა მთლიანობა დაირღვა და მასთან ერთად დაირღვა იმის მცხოვრებთა კავშირიც, რომელიც მათი ინტერესების ერთობაზე იყო დამყარებული. წინააღმდეგობა ერთად შეგკუფებული არისტოკრატია ახლა დაიქსაქსა

და თავისი წოდებრივი ინტერესების დაცვის ძალა საბოლოოდ დაკარგა. ამავ დროს, რადგანაც თითოეული ოლქის სხვადასხვა ნაწილი (ტრიტია) სახელმწიფოს მთელს დანარჩენ ტერიტორიასთან იყო შეკავშირებული, ადგილობრივ პატრიოტიზმსაც საძირკველი გამოეცალა, და მისი ადგილი მთელი სახელმწიფოს ინტერესებას დაიკავა. რაკი ამგვარად დემოკრატიული წესწყობილების მტრებს ძალა გამოაცალა, კლისთენემ თვით ამ წესწყობილების შემუშავებას მიჰყო ხელი.

**1. საეროებო თვითმართველობა.** დემოკრატიული წესწყობილების არსებითი ნიშანი ის არის, რომ თავისს საკუთარ ცხოვრებას ხალხი თვითონ აწესრიგებს. ატიკის ტერიტორია მრავალფეროვანი იყო, თითოეულს ერთეულს განსაკუთრებული თავისებურება ჰქონდა, და მაშასადამე შესაფერი მზრუნველობაც ესაჭიროებოდა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ თითოეულის განსხვავებული ერთეულის ცხოვრებას სათავეში თვითონ ადგილობრივი მოსახლეობა ჩაუდგებოდა. დემოკრატიული წესწყობილება მაშასადამე მართვაგამგეობის ადგილობრივ განაწილებას ანუ **დეცენტრალიზაციას** მოითხოვდა. კლისთენეს კარგად ესმოდა ეს გარემოება და ამიტომ მან მთელი ატიკა წვრილ სოფლის ერთეულებად, **დემებად** დაჰყო და თითოეული დემის მკვიდრთ საკუთარი ცხოვრების მართვა-გამგეობის უფლება ან თვითმართველობა მიანიჭა. ამის მიხედვით, ადგილობრივმა ანუ საეროებო თვითმართველობამ შემდეგი სახე მიიღო: თითოეული მოქალაქე ამა თუ იმ დემის წევრად ითვლებოდა, ასე რომ ათენის მოქალაქეობრივი უფლება მხოლოდ დემების მკვიდრთ ჰქონდათ მინიჭებული. ამიტომ თუ წინად ამ უფლების მიცემა ფილებზე იყო დამოკიდებული, ახლა ეს დემების ხელში გადავიდა. ახას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: დემები შედარებით მდილად იღებდენ წევრებს თავის წრეში, და ეს გარემოება კი ხელს უწყობდა, რომ ათენის მოქალაქეთა რიცხვი გამრავლებულიყო.

დემის მართვაგამგეობის სათავეში ე. წ. **დემარქი** იდგა, რომელსაც ერთი წლის ვადით ირჩევდენ და რომელიც დემის შემოსავალ-გასავალს განაგებდა; იცავდა წესრიგს, ხელმძღვანელობდა დემის ყრილობას და ყველა მის გადაწყვეტილებას ცხოვრებაში ატარებდა. სამსახურის ვადის ვათავებისას დემარქი მოვალე იყო, თავისი მოღვაწეობის ანგარიში ხალხის ყრილობისათვის ჩაებარებია.

**2. არქანტატი.** სოლონის კანონების მიხედვით არქონტებს მხოლოდ პენტაკოიოთაგან ირჩევდენ. მართალია, 580 წელს



ეს წესი ცოტათი შეიცვალა, მაგრამ არქონტთა უმეტესობა მინც მდიდართა წრიდან გამოდიოდა. მათი უფლებები კი ძალიან დიდი იყო. ასე რომ არსებითად სახელმწიფოს მართვავე უმეტესად მდიდართა და წარჩინებულთა კლასი იდგა. მაშასადამე უმეტესობის წესწყობილების დამკვიდრებისათვის საჭიროა იყო ერთის მხრით არქონტის უფლებების შემცირება და მეორეს მხრით მისი შეზღუდვების გამოცვლა. კლისთენემ ერთიც განახორციელა და მეორეც.

პირველი სამი არქონტის უმათავრესი უფლებები მან ათ-ათი კაციისაგან შემდგარ კოლეგიას გადასცა; მაგალითად, პოლემარქის უფლებები 10 სარდლის ანუ სტრატეგის ხელში გადავიდა. თვით არქონტებს კი მხოლოდ საპატიო უფლებები დაუტოვა; ასე რომ მათი გავლენა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე სავსებით მოისპო. დანარჩენი ექვსი არქონტის ე. წ. თესმოთეტების უმათავრესი სამოსამართლო უფლებები ნაფიცთა სამსაჯულოს ანუ გელიეას გადასცა. თვით არქონტთა და დანარჩენი მთავარი თანამდებობის პირთა არჩევნების უფლება სამივე კლასზე გაავრცელა, ასე რომ მთავარ თანამდებობის პირთა შეზღუდვლობაც უფრო ხალხოსნური უნდა გამხდარიყო.

3. კლითენეს რეფორმები სახელმწიფო საბჭოსაც ანუ ბულესაც შეეხო. თუ წინად იგი 400 წევრისაგან შესდგებოდა, ახლა წევრთა რიცხვი 500-ამდე ავიდა (თითოეული ფილე 50 წევრს ირჩევდა). რადგანაც ასეთი მრავალრიცხოვანი დაწესებულების ყოველდღიური საერთო მუშაობა ძნელი იყო, კლისთენემ ბულე ათ განყოფილებად ანუ ხექციად (პრიტანეად) გაჭყო და თითოეულ სექციისაში ორმოცდაათი კაცი დანიშნა. ასე რომ თითოეული პრიტანეა მთელი წლის განმავლობაში კი არა, რიგრიგობით მუშაობდა ე. ი. მხოლოდ 30 დღის განმავლობაში.

თითოეულ პრიტანეას თავისი თავმჯდომარე ანუ ეპისტატე ჰყავდა, რომელიც ეკლესიის ყრილობასაც თავმჯდომარეობდა.

ბულეს წევრების არჩევნები დემებში ხდებოდა, ასე რომ თითოეულ დემს ბულეში თავისი მოსახლეობის შესაფერისი წევრთა რაოდენობა ჰყავდა. მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად მთელი ბულეს საერთო კრება ინიშნებოდა; პრიტანიებში კი მხოლოდ მიმდინარე საკითხებს არჩევდნ.

4. **ისტრაციზმო.** მეხუთე საუკუნის განმავლობაში ათენში ერთი ჩვეულება დამკვიდრდა: ხალხს ყოველწლიურად ერთერთ გაზაფხულის ყრილობაზე საკითხს უსვამდნ: არის თუ არა ათენში ისე-

თი პირი, რომელიც ტირანობას ესწრაფის და რომელიც ამტკობ სახელმწიფოს საზღვრებიდან განდევნილ უნდა იქმნეს. თუ ხალხი ამას დაადასტურებდა, მაშინ განსაკუთრებულ კრებას ნიშნავდნ, რომელსაც 6000 კაცი მაინც უნდა დასწრებოდა, და ექვთოთეულ წევრს იმ პირის სახელი უნდა წარმოედგინა, ვინც განდევნილ იქნეს. სი იყო. ხმის მიცემა ფარულად ხდებოდა ფირფიტების საშვალეებით, რომელზეც ესა თუ ის პირი უნდა ყოფილიყო დასახელებული. ამ ჩვეულებას **ისტრაციზმის** უწოდებდნ და პირველად იგი 487 წელს იხმარეს, როდესაც ათენიდან პიზისტრატეს ერთერთი ნათესავი გააქვეს. ბერძენთა აზრით, ეს თავისებური გასამართლება კლისთენეს შემოღებულ უნდა ყოფილიყო. მაგრამ უფრო მართალი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ოსტრაციზმო ხმარებაში კანონმდებლობის კი არა, მხოლოდ ჩვეულების სახით შემოვიდა.

11.

**ბერძენ-სპარსელთა ომები.**

1. **მცირე აზიის ბერძენები და სპარსეთი.** მცირე აზიის ბერძენთა ახალშენები მეექვსე საუკუნეში ლიდიის სამეფოს ხელში გადავიდა. მაგრამ ლიდიის მეფეთა ბატონობა არ იყო მათთვის საძიძო, რადგანაც ლიდიელთა სასარგებლოდ მხოლოდ განსაზღვრულ გადასახადს იხდიდნ, სხვა მხრივ კი სრული თავისუფლებით სარგებლობდნ. ეს იყო მიზეზი, რომ ლიდიის ბატონობის დროს მცირე აზიის ბერძენთა ნივთიერი და სულიერი განვითარება წარმატების გზაზე იდგა. მაგრამ სპარსეთის სამეფოს დაარსებას მალე ლიდიელთა სამეფოს დაპყრობა მოჰყვა, და მასთან ერთად ბერძენთა ახალშენებსაც ახალი ბატონი გაუჩნდა. თითოეულ ქალაქში მართვაგამგეობის სათავეში ტირანები ჩააყენეს და ამგვარად ძველი დემოკრატიული თვითმართველობის წესები მოსპეს. სხვა მხრივ კი შინაური მართვაგამგეობა ხელუხლებელი დატოვეს. ტირანი მოვალე იყო, სპარსელების სასარგებლოდ გადასახადი მოეგროვებია და მეფისათვის გადაეცა, შინაგან მართვაგამგეობაში კი სავსებით დამოუკიდებელი იყო. მაგრამ მცირე აზიის მდიდარი ახალშენები მაინც უქმაყოფილონი იყვნენ. იგინი მოუთმენლად ელოდნ იმ დროს, როდესაც სპარსელების ბატონობისაგან განთავისუფლდებოდნ, და სპარსელთა წინააღმდეგ ამბოხების მოსაწყობად მუდამ მზად იყვნენ. მილეტის ტირანად მეექვსე საუკუნის უკანასკნელ წლებში ვინმე **არისტაგორა** ითვლებოდა, რომელმაც სპარსელების დახმარებით

კუნძულ ნაქსოსის დაპყრობა და ამით თავისი გავლენის წრის გაფართოება განიზრახა. მან დაიყოლია სპარსეთის მეფე და საკმაოდ დიდი ძალით ნაქსოსის წინააღმდეგ გაილაშქრა; მაგრამ ბრძოლა არისტაგორასა და სპარსელების დამარცხებით დასრულდა. არისტაგორას სპარსეთის მეფის რ.სხვა ელოდა და ამიტომ მას იონიელთა ახალშენების ამბოხება და განთავისუფლება გადაწყვიტა. გამოაცხადა, ტირანობას თავს ვანებებო, და ხალხს აჯანყებისაკენ მოუხმო. ხალხი არისტაგორას წინადადებას მიემხრო, და ამნაირად იონელთა კოლონიებს ამბოხების ალი მოედო. ძნელი მოსალოდნელი იყო, რომ მარტო მცირე აზიის ბერძენთა ძალით სპარსელთა ჯარების ძლევა შეიძლებოდა, და არისტაგორამ ბალკანების ბერძენებს მიმართა. სპარტამ დახმარებაზე უარი განაცხადა, ხოლო ათენმა, რომლისთვისაც სპარსელების გაძლიერება ეგეოსის ზღვის სრულს დაკარგვას ნიშნავდა, არისტაგორას დახმარება აღუთქვა და 20 გემი გაუგზავნა. ამას შეუერთდა აგრეთვე ეგზეას ქალაქი ერეტრიაც თავისი ხუთი გემით, და ამ ძალებით მცირე აზიის იონელთა კოლონიებმა სპარსელებს ომი გამოუცხადეს. ათენელთა და ერეტრიელთა გემები სპარსელებმა მალე დაამარცხეს და შემდეგ მთელი თავისი ძალღონე კოლონიების წინააღმდეგ მიმართეს. 495 წელს კოლონიები იძულებულნი შეიქმნენ, იარაღი დაეყარათ და სპარსელთა ბატონობა ხელახლა ეცნოთ.

სპარსელთა დამოკიდებულება მცირე აზიის კოლონიების მიმართ ამას შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა. ტირანი? მაგიერ ქალაქებში სატრაპები ჩააყენეს და მეთვალყურეობა გაძლიერეს. ხოლო შინაური საქმეების გამგეობაში თვითმმართველობა ახლაც ხელუხლებელი დატოვეს. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ თვითმმართველობის ნიადაგზე ბერძენებს პარტიული განხეთქილება ჰქონდათ, და ეს კი საშვალებას არ აძლევდა მათ. საგრძნობლად გაძლიერებულიყვნენ და სპარსელთათვის საშიშ ძალად გადაქცეულიყვნენ.

**ამის დასაწყისი.** სპარსეთის ხელში მთელი იმდროინდელი აღმოსავლეთი გადავიდა, და ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სპარსელები დასავლეთის დაპყრობასაც განიზრახავდნენ. მეექვსე საუკუნის უკანასკნელ წლებში დარიოს ჰისტასპომ ახლანდელი რუსეთის სამხრეთით მოსახლე ხკვითების წინააღმდეგ გაილაშქრა; შემდეგ თრაკია და მაკედონია დაიპყრო; ცოტა ხნის შემდეგ ლეონისი და იმპროზი დაიპოვრჩილა და ამგვარად ბალკანების საბერძნეთს მიადგა. ადრე თუ გვიან ამ ორ ხალხს შორის ომი აუცილებლად უნდა დაწყებულიყო; და რაკი ათენელებმა იონელთა ამბოხებაში

მონაწილეობა მიიღეს, დარიოსმა საბაბი იშოვა და ბერძენებს წინააღმდეგ საომარ მზადებას მიჰყო ხელი.

493 წელს საბერძნეთში შინაგანი უთანხმოება დაიწყო: სპარტაში ჰელოტების აჯანყება მოხდა, და ეს გარემოება მათივე ხელსაყრელი შეიქმნა სპარსელებისთვის. 492 წელს დარიოსმა თავის სიძეს **მარდონიოს** საბერძნეთის დაპყრობა დაავალა. მარდონიო ორის გზით გაემგზავრა საბერძნეთისაკენ: ზღვით—ჰელესპონტოდან თრაკიის ნაპირების გასწვრივ, და ხმელეთით. მაგრამ ქალკიდის ნაპირებზე **ათონის** კონცხთან ყველა მისი გემები დაიშხვრა, და მარდონიო იძულებული შეიქმნა, უკან გამობრუნებულიყო.

უთანხმოება სპარტაში გრძელდებოდა, და ორი წლის შემდეგ საბერძნეთში სპარტეიდან ხელახლა დიდი ლაშქარი გამოიგზავნა. გზა პირდაპირი აირჩიეს, ეგეოსის ზღვით. გზაში **ნაქსოსი** და **ირეტრია** დაიპყრეს და შემდეგ ჯარი ატიკის აღმოსავლეთის ნაპირზე გადასხეს, სადაც **მარათონის** ველი მდებარეობდა. ეს ადგილი სპარსელებმა მიტომ აირჩიეს, რომ მათი ჯარი უმთავრესად ცხენოსანი იყო და საბრძოლველად გაშლილი ადგილი ესაჭიროებოდა.

ათენელებმა სპარტაში კაცი აფრინეს, მაგრამ იქ ღლესასწაული ჰქონდათ და ამიტომ შიკრიკი უარით გამოისტუმრეს. მარტო პლატეელებმა გამოუგზავნეს ათენელებს რამოდენიმე ათასი კაცი, ასე რომ მთელი ძალა ათენელებისა 10000 კაცს ძლივს აღემატებოდა. ჯარს სათავეში ათი სტრატეგი ედგა, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო ცნობილი **მილთიადე** იყო. ბერძენთა ჩქარმა შეტევამ ერთი მხრით და მათმა მძიმე შეიარაღებამ მეორე მხრით საქმე გადაწყვიტეს, და ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვება ათენელებს ხელდასწრად წილად. სპარსელებმა თავის გემებს მიაშურეს და ათენისაკენ დაიძრნენ. ხოლო ათენელები ჩქარი ნაბიჯით გაეშურნენ თავის ქალაქისაკენ და იქ სპარსელებზე ადრე მივიდნენ. ეს რომ სპარსეთის ჯარმა დაინახა, პირობრუნდა და შინისაკენ გაემართა.

ასე გადარჩა ათენი ძლიერი მტრის შემოსევას. ამ გამარჯვებას ათენელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მათ თვითონაც დაინახეს თავისი ძლიერება და გამხნევდნენ და დანარჩენ ბერძენთა თვალშიც შესამჩნევად ამაღლდნენ. ადვილი კი არ იყო უძლეველი სპარსელების დამარცხება, და ეს ძნელი საქმე პატარა ათენმა მოახერხა და ამით მთელი საბერძნეთი ბარბაროსების ბატონობისაგან იხსნა.

2. **ქსერქსეს შემოსევა.** დარით აგრე ადვილად ვერ იტყოდა საბოლოო უარს საბერძნეთის დაპყრობაზე და მან სეორე ომისა-



თვის დაიწყო მზადება. მაგრამ ამ დროს მის წინააღმდეგ კავკასი-  
ში ამბოხება მოხდა, რომელიც მისმა მეგობარმა ქსერქსემ დააჩუქრა.  
დარიოს საკვდილის შემდეგ ქსერქსემ საბერძნეთის წინააღმდეგ  
მზადება გააგრძო: შეკრიბა აურაცხელი ჯარი, გადაიწყო გემები  
გასქრა ათონის კონცხი, რათა ქარიშხალს მისი ფლოტი ხელახლა  
არ დაეზიანებია, და საბერძნეთის წინააღმდეგ დაიძრა.

თვით ათენში ამ დროს ცვლილებები მოხდა. მილტიადე გადაი-  
ცვალა და პირველობა ორი კაცი: თემისტოკლესა და არისტიდეს  
ხელთ გადავიდა. ორივე დემოკრატიული წესწყობილების გაღრმავების  
მომხრენი იყვნენ, მაგრამ როგორც ხასიათით, ისე განსაკუთრებით  
საომარი გეგმებითაც ერთმეორესაგან ძირიანად განსხვავდებოდნენ.

თემისტოკლე მტკიცე ხასიათის კაცი იყო, რომელიც თავისი  
მიზნების მისაღწევად არავითარ საშვალებას არ ერიდებოდა. არის-  
ტიდე კი უფრო ზომიერი იყო და თავის მოღვაწეობაში პატიოსნე-  
ბის გზას არაოდეს და არაფრისთვის არ ღალატობდა. მისი პატიოს-  
ნება საარაკო შეიქმნა, ასე რომ ყველა, ვინც თავისი უმწიკვლო  
პატიოსნებით არის ცნობილი, დღესაც მეტსახელად „არისტიდეს“  
უწოდებენ.

თემისტოკლე დარწმუნებული იყო, რომ ათენს მხოლოდ ძლიერი  
საზღვაო ძალა (ფლოტი) იხსნიდა, და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა,  
რათა ათენელთა ყურადღება ამ მხრით მიექცოდა; ხოლო არისტიდეს  
სხვაგვარად ფიქრობდა; მისი აზრით, ათენს ხმელეთის ჯარი უნდა გა-  
ძლიერებია და ხმელეთის სახელმწიფოდ დარჩენილიყო. ბოლოს მათი  
ქიშპობა ხალხმა გადაწყვიტა და არისტიდეს ოსტრაციზმის საშვალე-  
ბით ათენიდან განდევნა. ხალხის ბელადობა თემისტოკლეს დარჩა,  
რომლის მოღვაწეობასაც შედეგად ორი მნიშვნელოვანი პოვლენა  
მოჰყვა: ერთი იყო—არქონტების წილის ყრით არჩევნების შემოღება  
(500 დასახლებული კანდიდატიდან ცხრა უნდა აერჩიათ) და მეორე—  
სახელმწიფოს ხარჯით ორასი გემის (ტრიერის) დამზადება, რამაც  
ათენელთა საზღვაო ძლიერებას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა.

საბერძნეთი საყოველთაო შიშმა მოიცვა. ყველა დარწმუნებუ-  
ნებული იყო, რომ ქსერქსეს აურაცხელ ძალას პატარა ელადა ვერ  
გაუტკლავდებოდა, მით უმეტეს რომ შიგნით ბერძენთა შორის ერთ-  
სულ ავანობა არ არსებობდა: ბერძენები მრავალ სახელმწიფოდ  
იყვნენ გაყოფილნი და ერთს მთლიან ერს არ წარმოადგენდნენ. ასე-  
თი მთლიანობის საჭიროება კი ყველასათვის ცხადი შეიქმნა. ამით  
აიხსნება, რომ 481 წ. შემოდგომაზე სპარტამ საბერძნეთის ყველა  
სახელმწიფოს მოუხმო, ისტამოზე პოსეიდონის ტაძარში საერთო



ყრილობაზე გამოცხადებულიყვნენ, რათა სპარსელთა წინააღმდეგ  
 შეკავშირებულიყვნენ. კრებას 31 სახელმწიფოს წარმომადგენ-  
 ნელი დაესწრო, და ამგვარად ჩაისახა პირველი კავშირი, რომელიც  
 საბერძნეთის ხსნისათვის აუცილებელი იყო. კრებამ საფრანგულ-  
 ბიზანტიურ



თემისტოკლე.

ძლოლობა (ჰეგემონია) სპარტანელებს გადასცა და ომისთვის მზადე-  
 ბა გააცხოველა. ხოლო არგოლიდა, აქაია, თესალია და მთელი  
 დახველეთი საბერძნეთი კავშირს გარეშე დარჩენ; იგინი დარწმუნე-  
 ბულნი იყვნენ, რომ გამარჯვება ბოლოს და ბოლოს სპარსელებს  
 დარჩებოდათ, და ამიტომ ომში ჩარევასზე უარი განაცხადეს.

480 წელს სპარსელების ჯარი საბერძნეთისაკენ დაიძრა. 100000  
 ჯარისკაცი და 1207 გემი, თუმეტი არა, პატარა საბერძნეთის წინააღმ-  
 დეგ წამოვიდა. ქსერქსეს ჯარმა თრაკია და მაკედონია გაიარა და  
 თესალიიდან საშვალო საბერძნეთისაკენ ჰქნა პირი. აქედან ერთად  
 ერთი გზა იყო ე. წ. თერმოპილეს ვასავალი, რომლის ბედზეც

მთელი საბერძნეთის სვე იყო დამოკიდებული. ბერძნებმა სპარტას ერთერთი მეფის, **ლეონიდეს** მეთაურობით 400 კაცი გამოგზავნეს და თვითონ, უმთავრესად სპარტანელების ზეგავლენით, კორინთოს ყელის გამაგრება დაიწყეს, რათა საშვალო საბერძნეთის დამპყრობის შემდეგ სამხრეთი მიწები ეხსნათ მტრის შემოსევისაგან. ქსერ-



ბერძენ-სპარსელთა ძალებას განწყობილება.

ქსეს ჯარმა ერთერთი მოლაღატე ბერძნის დახმარებით ერთი მცირე ბილიკით, რომელიც ბერძნების მეტმა არაფინ არ იცოდა, ლეონიდეს ჯარს უკან მოუარა და მთლად ერთიანად გაელიტა; შეესია **ბეოტია**, რომელიც ბერძენთა კავშირში არ შედიოდა და აქედან ატიკას; აიღო ათენი, რომლის მცხოვრებლებიც ახლო მდებარე კუნძულს **სალამინზე** იყვნენ გახიზნულნი, და ამნაირად მთელი საშვალო საბერძნეთი ხელში ჩაიგდო.

ზღვაზე კი რამოდენიმე შეტაკების შემდეგ მდგომარეობა ასეთი იყო: ბერძენთა ფლოტი ბოლოს და ბოლოს სალამინის სრუტე-

ში გაჩერდა; აქვე გაჩნდა სპარსელების ფლოტიც, და თემისტოკლეს წყალობით, რომელიც ბერძენთა მდგომარეობის უპირატესობას კარგად გრძნობდა, ბრძოლა დაიწყო. რადგანაც ადგილი ძალიერად იყო, ხოლო სპარსელების გემები დიდი და უძლიერესნი იყვნენ, მა ვერ ისარგებლეს თავისი რიცხვითი უპირატესობით და ყველა გემი ბრძოლაში ვერ ჩარიეს. ბერძენთა მჩატე გემები კი ადვილად მოქმედობდნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა მათი ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა. ქსერქსემ, რომელიც აქვე იყო და ბრძოლას თვალყურს ადევნებდა, ბრძანება გასცა, სპარსელთა ფლოტი შინისაკენ წასულიყო, და თვითონაც მას გაჰყვი, ხოლო საბერძნეთში მარდონიოს მეთაურობით ხმელთის ჯარის ნაწილი დატოვა, რომელსაც საბერძნეთის დაპყრობა დაეავალა.

რაკი უმთავრესი საშიშროება თავიდან იქნა აცილებული და სპარსეთის მონობის შესაძლებლობის მოსასპობად მხოლოდ მარდონიოს ჯარის დამარცხება იყო საჭირო, ათენელებმა თავისი მოქმედების გეგმა შესცვალეს და მთავარი ყურადღება ხმელეთის სამხედრო ძალებს მიიპყრეს. ამიტომ შემდეგი წლისათვის (479 წ.) სტრატეგად თემისტოკლეს მაგიერ საშობლოში უკანგამოწვეული არისტიდე და ქსანტიპო აირჩიეს.

მარდონიომ ზამთარი თესალიაში გაატარა და იქედან ათენელებთან მოლაპარაკება გამართა. იგი ცდილობდა, როგორმე ათენი გადმოეზირებია და ამგვარად საბერძნეთის დაპყრობის საქმე გაეადვილებია. მაგრამ რადგანაც ათენელები უარზე იდგნენ, მარდონიო ხელახლა შეესია ატიკას და ათენი ცეცხლის აღში გაახვია; სწორედ ამ დროს სპარტანელებმა პავზანიას მეთაურობით თავისი ჯარი საშუალო საბერძნეთისაკენ გამოგზავნეს. მარდონიომ ბეოტიისაკენ დაიხია და იქ დაბანაკდა. სპარტანელები კი ათენელებსა და სხვა პელოპონეზელ ჯარებს შეუერთდნენ, გადავიდნენ ბეოტიაში და ქალაქ პლატეასთან დაბანაკდნენ, სადაც რამოდენიმე დღეში სპარსელთა და ბერძენთ შორის ბრძოლა დაიწყო. ბერძენთა იარაღი სპარსელებისაზე უკეთესი აღმოჩნდა, და ბრძოლა ბერძენების სასარგებლოდ გადაწყდა; მარდონიო მოკლული იქმნა, და მთელი მისი ბანაკი ბერძენთა ხელში გადავიდა. ნადავლი აუარებელი იყო, ბერძენთა სიხარული კიდევ უფრო მეტი. რადგანაც ბეოტია და მისი მთავარი ქალაქი, თებე სპარსელების მხარეზე იყო, ახლა პავზანია მის დასასჯელად დაიძრა.

ხმელეთზე ამგვარად ომი სპარსელების განდევნით დასრულდა; ხოლო ზღვაზე მდგომარეობა შემდეგი იყო: სპარსელების ფლოტი

კურძულ ხამოსთან გაჩერდა, რადგანაც მათ იონელთა კორუნიების აპოხების ეშინოდათ, და აქედან კი მცირე აზიელ ბერძენთა განცალკევება ადვილი იყო; ბერძენთა გემები კი, ქსანტიკოს მეთაურობით, კუნძულ ვეინასთან გროვდებოდნენ. რადგანაც კონსტანტინე პირველი ნებით სპარსელთა ბატონობისაკენ განთავისუფლებას მოითხოვდნენ, ქსანტიკოს თავისი ფლოტი სამოსისაკენ წაიყვანა. სპარსელებმა მაშინ მიკალეს კონცხს მიაშურეს, სადაც იმეამად მათი ხმელეთის ჯარი იყო დაბანაკებული, და მთავარი ბრძოლა, პლატეას ბრძოლის დღეს, აქ მოახდინეს. ბერძნებმა აქც ბრწყინვალედ გაიმარჯვეს, რასაც ხელი უმთავრესად იმ გარემოებამ შეუწყო, რომ ბრძოლის დროს იონელებმა სპარსელებს უღალატეს და ბერძენთა ბანაკში გადავიდნენ.

ამ გამარჯვების შედეგი იონელთა განთავისუფლება იყო. ხანგრძლივი დავის შემდეგ ბერძნებმა თავის კავშირში მარტო კუნძულთა მცხოვრებლები მიიღეს, ხოლო მცირე აზიის ახალშენებს დროებით უარი უთხრეს: ამის გამო მათ მხოლოდ ათენთან დაიკავეს მკვიდრო კავშირი.

ასე დასრულდა მთავარი ხანა ბერძენ-სპარსელთა შეტაკებისა. ბერძნები ამ ომში გამარჯვებულნი დარჩნენ, თუმცა მათი დაპყრობა სპარსეთის მეფეების მტკიცე გადაწყვეტილებას შეადგენდა, და ივინიც არავითარ ძალას არ იშურებდნენ, ოღონდ ეს განზრახვა სისრულეში მოეყვანათ. აღსანიშნავია, რომ სპარსეთის მეფეებმა მარტო ბალკანების მხრით კი არ გადაწყვიტეს ბერძენთა შევიწროება; ერთსა და იმავე დროს დასავლეთს მხრითაც სცდილობდნენ მათ დაპონებას. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბალკანებისათვის სიცილიას, საიდანაც ბერძნები პურს იღებდნენ. და ამიტომ სწორედ იმ დროს, როდესაც თვითონ აღმოსავლეთის მხრით დაეცნენ საბერძნეთს, დასავლეთით სიცილიის წინააღმდეგ აფრიკის სახელმწიფო, კართაგენი დასძრეს. მაგრამ ბერძნები აქაც გამარჯვებულნი დარჩნენ.

### პენტეკოატებს ისტორია (479—429).

479 წლიდან ბერძენთა შინაური განხეთქილების ე. წ. პელოპონეზის ომის დაწყებამდე სრულმა 50 წელმა განვლო. ეს ხანა ისტორიაში პენტეკოატებს ანუ ორმოცდაათეულის სახელით არის ცნობილი და მრავალი მხრით საყურადღებო ხანას წარმოადგენს.



ბერძენთა გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი და ამავე დროს ყველასთვის მოულოდნელი მოვლენა იყო, რომ შეუძლებელი მას იმდროინდელი ცხოვრების მსვლელობაში დიდი შედეგები მოეწვია. პენტეკოტეტე სწორედ მით არის მნიშვნელოვანი იგი ის ხანაა, როდესაც ამ გამარჯვების შედეგები ყველა ნათლად გამოძვლავნდა და ბერძენთა ისტორიულ ცხოვრებას თავისებური მიმართულება მისცა.

**გამარჯვების მიზეზები.** მაგრამ სანამ ბერძენთა გამარჯვების შედეგს ვავეცნობოდეთ, ანტერესოა, ჯერ მისი მიზეზები გაითვალისწინოთ. ცხადია, უნდა ყოფილიყო რაღაც განსაკუთრებული ხასიათის პირობები, როგორც ომის წარმოების დროს ბერძენებისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, თორემ უიმისოდ პატარა საბერძენეთის უზარმაზარ სპარსეთზე გამარჯვება მართლა სასწაულად მოგვეჩვენებოდა.

ამ მიზეზთა შორის უთუოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის **ეროვნული მთლიანობის** შეგნებაა, რომელიც იმდროინდელ ბერძენებს გაეღვიძათ. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ სპარსელების გამარჯვება მათი საერთო უბედულება იქნებოდა, და ამიტომ თვისი ძველი ქიშობა და განხეთქილება დაივიწყეს და საერთო მტრის საწინააღმდეგოდ შეკავშირდნენ. ის შეთანხმება, რომელიც ომის დასაწყისში კორინთოს ყელზე მოხდა, პირველი მიზეზია ბერძენების სპარსელებზე საოცარი გამარჯვებისა. თვით სპარსელების ჯარი კი ჭრელი შემადგენლობის იყო: იქ მრავალი დამოჩილებული ერის ჯარისკაცები ერია, რომელნიც ბატონის ბრძანებით ბერძენების დამონებისთვის წამოვიდნენ, თუმცა უმეტესობა ან სრულიად არ იცნობდა მათ, ან და თუ იცნობდა, მისი საწინააღმდეგო არაფერი არ ჰქონდა. ამიტომ სპარსელების ჯარი უფულოდ ომობდა, მაშინ როდესაც ბერძენები ყველა სასიკვდილოდ იყვნენ განმზადებულნი, ოღონდ მათი სამშობლო მტერს არ დაემონავენია. ბერძენების მეომრებს დამარცხებას სიკვდილი ერჩიათ, ხოლო სპარსელთა ჯარისთვის გამარჯვება და დამარცხება სულერთი იყო, ოღონდ ცოცხალი კი გადარჩენილიყვნენ. ექვი არ არის, რომ ზოგი მათგანი სიხარულითაც კი შეხვდებოდა სპარსელთა დამარცხებას, რადგანაც ეს მათი სამშობლოს მტრის დაუსტება იქნებოდა, და ეს კა მათ საკუთარი სამშობლოს განთავისუფლების იმედს აღუძრავდა.

ამას გარდა, სპარსელები **კულტურულად ჩამორჩენილი** ხალხი იყო, და მათი იარაღი ბერძენებისაზე. გაცილებით დაბლა იდგა. სპარსელების უპირატესობას მხოლოდ ჯარის სიმრავლე შეადგენდა, მაგ-

რამ ეს უპირატესობა მათ სრულიად ვერ შეელოდა, რადგანაც ბერძნები გაშლილ ადგილზე ბრძოლას გაურბოდნენ. მათი ბრძოლის წესი ასეთი იყო: დადგებოდნენ ერთ წყებად ისეთ ადგილას, სადაც მათ ორივე მხრით ამალღებული მთავორიანი ადგილები თავსდება, და უცდიდნენ, სანამ მოთჳინება-დაკარგული მტერი მათზე იერიშით არ წამოვიდოდა. ბერძნები თავის მდგომარეობას არ ცვლიდნენ და მოიერიშე მტრის რაზმებს მწყობრად ხოცავდნენ.

ამას გარდა სპარსელების მდგომარეობას კიდევ ის ართულებდა, რომ საბერძნეთი მრავალ დაშოუქიდებელ სახელმწიფოდ იყო დაყოფილი. ამიტომ მთელი ქვეყნის დაპყრობა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ პარსეთის ჯარი ყველა პატარა სახელმწიფოს ცალცალკე დაიპყრობდა. ეს კი მთელი საბერძნეთის ტერიტორიის ფეხდაფეხ მოვლას გულისხმობდა, რაც ძლიერ ძნელი იყო, რადგანაც ბალკანები მთავორიანი ადგილი იყო, და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა მხოლოდ პატარა ვასაველით შეიძლებოდა, სადაც სპარსელთა დასამარცხებლად ხშირად ბერძენთა მცირე რაზმიც საკმარისი იყო.

სპარსელთა ჯარი სურსათს თავისი გემებიდან ღებულობდა, მაგრამ რადგანაც საბერძნეთის ნაპირები ძლიერ მიხვეულ-მოხვეულნი იყვნენ, ამიტომ ფლოტი ხმელეთის ჯარს ფეხდაფეხ ვერ მისდევდა და მას ხშირად უსურსათოდ სტოვებდა. თვით გემებიც სპარსელებისა შეუფერებელი იყვნენ ვაწრო ადგილებში ბრძოლისათვის და ამიტომ ბერძენთა ფლოტს ვერაფერს უხერხებდნენ.

ასეთი იყო ის მთავარი მიზეზები, რომელთაც ბერძნებს გამარჯვება მიანიჭეს.

**სპარსელებთან ომის დასრულება.** რაკი საბერძნეთიდან მტერი საბოლოოდ განდევნეს, საჭირო იყო ახლა, მთელი ეგეოსის ზღვისა და მცირე აზიის ნაპირების განთავისფლების შესახებ ეზრუნათ და ამით სპარსელებთან ომი საბოლოოდ დაესრულებიათ. ეს საქმე ახალ სტრატეგს, კიმონს ხელა წაღად.

კიმონი მილტიადეს შვილი იყო. ეს გარემოება უკვე საკმარისი იყო, რომ მისთვის ყურადღება მიექციათ. მაგრამ კიმონს პირადი ღირსებაც ბევრი ჰქონდა. იგი ნიჭიერი არდალი და ამასთანავე მდიდარი კაცი იყო და თავის სიმდიდრეს საერთო სარგებლობისათვის ხმარობდა; მისს სიუხვესა და ხელგახსნილობას ხალხი დიდად აფასებდა, და ამიტომ მთელი 15 წლას განმავლობაში მის მეტოქეობას ვრავინ ბედავდა. 470 წლისათვის სპარსელებს მხოლოდ მცირე აზიის სამხრეთი ნაპირები ეჭირათ. დანარჩენი ადგილები წინა ცხრა წლის

განმავლობაში დაცალეს. კომონის მიზანი იყო, სპარსელები აქედანაც გაეძევებია, და 470 წ. ათენელთა ფლოტი მცირე აზიისაკენ დაიძრა. სპარსელების გემები მდ. **ევრიმედონთან** უკეცდნენ და ფინიკიელთა გემებს უცდიდა. კომონი სპარსელებს დაეცა და სანამ ფინიკიელები მოვიდოდნენ, დაამარცხა კიდევც. უკანასკნელი ბრძოლა მას სპარსელებთან **კიპროსზე** მოუხდა. ეს ბრძოლა (449 წ.) ე. წ. **კალია** ზავით დასრულდა, რომელიც სპარსეთისა და ათენის ფლოტის სარბიელს საზღვრავდა, და რომელიც სპარსელ-ბერძენთა ომების დასასრულად ითვლება.

**ომის შედეგები.** ბერძენთა ძლევამოსილი ბრძოლა სპარსელთა დიდსა და სახელოვან ლაშქართან უმთავრესად ელინთა უმრავლესობის ერთსულოვანი მოქმედებით აიხსნება. ამ გარემოებისათვის შეუძლებელია ბერძნებს შესაფერი ყურადღება არ მიეპყროთ. ივინ დარწმუნდნენ, რომ მათი ძალა ერთობაშია, რომ იგინი ერთი ინტერესებით გამსჭვალულ ერთეულს წარმოადგენენ და რომ ამიტომ თავისი ქალაქის კერძო ინტერესებთან ერთად საერთო ბერძენთა ინტერესებიც უნდა ჰქონოდათ, რომლის სამსახურიც ისევე სავალდებულო და ხელსაყრელი იყო მათთვის, როგორც სამსახური თავისი კერძო ინტერესებისა. — ამგვარად **ეროვნული მთლიანობის შეგნება** და ბერძენთა ერის, როგორც ერთეულის, ბარბაროსებთან დაპირდაპირება პირველი მნიშვნელოვანი შედეგი იყო, რომელიც ბერძენ-სპარსელთა ომებს მოჰყვა თან.

მოულოდნელ გამარჯვებას ასეთს დიდსა და საშიშ მტერზე, როგორიც სპარსეთის ჯარი იყო, შეუძლებელია, ბერძენთა შეგნებაში სიამაყის გრძნობა არ წარმოეშვა. ბერძნები თავის თავს ამიერიდან ძლიერ ხალხად თვლიდნენ და ყოველს თავის დაწყებულ საქმეში მეტ გამბედაობას იჩენდნენ. ეს გარემოება რა თქმა უნდა მათ მოქმედებას შესამჩნევად აცხოველებდა, და სხვათაშორის აპითაც აიხსნება, რომ ამიერიდან მათი ცხოვრების ყოველ მხარეს მეტი სიცოცხლე და მოძრაობა დაეტყო. ყველაზე უმეტესად კი ეს კულტურულ შემოქმედების შესახებ ითქმის: მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება საკვირველი სისწრაფით განვითარდა, ასე რომ თუ წინა დამ მხრივ პირველობა მცირე აზიის იონელთა ახალშენებს ეკუთვნოდათ, ახლა იგი ათენელთა ხელში გადავიდა.

**დემოკრატის განვითარება ათენში.** თემისტოკლეს პოლიტიკა და საერთო მდგომარეობამ ათენის ყურადღება საზღვაო ძალისაკენ, ფლოტისაკენ მიმართა, და მთელი ომის განმავლობაში ზღვაზე უძლიერეს სახელმწიფოდ ათენი ითვლებოდა. დიდი ფლოტის





მოწყობა კი სახელმწიფოში ახალ მოთხოვნილებას აყენებდა, საჭირო შეიქმნა საკმაო რიცხვი ახალი ხალხისა, რომელსაც გეგმებზე უნდა ემუშავნა, მატროსებისა, მკედლებისა და სხვადასხვა ტექნიკური უნდა, ეს ახალი საზოგადოებრივი ჯგუფი უნდა შექმნილიყო, თეტებიდან გამოდიოდა. თეტები გრძნობდნენ თავის მნიშვნელობას სახელმწიფოში, ხედავდნენ, რომ სახელმწიფოს ძლიერებასა და სახელს იგინი ჰქმნიდნენ, რადგანაც ფლოტის გამარჯვება მათს გამარჯვებას ნიშნავდა, და ამიტომ მალე სახელმწიფოს მართვაგამგეობაში თავისი მნიშვნელობის შესაფერისი ადგილი მოითხოვეს. ათენელებს, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიათ ამ ხალხის მოთხოვნილებებისათვის და სახელმწიფოებრივი მართვაგამგეობა ისე მოეწყოთ, რომ თეტებს შესაფერი მონაწილეობა ჰქონოდათ. ამგვარად, ბერძენ—სპარსელთა ომის გავლენა იმაშიც გამოიხატა, რომ ათენში ხელახლა ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა დაიწყო, და ისედაც დემოკრატიულად მოწყობილ ათენს კიდევ უფრო დემოკრატიული იერი მიეცა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმა ეფიალტის და რეფორმები პერიკლესი.

**ეფიალტე** (462 წ.). ეფიალტეს წილად ხვდა არისტოკრატთა გავლენის უკანასკნელი სიმაგრის აღება და ამრიგად დემოკრატიული მართვა-კამგეობის საბოლოო განმტკიცება. ეს სიმაგრე არეოპაგე იყო. ამ დაწესებულების შემადგენლობა, როგორც ვიცით, არისტოკრატიული იყო, ხოლო მისი უფლებები საკმაოდ დიდი: იგი მთავარ სახელმწიფო მოხელეთა მოღვაწეობას თვალყურს ადევნებდა; თუ საჭიროდ დაინახავდა, მათ ასამართლებდა და სხვათა შორის სახელმწიფოს შემოსავალის საქმესაც მეთვალყურეობდა. ცხადია, არეოპაგის წევრებს, რომლებიც შეძლებული კლასების წრიდან გამოდიოდნენ, სახელმწიფოს ცხოვრებასა და მართვაგამგეობაზე დიდი გავლენა ექნებოდათ. რაკი ასეთი იყო არეოპაგის მნიშვნელობა, მტკიცე დემოკრატიული წესების დასამკვიდრებლად აუცილებლად საჭირო იქნებოდა, ამ დაწესებულების უფლებები რაც შეიძლება უფრო შემცირებულიყო. ეფიალტემ, რომელიც მეხუთე საუკუნის შუა წლებში დემოსის წინამძღოლად ითვლებოდა, ისარგებლა ძველი წესების მომხრე კიმონის სპარტაში ყოფნით, სადაც იგი სპარტანელებს აჯანყებული მესენიელების წინააღმდეგ უნდა დახმარებოდა, და 462 წელს წარადგინა კანონი არეოპაგის სახელმწიფოებრივი უფლებების მოსპობის შესახებ. ხალხმა ეს კანონი მიიწონა, და ამგვარად არეოპაგმა საბოლოოდ დაკარგა მთელი ის გავლენა, რომელსაც იგი სახელმწიფოს ცხოვრებაზე ახდენდა. მის

უფლებას ამიერიდან მხოლოდ ისეთი უბრალო საქმეები შეადგენდა, როგორც მაგალითად მცირე მნიშვნელოვანი სისხლის დანაშაულის სხვადასხვა შემთხვევების გასამართლება ან და კიდევ სარწმუნოებრივი ხასიათის საქმეებია. როგორც კი დაბრუნდა კონსტიტუციონალიზმი, მან იმ წამსვე ეფიალტეს ახალი კანონის წინააღმდეგ გალაშქრა. მაგრამ ეს კანონი ხალხის მომწიფებულ სურვილებს შეეფერებოდა, და კიმონი ოსტრაციზმით სამშობლოდან განდევნეს.

**დელოისის კავშირი.** ათენელთა ფლოტის გაძლიერება და მისი სპარსელებზე ხშირი გამარჯვება თანდათანობით ამზადებდა ნიადაგს, რომ პირველობა (ჰეგემონია) თუ ხმელეთზე არა, ზღვაზე მაინც მათ ხელში გადასულიყო. ამ პირველობის ათენელთა ხელში გადასვლის საქიროებას განსაკუთრებით ის წრეები გრძნობდნენ, ვისი ბედიც ზღვასთან იყო დაკავშირებული. ეს კი ეგეოსის ზღვის კუნძულები და ნაპირები იყო. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ მათი ხსნა მხოლოდ მის ხელით იყო, ვისაც ძლიერი ფლოტი ჰყავდა, ასეთი კი ათენელები იყვნენ. ამიტომაც იგინი სპარტანელთა უძლური ფლოტის ზღვაზე ჰეგემონიას დიდი ხნით ვერ შეურიგდებოდნენ.

როდესაც ბერძენებმა სპარსელები ბალკანებიდან განდევნეს, მათი საზრუნავი ეგეოსის ზღვისა და ნაპირების თანამემამულეთა განთავისუფლება შეიქმნა. 478 წლის გაზაფხულზე პავზანიას მეთაურობით ბერძენთა შეერთებული ფლოტი ეგეოსის ზღვაზე გავიდა, გაანთავისუფლა კიპროსი და შემდეგ ჩრდილოეთით ბიძანტია აიღო, და ამით შავი ზღვის გზა გახსნა, საიდანაც ბერძენებს პური მოდიოდათ. იონელთა და ჰელესპონტოს ახალშენებმა პავზანიას შესახებ საყვედური განაცხადეს—ცუდად გვეპყრობათ, და მეთაურობის აღება ათენელებს სთხოვეს.

როდესაც მოლაპარაკება დაიწყო ათენელების ხელში ჰეგემონიის გადასვლის შესახებ, გამოირკვა, რომ ეგეოსის კუნძულებისა და მცირე აზიის ახლშენთა მცხოვრებლების მთავარი მიზანი სპარსელების საბოლოო დამარცხება და განდევნა იყო. ამ დიდი მიზნის განხორციელება, მათი რწმენით, მხოლოდ მკიდრო კავშირის (ფედერაციის) შექმნით შეიძლებოდა, და ამიტომ იგინი წინადადებას იძლეოდნენ, ასეთი კავშირი შეექმნათ. თითოეული სახელმწიფო, რომელიც ამ კავშირში შევიდოდა, შინაგან მართვამეგობაში სრულ თავისუფლებას იტოვებდა, ხოლო საერთო საქმეების გასაძლიერებლად წარმომადგენლებს ირჩევდა, რომელნიც ერთად კუნძულ დელოსზე უნდა შეკრებილიყვნენ და იქ ეთათბირნათ. საერთო ომის საწარ-



მოებლად თითოეული წვერი კავშირისა მოვალე იყო, თავის ხელ-  
რი გადასახადი კავშირის საერთო კასაში შეეტანა.

ამგვარად, 477 წ. ახალშენელი ბერძნების შეფუძნებით და-  
არსდა მესამე კავშირი (პირველი იყო პელოპონესის კავშირი, მეორე-  
ისტომოზე დაარსებული კავშირი), რომელსაც ათენელები ხელმძღ-  
ვანელობდნენ. ამ ახალ კავშირს თავისი დამახასიათებელი თავისე-  
ბურობაც ჰქონდა: მისი მიზანი დიდი საზღვაო ომის წარმოება იყო,  
მაშასადამე საჭირო იქმნებოდა ძლიერი ფლოტის შექმნა; მაგრამ  
რადგანაც კავშირის წვრილ წევრებს არ შეეძლო ცალცალკე, თი-  
თო გემი მაინც წარმოედგინათ, საუმჯობესოდ დაინახეს, გემების  
დამზადება კავშირის მხოლოდ დიდი წევრებისათვის დაევალებიათ;  
ხოლო დანარჩენებს ფული გააწერეს ე. წ. ფორსი, რომლის რაოდენ-  
ობაც მათი ქონების შესაფერისი უნდა ყოფილიყო. ეს ფორსი  
ათენელებისათვის უნდა გადაეცათ, რომელთაც მისი საშვალებით  
გემები უნდა აეშენებიათ. ფორსის განაწილება პატიოსნებით ცნო-  
ბილ არისტიდეს დაავალეს, რომელმაც მოკავშირეების სახელმწი-  
ფოები დაიარა და მთელი შემოსავლის რაოდენობა 460 ტალანტით  
(დაახლოვებით ორი მილიონი მანათით) განსაზღვრა.

ახალ კავშირში 200-ამდი ქალაქი შედიოდა. იგი ყოველმხრივ  
ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობებით სარგებლობდა: მის ხელთ  
იყო მთელი გასავალი ეგეოსის ზღვიდან შეზღვევამდი და, მეორე  
მხრით, სირიასა და ეგვიპტემდი. ამრგად მთელი ეგეოსის ზღვა  
ორივე მისი გასავალით, როგორც ჩრდილეთით ისე სამხრეთითაც,  
ახალი კავშირის ხელთ იყო, და ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, მის-  
თვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭებია. ამას გარდა, თუ  
მხედველობაში მივიღებთ, რომ მცირე აზიის ახალშენებიც, რომელ-  
ნიც სპარსელებს ეგეოსის ზღვისაკენ ვხა' ულობავდნენ, ამ კავშირ-  
ში შედიოდნენ, მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ დელოსის ფედე-  
რატიული სახელმწიფო თავისი სამხედრო ძლიერებით, გეოგრაფიუ-  
ლი მდებარეობის უპირატესობით და ქონებრივ საშვალეობათა სი-  
უხვით მთელს საბერძნეთში ყველაზე უფრო უძლიერეს ძილას წარ-  
მოადგენდა.

ათენის მდგომარეობა ახალს ფედერატიულ სახელმწიფოში გან-  
საკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ამას ის გარემოება უწყობდა  
ხელს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრი ათენელთა ხელში გა-  
დავიდა, და მთელი ეგეოსის ზღვა ახლა მისი გავლენის ქვეშ მოქ-  
ცა: თითოეული წვერი კავშირისა ათენის სავაჭრო და სამრეწველო  
ქალაქე იყო დამოკიდებული. ამასთანავე, რაკი ფლოტის მოწყობა

და ხელმძღვანელობა ათენელებს ჰქონდათ დაეალებული, <sup>კავშირის</sup> მცირე წევრების არსებობა იმავე ათენელების ხელში იყო.

ამგვარად, როგორც სავაქრო და სამრეწველო, <sup>ეკონომიკური</sup> ძალაც ათენელთა განკარგულებაში იყო; რასაკვირველია, <sup>ეკონომიკური</sup> რი ეს კავშირის წევრთა სწორუფლებიანობას არღვევდა და განსაკუთრებულ ძალასა და მნიშვნელობას ათენელებს ანიჭებდა. ამასთანავე, მარტო სამხედრო ძალები კი არ იყო ათენელთა ხელში, თვით კავშირის საერთო კახაც ათენში არჩეულ მოღარეთა განკარგულებაში გადავიდა (ე. წ. ჰელენოტამიები ათენელები იყვნენ).

ასეთ მდგომარეობა ხელს უწყობდა იმ გარემოებას, რომ ათენელებს თავისი თავი კავშირის ერთერთ სწორუფლებიან წევრად კი არა, მბრძანებლად გამოეცხადებიათ; და ჩვენ ვიცით, რომ მეხუთე საუკუნის სამოციან წლებში იგინი კავშირის წევრთა დაუკითხავად დაპოუქიდებელ მოქმედებას იწყებენ. ამნაირად, ფედერატიული სახელმწიფო თანდათანობით სახეს იცვლიდა და ათენის ქვეშევრდომ დაწესებულებად იქცეოდა.

კავშირის სუსტი და მცირე წევრები გულნაკლული უყურებდნენ ასეთს მათთვის საზარალო ცვლილებას, მაგრამ ძალა არ შესწევდათ და გააუმებული იყვნენ. მაგრამ კავშირში შედარებით ძლიერი სახელმწიფოებიც ერივნენ, და ესენი, რა თქმა უნდა, ათენის გაბატონებას ხმაამოუღებელივ ვერ დამორჩილდებოდნენ. ამგვარად, ადრე თუ გვიან, კავშირში გახეთქილება უნდა დაბადებულყო, და მისი ბედი იარაღს უნდა გადაეწვიტა.

პირველად ხმა მდიდარმა ნაქსობმა ამოიღო და კავშირიდან გამოსვლა დააპირა; მას კუნძული თაზოსიც მოჰყვა. მაგრამ ათენელები ფიქსლავ ორივე კუნძულს შეებრძოლენ და იარაღი დააყრვივნეს; იქაც და აქაც ათენელები კუნძულის შინაგან ცხოვრებაშიც ჩაერიენ და ავტონომია წაართვეს. იგივე მოხდა სხვა მოკავშირე სახელმწიფოებშიც, სადაც ათენელები დემოკრატიულ პარტიებს ეხმარებოდნენ, დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას უწყობდნენ ხელს და ამით მოკავშირეთა შინაგან ცხოვრების მიმდინარეობაზე გავლენას ახდენდნენ.

ამგვარად, არსებითად მოკავშირეთა შინაგანი ცხოვრების მართვა-გამგეობაც ათენელთა ხელში გადადიოდა. ეს თანდათანობითი ცვლილება მით დაგვირგვინდა, რომ 454 წელს ათენელებმა კავშირის საერთო კასა დელოსიდან ათენში გადაიტანეს და ამიერიდან იგი თავის საკუთარ სახელმწიფო კასად აღიარეს.

ამგვარად, სწორუფლებიანობაზე დამკვიდრებული კავშირი



თავისუფალი სახელმწიფოებისა გარდაიქმნა ერთს მოლიან სახელ-  
მწიფოდ, რომლის ნაწილებსაც ერთმანეთთან ძლიერი ათენის წინა-  
შე შიშის მეტი არათფერი არ აკავშირებდა. ასე იყვნენ მათნი  
მაინც ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა, რომელსაც მათნი  
ლოპონესის კავშირის მეტი მეტოქეობას სხვა ვერაფერ უბედავდა.

როგორი იყო დამოკიდებულება ამ ორს ძლიერ სახელმწიფოს  
შორის?

**სპარტა და ათენი პელოპონესის ომამდე.** დელოსის კავშირის  
შედგენა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რომ ათენსა და სპარტას  
შორის უსიამოვნება ჩამოვარდა. მიზეზი ის იყო, რომ პლატეას  
ბრძოლის გათავებასთან ერთად ათენელებმა, თემისტოკლეს რჩევით,  
თავისი გადამწვარი ქალაქის ხელახალ შენებას მოჰკიდეს ხელი და  
მისი ნაძვალს მიუდგომელ ციხედ გადაქცევა გადაწყვიტეს. ამ მიზე-  
ზით მათ, თემისტოკლეს წინადადებით, განსაკუთრებული ყურადღე-  
ბა ნავთსადგურს პირეოსს მიაქციეს და ახალი კედლების აგების სა-  
შვალებით მთელი ნახევარკუნძული მიუვალ ციხედ გადაქციეს.  
როგორც კი გაიგეს სპარტანელებმა, ათენელები კედლებს აგებენო, იმ  
წამსვე შეატყობანეს მათ, რომ იგინი ამის წინააღმდეგნი იყვნენ, რა-  
დგანაც შეიძლება ეს კედლები შემდეგში მტერს ჩავარდნოდა ხელში და  
იქიდან მისი გამორეკვა შეუძლებელი შეიქმნესო. ნამდვილად კი სპარ-  
ტას ათენის გაძლიერების ეშინოდა. თემისტოკლე მოხერხებული კა-  
ცი იყო და სპარტასთან მოლაპარაკება დაიწყო, რომელიც მხოლოდ  
მაშინ დაასრულა, როდესაც კედლები უკვე აგებული იყო. რალას  
იზამდა სპარტა, იგი იძულებული შეიქმნა უკვე მომხდარ ფაქტს შე-  
რიგებოდა.

ეს იყო პირველი უთანახმოება ათენელთა და სპარტანელთ  
შორის. როგორც ვხედავთ, იგი ათენელთა სასარგებლოდ დასრულდა.

რაკი დელოსის კავშირი დაარსდა, და ზღვაზე ბატონობა საე-  
სებით ათენის ხელში გადავიდა, ათენელებმა ბალკანებზეც მოისურ-  
ვეს თავისი ჰეგემონიის დამკვიდრება. ნათლად სჩანდა, რომ ათე-  
ნის ხალხს თავისი მეთაურობის ქვეშ მთელი საბერძნეთის გაერ-  
თიანება უნდოდა. პირველ ხანებში საქმე რიგიანად მიდიოდა: ათენს  
ჯერ თესალია შეუკავშირდა, შემდეგ ბეოტიის ქალაქები, რომელთაც  
ამნაირად თავის მთავარ ქალაქთან, თებესთან კავშირი გასწყვიტეს,  
შემდეგ შუა საბერძნეთის ზოგიერთი მცირე სახელმწიფო და ბო-  
ლოს თვით პელოპონესის ოლქებიც (არგოს, აქაია, მეგარა). მაგრამ  
ყველაზე მეტი მნიშვნელობა იმ ორი ნავთსადგურის შემოერთებას  
ჰქონდა, რომელთა დაკარგვაც სპარტას სახიფათო მდგომარეობაში





ამ გარემოებამ ათენი ძლიერ დაასუსტა; ეხლანდნ შეიძლება ბული ქალაქებიდან თითქმის ყველა ჩამოშორდა, და ამ მიზეზით ათენელი იძულებული შეიქმნენ, ბალკანებზე გაეხიზნებინათ. სხვაზე ხელი აეღოთ. 445 წელს სპარტასა და ათენს შორის ოცდაათი წლის ზავი ჩამოვარდა, რომელიც მთელ სამეგრძეთში მართო ორი სახელმწიფოს, სპარტისა და ათენის ბატონობას აღასტურებდა.

**დემაგოგია და სტრატეგია.** არეოპაგის რეფორმის შემდეგ ერთადერთი დაწესებულება, რომელიც მთელის სახელმწიფო ცხოვრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობდა, ხალხის ყრილობა ანუ **ეკლესია** იყო. სხვა დაწესებულებას, არქონტატიდან დაწყებული ბულებმდე, არავითარი საშვალეა არ ჰქონდა, სახელმწიფო ცხოვრების მიმდინარეობაზე ეკლესიის გარეშე რაიმე საგრძნობი გავლენა მოეხდინა. თვით ეკლესიაზე კი ყოველი მოქალაქე თანასწორი უფლებით იყო აღჭურვილი: ამ მხრივ ათენელები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ; განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მათ სხვადასხვა ინტერესები და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მოთხოვნებიანი ჰქონდათ და ამის მიხედვით სხვადასხვა პარტიად იყვნენ დაყოფილნი. თუ ვისმე რაიმე გავლენის მოხდენა უნდოდა, უთუოდ ამა თუ იმ პარტიას უნდა მიეცდებოდა; უამისოდ იგი ერთ მომხრესაც ვერ იშოვიდა და არცერთი მისი წინადადება შეწყნარებული არ იქნებოდა. ყოველი ნიჭიერი პიროვნება, ამ მიზეზის გამო, აუცილებლად ცდალობდა, რომელსამე პარტიას სათავეში ჩადგომოდა და მისი საშვალეებით სახელმწიფო ცხოვრების მიმდინარეობაზე გავლენა მოეხდინა. პარტიის ასეთ მეთაურს ბერძნები **დემაგოგს** უწოდებდნენ. ასე რომ მეხუთე საუკუნიდან დაწყებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიმართულებას ათენში დემაგოგი და მისი პარტია ჰქმნიდა.

მაგრამ დემაგოგის გავლენა პარტო ეკლესიის კანონმდებლობით არ ისაზღვრებოდა. მეხუთე საუკუნის განმავლობაში გაჩნდა ერთი ისეთი თანამდებობა, რომელსაც შეძლება ჰქონდა, თვით მართვა-გამგეობის ყოველდღიური მიმდინარეობისთვისაც თავისი მიმართულება მიეცა. ეს თანამდებობა პირველი მთავარსარდლობა ანუ **სტრატეგობა** იყო. კლისთენეს რეფორმების მიხედვით, როგორც ვიცით, პოლემარქოს უფლებები ათი თანასწორუფლებიანი სტრატეგის ხელში გადავიდა. მაგრამ გამუდმებულმა ომიანობამ მალე აიძულა ათენელები—ერთი პასუხისმგებელი მთავარსარდალი აერჩიათ, რომელსაც დანარჩენები ყველა ექვემდებარებოდა. რადგანაც ეს პირი





საქართველო  
საბჭოთაო




სახალხო ყრილობა.

მთავარსარდლობის ნიკით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული, მისი წილის ყრით არჩევა შეუფერებელი იყო, და ამიტომ მას პირდაპირი ხმის მიცემით ირჩევდნენ. ძლიერი პარტია, რა თქმა უნდა, სარგებლობდა თავისი უპირატესობით და პირველ სტრატეგიად ყოველ-





ყველა ეს, რასაკვირველია, ათენელებს ადანიანის იდეალს მოაგონებდა, და თუ ასეთი კაცი დემოსის ინტერესების მღვდარ დამცველად გამოდიოდა, როგორ შეიძლებოდა, რომ მესხეთსა და რომელსავე ჩვეულებრივ პიროვნებას მეტოქეობა გაეწიებინათ.



სახალხო მოედანი.

ეს მთავარი მიზეზი იყო პერიკლეს არაჩვეულებრივი ამალგებისა; მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მის დროს არ ყოფილა არცერთი შიროვნება, რომელიც დემოსის ინტერესების მესვეურად გამოსულიყო და რითიმე პერიკლზე მალლა მდგარიყო. თემისტოკლე, არისტიდე და კიმონი თითქმის ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდნენ, და რადგანაც ერთი ამათგანი მეორეზე რომელიმე მხრით მაინც მალლა იღვა, ამიტომ ხან ერთს ჰყავდა მეტი თავყვანის მცემელი, ხან მეორესა და ხან კიდევ მესამეს. ეს იყო მიზეზი, რომ პერიკლესავით ხანგრძლივი და უცვლელი გავლენა არც ერთს მათგანს არ შერჩენია.

**საბერძნეთის ყრილობის მოწვევა.** პერიკლეს მოღვაწეობა უმთავრესად 450 წლიდან იწყება. ეს ის ხანა იყო, როდესაც ათენის ბრწყინვალე მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა; როდესაც მან ბალკანების საბერძნეთის ჰეგემონიაზე ხელი აიღო და რამოდენიმე მოკავშირე ეგეოსის ზღვის კუნძულებზეც დაჰკარგა, როდესაც ეგვიპტეს მარცხის გამო მისი ქონებრივი და საომარი ძლიერება შესამ-

ჩნევად დასუსტდა. ეს გარემოება პერიკლეს მოღვაწეობაზე შესაფერ გავლენას ახდენდა. ის ნათლად ხედავდა, რომ თემის უკვე დაკომონის გზაზე სიარული ათენისათვის უკვე შეუფერებელი იყო, რომ ახლა ომის საშვალეებით მთელი საბერძნეთის შედეგად, რომელში ჩაგდება ათენელთა ნამდვილ ძალღონეს აღარ შეეფერებოდა, და ამიტომ მან სხვ გზას მიმართა.




პერიკლე.

მან მოწოდება გაუგზავნა საბერძნეთის სახელმწიფოებს, რომლითაც იგი ყველას ათენში იპატიებდა, რათა საერთო თათბირზე გადაეწვევირათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამიერიდან, რაკი სპარსეთთან ომი დასრულებულად ითვლებოდა. ამ გზით პერიკლეს ათენის გავლენის განმტკიცება და საბერძნეთის სახელმწიფოთა მხრივ მისი პირველობის დადასტურება ეწადა. მაგრამ სპარსეთთან

ლებს კარგად ესმოდათ ათენის ეს განზრახვა, და ამიტომ პელოპონესიდან ყრილობაზე არცერთი წარმომიდგენელი არ გამოცხადებულა. ასე ჩაიშალა პერიკლეს პირველი დიდი საქმე.

**საომარი ძალების გაძლიერება.** ამას შემდეგ პერიკლემ დაიწყო ხედავდა, რომ ადრე თუ გვიან ათენს პოლოპონესის კავშირთან შეტაკება მოუხდებოდა. ამიტომ იგი განუწყვეტლივ თავისი სამშობლო ქალაქის სამხედრო ძალების გამაგრების შესახებ ზრუნავდა. მისი ზეგავლენით ათენელებმა თავისი ქალაქიდან ორი დიდი გალავანი გაიყვანეს: ერთი ახალი ნავთსადგურის, პირეოსისაკენ და მეორე ძველი ნავთსადგურისაკენ. ამას გარდა შესამჩნევად გააძლიერეს თავისი ფლოტი, და ქვევითა ჯარის რიცხვიც გაამრავლეს.



აკროპოლი.

**ათენის კულტურული გაძლიერება.** რაკი ათენმა სამხედრო ძლიერების მხრივ საბერძნეთში პირველობის ხელში ჩაგდება ვერ შესძლო, მას კულტურული ჰეგემონია მიიწვუნდა მოეპოვებია. ამას მრავალი გარემოება უწყობდა ხელს, და პერიკლემ ყველა ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლა.

მისი მთავარი ყურადღება თვით ქალაქის გამშენიერებისაკენ იყო მიმართული. ათენის ნანგრევები ნათლად ამტკიცებენ, რომ ოდესღაც ეს ქალაქი თავისი მდიდარი და მომხიბვლელი შენობე-

ბით საოცარ სანახობას წარმოადგენდა. ამ მხრივ საბერძნეთის ვერც ერთი ქალაქი ვერ ვაბედავდა მის შეცალეებას, და ყველაფერი ეს პერიკლეს საქმე იყო. ზრუნვა ქალაქის გამშენებლის შესახებ პერიკლემ გენიალურ მოქანდაკეს, ფიდიას მიანდო, რომელმაც შე-



პართენონის ნანგრევები.

ლოვანთა და მოხელეთა აუარებელი რიცხვი შეკრიბა და ქალაქის სიმაგრის, აკროპოლის გამშენიერებას შეუდგა. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ალაგს მან ათენას ტაძარი ე. წ. პართენონი ააგო, რომლის საკუთხველშიც თვით ფიდიამ თავისი საოცარი ქანდაკება, ათენა მოათავსა: მისი ტანი სპილოს ძელისაგან გამოაქანდაკა, ხოლო ტანთსაცმელი—ოქროსაგან. ათენას შეიარაღებული ქალწულის სახე ჰქონდა, ერთ ხელში ვამარჯვების ქანდაკება ეჭირა და მეორეში—შუბი. ძირს, ფეხებთან კი დაკლანილი გველი და ფარი იყო მოთავსებული.

პართენონს გარდა შესანიშნავი იყო აგრედვე ფიდიას მეორე ქანდაკება, მებრძოლი ათენისა, რომელიც იმოდენა იყო, რომ ხუნის კონცხიდანაც კი კარგად მოსჩანდა. აკროპოლზე დიდი კიბე აღიოდა, შემდეგ პატარა მოედანი იყო, და იქედან ე. წ. პროპილეის საშვალეებით თვით აკროპოლში შეიძლებოდა შესვლა. საერთოდ აკროპოლში მრავალი ხელოვნების ნაწარმოები იყო, ასე რომ

იგი ნავედილ მუზეუმს წარმოადგენდა, სადაც თითქმის ყველაფერი  
თავმოყრილი იყო, რაც დღეს-დღეობით საბერძნეთის ძველი სელოვ-  
ნების საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

ერკინული  
გიგლიძის



პართენონი.

მეგრამ არა მარტო აკროპოლის გამშენიერებით დაკმაყოფილ-  
და პერიკლეს; მან ქალაქის სხვა ნაწილებშიც მრავალი წარმტაცი  
შენობა ააგებინა. ამგვარად ათენი, პერიკლეს ერთი მოწინააღმდე-  
გის არ იყოს, მართლა ღამაზ ქალს ჰგავდა, რომელიც თავს ათას-  
ნაირი სამკაულით იმშვენებდა.





რა თქმა უნდა, ეს გარემოება ათენს სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მას საბერძნეთის ვერცერთი ქალაქი ვერ შეედრებოდა; იგი ნამდვილი თვალი იყო საბერძნეთის უცხოელებიცა და თვით ბერძნებიც საბერძნეთის კენჭდარი ქალაქად ათენს თვლიდენ.


გარეგან მშვენიერებას ათენის შინაგანი ცხოვრებაც სავსებით შეეფერებოდა. პერიკლე დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის ყველა დარგის განვითარებას. მას პირადი მეგობრობა ჰქონდა იმდროინდელ ფილოსოფოსებთან და მათს ათენში დამკვიდრებასა და მოღვაწეობას მუდამ ხელს უწყობდა. ამიტომ ათენი საბერძნეთის აზროვნების ცენტრადაც გადაიქცა. ვისაც ამა თუ იმ გამოჩენილი ფილოსოფოსის მოძღვრების გაცნობა და შესწავლა უნდოდა, იგი ათენში უნდა წასულიყო.

ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად ათენში განსაკუთრებით სათეატრო ხელოვნებაც აყვავდა.



**თეატრი.** თეატრი პირველად საბერძნეთში წარმოიშვა. ეს პინისტრატეს ტირანობის დროს მოხდა, როდესაც დონისოს დღესასწაული სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდა.

საბერძნეთის თეატრი თანამედროვესაგან ბევრი მხრით განსხვავდებოდა. იგი აშენებული იყო ღია ცისქვეშ და სამ, მთავარ ნაწილად იყოფებოდა; პირველი იყო მაყურებლების მდგომარეობის მელიც ფართო ქვის სკამებისაგან შესდგებოდა; თითქმის ყველა რიგი სკამებისა წინა რიგზე ერთი საფეხურით უფრო მაღლა იყო დადგმული, ასე რომ სკამებს შუა დატოვებული ადგილი ნამდვილ კიბეს წარმოადგენდა. მეორე ნაწილი ე. წ. **ორქესტრა** იყო: საბერძნეთში ყოველ წარმოდგენაში დიდ მონაწილეობას იღებდა ქორო, რომელიც წარმოდგენის სხვადასხვა ადგილების შესახებ თავის აზრს გამოსთქვამდა ხოლმე; ქორო თითქოს ხალხის აზრის გამოსახატავად იყო შემოღებული, და ეს ორქესტრა ქოროს ჰქონდა დათმობილი. მესამე ნაწილი თვით **სცენა** იყო: სადაც მოთამაშენი თავის როლს ასრულებდენ. რადგანაც თეატრი ძლიერ დიდი იყო, ამიტომ მოთამაშენი წარმოდგენის დროს განსაკუთრებულ ფეხსაცმელს იცვამდენ,




თეატრი.

რომელიც მათ ამაღლებდა და უკანა წყებებისთვისაც თვალსაჩინოდ ჰხდოდა. გრიმის მაგიერ ნიღაბს ატარებდენ და იმის მიხედვით, თუ როგორი გრძნობა უნდა გამოეხატათ, შესაფერი გამომეტყველების ნიღაბს ხმარობდენ. ქალები წარმოდგენაში მონაწილეობას არ იღებ-

დენ, ასე რომ ყველა როლს მამაკაცი ასრულებდა, წარმოდგენა/ღღი  
იპართებოდა და ხშირად დილიდან საღამომდე გრძელდებოდა.

ეროვნული  
ნიკოლოზი




ესქილო.

პერიკლეს დროს თეატრმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. იდგმებოდა ტრაგედიები და კომედიები. კომედიები ხშირად თანამედროვე ცხოვრებიდან იყვნენ ამოღებული და სინამდვილეში წამოჭრილ საკითხებს სჭრიდენ. პარტიული განხეთქილება, დემაგოგები ან სხვა პოლიტიკური მოღვაწენი—ყველა, ხშირად საკუთარი სახელწოდებითაც კი გამოჰყავდათ ამა თუ იმ კომედიაში. პერიკლემ ერთ დროს კიდევ აღკაძალა სახელმწიფო მოღვაწეთა საკუთარი სახელით კომედიაში გამოყვანა და მათი მოღვაწეობის კილეა.

კომედიების ავტორებს შორის განსაკუთრებით სახელოვანი არისტოფანე იყო, რომლის ნაწარმოებთა საშვალეებითაც ბევრს იმდროინდელი ცხოვრების ბნელ მხარეს ნათელი ეფინება. მაგრამ კიდევ უფრო სახელოვანნი ტრაგედიის ავტორები იყვნენ, და ამათ შორის ყველაზე მაღლა პერიკლეს თანამედროვე სოფოკლე, იდგა.

მისი ტრაგედიები იმდენად ხელოვნურად არიან შედგენილნი, რომ მათ ღღესაც თამაშობენ, და ხალხი დიდი ინტერესით ისმენს მათ. ასეთია მაგალითად **ოიდიპოს მეფე**, **ანტიგონა** და **სტრაქსტრეცკის** გარდა უკვედვი დარჩა აგრედვე სახელი **ევრიპიდესი**.



ევრიპიდე.

**კლერუზიები.** პერიკლზე ცოტა ადრე, მაგრამ განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის დროს მოქალაქეობრივი უფლებები ათენელებს დიდ უპირატესობას ანიჭებდენ.

როდესაც ათენელები რომელსავე შეამზოხე მოკავშირეს დაიმორჩილებდენ, ივინი მისი მიწაწყლის ნაწილს სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადებდენ ხოლმე: ერთ ნაწილს სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოყოფდენ, ხოლო დანარჩენს პატარ-პატარა ნაჭრებად ანაწილებდენ და ათენელ მოქალაქეთ ურიგებდენ.

ათენში მოსახლეობის გამრავლებისა და მიწის სიმცირის გამო ასეთი პატარა მამულის მსურველი ბევრი მოიპოვებოდა. იგი სტო-

ვებდა დედაქალაქს და მოკავშირის ჩამორთმეულ მიწაზე საკმაოდ  
რებლად მიდიოდა. მართალია, მას უფლება არ ჰქონდა, ეს მიწა ან  
იჯარით, გაეცა და ან გაეყიდნა, მაგრამ იგი მაინც სიყვარულით

ბიზლიჩისეკა



სოფოკლე.

იკავებდა მას, რადგანაც ამით თავის არსებობას საგრძნობლად უზ-  
რუნველყოფდა. ამასთანავე იგი ათენის მოქალაქეთ რჩებოდა და  
ყოველგვარს მოქალაქეობრივ უფლებას ინარჩუნებდა.

ამნაირად, მოკავშირეთა მიწაწყალზე ათენელ მოქალაქეთა მო-

სახლეობა ჩნდებოდა. რადგანაც ახალი მიწა საკმაოდ შემოსილად იძლეოდა, ესენი ძველი კლასის წევრებად ხდებოდნენ და, როგორც ასეთნი, მოვალენი იყვნენ, სამხედრო ბეგარა ეკავებოდნენ. ამ სახით, მოკავშირეთა მიწაწყალზე ათენელთა შეიარაღებულმა ჯარმა ჩნდებოდა, რომელიც ახალი ამბოხებისა და ათენელთა ბატონობის მოსპობის სურვილს მოკავშირეებს ძირშივე უკლავდა.

ასეთს ახალ მოსახლეობას მოკავშირეთა ტერიტორიაზე კლერუხია ეწოდებოდა, და მათი რიცხვი განსაკუთრებით პერიკლეს დროს გაიზარდა.

კლერუხიის მთავარი მიზანი ერთსა და იმავე დროს ორნაირი იყო: ერთი მხრით იგი მოკავშირეთა მტკიცე დამორჩილების მიზანს ემსახურებოდა და მეორე მხრით უმიწაწყლო ღარიბ ათენელთა რიცხვს შესამჩნევად ამცირებდა.

ამის გამო შეუძლებელი იყო, რომ კლერუხიებში მონაწილეობა ათენის მკვიდრ მოქალაქეთა გარდა სხვებსაც მიეღოთ. შეუძლებელი იყო მიტომ რომ, მაშინ მოკავშირეთა დამორჩილების საქმე უცხოთა ხელში გადავიდოდა. უცხოელები კი ათენის ბატონობით არასდროს არ იქნებოდნენ იმდენად დაინტერესებულნი, რამდენადაც თვით ათენის მოქალაქენი. გარდა ამისა, რადგანაც ყოველ მოქალაქეს კლერუხიებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, ამიტომ საჭირო იყო, რომ მოქალაქეობრივი უფლებები მართო მკვიდრი ათენელების ხელში ყოფილიყო.

**დემოკრატიული რეფორმები და მათი ბუნება.** კლერუხიებში მონაწილეობის უფლების გარდა მოქალაქეთ სხვა უპირატესობაც ჰქონდათ. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო მოქალაქეებს პურს ურიგებდა.

ამასთანავე პერიკლემ ე. წ. თეორიკონიდან სათეატრო ფულის დარიგებაც დაიწყო; ეს ჩვეულება საშვალებას აძლევდა ათენელ მოქალაქეთა უღარიბეს ნაწილს, დიონისოს და სხვა დღესასწაულებზე დღე თეატრში გაეტარებიათ.

ყველა ასეთი ხარჯი, რა თქმა უნდა, დიდ ტვირთად დააწვებოდა სახელმწიფოს, თუ მოქალაქეთა რიცხვი ძლიერ გაიზარდებოდა.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ათენში მოქალაქეობრივ უფლებებს მხოლოდ აქაურს მკვიდრ მოსახლეობას აძლევდნენ. მოკავშირენი და უცხოელნი, რომელთა რიცხვიც ისეთს დიდსა და მნიშვნელოვან ქალაქში, როგორც ათენი იყო, უთუოდ დიდი იქნებოდა, მოქალაქეობრივ უფლებას სავსებით მოკლებულნი იყვნენ.

პერიკლეს სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლამდი ათენელ მოქა-

ლაქეთ მარტო ის ითვლებოდა, ვისი ერთერთი მშობელი მაინც მოქალაქე იყო: თუ მარტო დედა იყო უცხოელი, ეს შეიღოს მოქალაქის უფლებას არ ართმევდა. ხოლო პერიკლე არც უკმაყოფილო იყო იმდენად და მან ახალი კანონი შეიმუშავა, რომლის მიხედვით მოქალაქეთა უფლებას მარტო ის იღებდა, ვისი მშობლებიც, როგორც დედა ისე მამაც, ათენის ნამდვილ მოქალაქეებად ითვლებოდნენ. ამ კანონის აზრი და მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ათენელებს თავის უფლებათა და უპირატესობათა განაწილება არავისთვის არ უნდოდათ და ამიტომ თავისი წრის გაფართოების წინააღმდეგ ყოველ ზომას ხმარობდნენ. შემდეგში, როდესაც პერიკლემ ცოლად უცხოელი ქალი, ახპაზია შეირთო, რომელიც თავისი ქუებითა და განათლებით პერიკლეს დიდ სამსახურს უწევდა, და შეიღები ეყოლა, მან თვითონ დაინახა ამ კანონის უსამართლობა, მაგრამ გვიანლა იყო.

ამნაირად, ათენის მდგომარეობა შემდეგი იყო. ერთი მხრით ათენელ მკვიდრთა მცირე რიცხვი იღვა და მეორე მხრით მრავალრიცხოვანი წრე მოკავშირეთა და იმ უცხოელთა, რომელნიც ათენში მრავლად გადმოსახლდნენ და ვაჭრობა-მრეწველობას მოჰკიდეს ხელი. სრული მოქალაქეობრივი უფლებები მარტო ათენელთა მცირე რიცხოვან წრეს ჰქონდა, ხოლო დანარჩენები ამ უფლებებს სავსებით მოკლებული იყვნენ. იგინი თავისი ქონებითა და სამხედრო ძალით ათენის გაძლიერებასა და გამდიდრებას ემსახურებოდნენ, მაგრამ ამ სიძლიერითა და სიმდიდრით მარტო მკვიდრი ათენელები სარგებლობდნენ. პერიკლემ გარდუვალი უფსკრული ვათხარა მოქალაქეთა და არა მოქალაქეთა შორის და მთელი თავისი მოღვაწეობა მოქალაქეთა უპირატესობის განმტკიცებისაკენ მიმართა.

ათენელთა დემოკრატიულ მოძრაობას თავიდანვე ერთი მიზანი ჰქონდა დასახული: ეს იყო უფლებრივი გათანასწორება ათენელ მოქალაქეთა მცირე რიცხოვანი ჯგუფის ყველა წევრისა, იმის მიუხედავად, თუ როგორი იყო თითოეული მათგანის ქონებრივი მდგომარეობა და შთამომავლობა. პერიკლეს დროს ეს უფლებრივი გათანასწორება სავსებით დასრულდა, და ამგვარად, ათენელ მოქალაქეთა წრემ სპარტიატთა წრის სახე მიიღო: როგორც ყოველი სპარტიატი უფლებრივად თანასწორი იყო და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის უფლებები მარტო მას ჰქონდა, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა ყოველგვარ სახელმწიფოებრივ უფლებას მოკლებული იყო, სწორედ ასე ყოველი ათენელი მოქალაქე თანასწორი უფლებით სარგებლობდა და მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მის





ხელთ იყო; ხოლო ათენის დანარჩენ მოსახლეობას, პერიფერიითა და ილოტებივით, ყოველგვარი პოლიტიკური უფლება აყრილი ჰქონდა. ამიტომ, როგორც წინა დროის დემოკრატების, ისე აქონტების დემოკრატიული რეფორმებიც მართა ათენელ მკვიდრ მოქალაქეებს უფლების გაფართოებას ემსახურებოდა.

კანონით ათენელ მოქალაქეთა სრული თანასწორუფლებიანობა უკვე ეფიאלტეს დროს დამყარდა, მაგრამ ნამდვილად სახელმწიფოებრივი უფლებებით მხოლოდ შეძლებულ მოქალაქეთა წრე სარგებლობდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მიტომ რომ არქონტად, ბუღეს წევრად ან გელიანტად მართა მას შეეძლო ყოფილიყო, ვისაც საკმაო შეძლება ჰქონდა, რადგანაც სახელმწიფო სამსახურისათვის ჯამაგირს არავინ არ იღებდა. უბრალო გლეხი და მუშა შიმშილით მოკვდებოდა, თუ რომ თავის ყოველდღიურ სამუშაოს თავს დაანებებდა და სახელმწიფო სამსახურისთვის დროს დაკარგავდა.

პერიკლე ამას კარგად ხედავდა. ამიტომ მან სახელმწიფო მოსამსახურეებს: არქონტებს, ბუღეს წევრებს, გელიანტებს და ჯარისკაცებსაც ყველას განსაზღვრული ჯამაგირი დაუნიშნა. ამით მან უბრალო ხალხსაც სრული საშვალეება მისცა, სახელმწიფო ცხოვრებაში ნამდვილად ჩარეულიყო და მის მსვლელობაზე შესაფერისი გავლენა მოეხდინა. ამ ზომამ ათენის სახელმწიფოს დემოკრატიული მიმართულებით განვითარება საბოლოოდ დაამთავრა და მოქალაქეთა წრის წევრები უფლებრივად მართლაც სავსებით გაათანასწორა.

13.

**პელოპონესის ომი.**

**ომის მიზეზები.** 445 წ. შერკული ზავი ათენსა და სპარტას შორის დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა; ადრე თუ გვიან საბერძნეთის ეს ორი მთავარი ძალა ერთმანეთს უნდა შეჯახებოდა და სადავო საკითხი იარაღით გადაეჭრა. სადავო კი მათ შორის ბევრი იყო.

445 წლის ზავის მიხედვით ათენელთა და სპარტელთა გავლენის წრეები საბერძნეთის მიწა-წყალზე მკაფიოდ იყვნენ შემოხაზული, მაგრამ არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ უნდოდა, ამ წრის ფრგლებში დარჩენილიყო; ორივე მთელი საბერძნეთის ჰეგემონიის ხელში ჩაგდებას ცდილობდა.

ამას გარდა, თითქმის მთელი იმდროინდელი ვაჭრობა-მრეწველობის წრე ათენის ხელში იყო. მაგრამ სავაჭრო ინტერესები პელოპონესის კავშირის ზოგიერთ წევრსაც (კორინთოს, მეგარას და სხ.)

დიდი ჰქონდა, და რადგანაც ზღვას ათენის კავშირი ელკონდა ამიტომ პელოპონესის მოვაჭრე სახელმწიფოთ სავაჭროდ ძლიერ ვიწრო გასაქანი რ'ებოდათ. მათი ყოფნა-არყოფნის ყველაზე მეტად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს ეყვებოდნენ მათ მეტოქე, ათენი იმ ძალას, რომელიც მათ ყველას სულს უხუთავდა. ცხადი იყო, იარაღის მეტს არათერს არ შეეძლო ამ ორი მოპარდაპირე ძალის ურთიერთ-დამოკიდებულების მოწესრიგება.


საბერძნეთის თითოეულ სახელმწიფოში ყველგან ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტია იბრძოდა: პარტია არისტოკრატიული და პარტია დემოკრატიული, და თითოეულს მათგანს თავის სახელმწიფოს გარეშე მოსარჩლე ჰყავდა, რომელსაც იგი თავის ბრძოლაში ეყრდნობოდა: ათენი ყველგან დემოკრატიას უჭერდა მხარს, სპარტა—არისტოკრატიას. ბრძოლა ამ ორ პარტიას შორის, რომელიც მთელ საბერძნეთში იყო გავრცელებული, ბოლოს და ბოლოს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი მათგანი უფრო ძლიერს გარეშე ძალას ეყრდნობოდა. ცხადი არის, ეს ორი სახელმწიფოებრივი მიმდინარეობის ბრძოლა ათენისა და სპარტას ურთიერთ-დამოკიდებულებასაც მუდამ მწვავე ხასიათს მისცემდა.

რაკი ასეთი ძირითადი წინააღმდეგობა არსებობდა ათენელთა და სპარტანელთ შორის, მცირე საბაზიცი საკმარისი იქნებოდა, რათა 445 წლის ზავი დერღვეულიყო და ომი დაწყებულიყო. ამ ომს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი საბოლოოდ უნდა გამოერკვია არა მარტო ათენში ან სპარტაში, არამედ ყველა დანარჩენ ბერძენთა სახელმწიფოშიც. ასეთი იყო საკითხი დემოკრატიულის თუ არისტოკრატიული წესწყობილების გამარჯვების შესახებ, საკითხი ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესთა განსაზღვრისა და მთელი საბერძნეთის ჰეგემონიის ამა თუ იმ მთავარი სახელმწიფოს ხელში გადასვლის შესახებ.

ამიტომ ომი ათენელთა და სპარტანელთ შორის ძალაუნებურად უნდა გაფართოებულიყო და საერთო ბერძნულს შინაგან ომად გადაქცეულიყო. ამას გარდა იგი ორ-სამ წელიწადს ვერ დასრულდებოდა, იმდენად რთული იყო ის საკითხები, რომელიც მას უნდა გადაეწყვიტა; მას უთუოდ ხანგრძლივი ხასიათი უნდა მიეღო.

ომის წინა წარიხტორია. ბალკანელების ჩრდილო დასავლეთ ნაპირზე კორინთელებსა და კორკირელებს საერთო ახალშენი, ეპიდამნია ჰქონდათ. როგორც ყველგან, აქაც ბრძოლა იყო არისტოკრატთა და დემოკრატთა შორის, რომელმაც მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში მწვავე ხასიათი მიიღო. რაკი საკუთარი ძალა ბრძო-





სპარტანელებმა ათენს რამოდენიმე პირობის ასრულება მოსთხოვეს: სხვათა შორის პერიკლეს სამშობლოდან გაძევება და ათენის კავშირის დარღვევა. რა თქმა უნდა, ამ პირობების ასრულება ათენისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო; ასე რომ ომის დაწყება ატეხილულა შეიქმნა. 431 წელს სპარტანელებმა ათენის საზღვრები გადალახეს და ატიკას შეესიენ. ასე დაიწყო ის დიდი ომი, რომელიც მთელი საბერძნეთის დამხობის უმთავრეს მიზეზად გადაიქცა.

პელოპონესის ომი შეიძლება სამ ხანად გავყოთ. პირველი ხანა 431-დან 421 წლამდე გაგრძელდა და არქიდამოს ომის სახელით არის ცნობილი. მეორე ხანა, ე. წ. სიცილიის ომი 415-დან 413 წლამდე გაგრძელდა, ხოლო მესამე ხანა ე. წ. დეკელეას ომი—413 წლიდან 404-ამდე.

**I. არქიდამოს ომი (431—421).** პერიკლე სპარტანელებთან ომს იმ თავითვე მოელოდა და ამიტომ შესაფერი სამხედრო მოსაზრებები მხად ჰქონდა. პერიკლე ნათლად ხედავდა, რომ პელოპონესის კავშირის ქვევითა ჯარი იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ათენელთა პოლიტიკები (მძიმედ შეიარაღებული ჯარი) ვერ შეეჭიდებოდენ. მეორე მხრით ათენის სამხედრო ფლოტი იმდენად მაღლა იდგა პელოპონესისისაზე, რომ ზღვაზე ბრძოლას მოწინააღმდეგე ვერა დროს ვერ გაბედავდა. ამასთანავე ქალაქი ათენი იმდენად გამაგრებული იყო, რომ სპარტანელები ძალიანაც რომ ცდილიყვნენ, მის აღებას ვერ მოახერხებდენ. რადგანაც მთელი სახელმწიფო უმთავრესად საზღვაო ვაჭრობით ირჩენდა თავს, ამიტომ ათენისათვის სრულიად არ იქნებოდა საშიში, თუ მთელი ატიკის მცხოვრებლები თავის სოფლებს თავს მიანებებდენ და ქალაქში შეიხიზნებოდენ რაკი ზღვა მათ ხელში დარჩებოდა, ქალაქის მცხოვრებთა და შემოხიზნულთა გამოკვება ძნელი არ იქნებოდა, რადგანაც სურსათს, სულერთია მშვიდობიანობის დროსაც ზღვით იღებდენ. ამ პირობებში სპარტანელების შესესება მისთვის სახიფათოდ ვერ ჩაითვლებოდა; ადრე თუ გვიან მტერი ამას დაინახავდა და ომს თავს დაანებებდა; პერიკლეს აზრით მაშასადამე ათენელებისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა, თუ ივინი თავიდანვე თადაცვითა ომის გზას დაადგებოდენ.

ათენელები პერიკლეს მოსაზრებას იზიარებდენ; და როგორც კი დაიწყო ომი, ატიკის სოფლები დაცალიერდა და მცხოვრებლებმა თავი ქალაქს შეაფარეს. პირველი წლების განმავლობაში ომის მიმდინარეობა პერიკლეს აზრს აპართლებდა: სპარტანელები ყოვეწლივ ესეოდენ ატიკას, არბევდენ ყანებს და ბოლოს შინ ბრუნდებოდენ,

ხოლო ათენელები თავისი ფლოტით სპარტასა და პელოპონესის სხვა ნაწილებს ესხმოდნენ და იქაურ ცხოვრებაში არეულობას შექმნიდნენ. მაგრამ 429 წელს ათენში შავი ჭირი გაჩნდა, რამდენიმე კაცი მოსავლეთიდან ერთერთ გემს მოჰყვა, და ქალაქში შეგვიწვევდა. რებთა შორის მძვინვარება დაიწყო. ათენელების ერთი ნაწილი ამ უბედურების მახეზად პერიკლეს თვლიდა და, მათი ცდით, ახალი არჩევნების დროს პერიკლე გაშავებულ იქმნა. მართალია ერთი წლის შემდეგ ომის განგრძობის სადავე ისევ მას ჩააბარეს, მაგრამ 429 წელს სექტემბერში შავმა ჭირმა თვით პერიკლეც გამოასალმა წუთისოფელს და ამგვარად ათენელებს ხელიდან გამოაცილა ის უმთავრესი ძალა, რომლის მოღვაწეობასაც ათენელთა მთელი ცხოვრება მუდამ ვანიერების გზით მიყავდა.

ათენში ორმა პარტიამ იჩინა თავი. ერთი ზავის მომხრე იყო და მეორე—ძლიერი შეტევითი ომისა. პირველს ნიკია მეთაურობდა, ხოლო მეორეს—ტყავის მრეწველი კლეონი და სარდალი დემოსთენე. ცხადად სჩანდა, რომ ათენელები პერიკლეს გზას უთუოდ აუხვევდნენ. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, თუ რომელ პარტიას გაყვებოდა ხალხი, ზავისას თუ შეტევითი ომისას. მალე აღმოჩნდა, რომ დემოსის უმრავლესობა კლეონის აზრს იზარებდა, და ამნაირად 429 წლიდან ომის მიმდინარეობამ ხასიათი იცვალა.

425 წელს დემოსთენემ სპარტანელთა ნავთსადგური პილოზი დაიკავა და რამოდენიმე ასეული სპარტიეტი პილოსის პირდაპირ მდებარე კუნძულ სფაკტერიაზე ჩაამწყვდია. მართალია, კუნძულის აღება გაუჭირდათ, სანამ მთავარსარდლობა კლეონმა ირ იკისრა, მაგრამ ბოლოს სფაკტერია მაინც აიღეს და 100 სპარტიეტი ტყვეთ ხელში ჩაიგდეს. ეს დიდი უბედურება და სირცხვილი იყო სპარტასთვის, და მანაც ათენს ზავი სთხოვა. გათამამებულმა კლეონმა ზავის პირობად 445 წელს ჩამორთმეული მიწების დაბრუნება დაასახელა; ეს კი პელოპონესის კავშირისათვის სრულიად მიუღებელი იყო, და ამიტომ ომი ხელახლა უნდა გავრძელებულ იყო.

ამ დროს სპარტაში ნიჭიერმა სარდალმა ბრახიდიამ იჩინა თავი. იგი დარწმუნდა, რომ ომი უთუოდ სხვა მიმართულებით უნდა ეწარმოებინა და ამიტომ ათენელთა მოკავშირეების გადმობირებას მოჰკიდა ხელი. მან თრაკიის ახალშენებიდან დაიწყო და მცირე ხნის განმავლობაში მთელი ეს მხარე ათენს თითქმის საცესებით ხელიდან გამოგლიჯა. კლეონი იძულებული შეიქნა, ომის ასპარეზი ჩრდილოეთით გადაეტანა და სპარტანელებს აქაც გამკლავებოდა. 422 წელს ამფიპოლისთან გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, რომელიც ათე-



ნელების დამარცხებითა და კლეონისა და ბრაზიდას სიცილიით დასრულდა.

ამის შემდეგ, როგორც ათენში ისე სპარტაშიც ხატის მონაწილე პარტიებმა გაიმარჯვეს და 421 წელს, ნიკიას ცდინს, მისი ხსენებით რომლის პირობების მიხედვითაც ათენისა და პელოპონესის გავლენას წრეები იგივე დარჩა, რაც ომის დაწყებამდე იყო.

მაგრამ ეს მდგომარეობა რომ დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო, მაშინ პელოპონესის ომიც არ იქნებოდა. ამიტომ ყველა გრძნობდა, რომ ზავი ხანგრძლივი ვერ აღმოჩნდებოდა, და მართლაც, უსიამოვნება პელოპონესის კავშირის წევრთა და ათენელებს შორის თითქმის ზავის პირველი დღიდანვე დაიწყო და 415 წ. უკვე ნამდვილ ომად გადაიქცა.

**II. სიცილიის ომი.** სიცილიას მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთისათვის. ათენი, როგორც სავაჭრო და სამრეწველო ცენტრი, სიცილიის ბედით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, და უკიდურესი დემოკრატიის პარტია ყოველთვის სიცილიის დაპყრობის მომხრედ გამოდიოდა. როდესაც სიცილიაში სირაკუზის მმართველებმა მთელი კუნძულის დამორჩილების მისწრაფება გამოიჩინეს, იქაურმა იონელთა ახალშენებმა დახმარებისათვის ათენს მიმართეს; მაგრამ 415 წლამდე ათენელები სიცილიაში დიდი ჯარის გაგზავნას ვერ ბედავდნენ. ხოლო 415 წელს, როდესაც დემოსის ბელადად ალკიბიადე შეიქმნა, ათენმა ამ კუნძულის დაპყრობა საბოლოოდ გადაწყვიტა.

ალკიბიადე პერიკლეს ნათესავი იყო და თავისი გარეგანი სილამაზითა და ნიჭით ყველას ყურადღებას იპყრობდა. მაგრამ თავის ნიჭიერებას იგი მხოლოდ პირადი ცხოვრების ინტერესებისათვის იყენებდა. მისი თავზეხელაღებული ცხოვრება და მუდმივი ქეიფობის ამბები ყველამ იცოდა. 30 წლის რომ შეიქმნა, პატივმოყვარე ახალგაზრდამ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩარევაც გადაწყვიტა და მალე დემოსის ბელადობა იგდო ხელთ. იგი უკიდურესი დემოკრატიის პარტიას მიემხრო და სპარტანელებთან ომის აუცილებლობას ქადაგობდა. როდესაც 416 წელს სიცილიელებმა სირაკუზის წინააღმდეგ ათენში დახმარება ითხოვეს, ალკიბიადე ხალხს არწმუნებდა: უსიცილიოდ, საიდანაც სპარტა პურს ღებულობს, მტერი ომის გაგრძელებას ველარ მოახერხებს, და ამიტომ სიცილიის დაპყრობა აუცილებლად საჭირო არისო. ხალხმა მისი წინადადება მიიღო და 415 წლისათვის სიცილიაში გასაგზავნად დიდძალი ფლოტი



დაამზადა. რომელსაც 136 გემი და 5100 მეოპარი შეადგენდა, ხოლო წინამძღოლობა სხვათა შორის ნიკიასა და ალკიბიადეს გადასცა.



ერქონული  
ნიკიასა და ალკიბიადეს



ალკიბიადე.

ფლოტი ის იყო უნდა გამგზავრებულიყო, რომ ერთ ღამეს ქალაქის ქუჩებზე დადგმული ჭერები (ჭერმესის სვეტება) ვილამაც ერთბაშად დაამსხვრია. ცრუმორწმუნე ათენელებმა ეს ცუდ ნიშნად ჩასთვალეს და ამიტომ ბოროტმოქმედის სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტეს. ხმა გავარდა, ბოროტმოქმედება თვით ალკიბიადემ ჩაიდინაო, მაგრამ მთავარსარდლობა მას მაინც არ ჩამოართვეს და სიცილიაში გაგზავნეს. „შენს საქმეს სიცილიიდან რომ დაბრუნდები, მაშინ გამოვიძევთო“, ეუბნებოდნენ ათენელები ალკიბიადეს. ალკიბიადე იმ აზრის იყო, რომ კუნძულზე ჯერ მომხრეები უნდა ეშოვნა და **სარაკუს** მხოლოდ შემდეგ შეომებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს ათენიდან საღეთო გემი მოვიდა და ალკიბიადე გასასამართლებლად ათენისაკენ წაიყვანა. ალკიბიადე დარწმუნებული იყო, რომ მას სიკვდილი არ ასცდებოდა და გზაში გემიდან გაიპარა. მან სპარტას მიაშურა, რათა მისი საშვალეებით ათენელებისათვის სამაგიერო გადაეხადა. „მე დავუმტკიცებ ათენელებს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარო!“ უთქვამს მას გაქცევის დროს.

ნაკია გაუბედავი სარდალი იყო, მაგრამ სირაკუზთან დაწყებულ ომში გამარჯვება პირველ ხანებში მაინც მის მხარეზე იყო. როგორც



კი მივიდა ალკიბიადეს სპარტაში, იმწამსვე რჩევა მისცა სპარტანელებს, სირაკუზის დასახმარებლად ჯარი გაეგზავნათ. სპარტამ ალკიბიადეს რჩევა შეიწყნარა და გილიპოს მთავარსარდლობით ~~ჩვეულებასა~~ ჯარი აფრინა. გილიპოს მოსვლასთან ერთად ათენელებს ~~სიძულეს~~ დი მიმართულება მიიღო. მაშინ ნიკიამაც გამოითხოვა ათენიდან ახალი სამხედრო ძალები, რომელიც **დემოსთენეს** მეთაურობით გამოგზავნა. როგორც კი მოვიდა დემოსთენე სიცილიაში, მაშინვე დაინახა, რომ საჭირო იყო ერთი ადგილის (**ეპიპოლეს**) აღება, თორემ უიმისოდ გამარჯვებაზე ფიქრი შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ დემოსთენემ აქ ადგილის აღება პირველ ლაშქრსვე სცადა; მაგრამ როდესაც ცდა უნაყოფო აღმოჩნდა, მან წინადადება მისცა ნიკიას, ომს თავი დაეანებოთ და, სანამ დროა, თავს ვუშველოთო. გაუბედავმა ნიკიამ პასუხისმგებლობის აღება ვერ იკისრა და დემოსთენეს რჩევას არ გაჰყვა. მაგრამ რადგანაც საქმემ მალე კადევ უურო საშიში მიმართულება მიიღო, მან ბოლოს და ბოლოს მარცხს ვაბრუნება არჩია.

უკან დახვევის დღე უკვე დანიშნული იყო, რომ მოულოდნელად მთვარე დაბნელდა. ცრუმორწმუნე ნიკიამ ეს ცუდ ნიშნად ჩათვალა და, მკითხავების რჩევით, 27 დღე კიდევ სიცილიაში დარჩენა გადაწყვიტა. გილიპომ ამით ისარგებლა და ათენელების მთელი ფლოტი სირაკუზის ნავთსადგურში ჩაქეჭა. ამგვარად ზღვით გზა მოჭრილი აღმოჩნდა. ნიკია იძულებული შეიქმნა, გემები მიეტოვებია, რათა ჯარისკაცები მაინც გადაერჩინა, და ჯარი ხმელეთზე გადასხა. აქედან იგი სიცილიის შუაგულ ნაწილებსაკენ დაიძრა; მაგრამ მტერს არ ეძინა: იგი ათენელებს დაედევნა და რვა დღის განმავლობაში მთელი ჯარი (30000 კაცი) სავსებით ამოეღიჭა. ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 7000 კაცი, რომელნიც სირაკუზელებს ტყვედ ჩაუვარდნენ ხელში. მათი ბედი საშინელი იყო: ზოგი მათგანი დაიხოცა და ზოგი მონად იქმნა გაყიდული.

ასე დასრულდა სიცილიის ომი. ამ გარემოებამ ათენელთა ძლიერება საშინლად დაასუსტა, ასე რომ ამიერიდან სპარტასთან ომის გაგრძელება უკვე სახიფათო შეიქმნა მისთვის.

**II. დეკელეას ომი.** ალკიბიადეს რჩევით სპარტანელებმა ათენის ორს სუსტ მხარეს მიაგნეს. ერთი იყო **დეკელეა**, საიდანაც ქალაქ ათენის თავდასხმა და შევიწროება ძლიერ ადვილად შეიძლებოდა, და მეორე—მოკავშირეთა ჩამოშორება. სპარტანელები ალკიბიადეს ამ რჩევასაც გაჰყვეს და 413 წლის გაზაფხულში დეკელეას დაეცნენ, ხოლო იმავე წლის ზამთარში ათენის მოკავშირეებთან მოლაპარაკება დაიწყეს. მცირე ხნის განმავლობაში ათენს ზღვის მთა-

ვარი კუნძულები და აზიის იონელთა კოლონიები ჩამოშორდნენ. ათენელებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და მილეთთან სპარტანელების ფლოტი დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ ალკიბიადეს რჩევით, სპარტა სპარსელებსაც შეუთანხმდა. ამ შეთანხმების შედეგად, სპარსელები თანახმანი იყვნენ—სპარტასთვის დასმარტა დაეკარგა. თუ კი მცირე აზიის ახალშენები ისევ მათ ხელში გადავიდოდნენ. სპარტა ამ პირობაზე დათანხმდა და ამით ბერძენთა ეროვნულ საქმეს უღალატა.

ალკიბიადეს ერთერთს სპარტანელ მეფესთან უთანახმოება მოუვიდა. მან თავი დაანება სპარტას და ისევ ათენში დაბრუნება გადაწყვიტა. მაგრამ ალკიბიადე ფიქრობდა: ათენის დემოკრატიას იმდენი ზიანი მივაყენე, რომ იგი არ შემირიგდებაო, და ამიტომ ათენის ფლოტში მოსამსახურე ოლიგარქებთან\*) გამართა მოლაპარაკება. იგი პირდებოდა ათენელებს, სპარსელებს თქვენს მხარეზე გადმოვიბირებ, ხოლო მანამდე ათენში სახელმწიფოებრივი წესწყობილება უნდა შეიცვალოსო.

მაგრამ სანამ ეს მოლაპარაკება დასრულდებოდა, ათენში ოლიგარქებმა შეთქმულება მოახდინეს და დემოკრატიული წესწყობილება დაამხეს. სახელმწიფოს სათავეში 400 კაცისაგან შემდგარი საბჭო ჩაუდგა, რომელსაც მთელი სახელმწიფოს მართვაგამეგობა ჩააბარეს, ხოლო სრული მოქალაქეობრივი უფლებები მარტო 500 შეძლებულ ათენელს ჰქონდა მინიჭებული. ეს 411 წლის გაზაფხულზე მოხდა.

ამგვარად ძალაუფლება ხალხს ხელიდან გამოეცალა და მოქალაქეთა განსაზღვრულ ჯგუფს გადაეცა. ასეთ წესწყობილებას ოლიგარქიული წესწყობილება ეწოდება.

ოლიგარქებმა იმ თავითვე სპარტასთან საზავო მოლაპარაკება დაიწყეს, რამაც ხალხის აჯანყება და ხელახლა დემოკრატიული წესების შემოღება გამოიწვია.

ალკიბიადე სამოხის ფლოტის ერთერთ სარდლად აირჩიეს, და ამის შემდეგ გამარჯვების სასწორი ათენელებისაკენ გადაიხარა. ჩრდილოეთით მდებარე ახალშენები იძულებული შეიქმნენ—ათენელებს ხელახლა დამორჩილებოდნენ; იონიელთა მცირე აზიის კოლონიებსაც ეს დღე ელოდა. მაგრამ ამ დროს სპარტაში მთავარსარდლობა ლიზანდრს დააკისრეს, რომელიც არაჩვეულებრივი სამხედრო ნიჭითა და ნების სიმტკიცით იყო დაჯილდოებული. 407 წელს, როდესაც

\*) ოლიგარქები დემოკრტიის მოწინააღმდეგე პარტიას შეადგენდნენ.

აღკვიბიადემ ფლოტის უუროსად თავისი თანაშემწე დატოვა და თვითონ ცოტა ხნით სხვაგან წავიდა, ლიზანდრმა დრო იხელთა, ათენელთა ფლოტს დაეცა და საშინლად დაამარცხა. ათენელებმა ამაში ბრალი აღკვიბიადეს დასდევს და უუროსობა ჩაჰყარეს. მაშინ აღკვიბიადემ მოღვაწეობას საბოლოოდ თავი დაანება და თავის მსაქმელში კერძო კაცის ცხოვრებას მიჰყო ხელი.

ამის შემდეგ ათენელების საქმე საერთოდ უკუღმა წავიდა, თუ ძხედველობაში არ მივიღებთ ერთს დიდ გამარჯვებას (არგივის კუნძულებთან), რომელიც ათენელთა უკანასკნელი ძალების მოკრების შედეგი იყო.

405 წლის სექტემბერში ლიზანდრმა მდინარე ვეოს-პოტამოსთან ათენის მთელი ფლოტი ხელში ჩაიგდო და ჯარისკაცთა უმეტესობა ტყვედ წაიყვანა; ბოლოს ათენს როგორც ზღვით ისე ხმელეთითაც ალყა შემოარტყა და 404 წელს აიძულა—მის წინაშე ქელი მოეხარა. ათენელები პელოპონესის კავშირში უნდა შესულიყვნენ, თავისი ფლოტი სპარტასთვის გადაეცათ და ქალაქის გალავანი დაენგრიათ.

ასე გათავდა პელოპონესის ომი. ათენის ძლიერება დაიმსხვრა, და მთელი საბერძნეთის ბატონ-პატრონობა სპარტანელთა ხელში გადავიდა.

ომის ასეთი დაბოლოვების მიზეზი ცხადი იყო: ათენელები თავის მოკავშირეების თავისუფლებას ბორკავდნენ, შინაურ მართვამგებობაში ერეოდნენ და მათ ქვეშევრდომებსავით ეპყრობოდნენ. ამიტომ, როგორც კი დრო იხელთეს, მათ ათენელებს ულაღატეს და ამით გამარჯვების სასწორი სპარტასაკენ გადახარეს.

ამ გარემოებას ჰკუთ უნდა ესწავლებია სპარტასთვის, რომელსაც ათენის ადგილი უნდა დაეკავებია და რომლისაგანაც ათენის ყოფილი მოკავშირენი თავისუფლებას მოელოდნენ. მაგრამ სპარტამ შესაფერი გონიერება ვერ გამოიჩინა და ამით თავისი ჰეგემონიის დღეების შემოკლებას თვითონვე შეუწყო ხელი.

14.

სპარტანელთა ჰეგემონიის ხანა.

ათენისა და დანარჩენი მოკავშირეების სახელმწიფოებრივი მართვამგებობა. ათენის დამორჩილებისთან ერთად სპარტას ხელში უზარმაზარი სახელმწიფო გადავიდა, რომლის საზღვრებშიც მთელი ეგეოსის ზღვა და მცირე აზიის საბერძნეთი შედიოდა. ლიზანდრმა

ყველგან ერთნაირი წესწყობილება შემოიღო: დემოკრატიული წესებში მოსპო და თითოეულ სახელმწიფოში მართვაგამგეობა დეკარქიას (10 კაცის მართველობა) გადასცა. მისი ძალაუფლებები განსაზღვრულ ცებლად ყველგან სპარტანელი ჯარის ერთეულები დატოვდა, რომელთა სათავეშიც ე. წ. **ჭარმოსტები** დააყენა. ლიზანდრი, რა თქმა უნდა, ყველგან თავის მომხრეებს ნიშნავდა, ასე რომ ამ დიდი სახელმწიფოს ბატონ-პატრონი არსებითად სპარტა კი არა, ლიზანდრი იყო.

ყოველი სახელმწიფო მოვალე იყო, სპარტანელთათვის ყოველწლიურად გ. ნსაზღვრული გადასახადი გამოეღო და ჯარებშიც მონაწილეობა მიეღო.

კერძოდ ათენში მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება 30 **ტირანის** ხელში გადავიდა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ცნობილი **თერამენე** და **კრიტია** იყვნენ. მათთან ერთად 500 წევრისაგან შემდგარი **საბჭო** მოქმედობდა, ხოლო მოქალაქეობრივი უფლებები 3000 მოქალაქის ხელში გადავიდა. პირველ ხანებში ტირანების მართვა-გამგეობა ხალხში უკმაყოფილებას არ იწვევდა, მაგრამ როდესაც მათ გამოჩენილ მოქალაქეთა დევნა და მათი ქონების მისაკუთრება დაიწყეს, როდესაც ცოტა ხნის განმავლობაში ათასხუთასამდე ათენელი სიკვდილით დასაჯეს, მაშინ ხალხი შეშინდა: გრავალმა მოქალაქემ ათენი დასტოვა და მახლობელ **თებეს** თავი შეახიზნა.

აქ იგინი შეკავშირდნენ და **თრაზიბულუს** წინაძოლობით ტირანიის დამხობა გადაწყვიტეს. მათ გარშემო საკმაოდ დიდი ძალა მოგროვდა, რომელიც ათენში გადავიდა და ტირანებზე რაზმები დაამარცხა. ტირანებმა დახმარებისათვის სპარტას მიმართეს, ხოლო აქედან ლიზანდრის მოწინააღმდეგე პარტიის ბელადი, მეფე **პავზანია** გამოგზავნეს; ამან ტირანები გადააყენა და სოლონისებური მართვა-გამგეობა შემოიღო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ათენელებმა სრული დემოკრატიული წესწყობილება განაახლეს.

პავზანია ათენის წესწყობილების გარდამქნით არ დაქმავდილდა. მან ლიზანდრის შემოღებული წესები სხვაგანაც შესცვალა, **დეკარქიები** მოსპო და მცხოვრებთ მათი სურვილების შესაფერი მართვა-გამგეობის შემოღების საშვალეობა მისცა.

ამგვარად, ლიზანდრის გავლენა შემცარდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ სრულიადაც მოისპო.



**სპარტას მდგომარეობის გართულება.**

ამი სპარსელებთან. სპარტანელ მოქალაქეთა უმეტესობა რიცხვი პელოპონესის ომის ზეგავლენისა და სხვა ჩვეულებრივი მიზეზების გამო ძლიერ შემცირდა. ამას გარდა თვით სპარტას შინაური წესწყობილება, რომელიც პატარა სახელმწიფოს ცხოვრებისათვის იყო განზრახული, ახლანდელი მდგომარეობისათვის სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა. ამიტომ მისი ბატონობა ხანგრძლივი ვერ გამოდგებოდა, მით უმეტეს, რომ მისი მოქმედებით მოკავშირენი უკმაყოფილონი იყვნენ: მისგან საბერძნეთის განთავისუფლებას მოელოდნენ, და ამის მაგიერ სპარტანელთა ბატონობა ათენელთა ბატონობაზე უარესი აღმოჩნდა. ყველა ამას კიდევ სპარსელებთან ახალი ომი დაერთო.

მცირე აზიის სატრაპს კიროს, სპარსეთის მეფის არტაქსერქსეს უმცროს ძმას განზრახვა დაებადა, თავისი ძმისათვის სამეფო ტახტი წაერთმია და თვითონ გამეფებულყო. ამ მიზნის მიღწევა, მისი აზრით, ბერძენთა ჯარის დაუხმარებლად შეუძლებელი იყო. ამიტომ მან 13000-ამდი ბერძენი ჯარისკაცი მიიმხრო და თავისი ძმის წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს ამბავი მეფემ ერთერთის თავისი სატრაპისაგან (ტისაფერნესგან) დროზე გაიგო და თავის ძმას ევფრატოს მიდამოებში ჯარი დაახვედრა. ბრძოლა კუნაქხასთან მოხდა და, თუმცა გამარჯვება ბერძნებს ხვდათ წილად, მაგრამ კიროს მაინც მოკლულ იქნა, და ბერძენები იძულებული შეიქმნენ, სამშობლოსაკენ გამობრუნებულიყვნენ. დიდი გაჭირვების შემდეგ 10000-მა კაცმა შავი ზღვის პირს (ტრაპიზონთან) მაინც მოაღწიეს და იქედან სამშობლოში დაბრუნდნენ.

ამ გარემოებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ბერძენთა ჯარის უპირა ესობა სპარსელებისაზე ერთხელ კიდევ დამტკიცდა, და ამიტომ შიში სპარსელების წინაშე, რომელიც ბერძენთა გულში იყო დაბუდებული, საბოლოოდ გაიფანტა.

არტაქსერქსემ ტისაფერნე სამსახურისა და ერთგულობისათვის იმით დასაჩუქრა, რომ მცირე აზიის სატრაპობა უბოძა. შემანებულმა იონელთა ახელშენებმა განთავისუფლება გადაწყვიტეს და დახმარებისათვის სპარტას მიმართეს. სპარტამ თხოვნა შეიწყნარა და 400 წ. ქ. წ. სპარსეთისაკენ ჯარი გაგზავნა. ასე დაიწყო ომი სპარტასა და სპარსეთს შორის.

პირველ ხანებში საქმე ცუდად მიდიოდა, ხოლო მას შემდეგ

რაც მთავარსარდლობა მეფე აგეზილას დააკისრეს, საქმე გმობრუნდა, და 395 წელს ქალაქ ხარდესთან სპარტანელებმა სპარსელების ჯარი დააპარცხეს. მაგრამ ამ დროს თვით საბერძნეთში მოკავშირეთა შორის უკმაყოფილებამ იმატა და კორინთის ათენის მეგარას და არგოლის ცდით სპარტანელთა წინააღმდეგ კავშირი შეიქრა. ახალმა კავშირმა დრო მოხერხებულად ჩათვალა და სპარტას წინააღმდეგ ომი დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, სპარტამ სპარსეთზე ხელი აიღო და აგეზილას საბერძნეთში გამოიძახა. 394 წლის გაზაფხულზე მეფე ბალკანების მიწაწყალზე გაჩნდა და კავშირის სამხედრო ძალებს ბეოტიაში კორინთსთან შეებრძოლა. ბრძოლა აგეზილას გამარჯვებით გათავდა, და კავშირის ძალები დაიქსაქსა.

მაგრამ ამ დროს ათენმა ხელახლა თავი წამოიყვანა: 394 წლის ძველი, სპარტანელთაგან დანგრეული ქალაქის გრძელი გალავანი ხელახლა ააშენა და 389 ში თრაზიბულის ცდით ძველ მოკავშირეთა ნაწილი შემოიერთა.

შეშინებულმა სპარტამ სპარსეთთან ბრძოლას თავი მიანება და მეფესთან მოლაპარაკება დაიწყო. 386 წელს სპარტანელთა ელჩის ანტალკიდას მოლაპარაკებამ მიზანს მოაღწია და სპარსელებთან ე. წ. ანტალკიდას (ანუ მეფის) ზავი შეიქრა. ზავის პირობები სასირცხო იყო სპარტასთვის, ხოლო მთელი საბერძნეთისთვის დამღუპველი: მკირე აზიის საბერძნეთი და კუნძულები კიპროსი და კლადონენე სპარსეთის ხელთ უნდა გადასულიყო, ხოლო თვით საბერძნეთში ყოველგვარი შეკავშირება უნდა მოსპობილიყო, გარდა პელოპონესის კავშირისა, რომელსაც ზავის პირობათა ასრულების მეთვალყურეობა და ცხოვრებაში გატარება ევალებოდა.

ეს გარემოება სპარტანელთა ჰეგემონიას უზრუნველყოფდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ სპარტანელების ბატონობა საკუთარ ძალაზე კი არა, საბერძნეთის მტრის, სპარსეთის ძლიერებაზე იყო დამკვიდრებული. ტყვილა კი არ ამბობდენ: სპარტამ საბერძნეთი სპარსეთს მიჰყიდაო.

ასეთი ჰეგემონია კი სპარტანელთა კოტრობას უფრო მოასწავებდა, ვიდრე მათ ძლიერებას, და ამიტომ იგი მალე უნდა დაცემულიყო.

თებეს ჰეგემონია.

ტირანების განდევნა და დემოკრატიული წესწყობილების შე-



**შიღება.** ისე როგორც სხვაგან, სპარტამ თებეშიც ოლიგარქიული მართვა-გამგეობა შემოიღო. ოლიგარქები აქაც თვითნებობდნენ, და დემოკრატიული პარტიის მიმდევრები იძულებული შეიქმნენ, სამშობლო ქალაქი მიეტოვებიათ და თავი მახლობელ ქვეყნებში შეეხიზნათ. აქ იგინი შეკავშირდნენ და თებეში დარჩენილი დემოკრატების დახმარებით 379 წელს ქალაქში შეიპარნენ, ტირანები ამოხოცეს და დემოკრატიული მართვა-გამგეობა შემოიღეს. ამ ამბავს შედეგად სპარტასთან ომის დაწყება მოჰყვა. ძნელი იყო, თებანელები სპარტას გამკლავებოდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამარჯვება შაინც მათ შერჩათ, რასაც განსაკუთრებით ათენელთა დახმარებამ შეუწყობელი.

**ათენელთა მეორე კავშირის დაარსება.** სპარტას დასუსტება განსაკუთრებით ათენელთათვის შეიქმნა ხელსაყრელი. იგინი ნათლად ხედავდნენ, თუ რაოდენად გაბოროტებული იყვნენ საბერძნეთის ქალაქები სპარტას ბატონობით, და თავისი დარღვეული კავშირის განახლება ვანიზრახეს, ახალი კავშირის მიზნად ათენელებმა საბერძნეთის სპარტანელთა ბატონობისაგან განთავისუფლება გამოაცხადეს, ძველი ჩვეულება კლერუხიების მოწყობისა უარჰყვეს და გადასახადის მაკიერ თითოეული კავშირის წევრის მხრივ მისი შეძლების შესაფერი წვლილის გამოღება სცნეს საქმარისად.

ეს პირობები ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა, და 378 წლიდან დაწყებული 375-ამდე აღმოსავლეთით და დასავლეთით ათენელებმა ძლიერი კავშირის შექმნა მოახერხეს. 374 წ. ახალი კავშირის არსებობა სპარტამაც აღიარა.

**თებანელთა გაძლიერება და ჰეგემონია.** დემოკრატიული წესწყობილების დამკვიდრებასთან ერთად თებანელებმა თავისი მოქმედება გააცხოველეს. წინად ეს ხალხი მთელ საბერძნეთში თავისი სიზარმაცითა და ჭკუამოკლეობით იყო ცნობილი. ახლა კი მან არაჩვეულებრივი ნების სიმტკიცე და გონიერება გამოიჩინა. მისი ბელადი—**პელიპიდე** და **ეპამონონდა** სახელგანთქმულ სარდლებად ითვლებოდნენ და თავისი სამშობლოს ცხოვრების სადავეს გონივრულად ხმარობდნენ.

რაკი სპარტანელთა ბატონობისაგან განთავისუფლდნენ, თებანელებმა მთელი ბეოტიის გაერთიანების საქმეს მოჰკიდეს ხელი და მკირე ხნის განმავლობაში საშვალო საბერძნეთის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი ხელმძღვანელების ქვეშ მტკიცედ შეაკავშირეს. ამავე დროს სპარტანელებთან საომრად გაფაციცებით ემზადებოდნენ. მაგრამ 371 წელს ათენელების თანხმობით თითქმის რვა წლის განუ-



წყვეტილი ომიანობით დაქანცული საბერძნეთის სახელმწიფოთა მომადგენელი, საზავო პირობების შესამუშავებლად სპარტაში კრიბენ. როდესაც ყველანი შეთანხმდნენ და ზავის პირობების ხელის მოწერა დაიწყეს, თებანელებმა მთელი ბეოტიის სახელმწიფოები მეს ხელის მოწერა. ამის წინააღმდეგ სპარტანელებმა და თებანელები ზავის გარეშე გამოაცხადეს. სპარტანელებმა იარაღით მოისურვეს ურზი თებანელების დამორჩილება, მაგრამ ეპამინონდას სამხედრო ნიჭმა 371 წელს ლევკტარასთან ბრძოლაში სპარტანელთა სიმამაცეს სძლია და მათი ჯარი სავსებით დაამარცხა.

ლევკტარას ბრძოლა საბერძნეთის ცხოვრების ახალი ხანის დასაწყისად უნდა ჩითვალოს: საბერძნეთის ჰეგემონიის ძველი მატარებელი, სპარტა ახალმა ძალამ დაამარცხა; ცხადი იყო, რომ სპარტის ადგილი ამ ახალ ძალას უნდა დაეკავებია, და იგიც საბოლოოდ უნდა გამოსალაქებოდა საბერძნეთში პირველობის მოპოების შესაძლებლობას.

ამას გარდა ეს სირცხვილი იმდენად მწვავე იყო, რომ სპარტანელებმა თავისი ძველის, ნაცადი წესწყობილების ვარგისობაში ეჭვი შეიტანეს და ახალი დემოკრატიული მოძრაობა დაიწყეს, რომელიც მთელ პელოპონესს მოედო. ამ გარემოებამ პელოპონესის კავშირის საქმეები მთლად არივდარია, ასე რომ სპარტანელთა გავლენა აქაც თავის დასასრულს უახლოვდებოდა. პელოპონესიდან დემოკრატიულად მოწყობილი სახელმწიფოები სპარტას წინააღმდეგ თებანელთა დახმარებას მოითხოვდნენ. ეპამინონდა, რომელმაც ამასობაში თითქმის მთელი საშვალო საბერძნეთი შემოიკავშირა, დიდი სიამოვნებით ეხმარებოდა სპარტანელების მოწინააღმდეგეთ: ამისთვის მას ოთხჯერ მოუხდა პელოპონესში საომრად გამგზავრება; მან თითქმის სავსებით გარდაქმნა პელოპონესის სახელმწიფოთა ურთიერთობა; მაგრამ ყველაზე მეტი ზიანი სპარტას მეხენიის დამოუკიდებლობის აღდგენით ცდამ მიაყენა.

362 წელს ეპამინონდას უკანასკნელად მოუხდა პელოპონესში გამგზავრება. მის წინააღმდეგ ახლა მარტო სპარტა კი არ იყო, არამედ მთელი კავშირი, რომელშიც არკადია, ელიდა, აქაია, ფლიუსი, სპარტა და ათენი შედიოდა. ცხადად სჩანდა, რომ თებეს ჰეგემონიის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. ბრძოლა მანტინეასთან მოხდა და ეპამინონდმა მტერი აქაც უკუაქცია. მაგრამ რადგანაც თვითონ სასიკვდილოდ იქმნა დაქრალი, თებანელებმა ბრძოლას თავი მიაწებეს. ეს იყო და ეს. ეპამინონდთან ერთად თებანელთა ჰეგემონიის დღეებიც დასრულდა... მაგრამ არა მარტო

თებანელების ჰეგემონიის დღეები, არამედ თვით საბერძნეთის და მოუკიდებლობისაც.



ეროვნული  
ზიჯლიმთეკა

17.

მაკედონიის ბატონობის ხანა.

ბალკანების ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მაკედონიამ მოიპოვა. მისი ტერიტორია ტყეებით იყო მოფარული, და მოსახლეობა, რომელიც ბერძენთა ტომებს ენათესავებოდა, პირველყოფილი ცხოვრების დონეზე იღვამეთხე საუკუნიდან დაწყებული მაკედონია ბალკანების ბერძენებთან დათან უახლოვდებოდა და მის კულტურას ითვისებდა. სახელმწიფოებრივი მართვაგამგეობა მონარქიული იყო, და მეფეები ყოველთვის ბერძენთა ცხოვრებაში ჩარევას ცდილობდნენ.

მათი მოღვაწეობა სამი მთავარი მიზნისაკენ იყო მიმართული: მათ სურდათ ახლო მდებარე ზღვის ნაპირების ხელში ჩაგდება, რომელთათვისაც საბერძნეთის სახელმწიფოებს ერთმანეთში გამუდმებული ომი ჰქონდათ; ამას გარდა ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ბერძენებს იგინი თვისტომად მიეჩნიათ, და დასასრულ, მოწადინებული იყვნენ, ბერძენთა შინაურ ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ და იგი თავის სურვილების მიხედვით მიემართათ.

მაგრამ მაკედონელთა მეფეების მოღვაწეობა მუდამ უნაყოფო იყო, სანამ საბერძნეთს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი მოღვაწეობის უნარი ჰქონდა. თებეს ჰეგემონიის დაცემასთან ერთად საბერძნეთს სახელმწიფოებმა ეს უნარიც საბოლოოდ დაკარგეს. მაკედონიაში კი სწორედ ამ დროს ტახტზე ნიჭიერი მეფე, ფილიფე II ავიდა. პირობები ისეთი იყო, რომ ახალ მეფეს მაკედონიის ძველ მისწრაფებათა განხორციელება ადვილად შეეძლო. ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც ცოტაოდენი ძალა ჯერ კიდევ შერჩენოდა, ათენი იყო; მაგრამ სპარტას ჰეგემონიის მოსპობასთან ერთად მისი 478 წელს დაარსებული კავშირიც უთუოდ უნდა დარღვეულიყო, მით უმეტეს, რომ მან ახალ კავშირსაც ძველებურად დაუწყო მოქცევა: გადასახადები დაადვა და მოკავშირეთა მიწაწყალზე თავისი კლერუხიების გაშენებას მოკიდა ხელი. ამიტომ 357 წელს „მოკავშირეთა ომი“ დაიწყო, ხოლო 355 წელს კავშირი თითქმის სავსებით დაიშალა.

ამგვარად, ათენელთა ძლიერბაც მოისპო, და ფილიპეს მოღვაწეობას ფართო ასპარეზი გაეშალა. იმავე წელს, როდესაც „მოკავ-



„შირეთა ომი“ დაიწყო, მაკედონიის მეფემ ეგეოსის ზღვის რიდი  
 ლოეთი ნაწილების ხელში ჩაგდებაზე იწყო ზრუნვა და ერთი წლის  
 განმავლობაში თრაკიის მთელი ნაპირები ათენს ხელიდან გამოეღწა.  
 ამაირად, მაკედონელ მეფეების მისწრაფებათა უმეტესი ნაწილი  
 თითქმის სავსებით განხორციელდა: ეგეოსის ზღვის ნაპირები მაკედონელებს ეკუთვნოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფილიპემ ათენელთა ახალშენს, ოლინთს ალყა შემოარტყა და აიღო.

როდესაც ოლინთელებმა დახმარებისათვის ათენს მიმართეს, მხოლოდ ერთმა ათენელმა გამოიჩინა მდგომარეობის სწორი შეფასების უნარი და ხალხს ოლინთის დახმარებისაკენ მოუხმო. ეს ათენელი ცნობილი ორატორი დემოსთენე იყო, რომელიც ფილიპეს განზრახვებს ნათლად ხედავდა და თავისი მჭერმეტყველი ენით მოქალაქეებს არწმუნებდა, დღეს თუ ხვალ ფილიპე მთელ საბერძნეთს დაიპყრობს, თუ ზომები დროზე არ მივიღეთო. მისი სიტყვები, რომელნიც ფილიპეს წინააღმდეგ იყვნენ მიმართული, ფილიპიკების სახელით არიან ცნობილი და მჭერმეტყველობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ. მაგრამ ათენელების მიძინებული გრძნობის გაღვიძება მან მაინც ვერ მოახერხა, თითქოს საბერძნეთი მაკედონიის სამსხვერპლოდ თვით განგებისაგან ყოფილიყოს განწირული.

ფილიპემ ოლინთი დაიპყრო და ახლა საბერძნეთის საქმეებში ჩარევა დაისახა მიზნად.

**საბერძნეთის დაპყრობა.** (338 წ.) ფილიპეს განზრახვის განხორციელება თითონ ბერძნებმა გაუადვილეს. საშვალო საბერძნეთში ე. წ. „სალეთო ომები“ დაიწყო, რომელნიც ფოკეელებისა და თებანელების მეტოქეობით იყვნენ გამოწვეული: ფოკეელებმა დელოსის ორაკულის მიწები და ქონება მიითვისეს და საქმაოდ ძლიერი ჯარი შეჰქმნეს. მათ წინააღმდეგ ბეოტიელებმა და თესალიელებმა ძლიერი კავშირი შეჰკრეს და ომი დაიწყეს. თესალიელთა წინადადებით ამ ომში ფილიპემ ჩაერია, რომელმაც საბერძნეთის წმიდა ადგილის დაცვა იღვა თავს. ნამდვილად კი მისი მიზანი საშვალო საბერძნეთის დაპყრობა იყო. მაგრამ რადგანაც ათენელები განზრახვას მიუხვდნენ, იგი იძულებული შეიქმნა უკან ვაბრუნებულიყო და უფრო ხელსაყრელი დროისათვის მოეცადა.

ამასობაში „სამლთო ომი“ კიდევ უფრო რთულდებოდა: იგი ახლა უკვე ათენელებისაგან იყო გამოწვეული. მის საწარმოებლად ერთ-ერთმა მხარემ ფილიპე მოიპატიჟა. მაკედონიის მეფე, რასაკვირველია, სიხარულით გაეშურა საბერძნეთისკენ და ბეოტიის შესავალი დაიკავა. ცხადად სჩანდა, რომ ამის შემდეგ ფილიპეს საშვალო სა-

ბერძნისაჲსკენ მგზავრობას წინ ველარაფერი დაუდგებოდა, და ათენ-  
ში შიში გავრცელდა. დემოსტენეს წინადადებით, თებში კაცი აფ-  
რინეს, რომელსაც მისთვის ათენთან შეკავშირებას წინადადებას უნდა  
მიეცა. თებანელები დათანხმდნენ, და ამგვარად ესტატიკოსი



დემოსტენე.

ჩაისახა, რომელმაც საბერძნეთის დამოუკიდებულობის გადარჩენა  
იღვა თავს. ამ კავშირს პელოპონესის ჩრდილოეთით მდებარე სა-  
ხელმწიფოები და ევბეა მიემატა, და ამგვარად საკმაოდ საშიშ ძა-  
ლად გადაიქცა. საბერძნეთის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ  
ვინ გაიმარჯვებდა, ფილიპე თუ ახალი კავშირი. მშშ წელს ორი  
მოპირდაპირე ძალა ერთმანეთს ქერძინებასთან შეეკიდა. საოცარი  
იყო ის ვაეკაცობა, რამელიც ამ ბრძოლის დროს ბერძნებმა გამო-

იზინეს, მაგრამ ფილიპეს უდრეკ ძალებს მაინც ვერაფერო მოუხერხეს და დამარცხდნენ.

ფილიპე თებანელებს სასტიკად მოეპყრო, დაშლულ ბერძენებს კავშირი და თებეში თავისი ჯარი ჩააყენა. ათენელები ელოდნენ, მაგრამ ფილიპემ იშვიათი კეკუა გამოიჩინა და მათ ზავით შეეკრა, რომლის ძალითაც ათენის დამოუკიდებლობა ხელუხლებელი დასრულდა.

ამის შემდეგ ფილიპემ საშვალო საბერძნეთის საქმეები მოაწესრიგა და ბოლოს პელოპონესისაკენ გაემგზავრა. აქ ყველა შეაკავშირა და, დასასრულ, კორინთოში ბერძენთა საერთო ყრილობა მოიწვია, სადაც ბერძენთა კავშირის განახლება გადაწყდა და მთელ საბერძნეთში საერთო ზავი გამოცხადდა. კავშირის წარმომადგენელთა საერთო საბჭო, სინედრიონი, კორინთოში მოქმედობდა, ხოლო მთელი კავშირის ჰეგემონად ფილიპე იქმნა გამოცხადებული.



ალექსანდრე დიდი.

ამგვარად, ფილიპემ სავსებით გააბორციელა მაკედონიის მეფეთა ძველისძველი მისწრაფებანი. მის ხელთ მარტო ზოვის ნაპირები ჯი არა, მთელი საბერძნეთი იყო, და იგი ბერძენებმა არა თუ თვისტოსად, არამედ მთელა საბერძნეთის ჰეგემონადაც კი გამოაცხადეს.



**ალექსანდრე დიდი** (336—324). ფილაპე კორინთოს კრილო-  
ბის ვათავების შემდეგ მაკედონიაში დაბრუნდა და სპარსეთის წინა-  
აღმდეგ ომისთვის მზადების დაწყებას აპირებდა, მაგრამ მისი  
ლოდნელად მოკლულ იქმნა. სამეფო ტახტი მის ძმის **ალექსანდრე**  
**დრეს** ხელში გადავიდა.

ალექსანდრეს აღზრდა ფილიპემ საბერძნეთის გამოჩენილ ფი-  
ლოსოფოსს, არისტოტელეს მიანდა, რომელმაც ახალგაზდა მოწაფეს  
ფართო გონებრივი ინტერესი ჩაუნერგა: ალექსანდრე თავისი დროის  
შესაფერისად განათლებულ კაცად ითვლებოდა. ამისთანავე იგი  
შესანიშნავი სამხედრო ნიჭითა და გამბედაობით იყო დაჯილდოე-  
ბული. ასე რომ ფილიპეს ძლიერ მონარქიას ღირსეული მემკვიდრე  
ჰყავდა.

როგორც კი გაიგეს ფილიპეს მკვლელობის ამბავი, ბერძნებმა  
ბევრ ადგილას აჯანყება მოახდინეს, იმ იმედით, რომ მაკედონიის  
ახალგაზდა მეფე ვერაფერს მოგვიხერხებსო. მაგრამ ალექსანდრე  
სწრაფად გაექანა საბერძნეთისაკენ და ყველა ფიცხლავ დაიმორჩი-  
ლა. ხელახლა მოაწყო კორინთოში ყრილობა და თავისი თავი სა-  
ბერძნეთის ჰეგემონად გამოაცხადებია. ამ დროს მაკედონიის მახლო-  
ბელ ადგილებში მის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა, და ალექსანდრემ  
იქით მიაშურა. მცირე ხნის განმავლობაში აქაც სიწყყარე დაამკვიდ-  
რა და ამგვარად ფილიპეს ძალღონით აშენებული სამეფოს საზღვრე-  
ბი ყველა ხელუხლებლად შეინარჩუნა. მაგრამ საბერძნეთში ხმა გა-  
ვრცელდა, ალექსანდრე მთიელებთან ბრძოლაში მოკლესო, და ბალ-  
კანებს ხელახლა აჯანყების ალი მოედო. ალექსანდრე მყის საშვალთ  
საბერძნეთში გაიწა და ყველაზე უფრო ადრე თებანელები დასა-  
ჯა, რომელთაც აჯანყების დროის აფრიალებას ვერაფერს ვერ ას-  
წერებდა. ალექსანდრემ თებანელები თვითონ ბერძნებს გაასამართლე-  
ბინა, 30000 აქაური მცხოვრება მაკედონიაში გადაასახლა და მო-  
ნებად გაჰყიდა, ხოლო თებეს მიწები მეზობლად მდებარე სახელმწი-  
ფოებს დაურიგა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ საბერძნეთის სახელმწიფოებს მა-  
კედონელთა მეფის ღალატის გულში ვატარებისაც კი ეშინოდათ.  
საბერძნეთი საბოლოოდ დანებდა მაკედონიას.

ათენელების გულის ნადები კარგად იცოდა ალექსანდრემ,  
საქმის გართულება არ უნდოდა და ამიტომ მათ ხელს არ ახლებდა.

რაკი თავისი სახელმწიფო ყველგან დააწყნარა, ალექსანდრემ  
ახლა სპარსეთის ომისათვის დააწყო მზადება.

**სპარსეთის დაპყრობა.** მაკედონელთა ჯარი გამუდმებული ომი-

ანობის გამო მშვენივრად გაიწრთვნა. ამასთანავე მის ბრძოლას წესრიგს და შემადგენლობას ყველა იმდროინდელ ჯარებთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა.

სპარსეთი მართალია ისევ უზარმაზარ სახელმწიფო იყო, მაგრამ შიგნით გამუდმებული არეულობისა და ომების გამო ძლიერ დასუსტებული იყო. ძველი სპარსეთის ძლიერება აღარსად სიანდა, თორემ როგორ შეიძლებდა 10000 სპარტანელი დაქირავებული ჯარისკაცი კუნაქსასთან არტაქსერქსეს დამარცხებას. ამიტომ თავიდანვე ცხადი იყო, რომ მაკედონელთა ძლიერებას სპარსეთი ვერ გაუძლებდა.

ალექსანდრემ სპარსეთში სულ 35000 ბერძენი და მაკედონელი წაიყვანა და თავის ნიჭიერ სარდალ პარმენიონთან ერთად 334 წელს იგი მცირე აზიაში გადავიდა.

აქაური სატრაპები ალექსანდრეს წინააღმდეგ შეერთდნენ და მდ. გრანიკის ნაპირებზე მტერს შეეჯახნენ. გამარჯვება ალექსანდრეს ხედა წილად, რასაც თითქმის მთელი დასავლეთი მცირე აზიის დამორჩილება მოჰყვა. ალექსანდრე ყველგან დემოკრატიულ მართვა-გამგეობას აწყობდა და ამნაირად მცხოვრებთა უმეტესობის გულს ინადრებდა.

მცირე აზიიდან ალექსანდრე სირიისაკენ გაემართა. სპარსეთის მეფედ მაშინ დარიო III კოდომანი იყო, რომელსაც პირადი ღირსება ბევრი ჰქონდა, მაგრამ სპარსეთის გადარჩენის ძალა მაინც არ შესწევდა. დარიომ საკმაოდ დიდი ჯარი მოაგროვა და სირიის დასაცავად მტერს ისხას ველზე შეხვდა. ალექსანდრეს ჯარმა აქაც ბრწყინვალედ გაიპარჯვა. შეშინებულმა დარიომ მთელი თავისი ბანაკი მიატოვა და გაიქცა. ალექსანდრეს ხელში დიდი ნადავლი გადავიდა: სხვათა შორის დარიოს დედა, ცოლი და შვილებიც მას ჩაუვარდნენ ხელში. ალექსანდრემ ბრძანება გასცა, დარიოს ოჯახს ისე მოუპარეთ, როგორც მის მღვთმართობას შეეფერებო.

ამ გამარჯვებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა დარიოზე, რომ მან წინადადება მისცა ალექსანდრეს, ევფრატს გადაღმა მდებარე ადგილებს ყველას დაგიტოვებ, ოღონდ ზავი ჩამოვაგდოთ და შეეკავშირდეთო. მაგრამ ალექსანდრემ შეფეს სრული მორჩილება მოსთხოვა. დარიო იძულებული შეიქმნა, ომის გაგრძელების შესახებ ხელახლა ზრუნვა დაეწყო.

ამასობაში ალექსანდრემ გაიარა სპარსეთის სამეფოს ზღვის ნაპირები, დაიმორჩილა ყველა მნიშვნელოვანი ადგილი და მთელი სირია თითქმის სისხლის დაუღვრელად ჩაიგდო ხელში. წინააღმდე-



გობა მარტო მდიდარმა ქალ. ტირმა გაუწია, რომელიც ალექსანდრემ შედარებით ადვილად აიღო. სირიიდან იგი ეგვიპტეში გადავიდა და ეს ქვეყანაც ადვილად შემოიერთა. აქ მან ქალაქქალაქსა და დააარსა, რომელიც მალე მთელი აღმოსავლეთის უმთავრესი და ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა.

დაპრობილ ადგილებში მაკედონიის მეფე გონივრულად მოქმედობდა: იგი ხელუხლებლად სტოვებდა ადგილობრივ ჩვეულებასა და ადათებს და ხშირად მათდამი დიდ პატივისცემასაც იჩენდა. ეს გარემოება დაპრობილ ხალხებს ნდობისა და სიყვარულის გრძნობებს უღვიძებდა ალექსანდრეს მიმართ და ახალი ბატონის წინააღმდეგ არ ამხედრებდა.

რაკი სპარსეთის განაპირა ადგილები დაიმორჩილა, ალექსანდრემ სპარსეთის შუაგულისაკენ იბრუნა პირი. დარიომ ამასობაში თავისი სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილებში დიდი ჯარი შეაგროვა და 331 წელს მტერს გავგაშელახთან შეხვდა. ალექსანდრე თავისი ცხენოსანი ჯარით მტერს ეძგერა და მცირე ხნის განმავლობაში სავსებით დაამარცხა. ამით მან სპარსეთის შუაგულისაკენ გზა გაიხსნა, ბაბილონი შემოიერთა და მიდინ მიდამოებში მეფეს დაედევნა. დარიომ ჩრდილოეთს მიაშურა, მაგრამ აქ ერთ-ერთმა მისმა სატრაპმა, ბესმა, მეფე დაატყვევა, ხოლო სპარსეთში გაბატონება თვითონ მოისურვა. ახლა ალექსანდრე ამას გამოუდგა და, როდესაც მოეწია, გაიგო, რომ მას დარიო მოეკლა და გაქცეულიყო. ალექსანდრემ ბრძანება გასცა: დარიო მეფურად დაშარხეთო; თვითონ კი სპარსეთის ბატონად გამოაცხადა თავი. ეს 330 წელს მოხდა.

ამგვარად, სულ სამიოდე წლის განმავლობაში ალექსანდრემ უზარმაზარი სპარსეთის სახელმწიფო დაიპყრო და მისი ბატონპატრონი თვითონ შეიქმნა.

ხმა ალექსანდრეს ძლიერების შესახებ მთელ აზიას მოეფინა. ინდოეთში ამ დროს ორ მთავარს ერთმანეთში დავა ჰქონდათ, და ერთმა მათგანმა თავისი მოპირდაპირის წინააღმდეგ ალექსანდრე მიიწვია. მაკედონიის მეფეს ისეღაც სურვილი ჰქონდა მთელი აზიის დაპყრობისა და ამიტომ სიამოვნებით დათანხმდა. მაგრამ ჯარს უკვე მოსწყინდა გამუდმებული ომი და მეფეს უკან გამობრუნება მოსთხოვა. ალექსანდრე იძულებული შეიქმნა, ჯარის სურვილი შეეწყნარებია, და სპარსეთის სამხრეთი ქვეყნების მიმართულეებით სამშობლოსაკენ გამობრუნდა. მაგრამ ბაბილონი უეცრად ციებით ავად გახდა და 323 წელს გადაიკვალა.

ალექსანდრე მაკედონელის მიზანი საბერძნეთისა და აღმოსავ-

ლეთის კულტურის ერთ დ შედუღება იყო. მას უნდოდა, რომ რუსი-  
 ვე კულტურის კარგი თვისებები შეერთებულიყვნენ და ამ გზით  
 დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთს დაახლოვებოდა. მისი აზ-  
 რით, ეს საუკეთესო საფუძველი იქნებოდა იმ მსოფლიო კულტურის  
 განსამტკიცებლად, რომლის დამაარსებლადაც იგი თავისი მთელი ძალი

მაგრამ მსოფლიო მონაარჩიის არსებობა შეუძლებელია, და  
 ალექსანდრეს საკვდილს შემდეგ მისი სამეფოც მალე დაიშლება.

**დიადოქების ხანა.** სიკვდილის წინ ალექსანდრემ თავისი სა-  
 მეფო მთავარსარდლებს უნდერძა. უზარმაზარი სახელმწიფოს თი-  
 თოკულ მემკვიდრეს (**დიადოქებს**), რა თქმა უნდა, სურვილი ექნე-  
 ბოდა, რაც შეიძლება მეტი ნაწილი თავის ხელში ჩაეგდო. ამ ნია-  
 დაგზე მათ შორის იმთავითვე უთანხმოება დაიბადა, რომელსაც შე-  
 დეგად ხანგრძლივი ომები მოჰყვა. ბოლოს, 301 წელს ალექსანდრეს  
 დიდი მონარქია საბოლოოდ დანაწილდა და ერთი განუყოფელი სა-  
 ხელმწიფოს მაგიერ სამი დიდი და მრავალი პატარა სამეფო დაარ-  
 სდა. დღე-ღამე სახელმწიფოთა რიცხვს ხირია, ეგვიპტე და მაკედონია  
 შეადგენდა.

**ხირიაში** დიადოქის ხელეკის შთამავლობა ე. წ. ხელეკიდე-  
 ბის სამეფო გვარი დამკვიდრდა. ერთ დროს იგი დიდი სახელმწიფო  
 იყო, რომელსაც დასავლეთით ხმელთა შუა ზღვა საზღვრავდა და  
 აღმოსავლეთით ინდოეთი.

**ეგვიპტე** პტოლომეო I-ის შთამავლობის ე. წ. **ლაგიდების**  
 ხელში გადავიდა. ეგვიპტეში განსაკუთრებით ვაჭრობა-მრეწველობა  
 განვითარდა, და ამასთანავე მეცნიერების და ხელოვნების დარგში  
 ახალი ხანა ე. წ. **ელენისტური** კულტურა შეიქმნა. ვაჭრობა-მრეწ-  
 ველობისა და მეცნიერება-ხელოვნების ცენტრად აქაური ქალაქი **ალე-**  
**ქსანდრია** ითვლებოდა.

**მაკედონიის** არსებობა, რომელთანაც **საბერძნეთიც** შეერთებუ-  
 ლი იყო, ყველაზე უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. მისი დამოუკიდე-  
 ბლობა მხოლოდ 148 წელს მოისპო, როდესაც რომაელებმა იგი  
 თავის პროვინციად გამოაცხადეს.



# 18. ს ა რ ჩ ე ვ ი.

## I ე ბ ვ ი ვ ა.



|                                               |    |
|-----------------------------------------------|----|
| 1. გეოგრაფიული მდებარეობა . . . . .           | 3  |
| 2. სამეფოს დაარსება . . . . .                 | 5  |
| 3. ხასიათი და ზნეჩვეულება . . . . .           | 6  |
| 4. სარწმუნოება . . . . .                      | 6  |
| 5. ხელოვნება . . . . .                        | 9  |
| 6. მწერლობა . . . . .                         | 15 |
| 7. საზოგადოება დი მი.ი შემადგენლობა . . . . . | 16 |
| 8. მართვა-ვაჭვეობა . . . . .                  | 18 |
| 9. საშუალო ისტორია . . . . .                  | 19 |
| 10. ახალი ისტორია . . . . .                   | 20 |

## II ასურეთი და ბაბილონი.

|                                                              |    |
|--------------------------------------------------------------|----|
| 1. გეოგრაფიული მდებარეობა . . . . .                          | 21 |
| 2. მოსახლეობა . . . . .                                      | 23 |
| 3. ასურეთის და ბაბილონის მოკლე ისტორია . . . . .             | 23 |
| 4. ხასიათი და ზნეჩვეულება . . . . .                          | 27 |
| 5. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება . . . . . | 29 |
| 6. სარწმუნოება . . . . .                                     | 30 |
| 7. ხელოვნების ნაშთები . . . . .                              | 31 |
| 8. მწერლობა . . . . .                                        | 35 |

## III. ს ე თ ე ვ ი.

|                                                      |    |
|------------------------------------------------------|----|
| 1. გეოგრაფიული მდებარეობა და მოკლე ისტორია . . . . . | 41 |
| 2. ხელების კულტურა . . . . .                         | 42 |

## IV. ფ ი ნ ი კ ი ა.

|                                                  |    |
|--------------------------------------------------|----|
| 1. მდებარეობა და მოსახლეობა . . . . .            | 43 |
| 2. ზღვაოსნობა . . . . .                          | 44 |
| 3. აჯალშენები . . . . .                          | 46 |
| 4. ვაჭრობა და მრეწველობა . . . . .               | 47 |
| 5. შინაური ცხოვრება და მართვა-ვაჭვეობა . . . . . | 47 |
| 6. ფინიკელთა სარწმუნოება და კულტურა . . . . .    | 49 |
| 7. ფინიკელთა ისტორიული მამიშველობა . . . . .     | 51 |

## V. ა რ ი მ ლ ე ვ ი.

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| 1. ნააი ვინაობა და ბუნადრობა . . . . . | 51 |
|----------------------------------------|----|

## VI ძველი სპარსეთი.

|                                                       |    |
|-------------------------------------------------------|----|
| 1. ირანის ვაჭვეობა . . . . .                          | 53 |
| 2. სპარსეთის სამეფოს დაარსება და გაძლიერება . . . . . | 53 |
| 3. მართვა-ვაჭვეობა დარიოსის დროს . . . . .            | 58 |
| 4. სარწმუნოება . . . . .                              | 60 |
| 5. კულტურის ნაშთები . . . . .                         | 62 |

## VII. ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი.

|                                       |    |
|---------------------------------------|----|
| 1. აღმოსავლეთი და დასავლეთი . . . . . | 63 |
| 2. პირველყოფილი ევროპა . . . . .      | 64 |
| 3. საბერძნეთის მიწაწყალი . . . . .    | 65 |



|                                                              |     |
|--------------------------------------------------------------|-----|
| 4. საბერძნეთის უძველესი ისტორია . . . . .                    | 69  |
| 5. საბერძნეთის საშუალო ისტორია. . . . .                      | 72  |
| 1. ხალხთა დიდი გადასახლება. . . . .                          | 72  |
| 2. საზოგადოების შეადგენლობა. . . . .                         | 73  |
| 3. სახელმწიფოებრივი მართვაგამგეობა. . . . .                  | 75  |
| 6. ბერძენთა სახალშენო მოძრაობა . . . . .                     | 75  |
| 1. კრეტა-მიკენის ხანა . . . . .                              | 76  |
| 2. დორიელთა გადასახლების ხანა . . . . .                      | 77  |
| 4. მერვე და მეშვიდე საუკუნოები . . . . .                     | 78  |
| ა. ეგეოსის ზღვის ჩრდ. ნაპირთა ახალშენები . . . . .           | 79  |
| ბ. ჰელესპონტოს, ბოსფორასა და შავი ზღვის ახალშენები . . . . . | 79  |
| გ. ხმელთაშუა ზღვის ახალშენები. . . . .                       | 80  |
| 7. ბერძენთა ეროვნული თვითშეგნება. . . . .                    | 81  |
| 1. ენა . . . . .                                             | 81  |
| 2. საერთო სარწმუნოება . . . . .                              | 82  |
| 3. თქმულება ჰერაკლეს შესახებ . . . . .                       | 89  |
| 4. თქმულება თეზეოს შესახებ. . . . .                          | 90  |
| 5. თქმულება არგონავტების შესახებ . . . . .                   | 91  |
| 6. ორაკული . . . . .                                         | 93  |
| 7. ამფიქტიონები . . . . .                                    | 93  |
| 8. დღეობები . . . . .                                        | 94  |
| 8. საბერძნეთი VIII და VII საუკუნე. . . . .                   | 96  |
| 1. ვაქრობა-მრეწველობა . . . . .                              | 96  |
| 2. დემოსის მდგომარეობა . . . . .                             | 97  |
| 3. ესამენტები . . . . .                                      | 98  |
| 4. ტირანია . . . . .                                         | 99  |
| 9. სპარტა. . . . .                                           | 100 |
| 1. გეოგრაფ. მდებარეობა და მოსახლეობა . . . . .               | 100 |
| 2. სპარტიატების აღზრდისა და ყოფაცხოვრ. წესები . . . . .      | 102 |
| 3. სახელმწიფოებრივი წესწყობილება . . . . .                   | 104 |
| 4. ლიკურგო და მისი მოღვაწეობა . . . . .                      | 106 |
| 5. პელოპონესის და სიმაქის წარმოშობა . . . . .                | 107 |
| 10. ათენი. . . . .                                           | 108 |
| 1. გეოგრაფ. მდებარეობა და მოსახლეობა . . . . .               | 108 |
| 2. სახელმწიფოს დაარსება და მართვაგამგეობა . . . . .          | 110 |
| 3. მოძრაობა არსებული წესწყობ. წინააღმდეგ . . . . .           | 112 |
| ა. კილონი . . . . .                                          | 112 |
| ბ. დრაკონი . . . . .                                         | 113 |
| ა. სოლონი . . . . .                                          | 113 |
| ა. საზოგ.-ეკონომიური რეფორმები . . . . .                     | 114 |
| ბ. სახელმწიფოებრივი რეფორმები . . . . .                      | 115 |
| d. ტირანია . . . . .                                         | 119 |
| ა. პიზისტრატეს მოღვაწეობა . . . . .                          | 120 |
| e. კლისთენე . . . . .                                        | 122 |
| ა. ათენის ახალი განაწილება . . . . .                         | 123 |
| ბ. საერობო თვითმართველობა . . . . .                          | 125 |



|     |                                                           |     |
|-----|-----------------------------------------------------------|-----|
|     | გ. არქონტატი                                              | 125 |
|     | დ. ბულე                                                   | 126 |
|     | ე. ოსტრაციზმო                                             | 126 |
| 11. | ბერძენ-სპარსელთა ომები                                    | 127 |
|     | 1. მკირე აზიის ბერძნები და სპარსეთის                      | 127 |
|     | 2. ომის დასაწყისი                                         | 128 |
|     | 3. ქსერქსეს შეპონევა და დამარცხება                        | 129 |
| 12. | პენტეკონტიას ისტორია                                      | 134 |
|     | 1. გამარჯვების მიზეზები                                   | 135 |
|     | 2. ომის დასრულება                                         | 136 |
|     | 3. ომის შედეგები                                          | 137 |
|     | 4. დემოკრატიის განვითარება ათენში                         | 137 |
|     | 5. ეფიალტი                                                | 138 |
|     | 6. დელოსის კავშირი                                        | 139 |
|     | 7. სპარტა და ათენი ჯელოპ. ომამდე                          | 142 |
|     | 8. დემაგოგია და სტრატეგია                                 | 144 |
|     | 9. პერიკლე და მისი მოღვაწეობა                             | 146 |
|     | ა. საბერძნეთის ყრილობის მოწვევა                           | 147 |
|     | ბ. საომარი ძალების გაძლიერება                             | 149 |
|     | გ. ათენის კულტურული გაძლიერება                            | 149 |
|     | დ. თეატრი                                                 | 152 |
|     | ე. კლერუქიები                                             | 155 |
|     | ვ. დემოკრატიული რეფორმები                                 | 157 |
| 13. | პელოპონესის ომი                                           | 159 |
|     | 1. ომის მიზეზები                                          | 159 |
|     | 2. ომის წინასწ. ისტორია                                   | 160 |
|     | 3. არქიდამოს ომი                                          | 162 |
|     | 4. სიცილიის ომი                                           | 164 |
|     | 5. დეკელეას ომი                                           | 166 |
| 14. | სპარტან. ჰეგემონიის ხანა                                  | 168 |
|     | 1. ათენისა და დანარ. სახელმწიფოების მართვა-გამგეობა       | 168 |
| 15. | სპარტან მდგომარეობის გართულება                            | 170 |
|     | 1. ომი სპარსელებთან                                       | 170 |
|     | 2. ომი მოკავშირეებთან                                     | 171 |
| 16. | თებეს ჰეგემონია                                           | 171 |
|     | 1. ტირანების განდევნა და დემოკრატ. წესწყობი-ლების აღდგენა | 171 |
|     | 2. ათენელთა მეორე კავშირი                                 | 172 |
|     | 3. თებეს გაძლიერება და ჰეგემონია                          | 172 |
| 17. | მაკედონიის ბატონობის ხანა                                 | 174 |
|     | 1. მაკედონია და ფილიპე II-ე                               | 174 |
|     | 2. საბერძნეთის დაპყრობა                                   | 175 |
|     | 3. ალექსანდრე დიდი                                        | 178 |
|     | 4. სპარსეთის დაპყრობა                                     | 178 |
|     | 5. დიადოქების ხანა                                        | 181 |
| 18. | სარჩევი                                                   | 182 |